

მარინე კალანდარიშვილი

## გიგრობიოლოგია

თბილისი  
2011

სახელმძღვანელო შექმნილია გრიგოლ რობაკიძის სახელობის  
უნივერსიტეტის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების  
პროგრამის შესაბამისად.

სახელმძღვანელო საშუალებას მისცემს სტომატოლოგიური  
ფაკულტეტის სტუდენტებს ბაეცერნ სტომატოლოგიური  
დაავადებების მიკრობიოლოგიას და იმუნოლოგიას,  
აბრეთვე შეისწავლონ რობორც ზოგადი, ასევე სამედიცინო  
მიკრობიოლოგია. სახელმძღვანელოს თან ერთვის  
მიკრობიოლოგიის ატლასი.

ავტორი და რედაქტორი:

გარინე კალანდარიშვილი

რევენზენტები:

ომარ თავლაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ოთარ ნაზარიშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მერაბ ხოზანიშვილი - მედიცინის დოქტორი

ნინო თხილავა - ბიოლოგიის დოქტორი

ეპატერინე ჩხარტიშვილი - მედიცინის დოქტორი

ალექსანდრე მინდორაშვილი - მედიცინის დოქტორი

დავით ვაჟარაძე - მედიცინის დოქტორი

ISBN 978-9941-9174-3-1

© გრიგოლ რობაკიძის სენიორობის უნივერსიტეტის გამომცემლობა

© Grigol Robakidze University Press

## მიკრობიოლოგის საბანი და ამოცანები

მიკრობიოლოგია (micros-მცირე, bios – სიცოცხლე logos - მოძღვრება) შეისწავლის უმცირესი ორგანიზმების ცხოველმოქმედების კანონზომიერებებს. მიკრობებს მიკრობება თრგანიზმების უმცირესი სხვადასხვა ჯგუფები, რომელთაგანაც ერთნი მიეკუთვნებიან მცენარეულ სამყაროს, მეორენი კი ცხოველურს. მიკროორგანიზმთა უმრავლესობა ერთუჯრედიანი არსებებია, რომელთა ხილვა შეიძლება მხოლოდ მიკროსკოპის საშუალებით. მაგ: მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ობის სოკოები ან ძაფისებრი ბაქტერიები წარმოადგენენ მრავალუჯრედიან თრგანიზმებს და ზოგჯერ აღწევს ისეთ სიდიდეს, რომ მათი დანახვა შესაძლებელი ხდება შეუიარაღებელი ოვალით.

მიკრობთა მრავალფეროვანი სამყარო აერთიანებს როგორც ადამიანისათვის სასარგებლო ისე საზიანო სახეობებს. ზოგი მათგანი მონაწილეობს ბუნებაში ნივთიერებათა ცვლაში და შესაძლებელს ხდის დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას, ზოგი კი ადამიანის, ცხოველების და მცენარეების ინფექციურ დაავადებებს იწვევს. მოძღვრება მიკრობიოლოგიის შესახებ დიფერენცირებულია ზოგად, სამედიცინო, გეტერინარული, სას. სამეცნიერო, კვების, სამრეწველო მიკრობიოლოგიის დარგებად. XX საუკუნეში აღმოცენდა კოსმოსური მიკრობიოლოგია.

სამედიცინო მიკრობიოლოგია შეისწავლის ადამიანისათვის პათოგენურ მიკრობებს და იმ ურთიერთობას, რომელიც მყარდება მიკრო და მაკროორგანიზმებს შორის გარკვეულ გარემოსა და სოციალურ პირობებში, ამუშავებს ამ დაავადებების დიაგნოსტიკის, სპეციფიკური პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდებს.

სამედიცინო მიკრობიოლოგიის კურსი შედგება ზოგადი ნაწილისაგან, რომელიც შეისწავლის მიკროორგანიზმთა მორფოლოგიას და ფიზიოლოგიას, აგრეთვე ინფექციისა და იმუნიტეტის საკითხებს, და კერძო ნაწილისაგან, რომელიც შეისწავლის ადამიანის ძირითადი ინფექციური დაავადებების გამომწვევ მიკროორგანიზმთა ოვისებებს, მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებს.

## მიკრობიოლოგის ბანკითარების მოპლა ისტორიული მიმოხილვა

მიკროორგანიზმების აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე კაცობრიობა იყენებდა მიკრობიოლოგიურ პროცესებს პურის, ღვინის, ლუდის, რძემჟავა პროდუქტების დასამზადებლად, უძველესი ეგვიპტელები ასილოსებდნენ საკვებს.

საუკუნეების მანძილზე გაურკვეველი რჩებოდა დუღილის პროცესები და გადამდებ დაავადებათა მიზეზები. მიკროორგანიზმები აღმოაჩინეს მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც დაამზადეს ოპტიკური იარაღები.

პირველი დაკვირვება და მიკროორგანიზმთა აღწერა ეკუთვნის პოლანდიელ ანგონ ლევენცუკს (1632-1723 წ.). მან აღმოაჩინა მიკრობთა სამყარო, აღწერა მათი ფორმები, სიდიდე და მოძრაობა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კბილის ნაფიფქზე ცოცხალ არსებათა აღმოჩენამ, როგორც ლევენცუკი წერდა ისინი იყვნენ სფეროსებრი, ჩხირისებრი და კლაკნილი ფორმების.

კარლ ლინეიმ ვერ შეძლო გაერკვია მიკროორგანიზმთა მორფოლოგია (1707-1778) მან ისინი ერთ გვარში გააქრიიანა და “ქაოსი” უწოდა.

(1740-1796) გ. მ. ტერებოვსკიმ 1775 წელს დაიცვა დისერტაცია სტრასბურგის უნივერსიტეტში, რომელიც ეძღვნებოდა სხვადასხვა ნაყენებში მიკროსკოპულ ორგანიზმთა აღმოცენების ბუნების შესახებ. ექსპერიმენტების შედეგად მან დაადგინა, რომ ნაყენებში არსებული ცოცხალი არსებანი ნამდვილი უმცირესი ცხოველებია, რომლებიც იზრდებიან, მაგულობები მოცულობაში და იწყებენ დაყოფას, აღუდებ-უდ ნიადაგებში ცოცხალი მიკროსკოპული არსებები არ წარმოიშვებოდნენ.

1796 წ. ინგლისელმა ექიმმა ედუარდ ჯენერმა წარმატებით ჩაატარა ყვავილის წინააღმდეგ ხელოვნური აცრის პირველი ცდა.

მიკრობიოლოგის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩ. დარვინის მოძღვრებამ, რომელმაც შექმნა ორგანული სამყაროს განვითარების თეორია.

ერენბერგმა (1795-1876) სისტემაში მოიყვანა მიკროორგანიზმების შესახებ დაგროვილი მასალა.

განხილული პერიოდი მიკრობიოლოგიაში ხასიათდება, როგორც მორფოლოგიური პერიოდი. თანამედროვე მიკრობიოლოგიის ფუძემდებლის ფრანგი მეცნიერის ლუი პასტერის (1822-1895) მეცნიერული შრომების გამოქვეყნებიდან მიკრობიოლოგიის მორფოლოგიური პერიოდი თანდათანობით იცვლება ფიზიოლოგიურით. იგი დუღილის პროცესის შესწავლის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დუღილის ყოველ პროცესს (სპირტის, რძემჟავა, მმრის დუღილის და სხვა) პყავს თავისი აღმძვრელი მიკრობები. პასტერს მიეკუთვნება უქანგბადო არეში მცხოვრები მიკრობების – ანაერობების აღმოჩენა. მან მიიღო ციმბირული წყლულის (1881) და ცოფის (1885) საწინააღმდეგო ვაქცინები. აღმოაჩინა მთელ რიგ ინფექციურ დაავადებათა აღმძვრელები. პირველმა შემოიღო პრაქტიკაში ბაქტერიების მოსაობის მეთოდები – სტერილიზაცია ავტოკლავით და პასტერიზაცია.

გერმანელმა ექიმმა რობერტ კოხმა (1843-1910) დაამუშავა მიკრობთა წმინდა კულტურების გამოყოფის მეთოდიკა, მთელ რიგ ინფექციურ დაავადებათა აღმძვრელ ბაქტერიათა მოსაობის ეფექტური მეთოდები – რაც შემდეგ საფუძვლად დაედო დეზინფექციას. 1877 წელს შემოიღო მიკრობთა ანილინის საღებავით შეღებვის მეთოდები.

ი.ი.მეჩნიკოვმა (1845-1916) პირველმა ახსნა და მეცნიერულად დაასაბუთა ინფექციურ დაავადებათა მიმართ თრგანიზმის აუთვისებლობის მიზეზები, იმუნიტეტის ფაგოციტარული დამუშავებით. პირველმა დაადგინა ანტაგონიზმი ლპობის ბაქტერიებსა და რძემჟავა ბაქტერიებს შორის.

ლ.ს. ცენკოვსკიმ (1822-1887) შეისწავლა და აღწერა პროტისტების, უმდაბლესი წყალმცენარეების, ინფუზორიების, მიქსომიცეტების 43 ახალი სახეობა. კონთან ერთად დაადგინა ბაქტერიათა სიახლოვე ლურჯ-მწვანე წყალმცენარეებთან, აღმოაჩინა შაქრის ბადაგის ლაბად გადაქცევის აღმძვრელი (ლეიკონოსტოკი).

დ.ი. ივანოვსკის (1864-1920) მიეკუთვნება ვირუსების სამყაროს აღმოჩენა.

ს.ნ. გინოგრადსკი (1856-1953) მიჩნეულია ნიადაგის მიკრობიოლოგიის ფუძემდებლად.

ს.პ. კოსტიჩევმა აღმოაჩინა ატმოსფეროს აზოგის ფიქსაციის მექანიზმი.

სამედიცინო მიკრობიოლოგია მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში. ამ შედარებით მცირე დროში მიკრობიოლოგიამ მედიცინა მნიშვნელოვანი მიღწევებით გაამდიდრა. ამგვარად მიკრობიოლოგიასთან დაკავშირებულია მედიცინის თითქმის ყველა დარგი.

## მიკრობიოლოგიური ლაბორატორია და მისი მოწყობილობები

მიკრობიოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებულია კვლევის სპეციფიური მეთოდები, რომელებიც საჭიროებენ ლაბორატორიულ პირობებსა და მოწყობილობებს, ლაბორატორიის უმთვარეს აპარატურას წარმოადგენს მიკროსკოპი, თერმოსტატი, ავტოკლავი, საშრობი კარადა, ცენტრიფუზა, მაცივარი, სტერილუზატორები, სპირტის ან გაზის ნათურები, მარყუჟები, მინის ჭურჭელი (სინჯარები, პიპეტები, მასალის შეგროვებისა და დეზინფექციისათვის, პეტრის ფინჯნები და ოქსიგენისათვის, კოლბები) საფარი მინები, მინაზე საწერი ფანქრები, შტატივები, რეაქტივები, საღებავები.

## ბაძტერიის უჯრედების სტრუქტურის შესავლის მირითადი ოპტიკური მეთოდები სინათლის მიკროსკოპი

იდეალურ პირობებში სინათლის მიკროსკოპი შეიძლება გავარჩიოთ გამოყენებული სინათლის სიგრძის დაახლოებით ნახევრის ტოლი ობიექტები, როდესაც ტალღის სიგრძე დაახლოებით 0,4 მიკრონია. მინიმალური დიამეტრიც, რომელსაც მიკროსკოპში გავარჩევთ 0,2 მიკრონია. ბაქტერიოლოგიაში გამოყენება მიკროსკოპი, რომელთა ობიექტები საგნებს დაახლოებით 90-ჯერ ადიდებენ, ხოლო ოკულარები 10-ჯერ. ამგვარად მიიღწევა ობიექტის 900-ჯერ გადიდება. მეტი გადიდების მიღწევა შეიძლება უფრო მოკლეტალღოვანი სინათლის წყაროს გამოყენების შემთხვევაში.

ულტრაიისფერ მიკროსკოპში გამოყენება 0,2 მილიმიკრონი სიგრძის ტალღოვანი სინათლე, რაც საშუალებას გვაძლევს გავარჩიოთ 0,2 მილიმიკრონი დიამეტრის ნაწილაკები.

## ბნელარიანი მიკროსკოპი

თუ კონდენსორის ლინზებს ისე განვალაგებთ, რომ დამკვირვებლის თვალში მოხვდნენ, ხოლო სასაგნე მაგიდაზე მოთავსებული ობიექტიდან არეკლილი სხივები ხილული ხდებიან. ისეთი სტრუქტურები, რომელთა გარჩევა, პირდაპირი სხივებით განათებისას (გარემომცველ ფონთან არასაკმარისი კონტრასტის გამო) არსებობს უფრო სრულყოფილი კონსტრუქციის მიკროსკოპები: ბიოგულარი, სადაც ობიექტის განხილვა შეიძლება ორიგე თვალით, რის გამოც ვდებულობთ ობიექტის რელიეფურ გამოსახულებას.

## ვაზურ-კონტრასტული მიკროსკოპი

ფაზურ-კონტრასტულ მიკროსკოპირებას გარკვეული უპირატესობა გააჩნია, გამჭვირვალე ობიექტებში (უჯრედებში) გამავალი სინათლის სხივები იმისდამიხევით თუ რა თვისებების მქონე მასალაში გაიარეს ობიექტიდან, გამოსვლისას სხევადასხვა ფაზაში იმყოფებიან, სპეციალური ოპტიკური სისტემების საშუალებით შესაძლებელია ფიზიკურ განსხვავებათა განათებულობის ინტენსივობის განსხვავებად გარდაქმნა, რის შედეგადაც ზოგიერთი სტრუქტურა მეტად განათებული ჩანს, ზოგი კი ნაკლებად. ამ მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალ უჯრედებზე დაკვირვების საშუალებას იძლევა (ჩვეულებრივ მიკროსკოპში აუცილებელია დახოცილი და შეღძილი პრეპარატების გამოკვლევა).

## აუტორადიობრაფია

თუ რადიოაქტიური ატომების შემცველ უჯრედებს დავაფიქსირებთ ფოტოემულსიით დაფარულ მინაზე და დავტოვებთ სიბნელეში ხანგრძლივი დროით, გამჟღავნებულ ფირზე ადმოჩნდება რადიოაქტიური დაშლის წერტილებიდან ემანაციის შედეგად მიღებული კვალი. მეთოდი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ უჯრედში რადიო-აქტიური წყაროს ლოკალიზაცია, განსაკუთრებით საინტერესოა ამ მეთოდით დნმ-ის რეპლიკაციის შესწავლა (გამოსხივების წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგენს რა-დიოქტიური ტრიოუმით ნიშნული თიმიდინი).

### ელექტრონული გიგროსპორტია

ელექტრონული მიკროსკოპები, რომელშიც გამოიყენება ფოკუსირებული ელექტრონების ნაკადი, საშუალებას იძლევა გავარჩიოთ 0,001 მკმ დიამეტრის ობიექტები. მაგ: ვირუსები, რომელთა დიამეტრიც 0,01-0,02 მკმ. ელექტრონულ მიკროსკოპიაში ფარ-თოდ გამოიყენება ლითონებით მოფრქვევის მეთოდი. ობიექტს ვაკუუმში ასხივებენ ლითონს (მაგ:პლატინის) იონების ნაკადით, რის შედეგადაც ობიექტს დაეფინება ლი-თონის თხელი შრე, იონების ნაკადი მიმართულია ობიექტისადმი კუთხით, რის გამოც მეტალის იონებით დაუფარავი ზედაპირის მოპირდაპირე მხარეს ჩნდება ობიექტის “ჩრდილი” პრეპარატში ელექტრონების ნაკადის გატარების შედეგად მიიღება ობიექ-ტის სამგანზომილებიანი გამოსახულება. ელექტრონულ მიკროსკოპში ფართოდ გამ-ოყენება გამოსაკვლევი მასალის ულტრათხელი ანათლების დამზადების, გაყინული პრეპარატების გამოკვლევის მეთოდი.

### ბაქტერიუმის შეღწევა

მიკრობებს უმოავრესად შედებილი სახით სწავლობენ. საღებავები უჯრედის ციტ-ოპლაზმას უკავშირდებიან ქიმიური კავშირების საშუალებით. საღებავებად უმე-ტესტილად მარილებს იყენებენ. ფუძე საღებავები შედგებიან ფერადი კატიონისა და უფერო ანიონისაგან (მაგ: მეთილის ლილა+ქლორიდი-) მუავე საღებავებში შეფერ-ილნი არიან ანიონები. კათიონი კი უფერულია (ნატრიუმის+იოზინატი-) ბაქტერიულ უჯრედებში დიდი რაოდენობითა ნეკლეინის მუავები, რომელთა ფოსფატური ჯგუფე-ბი უარყოფითად არიან დამუხტულნი, ისინი უკავშირდებიან დადებითად დამუხტულ (ფუძე საღებავებს) მუავე საღებავები ბაქტერიულ უჯრედს არ უერთდებიან. შოლტე-ბის, კაფსულების, უჯრედის კედლის და სხვა ორგანოების დიფენეცირებისათვის გამოიყენება შედებვის სპეციალური მეთოდები. მიკრობობა შესაღებად გამოიყენება ანილინის საღებავები უმეტესად ძირითადი, იშვიათად მუავე საღებავები. ძირითად საღებავებს ეკუთვნიან: მეთილის ლილა (ლურჯი საღებავი), ძირითადი ფუქსინი, ნეი-ტრალროტი (წიოელი), გენციანვიოლეტი, მეტალ-ვიოლეტი, კრისტალვიოლეტი (იის-ფერი), ვეზუვინი, ხრიზოდინი (ყავისფერი) და სხვა.

მუავა საღებავებია: მუავაფუქსინი (წიოელი), ეოზინი (ვარდისფერი), ყველა ამ საღე-ბავს ფხვნილის ან კრისტალის სახე აქვს, რომელთაგანაც ამზადებენ სპირტიან, სპირტიანწყლიან და წყლიან ხსნარებს. სპირტიანი ანუ ნაჯერი ხსნარები მზადდება სპირტში 10-15%-იანი მშრალი საღებავის გახსნით (10-15 გრამი საღებავი 100 მილილ-იტრ 96%-იან სპირტზე).

ჭურჭელს საღებავიანი ხსნარით რამდენიმე დღით ტოვებენ ოთახში ან თერმო-სტატში და დროდადრო ანჯდრევენ, შემდეგ საღებავის თხიერ ნაწილს გადმოასხამენ და იყენებენ საჭიროებისამებრ. სპირტიანი ხსნარები მდგრადია და მიკრობობა შეს-

ადებად არ იხმარება, ისინი სამარაგო ხსნარებია. მათგან ამზადებენ სპირტწყლიან ხსნარებს, სპირტწყლიანი საღებავები მზადდება სპირტიანი ხსანრების 3-ჯერ განზავებით გამოხდილ წყალში, წყლიანი ხსნარები წარმოადგენ 1-2%-იან საღებავის ხსნარს, გახსნილ ცივ ან მდუღარე გამოხდილ წყალში.

### შეღებილი პრეპარატის დამზადება

შეღებილ პრეპარატებს ამზადებენ შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1) ნაცხის მომზადება;
- 2) გაშრობა;
- 3) ფიქსაცია;
- 4) შეღებვა;

ნაცხს ამზადებენ აბსოლუტურად სუფთა ცხიმგაცლილ სასაგნე მინაზე და ცდილობენ მასალა (მიკრობთა სუსპენზია, ჩირქი, ბულიონის კულტურა და ა.შ) თანაბრად გაანაწილონ. მასალას იღებენ სტერილური გაცივებული მარყუჟით და ანაწილებენ სასაგნე მინის შუაში, თუ მასალა სქელია (აგარის კულტურა), მაშინ იგი ემულგირდება სასაგნე მინაზე წინასწარ მოთავსებული წყლის ან ფიზიოლოგიური ხსნარის წვეტში. ნაცხს აშრობენ ოთახის ტემპერატურაზე და შემდეგ აფიქსირებენ. ფიქსაციის მიზანია მიკრობების მიმაგრება მინაზე, რათა შემდგომი დამუშავებისას არ ჩამოირგეცხონ. ამ დროს მიკრობები ჩვეულებრივ იღუპებიან, მაგრამ ამ მდგომარეობაში უკეთესად იღუპებიან. მიკრობიოლოგიურ პრაქტიკაში ხშირად იყენებენ ფიქსაციას ცეცხლის ალზე, რისთვისაც სასაგნე მინას ნაცხით ზემოთ 3-ჯერ სწრაფად გაატარებენ სპირტქურის ალზე, გაუმშრალი ნაცხების ფიქსაცია არ შეიძლება. გამოიყენება აგრეთვე ფიქსაცია ეთილის სპირტით 2-3 წო-ის განმავლობაში. ნიკოფოროვის ნარევით (ეთილის სპირტისა და ეთერის ტოლრაოდენობათა ნარევი) 10-15 წო-ით და სხვა. ფიქსაციის შემდეგ ხდება შეღებვა, საღებავს ასხამენ ნაცხზე, შეღებვის ვადის გასვლის შემდეგ საღებავს გადაასხამენ, ხოლო პრეპარატს რეცხავენ წყლით და აშრობენ ჰაერზე ან ფილტრის ქაღალდით, შეღებილი პრეპარატის მიკროკონსერვაცია ხდება იმერსიული ობიექტივით.

### მიკრობთა შეღებვის წესები

არჩევენ მიკრობთა შეღებვის მარტივ და რთულ წესებს, შეღებვისას გამოიყენება ერთი რომელიმე საღებავი მაგ: განზავებული ფუქსინი (შეღებვა ხდება 2-3 წუთის განმავლობაში) მეთილენის ლილის წყალხსნარს, ტუტოვან ლილას (შეღებვა ხდება 3-5 წო-ის განმავლობაში).

რთული ანუ დიფერენციალური შეღებვისას იხმარება ორი ან სამი საღებავი. ეს მეორე ემფარება მიკრობთა სხვადასხვა დამოკიდებულებას ამა თუ იმ საღებავებსა და რეაქტივებისადმი, ამიტომ რთული ხერხი გამოიყენება მიკრობთა უჯრედის დეტალური შესწავლისათვის და მიკრობთა ცალკეული სახეობების ერთმანეთისგან განსასხვავებლად. რთული შეღებვის უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს მიკრობების შეღებვა გრამის მიხედვით. გრამის წესი მიკრობთა შეღებვის ძირითადი მეთოდია, ამასთან ყველა ბაქტერია იყოფა 2 ჯგუფად, მიკრობები რომლებიც იღებებიან გრამის წესით აღინიშნება როგორც გრამდადებითი მიკრობები, ხოლო რომლებიც არ იღებებიან გრამუარყოფითი. მიკრობების დახასიათებისას აუცილებლად აღსანიშნავია გრამის მიხედვით საღებავისადმი დამოკიდებულება.

გრამის მიხედვით შეღებვის არსი მდგომარეობს იმაში რომ გრამდადებითი მიკრობები ქმნიან მყარ ნაეროს იისფერ საღებავთან (გენციან ვიოლეტი, მეტალ ვიოლეტი, კრისტალ ვიოლეტი) და იოდთან. სპირტის მოქმედებისას ეს ნაერო ბაქტერიის ან სოკოს სხველიდან არ გამოაქვს. სხვა გრამუარყოფითი მიკრობები ქმნიან არამტკიცე ნაეროებს, რომლებიც სპირტის მოქმედებას გამოაქვს, რის შედეგადაც მიკრობები

უფერულდებიან. გრამის წესით შედებვისას გრამდადებითი მიკრობები იღებებიან მუქ იისფრად, გრამუარყოფითი მიკრობები კი წითლად. გრამის წესით შესაღებად საჭიროა შემდეგ საღებავთა სსნარები და რეაქტივები: კარბოლის გენციან ვიოლეტი, ლუგოლის სსნარი სპირტი, განზავებული ფუქსინი. გრამდადებითად იღებებიან სტაფილკოკები, პნევმიკოკები, ზოგიერთი ჩხირი: დიფტერიის, ყველა სპოროვანი ბაქტერია, საფუარები, სხივისებური სოკოები. გრამუარყოფითი მიკრობებია: გონოკოკები, მენინგოკოკები, ჩხირის უმრავლესობა, ვიბრიონები, სპიროქეტები, სპირილები, რიკეტსიები.

## მიკროორგანიზმთა მორფოლოგია

### მიკროორგანიზმთა სისტემატიკა

ცოცხალი ორგანიზმების სისტემაში მიკრობებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ, რადგან აქვთ საერთო ნიშან-თვისებები, როგორც მცენარეული ისე ცხოველური წარმოშობის უჯრედებთან. დედამიწის ბიოსფეროში არსებული მიკროორგანიზმები განეკუთვნებიან როგორც ეუკარიოტებს (უმარტივესები, სოკოები) ისე პროკარიოტებს (ბაქტერიები, სკოტობაქტერიები) განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ვირუსებს (Virus) როგორთა შორის არიან მიკროორგანიზმების პარაზიტები ფაგები, მცენარეების, ცხოველების და ადამიანების დაავადების გამომწვევები. ამჟამად მოქმედებს ბაქტერიების ნომენკლატურის კოდექსი, რომლის მიხედვითაც პროკარიოტების კლასიფიკაციისათვის გამოიყენება შემდეგი ტაქსონომიური კატეგორიები: განყოფილება, კლასი, რიგი, ოჯახი, გვარი, სახეობა. ბაქტერიათა ბიოლოგიური სახეობის აღნიშვნისათვის მიღებულია ბინომინალური ნომენკლატურა, პირველი სიტყვა აღნიშნავს მიკროორგანიზმის გვარს და იწყება ასომთავრულით, (E.coli) მეორე სიტყვა აღნიშნავს მიკროორგანიზმის სახეობას, ძირითადი ტაქსონომიური ერთეულია სახეობა, ერთიანი გენოტიპისა და მკაფიოდ გამოხატული ფენოტიპური მსგავსების მქონე ინდივიდთა ერთობლიობა. სახეობა შეიძლება დაიყოს ქვესახეობებად ან ვარიანტებად (ბიოგარი, სეროვარი ანტიგენური სტრუქტურით, ფაგოვარი-ფაგებისადმი მგრძნობელობით).

მიკრობიოლოგიაში გამოიყენება ტერმინი “შტამი” და “კლონი”. შტამი უფრო ვიწრო მცნებაა ვიდრე სახეობა და ეწოდება ერთი და იგივე სახეობის, მაგრამ სხვადასხვა დროს გამოყოფილ მიკრობებს. ტერმინი “კლონი” აღინიშნება ერთი უჯრედიდან მიღებული მიკროორგანიზმთა კულტურა. ერთი სახეობის მიკროორგანიზმთა პოპულაციას სუფთა კულტურა ეწოდება. ანტიბიოტიკების ზემოქმედების შედეგად ან გაურკვეველი მიზეზების გამო, ზოგიერთი ბაქტერია კარგავს უჯრედის კედლის ძირითადი ნივთიერების – პეპტიდოგლიკანის სინთეზის უნარს. ასეთი უჯრედის კედლის დეფექტის მქონე ბაქტერიებს L – ფორმები ეწოდებათ.

## ბაქტერიათა მორფოლოგია


ბაქტერიები (bacterium- ჩხირები) მიკროორგანიზმთა გავრცელებულ და მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ (კლასი Bacteria), რომლებიც მორფოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან უჯრედების ზომით, ურთიერთგანლაგებით და ფორმებით. ბაქტერიების უმრავლესობა საპროფიტია (ისინი მონაწილეობენ ბუნებაში ნივთიერებათა წრებრუნვაში) მაგრამ არსებობს ბევრი პათოგენური ბაქტერია, რომლებიც იწვევენ ადამიანის, ცხოველების და მცენარეების დაავადებებს.

ბაქტერიებს გააჩნიათ სფერული, ჩხირისებური და ხვეული ფორმა.

სფერული ფორმის ბაქტერიებს კოკებს შეიძლება ჰქონდეთ სფეროსებრი, ან ოდნავ შეზნექილი ფორმა. მათი დიამეტრია დაახლოებით 0,5-1 მკმ. ურთიერთგანლაგების

მიხედვით, რაც განპირობებულია გაყოფის სიბრტყესა და გაყოფის შემდეგ უჯრე-დების ერთმანეთოან დაკავშირებასთან. კოკები იყოფა: მონოკოკებად (მიკროკოკები) როდესაც უჯრედის დაყოფის დაბოლოებისას თითოეული ბირთვი განლაგდება გან-ცალკევებულად.

**სარცინები.** წარმოადგენენ 8-16 უჯრედისაგან შემდგარ პაკეტებს და მიღებული არიან უჯრედების ურთიერთპერპენდიკულარულ სიბრტყეზე გაყოფის შედეგად. სარცინე-ბის მრავალი სახეობა გვხვდება ჰაერში, ადამიანის დაავადებებს არ იწვევენ.



დიპლოკოკები ანუ წყვილი კოკები წარმოიქმნებიან როდესაც უჯრედები იყოფი-ან ერთ სიბრტყეზე და გაყოფის შემდეგ ერთმანეთს არ შორდებიან. პათოგენური დიპლოკოკებია: პნევმოკოკები, გონოკოკები, მენინგიკოკები.

**სტრეპტოკოკები** – მრგვალი ან ოდნავ ოვალური უჯრედების ქეწკებს წარმოად-გენენ. ისინი წარმოიქმნებიან უჯრედების ერთ სიბრტყეზე გაყოფის შედეგად. სტრეპ-ტოკოკები ძირითადად ადამიანის და ცხოველების ჩირქოვან ანოებით პროცესებს იწვევენ.

**სტაფილოკოკების** (Staphylos-მტევანი) უჯრედები უწესრიგოდ, სხვადასხვა სიბრტყეზე იყოფიან, ლაგდებიან ყურძნის მტევნისებურად და ძირითადად ჩირქოვან ანოებით

პროცესებს იწვევენ.

**ტეტრაკოვბი** შედგებიან 4 უჯრედისაგან, ისინი წარმოიქმნებიან უჯრედების ორ ურთიერთპერპენდიკულარულ სიბრტყეზე გაყოფის შედეგად. ადამიანის ან ცხოველის დაავადებებს არ იწვევენ.

**ჩხირისებური** ბაქტერიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიგრძის, დიამეტრის, უჯრედის ბოლოების ფორმით, სპორების წარმოშობისა და ურთიერთშორის განწყობის მიხედვით და ა. შ. ჩხირისებრ ბაქტერიათა მიერ სპორების წარმოშობის უნარის მიხედვით, მიღებულია მათი დაყოფა ბაქტერიებად და ბაცილებად. ბაქტერიები – ჩხირები არ წარმოშობენ სპორებს, ბაცილები ჩხირები, რომლებიც წარმოქმნიან სპორებს.

ზოგჯერ გვხვდებიან მცირე ზომის ჩხირები, რომლებიც თითქმის არ განირჩევიან სფეროსებრი კოკებისაგან, ასეთ მიკრობებს უწოდებენ კოკობაქტერიებს.

**ხევულ ფორმებს** მიეკუთვნებიან ვიბრიონები და სპირილები. ვიბრიონები ოდნავ მოხრილი მძიმისებრი ფორმის ბაქტერიებია, სპირალები – მოგრძო ფორმებია, რომლებსაც რამდენიმე ხვეული (ხუთამდე) აქვთ. სპირალურ ფორმებს მიაკუთვნებენ აგრეთვე სპიროქებებს. მათ უკავიათ გარდამავალი მდგომარეობა ბაქტერიებსა და პრიტოზოას შორის და მიეკუთვნებიან დამოუკიდებელ ოჯახს.

გრძელი ჩხირები და ძაფის ფორმის ბაქტერიები, რომლებსაც გვერდითი გამონაზარდები აქვთ, გაერთიანებული არიან მიკობაქტერიათა ჯგუფში (მათ წარმომადგენლებად შეიძლება ჩავთვალოთ ტუბერკულოზის ჩხირის სახესხვაობანი და პარატუბერკულოზის აღმძვრელი ამ ჯგუფთან ახლო მდგომი კორინობაქტერიები. (კორინობაქტერიებს მიაკუთვნებენ ცხეველთა ფსევდო ტუბერკულოზის და დიფტერიის ჩხირს). ბაქტერიებს მიაკუთვნებენ აგრეთვე მრავალუჯრედიან ორგანიზმებს ე.წ. ძაფისებურთ, რომელთაც ძაფისებური ფორმა აქვთ და ლორწოვან ბაქტერიათა ჯგუფს, მიქსობაქტერიები, რომელნიც ნამდვილი ბაქტერიებისგან განსხვავდებიან აღნაგობის სირთულით და განვითარების ციკლით.

## ბაქტერიული უჯრედის სტრუქტურა


ბაქტერიები ცოცხალი ერთუჯრედიანი ორგანიზმებია, რომლებშიც ხორციელდება ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ურთულესი პროცესები. ბაქტერიული უჯრედის ძირითადი სტუქტურებია უჯრედის კედელი, ციტოპლაზმის მემბრანა და ციტოპლაზმა, რომლებშიც მოთავსებულია ნუკლეოდი და სხვადასხვა ჩანართი. ზოგიერთ ბაქტერიას აქვს სპეციფიკური სტუქტურები, რომლებიც განაპირობებენ მათ მორფოლოგიურ და ფუნქციურ თავისებურებებს. (კაფსულები, შოლტები, ხაოები, სპორები).

**უჯრედული კედელი** ბაქტერიული უჯრედის თხელი ხისტი, შედარებით მკვრივი ზედაპირული წარმონაქმნია. მის ძირითად სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს პეპტიდოგლიკანის რიგიდული შრე. ის შედგება პოლისაქარიდისა და პეპტიდებისაგან. მას მუკოპეპტიდს ანუ მურეინსაც უწოდებენ. ამ ნივთიერებებს შეიცავენ მხოლოდ ბაქტერიები, რიკეტსიები და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები, პეპტიდოგლიკანი წყალში არ იხსნება და განაპირობებს უჯრედის კედლის სიმკვრივეს და დრეკადობას. უჯრედის კედელში არის აგრეთვე ცილები, ლიპიდები და პოლისაქარიდები.

გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების უჯრედის კედლის სისქე, ქიმიური შემადგენლობა და აგებულება განსხვავებულია. გრამის წესით შედებვისას გრამდადებითი ბაქტერიები იღებებიან მუქ იისფრად და გრამურყოფითი იღებებიან წითლად.

უჯრედის კედლი აბრკოლებს უჯრედის შიგნით მავნე ნივთიერებების შედწევას, მონაწილეობს უჯრედის კვებასა და გაყოფაში, განაპირობებს ბაქტერიების მრავალუროვნებას.

ციტოპლაზმური მემბრანა ანუ ბაქტერიის პლაზმოლემა წარმოადგენს 7-13 მ სისქის, სამშრიან ლიპოპროტეიდულ მემბრანას. ციტოპლაზმურ მემბრანაში ლოკალიზებულია სხვადასხვა ფერმენტი.



ციტოპლაზმა წარმოადგენს მარცვლოვან კოლოიდურ სისტემას, რომელშიც მოთავსებულია ნუკლეოდი, სხვადასხვა ორგანული ნივთიერებები, რიბოსომები, გრანულები, ციტოპლაზმის უჯრედის წვენი. შეიცავს ცილებს, ფერმენტებს, სინთეზის პროცესებისათვის აუცილებელ ამინომჟავებს, რიბონუკლეინის მჟავებს, ხოლო ზოგიერთ ბაქტერიაში პიგმენტებს.

ნუკლეოთდი (ქრომოსომა) წარმოადგენს დნმ-ის ორმაგ ძაფს, ეუკერიოტებისაგან განსხვავებით, პროკარიოტების ნუკლეოდს არ გააჩნია ბირთვის გარსი, ბირთვაკი, ცილაპისტონები და პროტამინები და არ იყოფა მიტოზის დროს. ნუკლეოდის გარდა ციტოპლაზმაში შეიძლება იყოს დნმ-ის განსაკუთრებული ტიპის მოლკულები. დამატებითი გენეტიკური დეტერმინანტები, რომლებსაც პლაზმიდები ეწოდებათ. ისინი ბაქტერიულ უჯრედს ზოგიერთ დამატებით ოვისებას ანიჭებენ.

ბაქტერიათა სიდიდე სფეროსებრი ფორმის ბაქტერიათა დიამეტრი 1-2 მკმ-ია ცილინდრული ფორმის ბაქტერიების უჯრედების სიგრძე უდრის 1-4 მმ-ს სიგანე 0,5-1 მმ-ს, არიან შედარებით დიდი ზომის ბაქტერიებიც: მაგ. გოგირდის ბაქტერია – განივი დიამეტრი აღწევს 50 მმ-ს. ძალიან მცირე ზომის მიკროორგანიზმებს ულტრა მიკრობები ეწოდება.

ბაქტერიების ბევრ სახეობას შეუძლია დამოუკიდებლად მოძრაობა. ეს გამოწვეულია მათში წამწამების ან შოლტების არსებობით, რომლებიც უჯრედის ეპიტოპლაზმის წარმონაქნია. შოლტები შეიცავენ აზოტს, ფოსფორს, ნახშირწლებს, ლიპიდებს, ნუკლეინის მჟავებს და ამინომჟავებს.

შოლტების განწყობის და რიცხვის მიხედვით არჩევენ: მონოტრიქებს – ბაქტერიები რომლებიც ერთ ბოლოზე შეიცავენ ერთ შოლტს, ლოფოტრიქებს – რამდენიმე

შოლტით, რომლებიც განწყობილნი არიან კონად უჯრედის ბოლოზე, პერიტრიქები – ბაქტერიები შოლტების დიდი რიცხვით, რომლებიც განლაგებულნი არიან ბაქტერიული უჯრედის მთელ ზედაპირზე, ამფიტრიქებს – თითო ან რამდენიმე შოლტი განლაგებული აქვთ სხეულის ორივე პოლუსზე.

კაფსულები, ყველა სახის ბაქტერიათა გარსის გარეთა ფენა დაფარულია ლორწოვანი კონსისტენციის ნივთიერებით. ზოგიერთ მიკრობში გარსის გარეთა ფენა შთანთქავს რა წყალს ჯირჯვდება და წარმოქმნის ლაბისებრს მასას, რომელსაც ეწოდება კაფსულა. ხშირად პათოგენური ბაქტერიების ვირულებების განმსაზღვრელ სტრუქტურას წარმოადგეს. მიკროორგანიზმებს, რომლებსაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული კაფსულა არ გააჩნიათ, შეიძლება პქნოდეთ ანალოგიური სტრუქტურა ძალიან თხელი ზედაპირული შრის სახით, რომელსაც მიკროკაფსულა ეწოდება. ზოგჯერ კაფსულა გარს ერტყმის ერთიდან სამ, ოთხ მიკრობულ უჯრედს, ზოგჯერ კი ლორწოვანი მასა წარმოიშვება დიდი რაოდენობის მიკრობულ უჯრედთა გარშემო. მიკრობთა ასეთ თავმოყრას, საერთო კაფსულაში ეწოდება ზოოგლება.

სპლები. ბაქტერიათა ზოგიერთ სახეობას არსებობის განსაკუთრებულ პირობებში უჯრედის შიგნით უვითარდება განსაკუთრებული სხეულაკები, რომლებსაც სპორები ეწოდება. ასეთ პირობებს მიეცუთვნება საკვები ნივთიერების უკმარისობა, ძველ კულტურებში ნივთიერებათა ცვლის პროცესების დაგროვება. ერთი უჯრედიდან მხოლოდ ერთი სპორა წარმოიქმნება. სპორების წარმოქმნისას უჯრედი კარგავს თავისუფალი წყლის მნიშვნელოვან რაოდენობას, მისი ციტოპლაზმა მკვრივდება და იფარება მკვრივი გარსით, სპორები ძლიერ გამბლენი არიან ფიზიკურ-ქიმიური ზეგავლენის მიმართ, გამომშრალ მდგომარეობაში სპორებს შეუძლიათ გაძლება ათეული წლების მანძილზე. სპორის წარმოქმნა გამრავლების პროცესთან არ არის დაკავშირებული. სპორის წარმომქნელ აერობ მიკრობებს ბაცილები ეწოდება. ანაერობებს კლოსტრიდიები.

## მიკროორგანიზმთა ვიზიოლოგია

ყველა ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად ბაქტერია, იკვებება, იზრდება, მრავლდება და გარემოსთან ინტენსიურ ურთიერთობაშია. ბაქტერიის ყველა ეს ფუნქცია განპირობებულია უწყვეტად მიმდინარე ქიმიური პროცესებით, რომლებიც მიმდინარეობს ბაქტერიული უჯრედის შიგნით და მის გარშემო. ამიტომ ადგილი აქვს ბაქტერიასა და გარემოს შორის მუდმივ ნივთიერებათა ცვლას, რაც ბაქტერიის ცხოველმოქმედების საფუძველს წარმოადგენს.

მიკრობული უჯრედი შედგება უმოავრესად იმ ქიმიური ელემენტებისაგან, რომლებისგანაც მცენარეული და მაღალ საფეხურზე მდგომი ცხოველებისა შეიცავს 75-85% წყალს და უჯრედის მოელი წონის 15-25% მშრალ ნივთიერებას.

წყალი ბაქტერიული უჯრედის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მასში მიმდინარეობს სხვადასხვა ქიმიური პროცესი, სადაც ის მონაწილეობს როგორც კომპონენტი, წყლის ნაწილი თავისუფალ მდგომარეობაშია, ნაწილი კი შეკავშირებულ ში. მიკრობული უჯრედების ხევეულში აღმოჩენილია შემდეგი ორგანოგენები: ნახშირბადი, აზოტი, ჟანგბადი და წყალბადი. ისინი მშრალი ნივთიერების 90-97% შეადგენს. მიკრობთა მშრალი ნივთიერების მთავარი მასა მოდის ცილოვან ნივთიერებათა წილზე, რომელთა შემცველობა 80%-მდე აღწევს. ნახშირწყლებიდან ყველაზე მეტი რაოდენობითაა პოლისაქარიდები. ციტოპლაზმაში გვხვდებიან შემდეგი ნახშირწყლები: გლიკოგენი, დექსტრინი, გლუკოზა, გლუკორინმჟავა. პოლისაქარიდები დიდი რაოდე-

ნობითაა კაფსულიან მიკრობებში. ლიპიდები უმთავრესად მოიპოვებიან უჯრედის გარსში და ციტოპლაზმის ზედაპირულ ფენაში. ისინი გავლენას ახდენენ უჯრედული გარსის შეღწევადობაზე, განაპირობებენ დავადების აღმძღველ მიკრობთა ტოქსიკურ და ანტიგენურ თვისებებს, იცავენ მათ გარემო არის არახელსაყრელი პირობებისაგან და შეუძლიათ დაგროვება მარაგის სახით.

ბაქტერიებს აქვთ რამდენიმე ძირითადი ჯგუფის ფერმენტი: პიდროლაზები (შლიან ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს წყლის მოლეკულის მიერთების გზით) ოქსიდორედუქტაზები (აკატალიზებენ უანგვა-ადდგენით პროცესებს) ტრანსფერასები (გადააქვთ ცალკეული ატომები ერთი მოლეკულიდან მეორეზე) ლიაზები არაპიდროლიზური გზით ჩამოაშორებენ გარკვეულ ქიმიურ ჯგუფებს) იზომერაზები (მონაწილეობენ ნახშირწყლოვან ცვლაში) ლიგაზები (მონაწილეობენ ბიოსინთეზის რეაქციებში).

**მიკროორგანიზმთა კვება.** მიკროორგანიზმები შოანქავენ საკვებ ნივთიერებებს და ცხოველმყოფელურ პროდუქტებს გამოყოფენ სხეულის მოელი ზედაპირით. ბაქტერიებს საკეციალური ორგანოები საკვების მისაღებად არა აქვთ. საკვების მიღება ხდება დიფუზიის და ადსორბციის გზით. ბაქტერიების კვება ხორციელდება ორმხრივი ოსმოსური პროცესებით, რაც მიმდინარეობს მიკრობის უჯრედის ნახევრად გამტარ გარსში. ამის შედეგად ხდება განსაზღვრული საკვები ნივთიერებების განუწყვეტელი შეღწევა უჯრედში და ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების გამოყოფა უჯრედიდან. რადგან გარსი გაუმტარია ცილების და ზოგი სხვა როჟლი შენაეროებისათვის, ბაქტერიების მიერ ამ ნივთიერებათა შეთვისება ხდება გარემოში გამოყოფილი ფერმენტების საშუალებით მათი წინასწარი დაშლის შემდეგ. ბაქტერიათა ნორმალური კვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მარილების კონცენტრაციის სწორ შეფარდებას უჯრედის შიგნით და გარემოში. მარილების ოპტიმალურ კონცენტრაციას გარემოში წარმოადგენს ნატრიუმ ქლორის 0,5% სნარი. თუ ბაქტერიულ უჯრედს მოვათვებით ნატრიუმქლორის ჰიპერტონულ მარილებსნარში (2-10%) მაშინ უჯრედიდან წყალი გამოვა და ციტოპლაზმა შეიჭმუჭქნება. ამ მოვლენას პლაზმოლიზი ეწოდება. პლაზმოლიზებული ბაქტერიული უჯრედები იღუპებიან ან რამდენიმე სანს ცოცხლობენ, მაგრამ ვერ მრავლდებიან. ამაზეა დამყარებული პროდუქტების კონსერვირება დამარილებით და დაშაქრიანებით. სხვადასხვა სახის ბაქტერიებში პლაზმოლიზი სხვადასხვანაირად ვლინდება. მის მიმართ უფრო გამდლეა თივის ჩეირი, სტაფილოკოკები და სარცინები. ადვილად განიცდის პლაზმოლიზს ნაწლავის ჩეირი, ქოლერის ვიბრიონი, ციმბირული წყლულის ჩეირი, ბუნებაში არსებობენ ისეთი მიკროორგანიზმები, რომელნიც ნორმალურად ვითარდებიან მხოლოდ მაღალი ოსმოსური წნევის არეში. მათ უწოდებენ ოსმოფილებს. ოსმოფილური მიკროორგანიზმები გამდლენი არიან მაღალი კონცენტრაციის მარილის სნარის მიმართ, მათ უწოდებენ გალოფილებს (მარილის მოყვარულებს) ბაქტერიული უჯრედები ჰიპოტონურ სნარში ან გამოხდილ წყალში მოთავსებისას გარედან შეღწეული წყლის ზემოქმედების შედეგად ძლიერ ჯირჯვდებიან. ამ მოვლენას პლაზმოპტიზი ეწოდება. ბაქტერიების კვება ხდება სხვადასხვა წყაროდან, მათ ესაჭიროებათ ელემენტები – ორგანოგენები: უანგბადი, წყალბადი, ნახშირბადი, აზოტი. ბაქტერიები ნახშირბადისა და აზოტის განსაზღვრული წყაროებით სარგებლობის უნარისა და კვების ნახშირბადოვანი და აზოტოვანი ტიპის მიხედვით იყოფა 2 დიდ ჯგუფად: აუტოტოფები (პროტოტოფები) და ჰემიოტოტოფები.

**აუტოტოფები** – მიკროორგანიზმებია, რომლებიც ორგანულ ნახშირბადს არ საჭიროებენ. ისინი ნახშირბადს ითვისებენ ჰაერის ნახშიროვანგისაგან. არა მზის სხივების დახმარებით, არამედ ქიმიოსინთეზის გზით.

ჰეტეროტროფები – მიკროორგანიზმებია, რომელთაც უნარი აქვთ შეითვისონ ნახ-შირბადი მხელოდ მზა ორგანული ნაეროებიდან. ჰეტეროტროფული ჯგუფი იყოფა მეტატროფებად ანუ საპროფიტებად – იკვებებიან ცხოველისა და მცენარის მკვდარი ქსოვილით და პარატროფებად (პარაზიტებად) კვებისათვის საჭიროებენ ცოცხალ ცილას და მრავლდებიან ცოცხალ არსებათა სხეულში.

## მიკრობების ზრდა და გამრავლება ბუნებაში და საკვებ ნიადაგზე.

ბაქტერიული უჯრედის ზრდა გულისხმობს მისი ციტოპლაზმის მასის გადიდებას და ყველა ქიმიური სტრუქტურის და კომპონენტის კვლავ წარმოქმას, რომელიც მიმდინარეობს კვების პროცესში უჯრედული მასალის სინოეზის შედეგად. ინდივიდუალური ზრდის და მომწიფების მიჯნაზე მიღწევის შემდეგ უჯრედი იწყებს გამრავლებას. ამასთან მიმდინარეობს მისი საერთო ბიომასის გადიდება უჯრედის ზრდის და გამრავლების ხარჯზე. ბაქტერიების გამრავლების უფრო გავრცელებულ წესად ითვლება უჯრედის მარტივი დაყოფა შუაზე, მომწიფების შემდეგ. უჯრედის შუა ნაწილის კედლებზე ამ დროს წარმოიქმნება გამონაზარდები, რომლებიც დიდდებიან შიგნით და წარმოქმნიან ტიხარს, რომელიც კარგადაა შესამჩნევი ელექტრონულ მიკროსკოპში. იხლიჩება რა თრად, ტიხარი უჯრედს ყოფს შუაზე. უჯრედის კედლის სინოეზი იწყება ტიხრიდან, სადაც განლაგებულია მეზოსომები. აუტოლიზური ფერმენტების მოქმედებით თრო უჯრედი ერთმანეთს შორდება ჩირისებრ ბაქტერიებში, როგორც წესი ტიხრები ვითარდება სიგრძივი დერძის პერპენდიკულარულად. ბაქტერიებში ისევე როგორც საფუარებში შესაძლებელია დაკვირტვით გამრავლება დედისეული უჯრედიდან შვილეულის წარმოშობით. მიქსობა აქტერიებში გამრავლება მიმდინარეობს უტიხროდ უჯრედის გადაზონარებით. როდესაც დედისეული უჯრედი შუაზე იყოფა, შვილეული უჯრედი თანატოლია (იზომორფული დაყოფა) უჯრედის გაყოფას წინ უსწრებს გენომის გაორმაგება. დნმ-ის რეპლიკაცია იწყება იმის შემდეგ, რაც უჯრედი მიაღწევს გარკვეულ ფაზას. თანდაოან ხდება დნმ-ის დესპირალიზაცია და თითოეულ ძეწკვზე აიგება ძველი ძეწკვის კომპლექტური ახალი ძეწკვი. ბირთვის ნივთიერებაც თანაბრად იყოფა, ზოგჯერ ბაქტერიული უჯრედი იყოფა არა-თანაბარ ნაწილებად, ასეთ შემთხვევაში წარმოშობილ შვილეულ უჯრედებს აქვთ არათანაბარი სიდიდე (ჰეტერომორფული დაყოფა). მიკრობებს აქვთ ძლიერ სწრაფად გამრავლების უნარი. უმეტეს ბაქტერიათა უჯრედი იყოფა დაახლოებით ყოველ 20-30 წუთში. ბაქტერიების გამრავლების სისწრაფე დამოკიდებულია გარემო პირობებზე.

ბაქტერიების სუნთქვის პროცესის არსი მდგომარეობს იმ ბიოქიმიური რეაქციების ერთობლიობაში, რომელთა მიმდინარეობის დროს ხდება ატფ-ის დაგროვება, რომელიც აუცილებელია მეტაბოლიზმის იმ პროცესებისათვის, რომელიც მოითხოვს ენერგიის ხარჯვას. სუნთქვის ტიპის მიხედვით ბაქტერიები იყოფა 2 დიდ ჯგუფად: აერობებად და ანაერობებად. მიკრობოა ანაერობული ჯგუფი, თავის მხრივ იყოფა, ობლიგატურ და ფაქულტატურ ანაერობებად. ობლიგატური ანაერობები იზრდებიან მხოლოდ უეანგბადო გარემოში. მათთვის მოლექულური უანგბადი წარმოადგენს შხამს, ფაქულტატური ანაერობები ვითარდებიან როგორც უჟაგბადო აგრეოვე მოლექულურ უანგბადიან არეში.

მიკრობულ უჯრედებში ყველა როული პროცესი მიმდინარეობს ფერმენტების (ენზიმების) მონაწილეობით, რომელიც მოქმედებით როული ორგანული კატალიზატორებია. არჩევენ ეგზოფერმენტებს (ჰიდროლიზური ფერმენტები) ციტოპლაზმის სტრუქტურასთან არ არიან დაკავშირებული, ადვილად გამოიყოფიან სუბსტრატში

მიკრობული უჯრედის სიცოცხლეში. ენდოფერმენტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული უჯრედის ციტოპლაზმასთან და მოქმედებენ მხელოდ უჯრედის შიგნით, და ახორციელებენ საკვებ ნივთიერებათა შემდგომ დაშლას და გარდაქმნას უჯრედის შემადგენელ ნაწილებად. ენდოფერმენტები უჯრედში მიმდინარე მეტაბოლიზმის პროცესს აკატალიზებენ.

მიკროორგანიზმთა ზოგიერთ სახეობას უნარი აქვთ წარმოშვას სადებავი ნივთიერება-პიგმენტები.

შუქვად ანუ ფოტოგენურ ბაქტერიებს უნარი აქვთ გამოასხივონ მაფოსფორისცირებელი სინათლე.

არომატის წარმოშობა მიკრობებს უნარი აქვთ გამოყონ არომატული ნივთიერებები. მათი მოქმედება აძლევს მაღალხარისხოვან ლინიებს და საკვებ პროდუქტებს სასიამოვნო სუნს.

ადამიანის ზოგი დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები ლაბორატორიულ პირობებში მოშენებისას გამოსცემს სხვადასხვა სუნს. მაგ. ლურჯ-მწვანე ჩირქის ჩხირებს აქვთ კარამელის, ხოლო ტუბერკულოზის მიკობაქტერიებს თაფლის სუნი.

## სოკოები

სოკოები მცენარეული ორგანიზმებია, რომლებიც უმაღლესი მცენარეებისგან განსხვავებით ქლოროფილს არ შეიცავენ. სოკოების დიდი უმრავლესობა მრავალუჯრედიანი ორგანიზმებია. მათ უჯრედებს წაგრძელებული ძაფისებრი ფორმა აქვთ, მათ ჰიფები ეწოდება. ზოგჯერ ჰიფები მრავალი წაგრძელებული ერთმანეთთან დაკავშირებული უჯრედებისაგან შედგება. ზრდის დროს ჰიფები იძლევიან განშტოებას და წარმოქმნიან წნულს – სოკოს სხეულს ანუ მიცელიუმს.


სოკოს მიცელიუმი ნაწილობრივ ჩაზრდილია საკვებ ნიადაგში. ზოგი ჰიფი იზრდება მაღლა, ჰაეროფანი მიცელიუმის სახით და ბოლოვდება ნაყოფის მომცემი სპორებიანი წარმონაქმნებით, რომელთაც ნაყოფისმომცემი ეწოდებათ, რომლებიც შეუიარაღდებელი თვალით ბუსუსის სახით ჩანს. სოკოების უჯრედები შედგება მყარი გარსის, ციტოპლაზმის და კარგად შესამჩნევი ერთი ან რამდენიმე ბირთვისაგან. სოკოების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მათი გამრავლების ნაირსახეობა. ზოგჯერ სოკოები მრავლდება უბრალო დაყოფით, სპორების წარმოქმნით, დაკვირტვით და ხშირად სქესობრივი გზითაც. უფრო ხშირია უსქესო გამრავლება. წარმოიქმნება ეგზოგენური და ენდოგენური სპორები. ეგზოსპორები ანუ კონიდიები, რომლებიც ჩნდება ნაყოფისმომცემი ჰიფების ბოლოებზე. ენდოსპორებიც ასევე ნაყოფისმომცემი ჰიფების ბოლოებზე ლაგდებიან, თოვნდ მოთავსებული არიან საერთო პარკში – სპორანგიებში. სოკოების სპორები ბაქტერიის სპორებისაგან განსხვავებით გამრავლების ფაქტორებს წარმოადგენენ, ისინი ნაკლებ მდგრადები არიან და თითოეული მათ დიდი რაოდენობით ქმნის. სოკოების სამ ძირითად ჯგუფს არჩევენ: 1) სრულყოფილი სოკოები (*Fungi perfecti*) 2) არასრულყოფილი სოკოები (*fungi imperfecti*); 3) სხივისებრი სოკოები (*Actinomycetes*). სრულყოფილ სოკოებს ეკუთვნის ძაფისებრი (ობის) სოკოები და საფუარები. მათვის დამახსიათებელია გამრავლების სქესობრივი გზა. მათ მიეკუთვნება *Mucor*, *Aspergillus*, *Penicilium*.

მუგორის (თავთავიან) ობს აქვს ბურთის ფორმა, რომელშიც მოთავსებულია მრავალი ენდოსპორა. ამ სოკოს მიცელიუმი წარმოადგენს ერთ განშტოებულ უჯრედს.

სოკო Aspergillus-ის კონიდიების მატარებელი ბოლოები ქინძისთავით გამსხვილებულია და მათგან რადიალურად მიემართება ეგზოსპორების ძეწკვები. მისი მიცელიუმი მრავალუჯრედიანია.

სოკო Penicilium-ს აქს ფუნჯის მსგავსი ნაყოფის მომცემი სხეული. მიცელიუმი ნაყოფის მტარებელი ჰიფების ჩათვლით მრავალუჯრედიანია. ობის სოკოები გამოყოფენ აქტიურ მიკრობსაწინაარმდეგო ნივთიერებებს ანტიბიოტიკებს. მაგ. სოკო Penicilium-ის ზოგიერთი ნაირსახეობიდან ღებულობენ პენიცილინს.

საფუარები (Blastomycetes) მათი უჯრედები მრგვალია, იგი მრავლდება უმეტესად დაკვირტვით, პირდაპირი დაყოფით და მხეოლოდ ზოგჯერ სპორების წარმოქმნით და სქესობრივი გზით. საფუარები – სპირტული დუღილის აქტიური გამომწვევები არიან. შეიცავენ დიდი რაოდენობით ცილებს და B ჯგუფის ვიტამინებს. გამოიყენება დამატებით საკვებად დასუსტებულ პირთაოვის ზოგიერთი ავადმყოფობის დროს, რაც დაკავშირებულია ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან და პიპოვიტამინოზთან. საფუარის სახესხვაობა იწვევს ადამიანის დაავადებას, რაც ცნობილია ბლასტომიკოზების სახელწოდებით.



სოკოები დაზიანებულ თბაში. 1 — შიკროსპორის დროს; 2 — ტრიქოფიტის დროს; 3 — ქეცის დროს.

არასრულყოფილი სოკოები – მოკლებულია ნაყოფის მომცემ სხეულაკებს. მათი გამრავლება ხდება უბრალო დაყოფით ან სპორების საშუალებით. ამ ჯგუფის სოკოებს შორის არსებობს დაავადების გამომწვევები, რომელიც იწვევს თმების, კანის ფრჩხილების დაზიანებას (ქეცის სოკოები, მხოტრავ სირსველს და სხვა) ამ ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე საფუარის მაგვარი სოკოები, რომლებიც იწვევენ კანდიდოზებს.

სხივისებრი სოკოები – წარმოადგენენ მიკროორგანიზმთა დამოუკიდებელ ჯგუფს, რომელსაც შუალედი ადგილი უკავია ბაქტერიებს და სოკოებს შორის. მათი მიცელიუმი შედგება წვრილი, გრძელი განტოტვილი ჰიფებისაგან. მრავლდებიან ჰიფების დაყოფით ან სპორებით. საკვებ ნიადაგზე წარმოქმნიან მკვრივ აკვს, ხოლო ორგა-

ნიზმში – გროვას მარცვლების სახით, რომელიც ცნობილია დრუზის სახელწოდებით. მისი ფორმა მოგვაგონებს ყოველმხრივ გაშლილ სხივებს.

აქტინომიცეტები მრავლადაა ნიადაგში და მარცვლოვან მცენარეებზე. ცნობილია პათოგენური აქტინომიცეტები. ადამიანის და მსხვილფეხა რქიანი საქონლის აქტინომიცოზის გამომწვევნი. სხივისებრი სოკოები წარმოადგენენ ძლიერმოქმედ ანტიბიოტიკებს – სტრეპტომიცინის, ტეტრაციკლინის, ქლორომიცეტინის და მრავალ სხვათა პროდუცენტებს.

## სპიროჩეტები - Spirochetaeae

სპიროქეტები წარმოადგენენ მიკროორგანიზმების განსაკუთრებულ ჯგუფს. სპიროქეტების სხეული შედგება ელასტიური ღერძითი ძაფისაგან, რომელზედაც ციტოპლაზმის ზონარი ხრახნისებურადაა დახვეული. ბირთვის ნივთიერება განაწილებულია მთელ ციტოპლაზმაში.

მიკროსკოპში სპიროქეტებს აქვთ გრძელი, წარმონაქმნის სახე ციტოპლაზმის წვრილი ხვეულებით. ელასტიური ძაფის მეშვეობით სპიროქეტებს მოხრის აქტიური უნარი გააჩნიათ. ისინი მეტად მოძრავნი არიან და შეუძლიათ შეასრულონ მოხრითი, ბრუნვითი და წინსვლით მოძრაობები. ზოგიერთი სპიროქეტების ბოლოებზე აღმოჩენილია შოლტების კონები. სპიროქეტები მრავლდებიან უბრალო განივი დაყოფით. სპიროქეტებს ეკუთვნის ათაშანების, შებრუნებითი ტიფის და სხვა ინფექციურ დაავადებათა გამომწვევნი. სპიროქეტები ცუდად ითვისებენ ანილინის სადებავს. მათ დებავენ რომანოვსკი-გიმზას ან მოვერცხვლის მეთოდით. უფრო მოსახერხებელია მიკროსკოპირება ცოცხალ მდგომარეობაში ფაზურ-კონტრასტული მიკროსკოპით ან ბნელ არეში.

## უმარტივესნი

უმარტივესნი ცხოველური წარმოშობის ერთუჯრედიანი ორგანიზმებია. მათი უჯრედები შედგება ციტოპლაზმისა და მკვეორად შემოსაზღვრული ბირთვისაგან. ციტოპლაზმა შედგება ეგზო და ენდო პლაზმისაგან, მასში ჩანს ვაკუოლები, რომლებიც ასრულებენ საჭმლის მონელების, გამოყოფის და სხვა ფუნქციებს. ზოგიერთ უმარტივესს გარსი არა აქვს და მის ნაცვლად მათ ციტოპლაზმის გარეთა ნაწილი აქვთ გამკგრივებული. გარს მოკლებული უჯრედების ციტოპლაზმა წარმოქმნის ცრუფებებს, რომელთა საშუალებით უჯრედი გადაადგილდება და ვერ ინარჩუნებს მუდმივ ფორმას (ამება), მაგრამ ბევრ უმარტივესს აქვს სპეციალური სამოძრაო ორგანები შოლტები ან წამწამები.

ტიპი პროტოზოა მოძრაობის საშუალებების მიხედვით იყოფა 4 კლასად: 1) კლასი - Sarcodina და Rhizopoda (ძირფეხიანები) გადაინაცვლებენ ცრუ ფეხების წარმოქმნით. 2) კლასი Ciliata (წამაწამებიანები) მოძრაობები წამწამების მეშვეობით. III კლასი Elagellata (შოლტიანები) გადაინაცვლებენ შოლტების მეშვეობით, IV კლასი Sporozoa (სპოროვანები) არ გააჩნიათ მოძრაობის ორგანოები. მთელ რიგ უმარტივესებს გარკვეულ პირობებში შეუძლიათ ცისტებად გადაიქცნენ. ცისტა გარშემორტყმულია მკვრივი გარსით და შეიცავს რამდენიმე ბირთვს. უმარტივესთა ცისტები, ისევე როგორც ბაქტერიათა სპორები, უჯრედთა არსებობის მდგრადი ფორმაა და არ წარმოადგენს გამრავლების საშუალებას. მაგ. დიზენტერიული და ნაწლავის ამების ცისტები წყალსაცავებსა და გარემოს სხვა ობიექტებში 3-4 თვეს ძლიერდება. ნაწლავში მოხვედრისას ცისტა ვეგეტატიურ უჯრედი იქცევა.

უმარტივესნი მრავლდებიან უბრალო დაყოფით, მრავლობითი დაყოფით და სქესობრივი გზით. ზოგ უმარტივესთა გამრავლება როგორიცაა მიმდინარეობს უსქესობრივი ციკლების შენაცვლებით (მალარიის პლაზმოდიუმი) უმარტივესებს ეკუთვნის მალარიის, ამებური დიზენტერიის, პენდის წყლულისა და სხვა დაავადებათა გამომწვევნი.

## რიკეტსიები

რიკეტსიებს შუალედი ადგილი უკავიათ ბაქტერიებსა და ვირუსებს შორის. ბაქტერიებთან მათ აახლოებს მორფოლოგიური თავისებურებანი და უჯრედის ზომა. რიკეტსიები სპორას და კაფულას არ წარმოქმნიან. რიკეტსიებს თავიანთი ზრდის და დაყოფის პროცესში შეუძლიათ მოგვცენ შემდეგი ძირითადი მორფოლოგიური ფორმები. ა) კოკების ფორმის მქონე ერთმარცვლოვანი წარმონაქმნები დიამეტრით 0,5 მიკრონამდე; ბ) ჩხირისებრი ორმარცვლოვანი (ჰოლუსებზე) წარმონაქმნები სიგრძით 1,5 მიკრონი. გ) ბაცილური ორმარცვლოვანი, იშვიათად სამ ან ოთხმარცვლოვანი წარმონაქმნები გრძელი, მოღუნული, წვრილი ჩხირების სახით, სიგრძით 3-4 მიკრონამდე დ) ძაფისებრი ან მოცილარული მრავალმარცვლოვანი რიკეტსიები, რომელთაც აქვთ გრძელი და მოღუნული ძაფების სახე 10-დან 40 მიკრონამდე, რომლებიც გვხვდება დასენიანებული ტილების კუწ-ნაწლავში.

რიკეტსიები არ იზრდებიან ხელოვნურ საკვებ ნიადაგზე და მხოლოდ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. რიკეტსიები იწვევენ დაავადებებს, რომელთაც რიკეტსიოზებს უწოდებენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნლოვანია პარტახტიანი ტიფი.

## მიკოპლაზმები

Mycoplasma

მიკოპლაზმა მიკროორგანიზმთა განსაკუთრებული ჯგუფია, ემსგავსება ბაქტერიებს და შუალედი ნაწილი უჭირავს ერთმხრივ ბაქტერიებს, მეორეს მხრივ რიკეტსიებსა და ვირუსებს შორის. მიკოპლაზმის ზომა მერყეობს 75-250 მლ-მკ ფარგლებში. ისინი სხვადასხვა ფორმით ხასიათდებიან მრგვალი ჩხირისებრი და ძაფისებრი, მიკოპლაზმებს გარსი არა აქვს. მას ცვლის ზედაპირული სამ შრიანი ციტოპლაზმური მემბრანა, რომლის შემადგენლობაში შედის ქოლესტერინი. მიკოპლაზმების მშრალი ნაშთი შეიცავს 7% დნმ-ს და 8% რნმ-ს. მიკოპლაზმები სპორებს არ წარმოქმნიან, უძრავნი არიან, გადიან ბაქტერიულ ფილტრში. მათი მოშენება შესაძლებელია აგარიზებულ ნიადაგზე, რომელიც შეიცავს 2% ცხენის შრატს და 2,5% საფუარის ექსტრაქტს. ამ ნიადაგზე მიკოპლაზმები იძლევიან პატარა კოლონიებს, რომელთა ზომა 0,05-0,1 მლ-მკ-ია. მიკოპლაზმები იზრდებიან აგრეთვე ადამიანის და მაიმუნის ქსოვილოვან კულტურებში. ისინი ციტოპათოგენურ თვისებებს არ იჩენენ. არსებობს მიკოპლაზმების არაპათოგენური და პათოგენური სახეობები. პათოგენურს მიეკუთვნება მაგ: ადამიანის ატიპიური პლევმონიის, შარდსასქესო სისტემის ზოგიერთი დაავადების, მსხვილფეხა რქიანი საქონლის პლევროპნევმონიის და სხვათა აღმძვრელები.

## ქლამიდიები

გრამუარყოფითი სფერული ან ჩხირისებური ფორმის მცირე ზომის დაახლოებით 0,5 მკმ მიკროორგანიზმებია. შეიცავენ ორივე სახის ნუკლეინის მჟავას (დნმ-ს რნმ-ს) ნუკლეოპროტეიდებს, ნახშირწყლებს ობლიგატური უჯრედშიგა პარაზიტებია. მრავლდებიან მხოლოდ ხერხემლიანების უჯრედების ციტოპლაზმაში. ქლამიდიები მგრძნობიარები არიან ანტიბიოტიკების მიმართ. იწვევენ ადამიანის დაავადებებს (ტრაქო-


მა, კონიუქტივიტი, ორნითოზი) ფრინველებში იწვევენ გენერალიზებულ ინფექციებს (ფსიოაკოზი).

## 30 გვ. გვ.

ვირუსები გაერთიანებულნი არიან საკლასიფიკაციო ერთეულში Vira, მათ ახასიათებთ მოედი რიგი სტრუქტურული თავისებურებები, შეიცავენ მხოლოდ ნუკლეინის მჟავას (დნმ და რნმ), შეიძლება მათი დნმ იყოს ერთჯაჭვიანი, ხოლო რნმ-ის ორჯაჭვიანი. არ გააჩნიათ უჯრედული სტრუქტურა და საკუთარი ნივთიერებათა ცვლა, რომელიც დაკავშირებულია იმ უჯრედის მეტაბოლიზმთან, რომელშიც ვირუსი პარაზიტობს. ვირუსის სხეულში ნაპოვნია რიბოფლავინ-ბიოტინი, ზოგიერთ ვირუსს აქვს საკუთარი ფერმენტი (მაგ. გრიპის ვირუსში მოიპოვება ნეირამინიდაზა, რომელიც ახდენს ნეირამინის მჟავას ჩამოხლებას ერითროციტებიდან).

## 30 გვ. გვ.


ელექტრონულ მიკროსკოპში შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მათ სხვადასხვანაირი ფორმა აქვთ. ვირონს შეიძლება პქონდეს ჩხირის (თამბაქოს მოზაიკის ვირუსი) სფეროს ან ძაფისებრი (გრიპის ვირუსები) თავკომბალის (ბაქტერიოფაგი) ფორმა. ვირიანების ზომები მეტად მცირეა, რის გამოც სინათლის მიკროსკოპში მათი დანახვა შეუძლებელია. ვირუსებს ზომავენ ნანომეტრებში ( $1\text{nm}=1/1000 \text{ мікromетр}$ ) ვირუსების გაზომვა შეიძლება მათი გატარებით სპეციალურ ფილტრებში, რომელთა (ასეთი ფილტრებია მაგ: შამბერლენის სანთლები, ბერკეფლედის სანთლები, კოლოიდური მემბრანები) ადამიანისოვის პათოგენური ვირუსებიდან ყველაზე მცირე ზომისაა პოლიმიელიტის ვირუსი (17-25 nm) ყველაზე დიდი ზომისაა ყვავილის ვირუსი (250-300nm) საშუალო ზომის-გრიპის ვირუსი (120-200nm).




ვირუსები შეიცავენ დნმ-ის ან რნმ-ის მოლეკულას და ცილოვან გარსს კაფსიდს (capsa-კოლოფი), რომელიც შედგება ცილოვანი სუბეროულებისაგან – კაფსომერებისაგან, რომლებიც გარკვეული თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი ნუკლეინის

მჟავას ირგვლივ, რის მიხედვითაც არჩევენ კაფსიდის სიმეტრიის რამდენიმე ტიპს: სპირალურს, კუბურს, შერეულს ანუ კომბინირებულს. კაფსომერების რაოდენობა მერყეობს ერთეულებიდან ასეულებამდე. მაგ. პოლიომიელიტის ვირუსს 60 კაფსომერი აქვს, ადენოვირუსებს 252, თამბაქოს მოზაიკის ვირუსს 2250. ნუკლეინის მჟავა და ცილოვანი გარსი შეადგენს სტრუქტურას, რომელსაც ნუკლეოკაფსიდი ეწოდება, ზოგიერთი საშუალო და დიდი ზომის ვირუსს კაფსიდის გარდა გააჩნია სუპერკაფსიდი, რომელიც ცილების გარდა შეიცავს ლიპიდებს, მასპინძელი უჯრედის კომპონენტებს და ფერმენტებს.

კაფსიდი იცავს ნუკლეინის მჟავას გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედებისაგან. უზრუნველყოფს მგრძნობიარე უჯრედის ვირუსის ადსორბციას (ვირუსა და უჯრედზე კომპლემენტური რეცეპტორების არსებობის გამო) იგი შედარებით მდგრადია პროტეინაზების ზემოქმედებისადმი. კაფსიდთან არის დაკავშირებული ვირუსის ანტიგენური ოვისებები.



პოლიომიელიტის ვირუსი



ენცეფალიტის ვირუსი

### 30რშესების ვიზოოლოგია

ძირითადი კომპონენტებია ნუკლეინის მჟავები და ცილები. აღმოჩენილია ასევე რიბოსომები, რომლებიც ასინთოზებენ ცილებს. ნუკლეინის მჟავები ვირუსების მემკვიდრეობითი თვისებების მატარებელი არიან და განაპირობებენ მათ ინფექციურობას. ცილები შედის ვირუსის შალითის შემადგენლობაში, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ამინომჟავების შემადგენლობით, სტრუქტურით და ანიჭებენ ვირუსს ანტიგენურ სპეციფიკურობას, დიდი ზომის ვირუსებში აღმოჩენილი 20-მდე ცილა, მათ შორის ფერმენტებიც.

## ნახშირწყლების ორგენობრივი შემადგენლობა

სხვადასხვანაირია, ვირუსები შეიცავენ იმ უჯრედების ნახშირწყლებს, რომელშიც ისინი პარაზიტები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პენტოზები-რიბოზა და დეზოქ-სირიბოზა, რომლებიც შედიან ნუკლეინის მჟავას შემადგენლობაში. ვირუსები მასპინ-ძელი უჯრედიდან ლიპიდებსაც იღებენ, მარტივი აგებულების ვირუსებში რომელთაც სუპერკაფსიდი გააჩნიათ. აღმოჩენილია მრავალი ლიპიდი, ვირუსები თითქმის მოკლე-ბულნი არიან ფერმენტულ აქტივობას. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ზოგი-ერთი, უფრო რთული აგებულების ვირუსები (მიქსოვირუსები, პერპესვირუსები, აგრეთვე T წყვილი ფაგები) ეს ვირუსები შეიცავენ ფერმენტებს, რომლებიც მონაწილეობენ უჯრედის ინფიცირების საწყის სტადიაში, მაგ: მიქსოვირუსების ნეირამინიდაზა მო-ქმედებს მასპინძლის უჯრედების გარსის მუკოპროტეიდებზე. ნივთიერებათა ცვლის ფერმენტი ვირუსებს გააჩნიათ.

### ჩანართი სხეულები

ორგანიზმის უჯრედებში, რომლებიც დასხებოვნებულია ვირუსებით, ხშირად წარ-მოიშვება ჩანართი სხეულები. მათ აქვთ სხვადასხვა ზომა, სტრუქტურა და სხვადასხ-ვაგვარი დამოკიდებულება სადებავებოან. მათი დამუშავებით აღმოჩენილია მათში უწვრილესი გრანულები. ჩანართი სხეულები წარმოიშვებიან დაზიანებული უჯრე-დის ბირთვში ან ციტოპლაზმაში, არის შემთხვევები როცა ჩანართები წარმოიშვება ერთდროულად ბირთვშიც და ციტოპლაზმაშიც. უჯრედშიგნითა ჩანართები კანონ-ზომიერად განვითარება განსაკუთრებული ვირუსული ინფექციების დროს და აღმოჩენის მნიშვნელობა აქვს დაავადების დიაგნოსის დასმისას.

### ვირუსების რეპროდუქცია

ვირუსებისთვის დამახასიათებელია რეპროდუქციის დიზიუნქტიური ტიპი (disyuntus-განცალკევებული) ვირუსის შთამომავლობა ფორმირდება ნუკლეინის მჟავების და ცილოვანი სუბეროულის შეკრების გზით, რომელთა სინთეზსაც მასპინძელი უჯრედი განცალკევებულად აწარმოებს. ვირუსის გამრავლება რამდენიმე ფაზად მიმდინარე-ობს: უჯრედშიდა შედწევა, ვირუსის ნუკლეინის მჟავის რეპლიკაციისათვის აუცილე-ბელი ნუკლეინის მჟავების სინთეზი, ვირუსის კომპონენტების სინთეზი, მომწიფებული ვირიონების ფორმირება – კომპოზიცია, ვირიონების უჯრედიდან გამოსვლა.

დიდი მნიშვნელობა აქვთ ვირუსებს, რომლებიც აზიანებენ ბაქტერიებს და სხივისებრ სოკოებს-ბაქტერიოფაგები და აქტინოფაგები.

### მიკრობია ბაკტერიელება ბუნებაში

**ნიადაგის მიკროფლორა.** ნიადაგი განსაკუთრებით მდიდარია მიკროორგანიზმებით. ის წარმოადგენს ძირითად რეზერვუარს და მიმწოდებელს ჰაერისა და წყლისათვის მიკროორგანიზმებისას. ნიადაგში არის ყველა პირობა მიკრობთა ცხოველმოქმედე-ბისათვის. მიკროფლორის რაოდენობა და ხარისხი დამოკიდებულია ნიადაგის შედ-გენილობაზე, მის ტენიანობაზე, გარემო არის რეაქციაზე, წყლის დონეზე. კლიმატურ და მეტეოროლოგიურ პირობებზე, აგროქიმურ ფაქტორებზე და სხვა. განსაკუთრებით დიდია მიკროორგანიზმთა რაოდენობა განოყიერებულ ნიადაგში, სადაც მეტი ორგან-ული საკვები ნივთიერებაა. ნიადაგში მუდმივად მცხოვრებ სახეობებს მიეკუთვნება მიკროორგანიზმების შემდეგი სახეები: სპოროვანი ანაერობები, აერობები, ოერმო-ფილური ბაქტერიები, პიგმენტურ კოკისებური ფორმები, ნიადაგში მოიპოვებიან ნი-

ტროფიკაციის, დენიტრიფიკაციის, აზოტიქსატორი ბაქტერიები, გოგირდის ბაქტერიები, უჯრედის დამშლელი ბაქტერიები, აქტინომიცეტები, მიკროსკოპული წყალმცენარეები. ზოგიერთ ამ მიკრობთა მოხვედრა საკვებ პროდუქტებში იწვევს მათ გაფუჭებას, ბევრი სახეები ბაქტერიების, აქტინომიცეტების, საფუარების, ობის სოკოების, მათი სუფთა სახით მიღების შემდეგ გამოიყენებიან ანგიბიოტიკების, ვიტამინების, ფერმენტების და სხვათა წარმოებისათვის, ნიადაგის მიკროორგანიზმებს მიეკუთვნება მთავარი როლი ნიადაგში არსებული ორგანული და მინერალური ნივთიერებების გარდაქმნაში, სტრუქტურის და პუმუსის შექმნაში.

**წყლის მიკროფლორა.** წყალში მნიშვნელოვანი რაოდენობით, თუნდაც მარტო საპროფიტების არსებობა არასასურველია, განსაკუთრებით კვების მრეწველობაში, მიკრობებს შეუძლიათ დააქვეითონ საკვების ხარისხი და შეამცირონ მათი ვარგისიანობის ვადა. დაავადების აღმძვრელ მიკროორგანიზმთა არსებობა წყალში კი ადამიანებისა და ცხოველებისათვის სერიოზული საშიშროებაა. მიკრობები დიდი რაოდენობით ხვდება დია წყალსაცავებში, ნიადაგიდან წვიმების დროს, დალექილ მტვერთან ერთად, წყალი აგრეთვე ბინძურდება ფაბრიკული ნაწარმის ნარჩენებით. გამოხდილი წყალი ყველაზე ნაკლებ მიკროორგანიზმებს შეიცავს. არტეზიული წყალიც თითქმის თავისუფალია მიკროორგანიზმებისაგან. წყაროს წყალი მიკრობთა უმნიშვნელო რაოდენობას შეიცავს, ღრმა ნიადაგური ჰების წყლები შეიცავს უფრო ცოტა მიკრობებს ვიდრე ზედაპირული წყლები, რადგან ნიადაგის სისქეში გასული წყალი იფილტრება.

**ჰაერის მიკროფლორა.** ჰაერი უმეტესი ბაქტერიების გამრავლებისათვის წარმოადგენს არახელსაყრელ არეს. მასში არ არის საკვები ნივთიერებები და სხვა აუცილებელი პირობები მიკრობთა განვითარებისათვის. გარდა ამისა მზის სხივების ზემოქმედებით მიკრობები სწრაფად იღუპებიან. ჰაერში მიკრობები ხვდებიან უმოავრესად მაღლა ასული მტვრის საშუალებით და მასთან ერთად ილექტებიან ნიადაგის ზედაპირზე. უფრო ხშირად ჰაერში გვხვდებიან სპოროგენული და პიგმენტოვანი სახეები, სხვადასხვა ობის სოკოების და საფუარების სპორები. ჰაერის მიკროფლორაზე გავლენას ახდენს წელიწადის დრო.

## გარემო ვაქტორების გავლენა მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობაზე

გარემო ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ მიკროორგანიზმთა ცხოველმყოფელობაზე შეიძლება იყოს: ფიზიკური (ტემპერატურა, გამოშრობა, სინათლე, რადიოაქტიური ნივთიერებების გამოსხივება) ქიმიური (კარბოლის მჟავა, სულემა, ქლორიანი კირი და სხვა) ბიოლოგიური (ანგიბიოტიკები, ბაქტერიოფაგები, ლიზოციმი).

**ფიზიკური ფაქტორების გავლენა. ტემპერატურის გავლენა.**

მიკროორგანიზმთა ნორმალური ცხოველმყმედებისათვის აუცილებელია განსაზღვრული ტემპერატურა. არახელსაყრელი ტემპერატურის დროს მიკრობების ცხოველმყმედება სუსტდება ან მოლიანად ისპობა. სხვა ცოცხალ ორგანიზმებთან შედარებით მიკრობები უფრო არიან შეგუებული ტემპერატურის მერყეობასთან. მიკრობის გამრავლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურის სამ განმასხვავებელ წერტილს: ოპტიმალურს, მინიმალურს და მაქსიმალურს.

ტემპერატურისადმი დამოკიდებულების მიხედვით მიკრობები იყოფიან ფსიქროფილებად, მეზოფილებად და ოქროფილებად.

ფსიქროფილებს მიეკუთვნებიან ის მიკროორგანიზმები, რომლებიც ევოლუციის პროცესში შეეგუენ დაბალი ტემპერატურის განვითარებას. ესენი არიან მნაოი ბაქტერიები, ცივი წყალსაცავების ბაქტერიები, საყინულეების, პოლარული აუზების, მაცივრების, ზოგიერთი რკინის ბაქტერიები. მათვის ოპტიმალური ტემპერატურა 15-20° მაქსიმალური 30-35° მინიმალური 0-6°.

მეზოფილური ბაქტერიები ვითარდებიან საშუალო ტემპერატურაზე. ამ ჯგუფს ეკუთვნის საპროფიტების უმრავლესობა, ლპობის ბაქტერიები და ყველა პათოგენური მიკრობი. აგრეთვე დუღილის აღმძვრელნი. მათვის ოპტიმალური ტემპერატურაა 26-36° მინიმალური 10° მაქსიმალური 43-50°.

თერმოფილური ბაქტერიები მრავლდებიან შედარებით მაღალ ტემპერატურაზე. მათვის ოპტიმალური ტემპერატურა 50-60°. მინიმალური 35° მაქსიმალური 80°. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან მიკრობები, რომლებიც ბინადრობენ ცხოველთა საჭმლის მომნელებელ ორგანოებში, ნიადაგის ზედაფენებში, ცხელ წყაროებში. არსებობენ თერმოტოლერანტული ბაქტერიები, რომლებიც უძლებენ მაღალ ტემპერატურას და თერმოგენური, რომლებიც არამარტო უძლებენ მაღალ ტემპერატურას, არამედ წარმოქმნიან სითბოს.

დაბალი ტემპერატურის გავლენა. დაბალი ტემპერატურა არ ხოცავს მიკრობებს, მხოლოდ აჩერებს მათ ცხოველმყოფელობას და მასთან ერთად ლპობის და დუღილის პროცესებს. მიკრობებზე დამღუპველად მოქმედებს განმეორებითი გაყინვა და გალვობა.

მაღალი ტემპერატურის გავლენა. მაღალი ტემპერატურა ბაქტერიებზე დამდუპველად მოქმედებს, რადგან იწვევს მიკრობების ციტოპლაზმის შედედებას. 60°-ზე გაცხელება კლავს უმრავლეს მიკრობებს, გარდა სპოროვანი და თერმოფილური მიკრობებისა.

გამოშრობის ზემოქმედება. მიკროორგანიზმების სპოროვანი ფორმები ნაკლებად მგრძნობიარენი არიან გამოშრობის მიმართ. გამოშრალ მდგომარეობაში ინახებიან მრავალი ათეული წლის განმავლობაში. მაგ. სტაფილოკოკები გამოშრობას უძლებენ ორ წელზე მეტს, რემუნავა ბაქტერიები ათ წლამდე, ტუბერკულოზის აღმძვრელი სამიდან ცხრა თვემდე, პარატიფული ბაქტერიები ორ თვემდე. დაავადების აღმძვრელი ბაქტერიები გამოშრალ, ცილოვან სუბსტრატებში სისხლში, შრატში, ნახველში ინარჩუნებენ თავის სიცოცხლისუნარიანობას მრავალი თვის განმავლობაში.

სინათლის გავლენა. მზის პირდაპირი სხივები დამღუპველად მოქმედებენ ბაქტერიათა თითქმის ყველა სახეზე, გარდა მეწამული და ფოტობაქტერიებისა, რომლებიც მრავლდებიან კარგად განათებულ ადგილებში. კულტურებში მზის პირდაპირი სხივების მოქმედებით ბაქტერიების უმრავლესობა იღუპება რამდენიმე წუთის ან საათის განმავლობაში. ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით რამდენიმე წუთის შემდეგ იღუპებიან ბაქტერიების არა მარტო ვეგეტატიური ფორმები, არამედ სპორებიც. ულტრაიისფერი სხივების მიმართ უფრო გამძლენი არიან პათოგენური სოკოები.

## ძიმიური ვაძლეორების გავლენა

ქიმიური ნივთიერებანი სხვადასხვა სახის მიკროორგანიზმებზე მოქმედებენ სხვადასხვანაირად, აღნიშნულ მოვლენას ქიმიოტაქსისი ეწოდა. არის დადებითი და უარყოფითი ქიმიოტაქსისი, როდესაც ბაქტერიები წყალში დიფუნდირებულ ნივთიერებებს გაურბიან.

ქიმიურმა ნივთიერებებმა, რომლებიც პათოგენურ მიკრობთა მოსასპობად გამოიყენება, მიიღო სადეზინფექციო საშუალებათა სახელწოდება. ასეთი ნივთიერებებია ქლორის, იოდის, ფენოლის ნაერთები: მჟავეები, ტუტეები, სპირტები, სულემა, ფორმალდეჟიდი.

## ბიოლოგიური ვაძლორების ბაზლენა

ცხოვრების ბუნებრივ პირობებში მიკროორგანიზმები ურთიერთქმედებენ როგორც არაცოცხალ გარემოსთან, ასევე ურთიერთშორის და სხვა ცოცხალ ორგანიზმებთან და შედიან მათთან ეგრეთწოდებულ ბიოცენოზში. ურთიერთდამოკიდებულებამ შეიძლება სიმბიოზის, მეტაბიოზის, სინერგიზმის და ანტაგონიზმის და სხვა ხასიათი მიიღოს.

**სიმბიოზი** – ისეთი თანაცხოვრებაა, როდესაც ერთსა და იგივე არეში არსებობენ და მრავლდებიან ორი ან უფრო მეტი სახეობა მიკროორგანიზმებისა, რომლებიც ხელს არ უშლიან ერომანეოს. ზოგჯერ სიმბიოზური თანაცხოვრება ამ თუ იმ სახის მიკროორგანიზმებისათვის აუცილებელია. (სიმბიოზის ფორმები მოიცავს ასოციაციურ – ხელშემწყობ და ანტაგონისტურ ანუ კონკრეტულ ურთიერთობებს).

**მეტაბიოზი** – ისეთი თანაცხოვრებაა, როდესაც მიკროორგანიზმების ერთი სახე თავის ცხოველმოქმედების პროცესში ქმნის ხელსაყრელ პირობებს სხვა სახის მიკროორგანიზმებისათვის.

**სინერგიზმი** – ორ ან რამდენიმე სახის მიკრობთა თანამეგობრული ურთიერთობა. (მაგ. საფუარების და რძემუავა ბაქტერიების ერთობლივი კულტივირების დროს რძემუავური დუღილის პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს).

**ანტაგონიზმი** ანუ ანტიბიოზი ისეთი ურთიერთდამოკიდებულებაა, როდესაც მიკრობების ერთ სახეობას არ შეუძლია განვითარდეს მეორე სახეობის მიკრობის თანდასწრებით. ერთი მიკროორგანიზმის მიერ ისეთი ტოქსიური ნივთიერება გამომუშავდება, რომელიც თრგუნავს სხვა მიკროორგანიზმების სასიცოცხლო პროცესებს. ასეთი ნივთიერებებია ანტიბიოტიკები.

**კომენსალიზმი** – ერთი ორგანიზმი ცხოვრობს მეორის ხარჯზე, მაგრამ ზიანს არ აყენებს. კომენსალები არიან ადამიანის ნორმალური მიკროფლორის ცალკეული წარმომადგენლები.

**სატელიტიზმი** – ერთი სახეობის მიკრობების გამრავლება სტიმულირდება მეორე სახეობის მიერ (მაგ. ბაქტერიების გამრავლება სტიმულირდება მათი საფუარებთან ან სარცინებთან ერთობლივი კულტივირების დროს).

**მუტუალიზმი** – ურთიერთხელსაყრელი თანაცხოვრებაა. მაგ. კოქრის ბაქტერიების და პარკოსნების თანაცხოვრება.

**ფიტონციდები.** ნივთიერებებს, რომელიც მცენარეთა ცხოველმოქმედების დროს გამომუშავდებიან და დამდუპველი თვისებებით არიან აღჭურვილნი ბაქტერიების და სოკოების მიმართ ეწოდება ფიტონციდები (არყის ხის ფოთლები, ღვია ჭინჭარი, ნიორი, სახვი, ალოე და სხვა).

## ანტიბიოტიკები

ანტიბიოტიკები ნივთიერებებია, პროდუცირებული სხვადასხვა თრგანიზმებით: სოკოებით, ბაქტერიებით, ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების უჯრედებით, რომელთაც უნარი აქვთ ხელი შეუშალონ მიკრობების გამრავლებას და გამოიწვიონ მათი დაღუპვა. ერთი მიკროორგანიზმის თვისებას ჩაახშოს მეორის სიცოცხლე (ანტიბიოზი) პირველად შეისწავლა მეჩნიკოვმა. შეუძლიათ რა დაორგუნონ პათოგენური მიკრობების განვითარება ორგანიზმში, ანტიბიოტიკები ამავე დროს არიან ნაკლებად ტოქსიკური ორგანიზმისთვის. აყოვნებენ რა ორგანიზმში პათოგენური მიკრობების განვითარებას, ამით ანტიბიოტიკები ხელს უწყობენ ორგანიზმის დამცველი თვისებების გაძლიერებას და ავადმყოფის სწრაფ გამოჯანმრთელებას. ანტიბიოტიკები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, ასევე ამა თუ იმ პათოგენურ მიკრობებზე მოქმედების უნარითაც. საჭიროა ანტიბიოტიკების სწორი შერჩევა სხვადასხვა ინფექციური დაავადების მკურნალობისათვის.

ანტიბიოტიკების კლასიფიკაცია ხდება მიღების წყაროს, ქიმიური შემადგენლობის, მოქმედების მექანიზმის, მიკრობის უჯრედზე მოქმედების მიხედვით ტიპის და სპეციფიკის მიხედვით. მიღების წყაროს მიხედვით ანტიბიოტიკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: 1) სოკოებიდან მიღებული ანტიბიოტიკები მეგ. Penicillium-ის პენიცილუმის გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი. 2) აქტინომიცეტებიდან მიღებული ანტიბიოტიკები: მაგ. სტრეპტომიცინი, ბიომიცინი, კანამიცინი სულ აქტინომიცეტებიდან მიღებულია 500-მდე ანტიბიოტიკი, მაგრამ პრაქტიკაში გამოიყენება რამდენიმე ათეული. 3) ბაქტერიებიდან მიღებული ანტიბიოტიკები ნაკლებად ფართო ჯგუფს ქნიან, (მაგ. გრამიციდინი, პროდინოზანი, სუბტილინი, პოლიმიქსინი). 4) ცხოველთა ქსოვილებიდან მიღეს ანტიბიოტიკი ეგმოლინი, რომელიც სხვა ანტიბიოტიკებთან ერთად იხმარება პრაქტიკაში. 5) მცენარეებიდან მიღებული ანტიბიოტიკები (ფიტონიციდები), ეს ნივთიერებები ქიმიური შემადგენლობის გამო ძლიერ არამდგრადნი არიან რაც აძნელებს მათგან სტანდარტული პრეპარატების დამზადებას.

ანტიბაქტერიული მოქმედების მექანიზმის მიხედვით ანტიბიოტიკები იყოფა 4 ჯგუფად.

1. უჯრედის კედლის სინთეზის სპეციფიკური ინჰიბიტორები: პენიცილინები, ცეფალოსპორინები, რისტომიცინი, გრამიციდინი.
2. უჯრედული მემბრანის მოლეკულური ორგანიზაციის და ფუნქციის დამრღვევები: პოლიმიქსინები, სოკოების საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები (ნისტატინი, ლევოტანი, ამფოტერიცინი B).
3. ცილის სინთეზის ინჰიბიტორები: ლევომიცეტინი, ტეტრაციკლინები, ლინკომიცინი, ფუზიდინი, მაკროლიდები (ერიოთომიცინი, ოლეანდრომიცინი) ამინოგლიკოზიდები (სტეროტიმიცინი, კანამიცინი, ნეომიცინი, გენტამიცინი და სხვა).
4. დნმ-ის და რნმ-ის სინთეზის ინჰიბიტორები: რიფამპიცინი (ბენემიცინი) ნოვობიომიცინი, ტრიმეტრინინი.

პირველი ჯგუფის ანტიბიოტიკების ზემოქმედება მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პრეპარატის აქტიური საწყისის შეკავშირება უჯრედის რეცეპტორებთან; ტრანსპერიდაზური რეაქციის ინჰიბირება აუტოლიტიკური ფერმენტების ინჰიბიტორია, რაც ააქტიურებს ლიზისურ ფერმენტებს და ხდება უჯრედის ლიზისი.


მეორე ჯგუფის ანტიბიოტიკები აზიანებენ ციტოპლაზმურ მემბრანას, რომელიც გამავალი ხდება პურინებისა და პირიმიდინებისათვის, ცილებიც სტოვებენ უჯრედს, რაც იწვევს მის სიკვდილს.

მესამე ჯგუფის ანტიბიოტიკები ბაქტერიის რიბოსომების სუბეროულზე ზემოქმედებით არღვევენ ცილების სინთეზს.

მეოთხე ჯგუფის ანტიბიოტიკები წარმოქმნიან კომპლექსს ნუკლეინის მჟავებთან და აბრკოლებენ ინფორმაციული რნმ-ის წარმოქმნას. ამ ჯგუფის პრეპარატებმა ვერ ჰქოვეს ფართო კლინიკური გამოყენება ანტიბაქტერიულ მკურნალობაში ვინაიდან ისინი აბრკოლებენ ცხოველური უჯრედის ნუკლეინის მჟავების სინთეზსაც. ანტიმიკრობული მოქმედების სპექტრის მიხედვით ანტიბიოტიკები იყოფა 1. გრამდაღებით და გრამუარყოფით კოკებზე და ზოგიერთ გრამდაღებით ჩხირებზე მოქმედი პრეპარატები; 2. ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები; 3. გრამუარყოფით ბაქტერიიებზე უპირატესი მოქმედების ანტიბიოტიკები; 4. ოუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები; 5. სოკოგანი დაავადებების საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები.

მიკრობის უჯრედზე მოქმედების ტიპის მიხედვით ანტიბიოტიკები იყოფა ორ ჯგუფად: 1. ბაქტერიციდული მოქმედების პრეპარატები; 2. ბაქტერიოსტატიკურად მოქმედი პრეპარატები.

ეტიოტროპულ მკურნალობას ატარებენ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებით (მეტაციკლინი, ოქსაცილინი, ცეპორინები) ანტიბიოტიკოგრამის აუცილებელი გათვალისწინებით. სეფსისით დაავადებულთა (განსაკუთრებით ახალშობილთა) სამკურნალოდ რეკომენდებულია ანტისტაფილოკოკური პომილოგიური პლაზმის ან გამაგლობულინის გამოყენება, ქრონიკულად მიმდინარე ინფექციების სამკურნალოდ გამოიყენება აგრეთვე სტაფილოკოკური ანატოკლინი აუტოვაქცინა ან ინტრავენური ფაგი (გარე საფარების ჩირქოვანი ანთების დროსაც).



### ბაქტერიოფაგი ანუ ბაქტერიათა ვირუსები (ბაქტერიათა შთანმთმელი)

ბაქტერიებს ისე როგორც სხვა ცოცხალ არსებებს ჰყავთ თავისი პარაზიტები, რომლებსაც ბაქტერიოფაგები ეწოდება. მათი ზემოქმედებით ბაქტერიები იღუპებიან ან იცვლიან მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თვისებებს.

ბაქტერიულ უჯრედთან ფაგის ურთიერთქმედება ჩვეულებრივ ბაქტერიული უჯრედის ლიზისით მთავრდება.

ფაგი შედგება თავისაგან, რომელშიც მოთავსებულია ნუკლეინის მჟავა და წანაზარდისაგან. ქიმიური შედგენილობით შედგება ნუკლეინის მჟავისა და ცილისაგან. ფაგების უმეტესობა შეიცავს დნმ-ს ზოგიერთი კი რნმ-ს. ფაგებს გააჩნიათ ანტიგენური თვისებები. ფაგის პარენტერალურად შეყვანაზე თრგანიზმი პასუხობს ანტისე-

ეულების გამომუშავებით, რომლებიც ანეიტრალებენ ფაგის ლიტიურ აქტივობას და მაღალსპეციფიკურნი არიან. ფაგებს გააჩნიათ ჯგუფური და სპეციფიკური ანტიგენები, რომელთა მიხედვით მათ სეროვარებად ყოფენ. ბაქტერიის უჯრედთან ურთიერთქმედების ხასიათის მიხედვით ფაგები იყოფა ვირულებრივ და ზომიერ ფაგებად.

ფაგებს, რომლებიც იწვევს მხოლოდ გარკვეული სახეობის ბაქტერიების ლიზისს, მონოფაგები ეწოდებათ.

ზომიერი ფაგები ვირულებრივ ფაგებისაგან განსხვავდებიან ბაქტერიის უჯრედთან ურთიერთქმედების ხასიათით. ზომიერი ფაგების ძირითადი ოვისებაა ვირულებრივი ფაგისთვის დამახასიათებელი ვეგეტაციური მდგომარეობის გარდა იარსებოს არაინუექციურ პროფაგის მდგომარეობაში. პროფაგი წარმოადგენს ბაქტერიის ქრომოსომასთან ასოცირებულ ვირუსის გენომს. ბაქტერიულ უჯრედებს, რომლებიც თავიანთ ქრომოსომაში პროფაგს შეიცავენ, ლიზოგენური ეწოდებათ. პროცესს ლიზოგენიზაცია, მოვლენას ლიზოგენია. ლიზოგენური ბაქტერიების მიერ ფაგის პროდუცირების სიხშირე მნიშვნელოვნად მატულობს ულტრაიისფერი სხივების ან დნმ-ზე მოქმედი რაიმე ფაქტორის ზემოქმედების შედეგად. ამ ფაგნომენს ფაგის ინდუქცია ეწოდება. ზოგიერთი ფაგი დეფექტურია, არ გააჩნია სრულფასოვანი ფაგის ნაწილაკების წარმოქმნის უნარი. დეფექტური ფაგის ფორმირების დროს მის თავში ფაგის ნუკლეინის მჟავის მაგივრად მოხვდება ბაქტერიის დნმ-ის ნაწილი, რომელიც შეიძლება სხვა ბაქტერიულ ფაგს გადაეცეს (ტრანსდუქციის ფენომენი). ასეთი ფაგები გენურ ინჟინერიაში გამოიყენება.

ფაგები გამოიყენება ბაქტერიების ინდიკაციისა და იდენტიფიკაციისათვის, აგრეთვე ინფექციური დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

ეპიდემიოლოგიური გამოკვლევების დროს გამოიყენება ბაქტერიების ფაგოტიპირების მეთოდი. ეს იძლევა ინფექციის წყაროსა და ამ უკანასკნელიდან მიმღებ ორგანიზმამდე ინფექციური საწყისის გადაგზების დადგენის საშუალებას.

ფაგები გამოიყენება მრავალი ინფექციური დაავადების პროფილაქტიკისათვის. მკურნალობის მიზნით ფაგების გამოყენებას განსაკუთრებული ყურადღება ექცვა ქიმიოთერაპიული პრეპარატების მიმართ რეზისტენტული მიკროორგანიზმებით გამოწვეული ინფექციების შემთხვევაში.

ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ფაქტორებს შეუძლიათ მოახდინონ მიკრობებზე ბაქტერიოციდული ან ბაქტერიოსტატიული მოქმედება. ეს ისეთი მოქმედებაა ამა თუ იმ ნივთიერებისა მიკრობებზე, რომლის დროსაც ისინი იღუპებიან. ბაქტერიოსტატიული მოქმედება უფრო ხშირად აღინიშნება, როდესაც ქიმიურ ან ბიოლოგიურ (მაგ. ანტიბიოტიკი) ნივთიერებას იღებენ დიდ განზავებაში, ადგილი არ აქვს მიკრობობა დაღუპვას, მხოლოდ ჩერდება მათი ზრდა. ფიზიკური და ქიმიური ბრძოლის მეთოდები ფართოდ გამოიყენება მიკრობობა მოსასპობად.

ანტისეპტიკა – მიკრობობა მოსპობა ჭრილობაში ქიმიური ნივთიერებებით.

ასეპტიკა – ცოცხალ ქსოვილთა დაცვა მიკრობების თანხვედრისაგან.

სტერილიზაცია – ანუ გაუვნებლობა იგულისხმება სრული მოსპობა ცოცხალი, როგორც ვეგეტაციური, ასევე სპოროვანი ფორმების მიკროორგანიზმებისა. არსებობს სტერილიზაციის მრავალი ხერხი; დუღილის სტერილიზაცია, მიმდინარე ორთქლით

სტერილიზაცია, სტერილიზაცია ორთქლით წნევის ქვეშ, პასტერილიზაცია, ტინგალიზაცია, სტერილიზაცია მშრალი გაცხელებული პარიო, დეზინფექცია.

შენახვის მეთოდები, დამაყარებული ბიოზის პრინციპზე მიმართულია ორგანიზმი სასიცოცხლო პროცესებისა და ბუნებრივი გამძლეობის გასახანგრძლივებლად. **აბიოზის** პრინციპზე დამყარებული შენახვის მეთოდები მიმართულია მიკრობთა და მათი სპორების მოსპობისაკენ. **ანაბიოზის** პრინციპზე დამყარებული სხვადასხვა პროდუქტების შენახვა სიცივეში დამარილება, გაშრობა, შაქრის და მარილის ხსნარით დაკონსერვება. ტენანაბიოზის პრინციპზე დამყარებული ნაყოფების დაკონსერვება, ბოსტნეულის დამჟავება, სილოსის დამზადება.

## მიკრობთა ცვალებადობა

ბაქტერიათა გენეტიკა. ბაქტერიის ბირთვოვანი სტუქტურა, რომელიც ძირითადად დანართის შედგება, პირობითად წოდებულია “ქრომოსომად” მასში შედის ბაქტერიული უჯრედის დანართის რაოდენობა და ეს დანართი იმყოფება ერთი ორმაგი სპირალის სახით. დანართი – ძირითად სტრუქტურულ ერთეულს ნუკლეოდიტი წარმოადგენს, ქრომოსომაში მემკვიდრულ ნიშანთა კოდის განწყობაში სიგრძის იმ ძირითადიური რეაქციების შესატყვისად მორიგეობით, რომელთაც ისინი აკონტროლებენ. ბაქტერიის ქრომოსომაზე სულ მოთავსებულია 2000 ფუნქციონალური ერთეული. ქრომოსომების ძირითად ფუნქციონალურ ერთეულს წარმოადგენს მისი მონაკვეთი, რომელიც აკოდირებს ერთი განსაზღვრული ფერმენტის სტრუქტურას (ცისტრონი) რომელიც შეიცავს რამდენიმე ასეულ ნუკლეოტიდს. ყოველი ცისტრინი შეიცავს უმცირეს მონაკვეთებს მუტონებს, რომელთა შეცვლა იწვევს მუტაციას (მუტონის მოცულობა გამოსახულია ნუკლეოტიდის წყვილით).

დანართის მოლეკულაში ჩაწერილია გენეტიკური ინფორმაცია, მაგრამ იგი არ ახდენს უშუალო ცილების სინთეზს. ინფორმაციის გადატანისა და ცილების სინთეზის ფუნქცია ხორციელდება რნმ-ის მოლეკულით.

**ბაქტერიის გენოტიპი.** გენეტიკის საფუძვლების თანახმად მიკრობებს, თაობიდან თაობაზე გადაეცემათ ნიშნები, განხორციელებული გენების ჯგუფით, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული ორგანიზმის მემკვიდრულ ნიშნების მთელ კომპლექსს.

**ბაქტერიის ფენოტიპი.** ნიშანთა კომპლექსია, რომლებიც მათ გამოუვლინდათ არსებობის კონკრეტულ პირობებში და არ გადაეცემათ მემკვიდრეობით. ფენოტიპი, გენოტიპის და გარემო არის ურთიერთქმედების შედეგია.

ბაქტერიების რეკომბინაციური ცვალებადობა განპირობებულია გენების ან გენების ნაწილაკების თანმიმდევრობის ცვლილებით და ხორციელდება ისეთი ფენომენების დროს როგორიცაა ტრანსფორმაცია, ტრანსდუქცია და კონიუგაცია.

**ტრანსფორმაცია** – ეს არის ბაქტერიათა ერთი სახესხვაობის გარდაქმნა მეორეში დეზოქსირიზონუკლეინის (დან) მეაგას შედწევის შედეგად. შტამი რომლისგანაცაა მიღებული დან, წარმოადგენს დონორს, ხოლო შტამი, რომელსაც დან-ის პრეპარატი გადასცემს დონორის ნიშნებს – რეციპიენტი.

**ტრანსდუქცია** – არის გენეტიკური ნივთიერებათა ნაწილაკების გადატანა ერთი ბაქტერიული უჯრედიდან მეორეზე ბაქტერიოფაგების მიერ ფაგის ე.ო. მისი დან-ის დახმარებით შეიძლება ერთი მიკრობული უჯრედის თვისებების გადატანა მეორეზე:

პათოგენის შესუსტება ან გაძლიერება, კაფსულის წარმოშობის უნარის დაკარგვა, მდგრადობა ანტიბიოტიკების მიმართ და სხვა.

**კონიუგაცია.** გენეტიკური მასალის ერთი უჯრედიდან მეორეზე გადატანის ერთ-ერთი ფორმაა. ორ ბაქტერიულ უჯრედს შორის კონიუგაციის დროს წარმოიშვება ციტო-კლაზმატიკური ხიდაკი, რომლის საშუალებითაც გენეტიკური მასალა გადადის ერთი უჯრედიდან მეორეში. ორი ბაქტერიის შეჯვარების დროს ერთი წარმოადგენს დონორს, ხოლო მეორე რეციპიენტს. ხდება გენტიკური მასალის ერთმხრივი გადატანა, რის შედეგადაც წარმოიშობა დიპლოიდური ზიგოტა. კონიუგაციის დროს უფრო ხშირად ქრომოსომა იხლიჩება და პროცესი სრულდება ნაწილობრივი ზიგოტის წარმოშობით.



ნაწილობრივი ზიგოტის კონიუგაცია

ცვალებადობის ფორმები და მეთოდები,  
რომელიც გამოიყენება მიკრობთა ახალი სახეობის მისაღებად.

ჰიბრიდიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ მიკრობებში, რომელთაც აქვთ სქესობრივი პროცესი. მიკროორგანიზმებში ჰიბრიდიზაცია დასაშვებია ბუნებრივ პირობებშიც. სხვადასხვა სახის მიკრობთა თანაცხოვრებას, ცხოველმყოფელური პროცესების ურთიერთშორის ფართო ცვლას ადგილი აქვს ნიადაგში, წყალში, ორგანიზმში. აწარმოებენ რა მთელ რიგ გარდაქმნებს ბუნებაში, აგრეთვე ადამიანის და ცხოველთა ორგანიზმში, თვითონვე შეუძლიათ თვისებების შეცვლა.

დისოციაცია. ლაბორატორიულ პირობებში ბაქტერიების გამოზრდისას შემჩნეულია ცვალებადობის პროცესი, რასაც ბაქტერიათა დისოციაცია ეწოდება. ამ პროცესის დროს მკვრივ საკვებ ნიადაგზე ტიპიურ კოლონიებთან ერთად წარმოიშვებიან ახალი შეცვლილი კოლონიები. თუ ისინი ეკუთვნიან პათოგენურს, მაშინ უფრო ძლიერ არიან დაგადების აღმძგრელი.

ადაპტაცია – არის მიკროორგანიზმთა შეგუება ახალ პირობებთან. მიკრობთა კულტურაში რომელიც განკუთვნილი არიან ადაპტაციისათვის, მოიპოვებიან ცალკეული უჯრედები – მუტაციები, ანუ მიკრობთა შეცვლილი ინდივიდები, რომელიც წარმოშობილი არიან სპონტანურად და სწორედ ისინი, ხელოვნურად შექმნილ პირობებში იწყებენ სწრაფად გამრავლებას, ხოლო ამ პოპულაციის სხვა უჯრედები ან ანელებენ ზრდას, ან სრულიად წყვეტენ განვითარებას. პოპულაციაში მიმდინარეობს ორი პროცესი – მუტაცია და სელექცია.

**მუტაცია** – არის უცაბედად წარმოშობილი ცვლილება ორგანიზმის თვისებებში ან ნიშნებში, რომელიც გადაეცემა შთამომავლობას. ბაქტერიული მუტაციები იყოფა ორ კატეგორიად 1) სპონტანური ე.ი. წარმოშობილი რომელიმე გარემო არის ფაქტორის ზეგავლენით, ექსპერიმენტატორის ჩარევის გარეშე და 2) ინდუცირებული, რო

წარმოშობილნი ბაქტერიული პოპულაციის დამუშავებით ე.წ. მუტაგენური აგენტების ზემოქმედებით. ამ აგენტებს მიეკუთვნებიან რადიაციის სხვადასხვა სახეები, სხვადასხვა ნივთიერებები, და ტემპერატურა. მუტანტთა პირველად შერჩევას აწარმოვბენ მორფოლოგიურად შეცვლილი ნიშნების მიხედვით, ხოლო შემდეგ საზღვრავენ ფიზიოლოგიურ თვისებებს. დისოციაცია, ადაპტაცია, მუტაცია დაკავშირებულია მიკრობული უჯრედის გენეტიკურ სისტემასთან და ცვალებადობის ყველა ფორმას აქვს მუტაციური წარმოშობა.

## ადამიანის ორგანიზმის ნორმული მიკროფლორა

ადამიანის ორგანიზმი არ არის თავისუფალი მიკრობებისაგან. ისინი არიან კანზე, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არიან ლორწოვან გარსზე, რომლებიც უკავშირდებიან გარემოს. მიკრობები ვერ აღწევენ ჯანმრთელი ადამიანის სისხლში და შინაგან ორგანოთა ქსოვილებში. მიკრობებს შეუძლიათ მოხვდნენ სისხლში და გავრცელდნენ ორგანიზმში. ეს შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი დაავადებისა და კანის ლორწოვანის მოლიანობის დარღვევისას.

მიკროორგანიზმები განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვადასხვა ნაწილში. თავისი ცხოველმოქმედებისათვის ისინი საკმაოდ ხელსაყრელ გარემოს პოულობენ პირის ღრუში, კბილის ნალექზე, კბილებს შორის საჭმლის ნარჩენებში, ხახის ლორწოვანზე. მიკრობების ცალკეული სახეობები შეეგუა პირის ღრუში მუდმივ ცხოვრებას. ესენი მსხვილი გრამდადებითი ჩხირები *Bact. maximus buccalis*. წვრილი გრძელი მიკრობები *Zeptothrix buccalis*. სხვადასხვა კოკების გროვა, რძემჟავა დუღილის ჩხირები, ვიბრიონები, მსხვილი და წვრილი სპიროქეტები. საკვების შედგენილობისა და სხვა პირობებისაგან დამოკიდებულებით პირის ღრუში სშირად გვხვდება საფუარის უჯრედები, სოკოს ჰიფები და სხვა მიკროორგანიზმები.

პირველი კვირის ბოლოს ახალშობილთა პირის ღრუში ჩასახლდებიან სტრეპტოკოკები (*S. mitis* *S. salivarius*) *Candida*-ს გვარის საფუარის მსგავსი სოკოები. ფუზბარიოზები და სხვა.

პირის ღრუში მიკროორგანიზმებისათვის ხელსაყრელი პირობებია: საკვები სუბსტრატი, ოპტიმალური T, ტენიანობა, ნერწყვის სუსტი ტუტე რეაქცია. პირის ღრუს ნორმული მიკროფლორის რაოდენობრივი და თვისობრივი, შემადგენლობის მუდმივობას ნერწყვი განაპირობებს, რომელსაც მასში არსებული ფერმენტების (ლიზიმიტი, პერქსიდაზა და ნუკლეაზა) და სეკრეტორული ანტისეულების გამო ანტიბაქტერიული აქტივობა გააჩნია. პირის ღრუში 100-მდე სახეობის მიკროორგანიზმი გვხვდება. ძირითადი ჯგუფებია: სტრეპტოკოკები (*S. Salivarius*, *S. mitis*, *S. mutans*, *S. sangris*, *S. faecalis*) აგრეთვე პერიოდიური სტრეპტოკოკები, ლაქტობაციოლები, ბაქტერიები, ტრეპონემები, საფუარის მსგავსი სოკოები, აქტონომიცეტები, მიკროპლაზმები, უმარტივესები და სხვა.

პირის ღრუს ფაკულტატურ მობინადრეებს შორის გვხვდებიან ენტერობაქტერიები (*Escherichia Klebsiella*, *Enterobacter*, *Proteus*) ფსევდომონადები (*P. aeruginosa*) სპორიანი ბაქტერიები (*Bacillus Clostridium*).

იმის გამო, რომ პირის ღრუში მიკრობები მნიშვნელოვნად მრავლდებიან, ადგილი აქვს საკვების ნარჩენების სწრაფ დაშლას (კარიესი).

ჯანსაღი ადამიანის კუჭში მიკრობები მცირე რაოდენობითაა მათზე ფერმენტებით მდიდარი (25000-მდე კუჭის შიგთავსის 1 მლ-ში) საჭმლის მომნელებელი მჟავა წვენის მეტად არახელსაყრელი მოქმედების გამო. კუჭში პოულობენ უმნიშვნელო რაოდენობით სარცინებს, რძემჟავა და სპოროვან ჩხირებს, საფუარის უჯრედებს. უფრო ნაკლები რაოდენობითაა მიკრობები წვრილ ნაწლავებში, მიუხედავად იმისა, რომ იქ თითქმის შექმნილია მათი განვითარებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი პირობა: ტუტე არე, საკვები ნივთიერების დიდი რაოდენობა, ხელსაყრელი ტემპერატურა. (წვრილი ნაწლავის შიგთავსის 1მლ-ში 5000-მდე მიკრობული უჯრედია, რომელთა შორის პოულობენ ენტეროკოკს. *Bact aerogenes*. აციდოფილურ და ნაწლავის ჩხირებს, საფუარებს, წვრილი ნაწლავის კედელი იჩენს ბაქტერიოციდულ მოქმედებას.

სხვადასხვა მიკროფლორით მდიდარია მსხვილი ნაწლავის შიგთავსი. განავლის მშრალი ნარჩენის წონის 1/3 მოდის მიკრობულ მასაზე. ახალდაბადებული ბავშვის მსხვილი ნაწლავები ჩვეულებრივ სტერილურია, მაგრამ ცხოვრების პირველ დღეებშივე მასში აღწევენ სხვადასხვა მიკრობები, მსხვილი ნაწლავის მიკრობებს შორის ჭარბობს ე.წ. ბიფიდუმ ფლორა, რომელიც შედგება რძემჟავა დუღილის ჩხირების, გრამდადებითი ანაერობული ბოლოგანშტოებული მიკრობებისაგან – *Bact. bifidum* და სხვა, დაახლოებით 8-12 თვის ასაკიდან, როცა იწყებენ ბავშვისათვის სხვადასხვა საკვების მიცემას, ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ბიფიდუმ-ფლორა იცვლება, მოზრდილებისათვის დამახასიათებელი კოლი-ფლორით, ამ ფლორის ტიპიური წარმომადგენელია გრამუარყოფითი წვრილი ჩხირი *E. coli communae* და მისი მრავალრიცხოვანი სახესხვაობანი, *Proteus vulgaris* და სხვა. ნაწლავის ჩხირის გარდა, მოზრდილი ადამიანის განავალში მუდმივადაა ენტეროკოკი – *Streptococcus faecalis*. მდგრადია ნაღვლის მოქმედებისა და სხვადასხვა არახელსაყრელი ფაქტორების მიმართ. ენტეროკოკისათვის დამახასიათებელია საკმაოდ აქტიური მოქმედება. მსხვილ ნაწლავში მოიპოვება აგრეთვე სხვადასხვა ანაერობული მიკრობები, რომლებიც განაპირობებენ ლპობის პროცესებს. *Clostridium sporogenes*, *Cl. putreficius*, *Cl perfringens* და სხვა. არაიშვიათია განავალში გრამუარყოფითი ტუტის წარმოქმნელი ჩხირის არსებობა *Bact. faecalis alcaligenes*.

ადამიანის კანზე ძირითადად გვხვდება ის მიკრობები, რომლებიც გარემომცველ გარე-მოში იმყოფებიან: სხვადასხვა კოკები, სპოროვანი ჩხირები, სოკოების სპორები. მათი რაოდენობა იცვლება კანის პიგიენური მდგრმარეობისაგან დამოკიდებულებით. კანის ძალიან მკვეთრი გაჭუჭყიანებისა და უმნიშვნელო ჭრილობებისას განსაკუთრებით სტრეპტოკოკები და სტაფილოკოკები აღწევენ რა დაზიანებულ ადგილს იწვევენ ჩირქოვან პროცესებს.

შესუნთქულ ჰაერთან ერთად მიკრობები აღწევენ ზედა სასუნთქი გზების ლორწოვან-ამდე. ცხვირის ლორწოვანის მუდმივ ბინადრებს წარმოადგენენ დიფოროიდული და კაფსულიანი ბაქტერიები. კოკების (სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი, პნევმოკოკი).

ბრონქეოლები და ალვეოლები ჩვეულებრივ თავისუფალია მიკრობებისაგან. თვალის ლორწოვანი შეიცავს მცირე რაოდენობით მიკრობებს. თეორ სტაფილოკოკებს და ქსეროზის ჩხირს, რომელიც ძალიან გავს დიფტერიის ბაქტერიას.

სასქესო ორგანოებზე კანზე მობინადრე ჩვეულებრივ მიკრობებთან ერთად არსებობს მჟავაგამძლე ჩხირები *Bact smegmae* და სხვა) საშვილოსნოს ლორწოვანის ნორმალური ბინადარია (საკმაოდ მსხვილი, ოდნავ მოხრილი) გრამდადებითი აციდოფილური, ჩხირი *Doderleini*. გვხვდება აგრეთვე ნაწლავის ჩხირი, კოკები, რომლებიც მშობიარობის დროს შეიძლება გახდნენ გართულების (ანთებითი პროცესი, სეფსისი)

მიზეზი. საჭიროების შემთხვევაში საშვილოსნოს დორწოვანი იწმინდება გარეშე მიკ-რობებისაგან, მაგრამ ინარჩუნებს დიდერლეინის ჩხირებს, რომლის მუდმივი არსებობა საშვილოსნოს სისუფთავის თავისებური ბაქტერიოლოგიური მაჩვენებელია.

სხეულის სხვადასხვა ნაწილის, განსაკუთრებით ადამიანის მსხვილი ნაწლავის მრავალრიცხვანი მიკროფლორა, მისთვის აუცილებელია. ნაწლავებში ლპობის პროცესის თავიდან ასაცილებლად საჭიროა საკვებში რძემჟავა პროდუქტების შეტანა, რომელიც შეიცავს რძემჟავა ბაქტერიების დიდ რაოდენობას, გამოდევნის მსხვილი ნაწლავიდან მავნე ლპობად ფლორას და ხელს უწყობს ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებას.

ბიფიდუმ ბაქტერიებს ნაწლავის ჩხირებს, ენტეროკოკებს და ნაწლავის ზოგიერთ სხვა მიკროორგანიზმებს შეუძლიათ ვიტამინ B1-ის და აგრეთვე C, K, P, PP გამომუშავებას. ადამიანი სხეულის ნორმალური მიკროფლორის სხვადასხა წარმომადგენელთა შორის არსებული თანაფარდობის დარღვევას შეუძლია ხელი შეუწყოს დაავადების განვითარებას. მაგ. ნაწლავის ჩხირის გაქრობა მსხვილი ნაწლავიდან იწვევს კოლი-ტის განვითარებას. ანტიბიოტიკების ხანგრძლივი მოქმედების შედეგად გამოწეველი მიკროფლორის შეცვლა – საფუარის მსგავსი სოკოების Candida-ს გაძლიერებულ გამრავლებას და კანდიდოზის განვითარებას და ა.შ.

დისბაქტერიოზის განვითარებისას ითრგუნებიან ნორმულ მიკროფლორაში შემავალი მიკრობები, რომლებიც არეგულირებენ მიკრობთა ბიოცენოზის შემადგენლობას, მრავლდებიან ტრანზიტული მიკროფლორის წარმომადგენელი პირობით პათოგენური მიკროორგანიზმები. მატულობს ნაწლავებში Pseudomonas, Proteus გვარის მიკროორგანიზმები, საფუარის მსგავსი სოკოების რაოდენობა, წვრილ ნაწლავებში მატულობს E. coli, სტრეპტოკოკების, კლეიბიოელების რაოდენობა. დისბაქტრიოზის დროს ირდვევა შესაბამისი სისტემის ნორმული ფუნქციონირება ქვეითდება ორგანიზმის საერთო იმუნური რეზისტენტობა.

## 06 ვაჟი

ტერმინი ინფექცია (infectio-შექრა) გულისმობს მიკროორგანიზმის შექრას და გამრავლებას მაკროორგანიზმში. მიკრობის და ორგანიზმის ურთიერთქმედება შეიძლება სხვადასხვანაირად განვითარდეს მტარებლობიდან ინფექციურ დაავადებამდე, რომელიც ინფექცური პროცესის უკიდურესი ფორმაა.

## მიკროორგანიზმის როლი ინფექციის განვითარებაში

ადამიანის ინფექციურ დაავადებებს პათოგენური მიკრობები იწვევენ. პათოგენობა გენეტიკურად განპირობებული სახეობრივი ნიშანია. ამ ტერმინში იგულისხმება მიკროორგანიზმის თვისება დამკვიდრდეს მაკროორგანიზმში, გამრავლდეს და გამოიწვიოს პათოლოგიური ცვლილებები.

პათოგენური მიკრობის გამრავლებისათვის დამახასიათებელია სპეციფიკურობა, ისინი გარკვეულ ინფექციურ დაავადებებს იწვევენ. მაგ. ქოლერის ვიბრიონი იწვევს ქოლერას, ტუბერკულოზის მიკო-ბაქტერია ტუბერკულოზს და ა.შ.

ბევრ პათოგენურ მიკრობს ახასიათებს აგრეთვე ორგანოტროპულობა. მაგ. გონორეის გამომწვევი მრავლდება მხოლოდ შარდსასქესო ორგანოების ან თვალის კონიუქტივიტის ცილინდრულ ეპითელზე. მაგრამ არიან მიკრობები, რომლებიც აზიანებენ სხ-

ვადასხვა ორგანოს და ქსოვილს – ტუბერკულოზის მიკობაქტერია, სტაფილოკოკები და სხვა.

დაავადების გამოწვევის უნარი მნიშვნელოვნად მერყეობს ერთი და იგივე პათოგენური სახეობის ფარგლებში. მოცემული სახეობის ცალკეული შტამების პათოგენობის რაოდენობრივი მახასიათებლები არათანაბარია. ამ მახასიათებელს ვირულენტობა ეწოდება. მიკრობის პათოგენობა მუდმივი სახეობრივი ნიშანია, ვირულენტობა კი სხავადასხვა შტამისათვის, იგი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

შესუსტებული ვირულენტობის მიკრობები ფართოდ გამოიყენებიან ვაქცინის დასამზადებლად. ვირულენტობის საზომია პირობითი ერთეული – ე.წ. მინიმალური სასიკვდილო დოზა ანუ მიკრობის ის მინიმალური რაოდენობა რომელიც იწვევს ცხოველის დაღუპვას ცდის მოცემული კონკრეტული პირობების დროს.

პათოგენური მიკროორგანიზმები განსხვავდებიან არაპათოგენურისაგან ნიშან-თვისებებით, რომელთაც ვირულენტობის ფაქტორები ეწოდება. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია კაფსულის წარმოქმნის უნარი. კაფსულიანი ბაქტერიები მაკროორგანიზმში უკეთ არიან დაცულები ფაგოციტების და ანტისხეულების მოქმედებისაგან.

ვირულენტობის ფაქტორებს განეკუთვნება აგრესიის ფერმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაკროორგანიზმის დამცველი ბარიერების გადალახვებს. ამ ფერმენტების აქტივობას უკავშირდება პათოგენური მიკრობის უნარი შეადწიოს მაკროორგანიზმში, გავრცელდეს ქსოვილებში, გამრავლდეს იქ და წინააღმდეგობა გაუწიოს ორგანიზმის დამცველ ძალებს, აგრესიის ფერმენტებია, პიალურონიდაზა, კოლაგენაზა, ლეციტინაზა, პლაზმოკოაგულაზა, ნეირამინიდაზა, დეზოქსირიბონუკლეაზა, ფიბრინოლიზინი და სხვა. პათოგენური მიკრობები გამოიმუშავებენ ტოქსინებს – შხამიან ნივთიერებებს, რომლებიც აზიანებენ მაკროორგანიზმის ქსოვილებს.

ტოქსინებს, რომლებიც მკვიდრად არიან დაკავშირებული მიკრობის უჯრედის სხეულთან და თავისუფლდებინ მხოლოდ მიკრობის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, ენდოტოქსინები ეწოდება, იმ ტოქსინებს კი, რომელთაც მიკრობის უჯრედი გარემოში გამოყოფს ეგზოტოქსინები ეწოდება, ეგზოტოქსინები განაპირობებს ტოქსინემიური ინფექციების (დიფტერია, ტეტანუსი, ბოტულიზმი) განვითარებას.

ეგზოტოქსინები გამოიყოფა აგრეოვე სტრეპტოკოკური და სტაფილოკოკური ინფექციების დროს.

მიკრობის მიკროორგანიზმში შეჭრის გზის მიხედვით არჩევენ ეგზოგენურ ინფექციებს, როცა დასხებოვნება ხდება გარედან (მაგ. დიზინტერია, ქოლერა, გრიპი და სხვა) და ენდოგენურ ანუ აუტოინფექციებს, რომლებიც უფრო ხშირად ადამიანის ნორმული მიკროფლორის წარმომადგენელი პირობით პათოგენური მიკროორგანიზმები იწვევენ. ასეთი ინფექციები ვითარდება ადამიანის იმუნობითოლოგიური რეზისტენტობის დაქვეითების დროს.

## 06ვექციური დაპადების დამახასიათებელი ნიშნები

ინფექციურ დაავადებას მოელი რიგი თავისებურებები ახასიათებს: გადამდებლობა – გამომწვევი მიკრობები შეიძლება დაავადებულიდან ჯანმრთელ ორგანიზმს გადაუცეს. ამის გამო ინფექციური დაავადებები ფართოდ ვრცელდება და გპიდემიისაგან პანდემიის სახესაც დებულობს. ბევრი ინფექციური დაავადება მიმდინარეობს ციკლუ-

რად, პერიოდების თანმიმდევრული მონაცემლეობით ეს პერიოდებია: ინკუბაციური – (დრო მიკრობის ორგანიზმში შეჭრიდან დაავადების პირველი ნიშნების გამომჟღავნებამდე), მას მოხდევს პროდრომული პერიოდი (რომლისთვისაც დამახასიათებელია არასპეციფიური ნიშნები – საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, ტემპერატურა). შემდეგ ვითარდება დაავადების ძირითადი კლინიკური ნიშნების გამოვლინების სტადია – აკმე. საკმაოდ სპეციფიკური სიმპტომებით (ტემპერატურა, ანთება, გამონაყარი). დროული და სწორი მკურნალობა განაპირობებს გამოჯანმრთელებას – რეკონვალესცენტრი. (ამ პერიოდში ჩდება ორგანიზმის უველა ფუქნციის აღდგენა. გამომწვევისაგან განთავისუფლება. ზოგ შემთხვევაში შეიძლება კლინიკურად გამოჯანმრთელებული პიროვნება პათოგენური მიკრობების მატარებელი დარჩეს.

არჩევენ ინფექციის წაშლილ უსიმპტომო ფორმებს, ვირუსული ინფექციები ხშირად ფარულად (ლატენტურად (მაგ. პერპეს ვირუსი) მიმდინარეობს.

მიკროორგანიზმების ლოკალიზაციის მიხედვით არჩევენ კეროვან ინფექციებს (როცა გამომწვევი ერთ ლოკალურ უბანში არის და გენერალიზებულს, როდესაც ინფექციურ პროცესში ერთვება, ორგანიზმის თითქმის ყველა ორგანო და ქსოვილი, განსაკუთრებით კი რეტიკულო – ენდოთელური სისტემის უჯრედებით მდიდარი ორგანოები (ელემნთა, დვიძლი, ძვლის ტვინი) ამ ორგანოებსა და ქსოვილებში შეიძლება პათოგენური მიკრობების და მათ მიერ გამოწვეული ანთების და დეგრენერაციული ცვლილებების აღმოჩენა. გენერალიზებული ინფექციის ასეთ ფორმას სეპტიცემია ანუ სეფსისი ეწოდება.

სეპტიცემის განსაკუთრებული ფორმაა სეპტიკოპიემია, რომელსაც ჩირქმბადი კოპები იწვევენ.

სისხლში ეგზოტოქსინის ცირკულირებას ტოქსინემია ეწოდება.

## 06 ვამცირს სახელი

ინფექციურ პრიცესს შეიძლება პქონდეს სხვადსხვანაირი გამოსავალი. ყოველთვის სიკვდილით მთავრდება, მხოლოდ ზოგი ინფექციური დაავადება (ცოფი). უმეტეს შემთხვევაში ინფექციური დაავადებები მთავრდება გამოჯანმრთელებით. არჩევენ მწვავე და ქრონიკულ ინფექციებს, მწვავე ინფექციები ხშირად ხასიათდება უეცარი დასაწყისო და შედარებით ხანმოკლე მიმდინარეობით (წითელა, ქუნორუშა, პარტახტიანი და შებრუნებითი ტიფები) ზოგი ინფექცია მაგ. ტუბერკულოზი ან ბრუცელოზი ხშირად ქრონიკული ხასიათისაა და გამოირჩევა ხანგრძლივი მიმდინარეობით.

ინფექციურ დაავადებებს ყოველთვის არა აქვთ ტიპიური მიმდინარეობა, ხშირად მას აქვს ატიპური მსგლელობა, ე.ი. არ არის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, მაგ. პარტახტიანი ტიფის დროს. სხვა შემთხვევაში დაავადება ადგილად მიმდინარეობს და აქვს ამბულატორიული ხასიათი, ცალკეულ შემთხვევაში დაავადება მიმდინარეობს ფარულად, უსიმპტომოდ და მისი აღმოჩენა ხერხდება მხოლოდ ლაბორატორიული კვლევის მეთოდებით.

ზოგჯერ ერთ დაავადებას ემატება მეორე, მაგ. წითელით დაავადებულ პავშვს ემართება დიფტერია ან პირიქით, ასეთ შემთხვევას ეწოდა მეტრეული ინფექცია, როდესაც დაავადება ერთდროულად პათოგენური მიკრობების რამდენიმე სახეობით ხდება.

გადატანილი ინფექციური დაავადების განმეორებით დასხებოვნებას რეინფექცია

ეწოდება. ეს ხდება მაგ. წითელი ქარის, გონიორეის დროს.

პირველადი ინფექციის მოსპობამდე განმეორებით დასხებოვნებას ამავე სახის მიკრობით ეწოდება სუპერინფექცია (მალარია), პროცესის გამწვავებას გამოჯანსაღების პერიოდში ეწოდება ტეციდივი (მუცლის ტიფი).

არჩევენ აგრეთვე ეგზოგენურ და ენდოგენურ ინფექციურ დაავადებებს. ეგზოგენური ინფექციის დროს გამომწვევი ორგანიზმში ხვდება გარედან. ენდოგენური დაავადება (აუტოინფექცია) ვითარდება ორგანიზმის საკუთარი ფლორის გააქტივების შედეგად, რაიმე ფაქტორის ზემოქმედების გამო: მაგ, მიკროფლორის წარმომადგენელთა შორის არსებული ნორმალური ურთიერთქმედების ან მიკროორგანიზმის შინაგანი გარემოს დარღვევის გამო დისხაქტერიოზი და ა.შ.

ადამიანის და ცხოველის ორგანიზმს და მიკრობს შორის ურთიერთობის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს ბაქტერიამატარებლობა, როდესაც ორგანიზმი მყოფი პათოგენური მიკრობი არ იწვევს დაავადებას. ბაქტერიამატარებლობას ადგილი აქვს გამოჯანმრთელებულთა (რეკონვალესცენტო) შორის. მაგ. მუცლის ტიფის გადატანის შემდეგ ცალკეული პირები თვეობით და წლობითაც კი შეიძლება იყვნენ მოცემული ინფექციისადმი იმუნური, მოზრდილი ჯანმრთელი ადამიანები, თუ ისინი ავადმყოფებოან მაგ. დიფტერიით ან მენინგიტით დაავადებულ ბავშვებოან კონტაქტში იმყოფებიან.

## 06 ვაჟციის ღყაროები და გადაცემის გზები

ინფექციის დროს (რეზერვუარს) წარმოადგენს დასხებოვნებული ადამიანი ან ცხოველი. ძირითად როლს ასრულებს ავადმყოფი, რომლის გამონაყოფი (განავალი, შარდი, ნახველი და სხვა) უამრავ მიკრობს შეიცავს. დაავადებული ადამიანი წარმოადგენს დასხებოვნების წყაროს ავადმყოფობის მთელ პერიოდში. ზოგიერთი დაავადების დროს ავადმყოფი გარშემომყოფთაოვის ინკუბაციის უკანასკნელ დღეებში ხდება დასხებოვნების წყარო (წითელა, ყივანახველა და სხვა) ზოგიერთი ინფექციური დაავადების დროს (მუცლის ტიფი, დიფტერია) ადამიანი დიდი ხნით რჩება დასხებოვნების წყაროდ, და ბაქტერიამატარებელია. ავადმყოფობის გადამდებლობა არ არის დამოკიდებული პროცესის სიმძიმეზე. მსუბუქი ფორმის დროს ე.წ. ამბულატორიული ავადმყოფი (ფეხსე მოსიარულე) განსაკუთრებით საშიშია გარშემომყოფთაოვის. მიკრობთა უფრო მცირე რაოდენობას გამოყოფენ ჯანმრთელი ბაქტერიამატარებლები, მაგრამ რადგანაც ასეთი ბაქტერიამატარებლები შეიძლება ბევრნი იყვნენ, ამიტომ ისინი ინფექციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. (ცხოველების, როგორც ინფექციის წყაროს როლი ადამიანისათვის განისაზღვრება ზოგიერთი დაავადებით, რომელთაც ზოონოზები ეწოდება. ზოონოზებს მიეკუთვნება ბრუცელოზი, ტულარემია, ქოთაო, ჯილები, შავი ჭირი, ცოფი, თურქული, ლეპტოსპიროზები, ნაწილობრივ ტუბერკულოზი. ზოონოზების დროს ძირითადი როლი მიეკუთვნება ცხოველებს, ავადმყოფი ადამიანი იშვიათად წარმოადგენს ინფექციის წყაროს.)

ცხოველებს შორის, როგორც ინფექციის წყაროს წარმოადგენს მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონელი (ბრუცელოზის, ჯილების, ტუბერკულოზის, თურქულის დროს) ცხენები (ქოთაოს დროს) ძაღლები (ცოფის დროს) მდრღნელები (შავი ჭირის, ტულარემისს, ლეპტოსპიროზების დროს) და სხვა.

ადამიანის მიერ ინფექციის გადაცემა სხვადასხვა გზით ხდება.

- კონტაქტურ-ყოფაცხოვრებითი გზა.** დაავადება გადაეცემა უშუალოდ კონტაქტით (ავადმყოფის მოვლა, კოცნა) გადაცემა სქესობრივ გზით ან ავადმყოფის საგნებიდან (ავეჯი, ოეთრეული, სათამაშოები და სხვა)
  - ჰაერით გადაცემა.** ინფექცია ჰაერით გადაეცემა ლაპარაკის, დაცემინების, ხელე-ვის შედეგად გამოყოფილი უმცირესი წვეოებით, რომელთაც შეისუნოქავს ჯან-მრთელი ადამიანი. დაავადების ამ გზას ეწოდება ჰაერ-წვეოვანი. ამ გზით ხდება დასხებოვნება ტუბერკულოზით, გრიპით, ყივანახველით, დიფტერიით, წი-ო-თელათი, ქუნორუშით, ყვავილით და სხვა).
- სხვა შემთხვევაში (გადაცემა ხდება ჰაერ-მტგვეროვანი გზით, მაგ. ტუბერკულოზის ჩირქმბადი ინფექციის დროს, ამ ინფექციის აღმძვრელები უძლებენ გამოშრობას და დიდხანს რჩებიან შენობის მტგვერსა და ჰაერში).
- მნიუქციის გადაცემა წყლით** იმ შემთხვევაში ხდება, როცა ორგანიზმიდან გამოყოფილი მიკრობები (შარდოან და განავალოან) მოხვდება წყალში. ამ გზით ხდება ქოლერის, მუცლის ტიფის, დიზენტერიის და სხვა დაავადებათა გადაცემა.
  - მნიუქციის გადაცემა რძისა და საჭვები პროდუქტებით** (დასხებოვნების ალიმენტური გზა) ხდება მაშინ, როცა დაავადების გამომწვევი სისხლში იმყოფება. მაგ. აღმძვრელის გადაცემა მალარიის დროს კოდო Anopheles-ის მიერ. პარტახტიანი და შებრუნებითი ტიფის დროს ტილებით. გადაცემის ამ გზას ტრანსმისიული ეწოდება.
  - მნიუქციის გადაცემა ნიადაგიდან,** მაგ. ტეტანუსის დროს.

ადამიანის დასხებოვნება ცხოველებისაგან სხვადასხვა გზით ხდება. მაგ. დაავადებული ცხოველის მოვლით, ტყავის და ხორცის დამუშავებით (ჯილები, ბრუცელოზი, ტულარემია) დაავადებული ცხოველის რძით (ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, ოურქული) ან ხორცით (კვებითი ტოქსიკონფექციებით) ცხოველთა კბენით (ცოფი) ინფექციის გადაცემა შეიძლება მოხდეს ცხოველებიდან ნიადაგის, წყლის და პროდუქტების საშუალებით) თუ ის დაბინძურებულია ცხოველთა ლეშით ან (ავადმყოფი ცხოველის გამონაყოფით (ბრუცელოზი, ჯილები, ტულარემია, ლეპტოსპიროზი) ადამიანის დასმებოვნება ხდება ტრანსმისიული გზითაც: რწყილებით დასხებოვნება ხდება შავი ჭირის დროს, ტკიპებს გადააქვთ ინფექცია მდრღელებიდან ენცეფალიტის, რიკეტიოზების, შებრუნებითი ტიფის და სხვა დაავადებების დროს).

ინფექციურ დაავადებათა გადამტანებს ინფექცია გადააქვთ მექანიკურად ან ასრულებენ აქტიურ როლს, როცა მათ ორგანიზმში წარმოებს დაავადებათა გამომწვევის გამრავლება ან მისი განვითარების ციკლი. მაგ, ბუზები, რომლებსაც დასხებოვნებული მასალა ფეხებით გადააქვთ, წარმოადგენენ ინფექციის მექანიკურ გადამტანებს. პარტახტიანი ტიფის გამომწვევი, ტილის სხეულში მოხვედრისას ინტენსიურად მრავლდება მასში, რის შედეგადაც ტილი რჩება დამასხებოვნებოვნებელი მოელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, კიდევ უფრო აქტიურ როლს ასრულებენ ტკიპები, რადგან გარდა სხეულში მიკრობების გამრავლებისა, მათ უნარი აქვთ, გადასცენ ეს მიკრობები შოამომავლობას. ინფექციის გადამტანი ფეხსახსრიანები ასრულებენ არა მარტო გადამტანის როლს, არამედ წარმოადგენენ ბუნებაში ვირუსის რეზერვუარს. ინფექცია მემკვიდრეობით არ გადაეცემა, ზოგი დაავდების (ათაშანვი, მალარია) დროს ინფექციის გადაცემა დედიდან შვილზე ხდება პლაცენტური (ნაყოფად ყოფნის) გზით.

## 06 ფესტივალ დაკადებათა გამოცელების ფორმები

ინფექციურ დაავადებათა გამოცელების ხასიათი მოსახლეობაში სხვადსხვაგვარია. უფრო ხშირად ინფექციურ დაავადებებს ვხვდებით ცალკეული გაფანტული შემთხვევების სახით, რომელთაც სპორადული ეწოდება. ინფექციურ დაავადებათა დიდი რაოდენობით წარმოქმნას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო წყაროთი ან გამოცელების საერთო გზებით, ეწოდება ეპიდემია.

როდესაც ეპიდემია მეტისმეტად ფართოდ ვრცელდება და ედება მთელ ქვეყნებსა და კონტინენტებსაც კი მას ეწოდება პანდემია.

არსებობს ინფექციურ დაავადებათა გამოცელების კიდევ ერთი ფორმა – ენდემია, რომელშიც იგულისხმება რაიმე ინფექციის ხანგრძლივი არსებობა მოცემულ ადგილზე, რაც გამოწვეულია იმით, რომ ინფექციის წყარო ან მისი გადამტანი აქ პოულობს მისოვის ხელსაყრელ პირობებს. (მაგ, მალარია).

ინფექციურ დაავადებათა წარმოქმნის მიზეზებისა და გამოცელების ცოდნა ზოგი ინფექციის ლიკვიდაციის, ხოლო სხვების მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობას იძლევა.

ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ღონისძიებებს დასახლებული პუნქტების სანიტარული კეთილმოწყობა, წყალსაცავთა დაცვა, საკვებ პროდუქტებზე სანიტარული ზედამხედველობა, ადრეული დიაგნოსტიკა, ავადმყოფთა სწრაფი იზოლაცია და პოსპიტალიზაცია. გარშემომყოფ პირთა გამოკვლევა ბაქტერიამატარებლობაზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს შენობის დეზინფექციას, (ინფექციის გადამტანი მწერების მოსპობა) დერატიზაციას (მღრღნელების მოსპობა) აგრეთვე მოსახლეობის ხელოვნური იმუნიზაცია ვაქცინებით, ბაქტერიოფაგის გამოყენება. მრავალი საკითხი, რომელიც ეხება ცალკეული პათოგენური მიკრობების ეტიოლოგიას, ინფექციური პროცესების ხასიათს. მათი მკურნალობის მეთოდების და პროფილაქტიკის შესწავლას, გადაჭრილი იქნა მიკრობიოლოგიაში ფართოდ გამოყენებული ბიოლოგიური მეთოდით – ლაბორატორიული ცხოველების ექსპერიმენტული დასწრებულებით.

## 06 ფესტივალი დაკადებების მკურნალობისა და პროცედატიკისათვის ბამოყვენებული სამედიცინო გილოზიტი პრეპარატები

ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის (უფრო იშვიათად მკურნალობის) მიზნით აქტიური ხელოვნური იმუნიტეტის გამოსამუშავებლად იყენებენ ვაქცინებს და ანატოქსინებს. პასიური იმუნიზაციისათვის კი იყენებენ იმუნურ შრატებს (ანტიბაქტერიულს, ანტიტენიურს, ანტივირუსულს) ან იმუნოგლობულინებს – ამ შრატებიდან მიღებულ ქტიურ ფრაქციებს.

ვაქცინები – აქტიური იმუნიტეტის გამოსამუშავებელი პრეპარატებია, არჩევენ ცოცხალ, დახოცილ და ქიმიურ ვაქცინებს.

ცოცხალი ვაქცინები მიკროორგანიზმთა ისეთი შტამებია, რომლებიც ვერ იწვევენ სპეციფიკურ დაავადებებს, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ ორგანიზმში გამრავლების და შესაბამისი იმუნიტეტის ფორმირების უნარი.

საგაქციო შტამები მიიღება გადარჩევის (სელექციის) ცხოველთა ორგანიზმი ხან-გრძლივი პასირების, გენეტიკური რეკომბინაციების გზით ვირულენტობის მიზანმი-მართული შეცვლის მეთოდებით.

ცოცხალ ვაქცინებს მოელი რიგი უპირატესობა აქვთ სხვა სახის ვაქცინებთან შე-დარწებით იმის გამო რომ ორგანიზმი მათ შეყვანას მოჰყვება მიკროორგანიზმის გამ-რავლება და უსიმპტომო ვაქცინური ინფექციის განვითარება. ცოცხალი ვაქცინების უმეტესობას სიცოცხლის უნარიანობის და სტაბილური თვისებების შენარჩუნების მიზნით მშრალი სახით უშვებენ.

დახოცილი ვაქცინები შეიცავენ ინაქტივირებულ მიკრობებს. დახოცილ ვაქცინებს ამზადებენ მაღალპათოგენური სრულყოფილი ანტიგენური სტრუქტურის შტამიდან. ინაქტივირება ისე უნდა ჩატარდეს, რომ მოელი მიკრობული მასა დაიხოცოს და მინიმალურად დაზარალდეს მათი ანტიგენური თვისებები. მიკრობების დასახოცად შეიძლება ტემპერატურის, ფორმალინის, ფენოლის, სპირტების, აცეტონის გამოყენება. დახოცილი ვაქცინების უპირატესობად მათი მიღების სიმარტივე და შენახვის ხან-გრძლივი ვადები. მათი ნაკლია შედარებით სუსტი იმუნოგენობა, იმუნიტეტი ნაკლებ მდგრადია. დახოცილი ვაქცინები გამოიყენება ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებების სამკურნალოდაც (ვაქცინოთერაპიისათვის).

(აუტოვაქცინა – ავადმყოფისაგან გამოყოფილი შტამებით მზადდება). ქიმიურ ვაქცინებს უწოდებენ პრეპარატებს, რომლებიც შეიცავენ მიკრობის უჯრედიდან სხ-ვადასხვა მეოთვით, გამოყოფილ იმუნოლოგიურად ყველაზე აქტიურ ანტიგენებს, ქი-მიური ვაქცინების უპირატესობებია მაღალი აქტიურობა. ნაკლები რეაქტორების შესაძლებლობა, სტაბილურობა, სტანდარტიზების და ზუსტი დოზირების შესაძლებლობა. მათი ერთ-ერთი ნაკლია ორგანიზმი შეყვანილი კომპლექსების მცირე ზომები, რის გამოც ან-ტიგენური გადიზიანება ხანმოკლეა. ამიტომ ისინი ორგანიზმი შეყავთ ადიუვანტოან ( დამსარე) ერთად, რომლებიც ზრდიან ვაქცინის ეფექტურობას.

ანატოქსინები (ana- მსგავსად toxo – შხამი) ბაქტერიული ეგზოტოქსინებიდან მიღე-ბული პრეპარატებია, რომელთაც დაკარგული აქვთ ტოქსიკური თვისებები და შენარ-ჩუნებული აქვთ იმუნოგენობა. პრეპარატებს, რომლებიც შეიცავენ ერთი ინფექციის გამომწვევის რამდენიმე სახესხვაობას ან სეროლოგიურ ვარიანტს, პოლივალენტური ვაქცინები ეწოდებათ. (AKDC).

## 08 განური შრატები

ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის და მკურნალობისათვის იყენებენ ხე-ლოვნურად იმუნიზებული ცხოველების (უმეტესად ცხენების) შრატს. სამკურნალოდ იყენებენ აგრეთვე ადამიანის იმუნურ შრატს. იმუნური შრატის ორგანიზმი შეყვანით ყალიბდება პასიური იმუნიტეტი შეყვანისთანავე, მაგრამ პეტეროგენურ-იმუნური შრატებით ჩამოყალიბებული იმუნიტეტი ხანმოკლეა (2-3 კვირა) რაც დამოკიდებულია ორგანიზმი ცილების დაშლის ბუნებრივ პროცესთან და მათ მიმართ ორგანიზმი გამომუშავებული ანტისხეულების მოქმედებასთან. თუ შრატი პომოლოგიურია (ე.ი. ადამიანისაა) შეყვანილი იმუნოგლობულინები სისხლში 4-5 კვირას რჩება.

ანატოქსინურ შრატებს (დიფთერიის, ბოტულიზმის, ტებანუსის, აიროვანი განგრენის საწინააღმდეგოდ) იღებენ ჯერ ანატოქსინის მზარდი დოზებით, შემდეგ კი ტოქსინით ცხენების იმუნიზაციის გზით. გაწმენდის შემდეგ ადგენენ შრატის ტიტრს: 1 მლ პრე-პარატში ანტიტოქსინის შემცველობას.

ანტიბაქტერიულ შრატებს იდებენ დახოცილი მიკრობებით ცხოველის პიპერიმუნიზაციის გზით. ანტიბაქტერიული შრატები ნაკლებად ეფექტურია და ფართოდ არ გამოიყენება. ასევე მიიღება ანტივირუსული შრატებიც.

პომოლოგიურ იმუნოგლობულინებს იდებენ ადამიანის სისხლიდან. ისინი არარეაქტოგენულები არიან და სისხლში უფრო ხანგრძლივად ცირკულირებენ. პეტეროგენული შრატის გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს გართულება ანაფილაქსიური შოკის ან შრატის დაავადების სახით.

## გამაგლობულინი

გამაგლობულინი (ადამიანის ან ცხოველის) სისხლის შრატის ცილების გამა-ფრაქციისაგან მიღებული პრეპარატია. ანტისხეულები სისხლის შრატის გამა-ფრაქციაში უფრო დიდი რაოდენობითაა ვიდრე დანარჩენ ფრაქციებში.

პროფილაქტიკის მიზნით გამაგლობულინი გამოიყენება მაგ: წითელას, პოლიომიელიტის და ინფექციური პეპატიტის წინააღმდეგ.

ცხოველური გამაგლობულინი გამოიყენება, როგორც პროფილაქტიკური ასევე მკურნალობის მიზნითაც.

## ორგანიზმის იმუნური სისტემა

კორგანიზმის იმუნური სისტემა ისეთივე ანატომიურ-ფიზიოლოგიური ერთეულია როგორც სხვა ორგანოთა სისტემები (საჭმლის მომნელებელი, სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა და სხვა.) იმუნურ სისტემის ფუნქციას შეადგენს თრგანიზმის შინაგანი გარემოს დაცვა უცხო გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი ნივთიერების ან ცოცხალი სტრუქტურებისაგან. (უცხო ცილა ან მიკროორგანიზმები). იმუნური სისტემა შედგება ცენტრალური და პერიფერიული ორგანოებისგან. ცენტრალური ორგანოებია: მკერდუკანა ჯირკვალი თიმუსი და ძვლის ტვინი. (ძუძუმწოვრებში და ფრინველებში ფაბრიციუსის ჩანთა). ცენტრალურ თრგანოებში ხდება იმუნოკომპეტენტური უჯრედების მომწიფება. თიმუსში მომწიფებული უჯრედები ცნობილია როგორც T-ლიმფოციტები. ძვლის ტვინში მომწიფებული B-ლიმფოციტები (Bone marrow). T-ლიმფოციტები განაპირობებენ უჯრედულ იმუნიტეტს ხოლო B-ლიმფოციტები პუმორულს (Humor-სითხე) ანუ ანტისხეულებით განპირობებულ იმუნიტეტს. (მაგ: დიფტერიის დროს წამყვანია პუმორული, ტუბერკულიოზის დროს უჯრედული.)

პერიფერიული ორგანოებია: ლიმფური კვანძები (მაგ: იდლიის, საზარდულის, კისრის, მუხლქვეშა, ელენთაში მორციკულირე ლიმფოციტები. პერიფერიულ ორგანოებში ადგილი აქვს იმუნურ რეაქციებს. T და B - ლიმფოციტს ერთმანეთისგან არჩევენ ზედაპირული რეცეპტორების და ანტიგენების მიხედვით. T-ლიმფოციტები შეიცავენ რეცეპტორებს ცხვრის ერთოროციტების მიმართ, ლიმფოციტების და ცხვრის ერთოროციტების სუნსპენზიის შერევა იძლევა როზეტის მსგავს წარმონაქმნის. ამ რეაქციას ეწოდება სპონტანური. როზეტის წარმონაქმნის რეაქცია T-ლიმფოციტებისაგან განსხვავებით B-ლიმფოციტები შეიცავენ რეცეპტორს კომპლექტის მესამე კომპონენტის მიმართ C<sub>3</sub>b. ამ რეცეპტორის აღმოსაჩენად წინასწარ ამზადებენ კომპლექსს, რომელიც შედგება ზღვის გოჭის ან მსხვილი რქოსანი საქონლის ერთოროციტებისაგან შემდეგ მისი საწინააღმდეგო ანტისხეულებისაგან და კომპლექტისაგან. ცეს კომპლექტი ჯდება B ლიმფოციტის ზედაპირზე და ამ შემთხვევაში გვაქვს კომპლექტარული როზეტის წარმოქმნის რეაქცია.

იმუნური სისტემის მუშაობა ფასდება მისი რეაქციით ანტიგენზე. ანტიგენი არის ის უცხო გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი ნივთიერება ან ცოცხალი სტრუქტურა, რომელიც ოგანიზმში შეყვანისას იძლევა იმუნურ რეაქციას. ანტიგენი ხასიათდება სპეციფიკურობით, რაც შემდეგია 1-სახეობრივი, 2-ჯგუფური, 3-სტადიოსპეციფიკურობა, 4-ფუნქციური, 5-პათოლოგიური.

1-სახეობრივი - არის ის სპეციფიკურობა რომელიც ახასიათდებს მთელ სისტემას. სახეობრივი სპეციფიკურობის მატარებელია ცილები. ცილის სახეობის დადგენა ხდება იმუნური რეაქციით (პრეციპიტაციის რეაქცია.)

2-ჯგუფური - სპეციფიკურობა არის სახეობის წარმომადგენელთა გარკვეული ჯგუფის საერთო სპეციფიკურობა. მაგ. ABO სისტემის ანტიგენები, რომელთა მიხედვით კაცობრიობა იყოფა 4-ჯგუფად.

3-სტადიოსპეციფიკურობა ნიშნავს ორგანიზმის განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურობას. (მაგ. ემბრიონის დვიძლი გამოიმუშავებს α-გლობულინს, პოსტნატალურ პერიოდში დვიძლი გადაიროვება γ-გლობულინის სინთეზე).

4-ფუნქციური სპეციფიკურობა დამახასიათებელია სხვადასხვა ფუნქციის მქონე ნაეროებისათვის. (მაგ. ალბუმინები და გლობულინები. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ანტიგენურად. გლობულინის ფუნქციას შეადგენს ორგანიზმის დაცვა ინფექციების და სხვა ანტიგენებისაგან. ხოლო ალბუმინები განსაზღვრავენ ჰემოდინამიკას (სისხლის მიმოქცევა).

5-პათოლოგიური სპეციფიკურობა დამახასიათებელია დაზიანებული უჯრედების და ქსოვილებისათვის. (მაგ. სიმსივნური ანტიგენები და ე.წ. დამწვრობის ანტიგენები.)

ანტიგენის სპეციფიკურობას განსაზღვრავს დეტერმინანტული ჯგუფი, რომელსაც ეძახიან ეპიტოპს. (არის ანტიგენის ზედაპირზე). ანტიგენური ოვისება გააჩნია მაღალ-მოლეკულურ ნაეროებს (პოლისაქარიდებს). ლიპოპოლისაქარიდებს (ცხიმი და ნახშირწყლის ნაერთი) ანტიგენი არის ცილოვანი ნივთიერება.

ჰაპტენები ანუ არასრული ანტიგენები, რომელთაც უშუალოდ არ გააჩნიათ იმუნური რეაქციის გამოწვევის უნარი, მაგრამ ცილოვან ნივთიერებებთან კავშირში იძენენ ამ უნარს.

ანტისხეული - ეს არის ნივთიერება, რომელიც გამომუშავდება ანტიგენის საპასუხოდ. ანტიგენის სუბსტრატს შეადგენენ იმუნოგლობულინები. ანტიგენი შეიძლება იყოს კოლოიდურ და კორპუსკულურ მდგრადირებით.

იმუნოგლობულინი შედგება მძიმე ჯაჭვისა E და 2 მსუბუქი ჯაჭვისაგან, რომელიც ქმნის 1 მონომერს. მძიმე ჯაჭვი აღინიშნება H (ინგლ. Heavy-მძიმე). მსუბუქი ჯაჭვი აღინიშნება L (Light-მსუბუქი). ორივე ჯაჭვს აქვს 2 რეგიონი ვარიაბელური (სადაც ხშირია ცვლილებები) და კონსტანტური (მუდმივი). ვარიაბელურ რეგიონში ამინომჟავების შემადგენლობა იცვლება ხშირად, ხოლო კონსტანტურში ის შედარებით მუდმივია. ემსუბუქი ჯაჭვის კავშირი მძიმე ჯაჭვას ქმნის მონომერს.

იმუნოგლობულინებს ახასიათებთ აფინიტეტი და ავიდიტეტი. აფინიტეტი მიუთითებს ანტიგენის 1 დეტერმინანტის და ანტისხეულის 1 საიტის სიმჭიდროვეზე.

ავიდიტეტი არის ბევრი დეტერმინანტა.

იმუნოგლობულინი E დიდ როლს თამაშობს ალერგიებში (მომატებული რაოდენობა). იმუნოგლობულინი A არის ადგილობრივი იმუნიტეტის ფაქტორი. განსაკუთრებით მისი სეკრეტორული ფორმა. (პირველად ბაქტერია პირის დრუში უკავშირდება ლორწოვანიდან იმუნოგლობულინ A-ს.)

ადამიანის ან ცხოველების ორგანიზმის არიაქტიულობას გარკვეული ანტიგენის მიმართ, რომელიც სხვა ორგანიზმში და სხვა პირობებში იწვევს იმუნურ პასუხს, იმუნური ტოლერანტობა ეწოდება.

## იმუნიტეტის სახეები

არჩევენ ორი ძირითადი სახის იმუნიტეტს – მემკვიდრეობითს და შეძენილს. მემკვიდრეობითი (სახეობრივი) იმუნიტეტი გენეტიკურად არის დეტერმინირებული, როგორც აუთვისებლობა გარკვეული სახის მიკროორგანიზმების მიმართ.

შეძენილი იმუნიტეტი ყალიბდება ინფექციური დაავადებების გადატანის (ბუნებრივი შეძენილი იმუნიტეტი) ან აცრის (ხელოვნური შეძენილი იმუნიტეტი) შედეგდ. სახეობრივისგან განსხვავებით შეძენილი იმუნიტეტი მემკვიდრეობით არ გადაეცემა. შეძენილი იმუნიტეტი შეიძლება იყოს აქტიური და პასიური.

აქტიური შეძენილი იმუნიტეტი ყალიბდება ინფექციური დაავადების გადატანის (ბუნებრივად) ან ვაქცინების (ხელოვნურად) შედეგად და შედარებით მდგარადია. ზოგიერთი ინფექციური დაავადების (მაგ: წითელა, ყივანახველა, ყვავილი) გადატანის შემდეგ იმუნიტეტი თითქმის მოელი სიცოცხლის განმავლობაში რჩება. ისახიური შეძენილი იმუნიტეტი შეიძლება ჩამოყალიბდეს ბუნებრივად, როცა ანტისხეულები დედიდან შვილს გადაეცემა პლაცენტის საშუალებით (ახალშობილი დაახლოებით 6 თვე იმუნურია ზოგიერთი დაავადების მიმართ). ხელოვნური პასიურად შეძენილი იმუნიტეტი ყალიბდება ორგანიზმში იმუნური შრატის ან იმუნოგლობულინის შეფვანის შედეგად და სანმოკლეა (3-4 კვირა).

არჩევენ ანტიბაქტერიულ, ანტიტოქსინურ, ანტივირუსულ და ტრანსპლანტაციურ იმუნიტეტს. ორგანიზმის დამცველი ძალები მიმართულია ბაქტერიების წინააღმდეგ, მათი გამრავლების დასათროგუნავად (ანტიბაქტერიული იმუნიტეტი) მიკრობთა ეგზოტოქსინების გასანეიტრალებად ანტისხეულებით ან ანტიტოქსინებით (ანტიტოქსინური იმუნიტეტი) ან ვიროონის გასანეიტრალებლად ანტივირუსულ ანტისხეულებით (ანტივირუსული იმუნიტეტი) ორგანიზმის იმუნური დაცვა სრულყოფილად ვლინდება ტრანსპლანტაციის დროს და ქსოვილთა შეუთავსებლობის მთავარი მიზეზია.

შეძენილი იმუნიტეტი შეიძლება იყოს სტერილური და არასტერილური. სტერილური იმუნიტეტის შემთხვევაში ორგანიზმი განთავისუფლებულია დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმებისაგან. არასტერილური ანუ ინფექციური იმუნიტეტი კი განპირობებულია ორგანიზმში დარჩენილი მიკრობებით

## ორგანიზმის პუნქტორივი რეზისტრაციის განმაპირობებელი ვაკტორები და მიქანიზმები

უჯრედის არეაქტიულობა - სახეობრივი იმუნიტეტის მთავარი ფაქტორი განპირობებულია იმით, რომ ორგანიზმში არ მოიპოვება მოცემული ინფექციის მიმართ მგრძნობიარე უჯრედები.

დაუზიანებელი კანი და ლორწოვანი გარსები თრგანიზმს იცავენ ბაქტერიების და ვირუსების შეჭრისგან. ისინი წარმოადგენენ არა მარტო მექანიკურ ბარიერს, არამედ იწვევენ ზოგიერთი მიკრობის დაღუპვას (ოფლის მჟავე რეაქციის, ნორმალური მიკროფლორის ანტიგონისტური მოქმედების გამო) ლორწოვანი გარსები გამოყოფენ მუკოლიზურ ფერმენტს ლიზოციმს, რომელიც იწვევს ბაქტერიების (ძირითადად გრამდაღებითებისას) უჯრედის კედლის ლიზისს. ლიზოციმს შეიცავს ნერწყვი, თვალის კონუქტივიტის ცეკვები, მაკრიფაგები, ნაწლავების ლორწო.

ადამიანის ქსოვილები შეიცავს სხვადასხვა ინპიბიტორებს, რომლებიც თრგუნავენ ბაქტერიების ფერმენტულ აქტივობას. სახეობრივი იმუნიტეტის ჰუმორულ ფაქტორებს განეცუთვნება ლეიკინები თერმოსტაბილური ნივთიერებები, რომლებიც თავისუფლდება ლეიკოციტების დაშლისას. მათ ახასიათებთ ბაქტერიოლუციიდული აქტივობა. ბუნებრივ რეზისტენტობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს კომპლემენტი - ფერმენტული თვისებების მქონე შრატის ცილების რთული სისტემა, რომელიც შედგება 11 ფრაქციისაგან. ბაქტერიოლუციიდული თვისებები კომპლემენტს შედარებით სუსტად აქვს გამოხატული, მაგრამ აძლიერებს ორგანიზმის დამცველ ფაქტორებს, იწვევს ფაგოციტოზის აქტივობას და მონაწილეობს იმუნიტეტის სპეციფიკურ რეაქციებში (კომპლემენტის შებოჭვა, ბაქტერიოლუციზის რეაქციები) კომპლემენტის ძირითადი თვისებაა ანტისხეულებით სენსიბილიზებულ უჯრედების ლიზისის და ანტიგენიანტისხეულის კომპლექსზე ადსორბირების უნარი.

ანთება და ფაგოციტოზი ორგანიზმის დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ლიმფურ სადინარებში, ფილტვებში ძვლის ტვინში და სისხლის ნაკადში მოხვედრილი მიკროორგანიზმები შთანთქმებიან ფაგოციტების მიერ. ფაგოციტოზის უნარი გააჩნია პოლიმორფულბირთვიან ლეიკოციტებს, მონოციტებს (მაკროფაგებს) და რეაქტიული ენდოთელური სისტემის ფიქსირებულ მაკროფაგებს. ბევრი მიკროორგანიზმი გამოიმუშავებს ნივთიერებებს, რომლებიც იწვევენ ფაგოციტების ქემოქტაქსის, ქერმოტაქსისის დარღვევას შეიძლება მოჰყვეს გარკვეული ინფექციების მიმართ მიმღებლობის მატება, ფაგოციტოზი შეიძლება მიმდინარეობდეს შრატში სპეციფიკური ანტისხეულების არ არსებობის დროს, მაგრამ ანტისხეულების (ოფსინების) თანაარსებობის შემთხვევაში პროცესი კიდევ უფრო აქტიურდება. ოფსონები უკავშირდება მიკრობის უჯრედს და აადვილებს მის შთანთქმას ფაგოციტის მიერ.

ქსოვილებში მიკროორგანიზმების ჩანერგვას და გამრავლებას მოჰყვება ანთებითი რეაქციის განვითარება, ანთება იწყება არტერიოლების და კაპილარების გაფართოებით და პლაზმის გამოსვლით. დაზიანების კერაში გროვდება შეშუპების სითხე, შედედებული ფიბრინი კი ახშობს ლიმფურ სადინარებს და ზღუდავს მიკროორგანიზმების გავრცელებას. პოლიმორფულბირთვიანი ლეიკოციტები მიგრირებენ კაპილარებიდან გამდიზიანებელი აგენტის მიმართულებით. მიგრაციის მიზეზია ანთების კერაში წარმოქმნილი ქიმიური ნივთიერებებით სტიმულაცია (ქემოტაქსისი) ფაგოციტები შთანთქმავენ მიკროორგანიზმებს, რის შედეგადაც იწყება მათი უჯრედშიდა მონელება. ანთების კერაში მჟავე რეაქციის წარმოქმნისთანავე იწყება ლეიკოციტების გავრცელება.

ის ლიზისი უჯრედული პროტეაზების მიერ. ამ უბანში ჩნდებიან მსხვილი ერთბირთვიანი მაკროფაგები, რომლებიც თავის მხრივ შთანთქავენ ლეიკოციტების ფრაგმენტებს და მიკროორგანიზმებს, რითაც ხელს უწყობენ ანთების ლოკალური პროცესის დასრულებას.

მრავალი მწვავე ინფექციის დროს ცხელება თავისთვად არ წარმოადგენს დამცველ მექანიზმს და მისი დათრგუნვა არ ახდენს არახელსაყრელ გავლენას დაავადების მიმდინარეობასა და გამოსავალზე. ცხელება ანთებითი რეაქციების ყველაზე ხშირი ზოგადი გამოვლინება და ინფექციური დაავადების წამყვანი სიმპტომია. ჰორგანიზმის ტემპერატურა რეგულირდება ჰიპოთალამუსში მოთავსებული თერმორეგულაციის ცენტრების მიერ. ამ ცენტრებზე უმუალო და მექანიკურ ზემოქმედებას მოჰყვება ტემპერატურის მატება. ცხელების გამოწვევა შეუძლიათ ბაქტერიების ენდოტოქსინებს და ნორმულ ლეიკოციტებს, განსაკუთრებით გრანულოციტებს, ექსტრაქტებს.

## ანტივირუსული იმუნიტეტი

ანტივირუსულ იმუნიტეტში მონაწილეობენ როგორც სპეციფიკური, ისე არასპეციფიკური ფაქტორები. არასპეციფიკურ ფაქტორებს განეკუთვნებიან ვირუსის ინკიბიტორები და ინტერფერონი (ინტერფერონი 1957წ. აღმოაჩინეს აიზექსმა და ლინდგ-მანმა).

ინკიბიტორები მოიპოვება სისხლის პლაზმაში, სეკრეტებში, ქსოვილებში და მოქმედებენ როგორც დნმ-ის, ისე რნმ-ის შემცვლელ ვირუსებზე. არჩევენ თერმოსტაბილურ, ანუ β-ინკიბიტორებს, თერმოლაბილურ, ანუ α-ინკიბიტორებს და მაღალ თერმოსტაბილურ, ანუ χ-ინკიბიტორებს.

ვირუსის ინკიბიტორების და ანტისეულების მოქმედების მექანიზმი ერთმანეთის მსგავსია. ვირუსთან ურთიერთქმედებისას ინკიბიტორები უკავშირდებიან ვირიონის ზედაპირს, იწვევენ მის ბლოკირებას და ვირუსი კარგავს მგრძნობიარე უჯრედთან დაკავშირების უნარს.

ინტერფერონის ძირითადი ოვისებაა სახეობრივი სპეციფიკურობა, რეზისტენტობა ვირუსგამანეიტრალებელი ანტისეულების მიმართ, რეზისტენტობა მუვე არისადმი, მგრძნობელობა პროტეოლიზური უერმენტების მიმართ, სხვადასხვა სახეობის ვირუსის გამრავლების დათრგუნვის უნარი. ინტერფერონი იშლება 56° გრადუს-С-ზე.

ზოგიერთი ვირუსისგან თრგანიზმის დაცვაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურულ ფაქტორს. ვირუსის ჩანერგვის ადგილზე წარმოქმნილ ანთების კერაში მატულობს ტემპერატურა, ვითარდება აციდოზი და ჰიპოექსია, რაც დამდუპვლად მოქმედებს ვირუსზე.

ვირუსის გამანეიტრალებელი ანტისეულები, T-ლიმფოციტები და მაკროფაგები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ვირუსის საწინააღმდეგო იმუნიტეტში. სპეციფიკურ ანტისეულებობა ურთიერთქმედების დროს ხდება ვირუსის ზედაპირზე ანტისეულების ადსორბცია და ვირუსის რეცეპტორების ბლოკირება. ასეთ ვირუსს აღარ შეუძლია მგრძნობიარე უჯრედზე ადსორბცია, მასში შეჭრა და გამრავლება. ე.ი ვირუსი ნეიტრალიზებულია. ანტივირუსული სპეციფიკური ჰუმორული ფაქტორებია G, M და A კლასის იმუნოლობულინები. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სეკრეტულ იმუნოგლობულინებს.

შეძენილი ანტივირუსული იმუნიტეტის ჩამოყალიბებაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს უჯრედულ იმუნიტეტს: სენსიბილიზებული T-ლიმფოციტები შლიან ვირუსით ინფიცირებულ უჯრედებს. ასეთი ლიმფოციტები ვირუსთან ურთიერთქმედებისას გამოყოფენ ლიმფოტოქსინს, რომელიც შლის ვირუსით ინფიცირებულ უჯრედებს, ხოლო სენსიბილიზებული მაკროფაგები ასეთ უჯრედებს შთანთქავენ.

## 08 უნიტი კომალექსის დააპარებები.

ანტისეულებით განპირობებული ჰიპერსენსიბილობის ზოგიერთი რეაქცია ვითარდება ანტიგენ ანტისეულის ხსნადი კომპლექსების წარმოქმნის გამო. მთელი რიგი დაავადებები აღმოცენდება იმუნური კომპლექსების ქსოვილებში დაგროვების შედეგად, რაც ამ უკანასკნელთა დაზიანების მიზეზი ხდება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ანტიგენის აღმოჩენა

იშვიათად ხერხდება. ასეთი დაავადების მაგალითია რევმატოიდული ართრიტი და გლამერულონეფრიტი. მოცირკულირე იმუნური კომპლექსები ბევრი დაავადების დროს აღმოჩნდება სისხლში, ვირუსებით და პარაზიტებით გამოწვეული ინფექციებიდან აუტოიმუნურ დაავადებებიამდე. ამჟამად ჰიპერსენსიბილობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია სხვადასხვა სამკურნალო საშუალება (მაგ: ატიბიოტიკები).

უჯრედული ჰიპერსენსიბილობის რეაქციები ვითარდება ანტიგენთან კონტაქტიდან 1–3 დღის შემდეგ. მათი გადაცემა შეიძლება არა მარტო შრატით არამედ ლიმფოციტებით. რეაქცია გამოვლინდება ანთების სახით, რომელსაც თან ერთვის მონოციტური ინფილტრაცია.

შენელებული ტიპის ჰიპერსენსიბილობის განვითარებას ხელს უწყობს უჯრედების ზედაპირზე ფიქსირებული ან ლიპიდებთან შერეული ანტიგენის მცირე დოზების შეევანა. ასეთ ლიპიდებს ადიუვანტები ეწოდება.

## 09 უნიტეტის რეაქციები

ანტისეულების ანტიგენთან ურთიერთქმედებას იმუნური რეაქცია ეწოდება. ხოლო რამდენადაც ანტისეულები სისხლის შრატში მოიპოვებიან, ამ რეაქციებს სეროლოგიურ რეაქციებსაც უწოდებენ (serum-შრატი) თუ ანტიგენს უჯრედული აგებულება აქვს (ბაქტერიის უჯრედები, უცხო ერითროციტები და სხვა უჯრედები) ვითარდება აგლუტინაციის ფენომენი, ხილულ ნალექს მარცვლოვანი ან ფიფქოვანი სტრუქტურა აქვს. თუ ანტიგენი მაღალდისპერსიული სტრუქტურისა (ცილები, პოლისაქარიდები) მიიღება გამსხვილებული ხილული ნაწილაკები. ადგილი ექნება პრეციპიტაციას. ანტიგენ – ანტისეულის კომპლექსის წარმოქმნის დროს ანტისეულის Fc ფრაგმენტი ახდენს ჯანმრთელი კომპლექტების ფიქსირებას და ლიზისის რეაქციისათვის მის გააქტივებას. ანტისეულის შეერთება ანტიგენთან მის ზედაპირზე წარმოქმნის ცილოვან შრეს, რაც იწვევს ფაგოციტოზის პროცესის გააქტივებას. ამ პროცესს უფლისისაც ეწოდება. თუ ანტიგენი წარმოდგენილია ტოქსინის სახით, ანტისეულების მოქმედებით ხდება მისი ნეიტალიზება (ფლოკულაციის რეაქცია).

## რადიოიმუნური ანალიზი

რადიოიმუნური ანალიზი ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე მეთოდია. ანტიგენს ან ჰაპტენს მონიშნავენ რადიოაქტიური იზოტოპით. ეს მეთოდი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება სისხლის შრატში ჰორმონების, სამკურნალო პრეპარატების ან სხვა ბი-

ოლოგიური მასალის კონცენტრაციის დასადგენად. მეთოდი ემყარება კონკურენციის ცნობილ ნიშნულ ანტიგენსა და უცნობი კონცენტრაციის მოუნიშნავ ანტიგენს შორის. ანტიგენ-ანტისხეულის კომპლექსები შეიძლება შემდეგ განცალკევდნენ და გაიზომოს მათი რადიოაქტიურობა. მოუნიშნავ (უცნობი) ანტიგენის კონცენტრაციას საზღვრავენ სტანდარტის მიხედვით.

## 0მუნიციპალული ანალიზი

ეს მეთოდი მაღალმგრძნობიარეა და შედარებით ადვილად განსახორციელებელი, იგი მიმდინარეობს ფერმენტის ანტიგენთან ან ანტისხეულთან კონიუგაციის და შემდეგ ფერმენტის აქტივობის რაოდენობრივ აღრიცხვაში. იმის მიხედვით თუ რომელ ფერმენტს და ანტიგენ-ანტისხეულის სისტემას ვიყენებოთ დამუშავებულია ამ მეთოდის სხვადასხვა ვარიანტი.

### აბლუტინაციის რეაქცია

გამოიხატება იმაში, რომ მიკრობო სუსპენზიაში იმუნური შრატის დამატების შედეგად მიკრობები იწყებენ შეწებებას გროვებად ან მარცვლების სახით და შემდეგ ქოლგის მსგავსად ილექტიან სინჯარის ფსკერზე. რეაქციის ჩატარება შეიძლება სასაგნე მინაზე (მიკროსკოპული აგლუტინაცია) ან სინჯარაში (მაკროსკოპული აგლუტინაცია) შეწებება ხდება როგორც ცოცხალი, ისე დახოცილი მიკრობებისა. რეაქციის მიქანიზმი იმაში მდგრადარეობს, რომ ანტისხეულები შეუერთდებიან რა მიკრობს (ადსორბირდებიან მათ ზედაპირზე) ხდიან მათ ნაკლებად გამძლეს, რის გამოც ისინი ადვილად ქმნიან გროვებს და ილექტიან ფსკერზე იმ შემთხვევაში, თუ ეს რეაქცია მიმდინარეობს მარილის შემცველ გარემოში. ამიტომ რეაქციის მიღებისათვის აუცილებელია მარილიანი ხსნარების გამოყენება. ჩვეულებრივ იყენებენ ფიზიოლოგიურ ხსნარს.

აგლუტინაციის რეაქციით შეიძლება ორი ამოცანის გადაწყვეტა: 1. დაავადების დიაგნოზის დასმა ავადმყოფის სისხლის შრატში აგლუტინების აღმოჩენის საფუძველზე; 2. მიკრობის სახისა და ტიპის დადგენა. სპეციფიკური იმუნური შრატით. ზოგ შემთხვევაში აგლუტინაცია სწრაფად ხდება, ზოგჯერ კი ნელა მიმდინარეობს. აგლუტინაციის რეაქციას ახასიათებს მაღალი სპეციფიკურობა, მაგრამ შრატის შედარებით მცირე განზავებებში შეიძლება მოხდეს ე.წ. ჯგუფური აგლუტინაცია ე.ი. მონათვავე მაგ. (ტიფის პარატიფის ჩხირები) მიკრობების შეწებება. აგლუტინაციის რეაქცია გამოიყენება მუცლის ტიფის, ბრუცელოზის, ტულარემიის, პარტახტიანი ტიფის და სხვა. ინფექციურ დაავადებათა დიაგნოსტიკაში. ჩვეულებრივი აგლუტინაციის რეაქციის გარდა, სეროდიაგნოსტიკის მიზნით გამოიყენება არაპირდაპირი

### ჰემაგლუტინაციის რეაქცია

ამ რეაქციაში მიკრობების მაგივრად გამოყენებულია ერითროციტები (ცხვრის ან ადამიანის 0 ჯგუფი) რომელთა ზედაპირზე ადსორბირებულია ერითროციტები, ისევე როგორც მიკრობები, შეწებდება ავადმყოფის სისხლის შრატით. რეაქცია ტარდება სინჯარებში ან პოლისტიროლის დრმულებიან ფირფიტებზე. რეაქციის უპირატესობა იმაში მდგრადარეობს, რომ მისი შედეგი თვალნათლივ ჩანს, მაგ. დადებითი რეაქციის დროს ერითროციტები სინჯარის ან დრმულის ფსკერზე თანაბრად, ქოლგის მაგვარად ილექტიან. უარყოფითი რეაქციის დროს კი მათი დალექვა ხდება მკვრივი დისკის ან ლილის მსგავსად.

## პრეციპიტაციის რეაქცია

პრეციპიტაციის რეაქციის დროს იმუნური შრატი შესაბამისი ანტიგენის გამჭვირვალე ხსნართან ურთიერთქმედების შედეგად სინჯარის ფსკერზე იღებება (პრეციპიტატი) პრეციპიტაციის რეაქცია მეტად მგრძნობიარეა და საკვლევ მასალაში ანტიგენის ან ჰაპტენის უმცირესი რაოდენობის გამოვლინების საშუალებას იძლევა. ხშირად მიმართავენ “რგოლპრეციპიტაციას” რაც მდგომარეობს საკვლევი ანტიგენის დაგროვებაში საპრეციპიტაციო შრატზე. დადგებითი რეაქციის შემთხვევაში ორი გამჭვირვალე სითხის საზღვარზე წარმოიქმნება მღვრიე რგოლი. პრეციპიტაციის რეაქციაში ანტიგენის (პრეციპიტოგენი) იმყოფება წვრილდისპერსიულ მდგომარეობაში. ინგრედიენტის გამჭვირვალობას დიდი მნიშვნელობა აქვს პრეციპიტაციის რეაქციის წარმატებით ჩატარებისათვის. ამ რეაქციის მექანიზმი დამყარებულია მაღალდისპერსიული კოლოიდების ანტიგენის და ანტისეულის ფიზიკურ-ქიმიურ ურთიერთობაზე. თხიერ ნიადაგებში პრეციპიტაციის რეაქცია ვლინდება მღვრიე მოთეორო რგოლის სახით ორი გამჭვირვალე ხსნარის (ტოქსინის და ანატოქსინის) საზღვარზე.

დიდი გამოყენება აქვს პრეციპიტაციის რეაქციას რომელიც ტარდება მკვრივ აგარიანტიან ნიადაგზე – დიფუზური პრეციპიტაციის რეაქცია. მას იყენებენ მაგ. დიფტერიის კულტურათა ტოქსიგენობის დასადგენად ტოქსინის და ანტიტოქსინის ურთიერთომებების შედეგად აღინიშნება პრეციპიტაციის რეაქცია, რომელიც კარგად ჩანს შეუიარაღებელი თვალითაც თეთრი ხაზების “ულვაშების” ან “ისრების” სახით. ადამიანის და ცხოველის ორგანიზმში მოიპოვება განსაკუთრებული ნივთიერება კომპლექტი.

## (დაშლის) ლიზისის რეაქცია

მიკრობთა დაშლა ხორციელდება ორი კომპონენტის ზემოქმედებით: ერთი მათგანი წარმოადგენს იმუნური შრატის სპეციფიკურ ანტისეულს ლიზინს, ხოლო მეორე ყველა ახალ შრატში შემავალ არასპეციფიკურ ნივთიერებას კომპლექტს.

იმუნური შრატის ზემოქმედებით გამოწვეულ ბაქტერიების ლიზინს უწოდეს ბაქტერიოლიზი, სპიროქეტების ლიზინს – სპიროქეტოლიზი. სხვადასხვა უკრედიტის მაგ. უცხო ერითროციტების დაშლას ჰემოლიზი.

## პომპლემენტის შებოჭვის რეაქცია

იმუნიტეტის რეაქციათა შორის ყველაზე რთული რეაქციაა. მაგრამ მაღალ მგრძნობელობისა და სპეციფიკურობის გამო ფართოდ გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში დაავადებების (სიფილისი, ქრონიკული ათაშანგი, რიკეტსიოზები, გრიპი, პოლიომიელიტი) დიაგნოსტიკაში. იმუნურ თრგანიზმში ან ავადმყოფის ორგანიზმში წარმოიქმნებიან იმუნური ანტისეულები, რომლებიც ურთიერთოქმედებენ მხოლოდ შესაბამის ანტიგენთან. თუ სინჯარაში ამ ანტიგენს შეეურევთ ანტისეულების შემცველ შრატს და დავუმატებო კომპლექტის, იგი შეიძორჭება კომპლექსით ანტისეული – ანტიგენი. თუ ანტისეული და ანტიგენი ერთმანეთს არ შეესაბამება კომპლემენტის შებოჭვა არ მოხდება და იგი თავისუფალი დარჩება. აღნიშნულ მოვლენას შებოჭვის რეაქცია ეწოდა.

## იმუნოფლუორესცენციის მეთოდი ანუ ლუმინისცენტურ ანტისხეულთა მეთოდი

მიკრობიოლოგიურ პრაქტიკაში მას იყენებენ პათოლოგიურ მასალაში პათოგენური ბაქტერიების, რიკეტსიების და ვირუსების აღმოსაჩენად. თუ იმუნურ სინარს და-ვამუშავებოთ მაფლუორესცირებელი საღებავით, შრატში არსებული ანტისხეულები იწყებენ ნათებას. პათოგენური მიკრობების ან ვირუსების შემცველ პრეპარატზე ასეთი შრატის დამატებისას ანტისხეულები ადსორბირდებიან შესაბამის მიკრობებზე, რომლებიც ანათებენ (გამოასხივებენ მომწვანო ფერს), რაც კარგად ჩანს შავ ფონზე, პრეპარატის ლუმენესცენტური დიაგნოსტიკისათვის გამოყენებულია სპეციფიკური იმუნური მაფლუორესცირებელი შრატები, რომელთა მეშვეობით იკვლევენ სხვადასხ-ვა პათოლოგიურ მასალას: ორგანოების ანაბეჭდებს და ნაცხებს, დასხებოვნებულ ქს-ოვილთა კულტურიდან და სხვა ობიექტიდან აღებულ ნაცხებს. პრეპარატებს ამზადე-ბენ სასაგნე ან საფარ მინაზე, აფიქსირებენ სპირტში, აცეტონში ან ფორმალინში, რის შემდეგ პრეპარატზე ასხამენ მაფლურესცირებელ იმუნურ შრატს. გამოკვლევა რამდენიმე საათში ხდება, რის გამოც აღნიშნულ მეორდს იყენებენ როგორც ექსპრეს დიაგნოსტიკის მეთოდს ისეთი დაავადებების დროს როგორიცაა: მუცლის ტიფი, ქოლ-ერა, ტულარემია, ბრუცელოზი, რიკეტსიოზები, გრიპი, ყვავილი, ცოფი და სხვა.

იმუნური ორგანიზმის ერთ-ერთ დაცვით რეაქციას წარმოადგენს ლეიკოციტების ფაგოციტური აქტივობის გაძლიერება, რასაც ხელს უწყობენ ოფსონინების სახელ-წოდებით ცნობილი შრატის ანტისხეულები. ორგანიზმის ფაგოციტური აქტივების გამოვლინება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დიაგნოსტიკური მიზნებისათვის, ოფსონფაგოციტური სინჯის ჩატარებით.

### ალერგია

ალერგია (allos – სხვა ergon მოქმედება) არის ორგანიზმის სპეციფიკური რეაქტიულო-ბის მომატება. ალერგენთან ან მონათესავე ანტიგენთან განმეორებით შეხვედრის შემთხვევაში ვითარდება სხვადასხვა სახის პათოლოგიური რეაქციები. არჩევენ ან-ტისხეულებთან დაკავშირებულ ანუ დაუყოვნებელი ტიპის ჰიპერსენსიბილობას და უჯრედებთა დაკავშირებულ ანუ დაყოვნებული ტიპის ჰიპერსენსიბილობას.

კუმბება და ჰელმა ჰიპერსენსიბილობის რეაქციები მათი პათოგენეზის მიხედვით ოთხ ტიპად დაჲყვეს:

1. ანაფილაქციური ტიპის ჰიპერსენსიბილობა.
2. ციტოტოქსიური ტიპის ჰიპერსენსიბილობა.
3. ანტიგენ-ანტისხეულის კომპლექსით განპირობებული ჰიპერსენსიბილობა.
4. უჯრედებით განპირობებული ჰიპერსენსიბილობა.

ანტისხეულებით განპირობებული რეაქციების უმეტესობის ძირითადი მექანიზმია ანტიგენ-ანტისხეულის კომპლექსის წარმოქმნა და ამ კომპლექსით ზოგიერთი უჯრედის მიერ მედიატორების გამოყენების სტიმულირება. ძირითადად ამ კატეგორიის რეაქციებია ანაფილაქსია და შრატის დაავადება. ანტისხეულების და ერითროციტების ან თრომბოციტების და ანტიგენების ურთიერთქმედებას ჩვეულებრივ არ მოჰყვება მედიატორების გამოყოფა.

ადამიანის ანაფილაქციური რეაქტიულობა გამოვლინდება სისტემური, გენერალიზე-ბული ან კანის, რესპირატორული ტრაქტის თუ სხვა „სამიზნე“, ორგანოების ლოკა-

ლური ანაფილაქსიის სახით.

ადამიანის გენერალიზებული ანაფილაქსია უვითარდება ანაფილაქტოგენის შეფ-ვანიდან 5-30წთ-ის შემდეგ და გამოიხატება გაწითლებით, ჯინჭარის ციებისებური გამონაყარით, ხელებით, შოკით.

შემთხვევათა უმრავლესობაში ლეტალური გამოსავალის მიზეზია ხორხის შეშუპება, ფილტვების ფართო უბნების შეშუპება, გულის მუშაობის არითმია. ადამიანებში გენ-ერალიზებულ ანაფილაქსიას იწვევს სამკურნალო პრეპარატები (პენიცილინი) “ბიო-პრეპარატები” (ცხოველის შრატი), ზოგჯერ მწერების კბენა (ფუტკარი ან კრაზანა) ან რაიმე საკვები (ხამანწერი).

ადგილობრივი ანაფილაქსია ვითარდება ანტიგენთან კონტაქტიდან რამდენიმე წუთში და გამოიხატება თივის ცხელების, ასთმის, ჯინჭრის ციების, დებინების სახით. მოსახლეობის დაახლოებით 10% სენსიბილიზებულია გარემოში მყოფი სხვადასხვა ანტიგენით (სხვადასხვა მცენარის, ყვავილის მტვერი) აღინიშნება ასეთი დარღვევისადმი ოჯახური მიღრეკილება (ატოპია)

ანაფილაქსის მექანიზმი. ანტიგენით სენსიბილაციის შედეგად წარმოიქმნება სპეციალიზებული ციტოტროპული ანტისხეულები, რომლებიც უკავშირდება კანში, სასუნთქორგანოებში, სისხლძარღვების ენდოთელიუმში განლაგებულ ბაზოფილებს და პოხიერ უჯრედებს.

ადამინის ციტოტროპული ანტისხეულები იმუნოგლობულინ E კლასს განეკუთვნება. იგივე ანტიგენი თრგანიზმში ხელმეორედ მოხვედრისას აღწევს სენსიბიზებულ უჯრედებს და უკავშირდება მათ ზედაპირზე განლაგებულ ციტოტროპულ ანტისხეულებს. ამის შედეგად უჯრედები გამოყოფენ ფარმაკოლოგიურად აქტიურ მედიატორებს.

ანტიგენ-ანტისხეულის სსნადი კომპლექსის დიდ რაოდენობას, რომელსაც შეუძლია კომპლემენტის შებოჭვა, სპეციალურ პირობებში ანაფილაქსიის გამოწვევის უნარი აქვს.

ანაფილაქსიის შედეგი შეიძლება სიცოცხლისთვის სახიფათო იყოს. სამკურნალო შრატის გამოყენების დროს ანაფილაქსიური რეაქციისგან დაცვის სამედო საშუალებაა შრატის წილადობრივი შეყვანა.

## პერძო მიკრობიოლოგია

პათოგენური მიკროორგანიზმების მორფოლოგიური, ულტრასტრუქტურული ბიოქიმიური ანტიგენური და სხვა ნიშნების მრავალფეროვნება, რომლებიც სხვადასხვა სისტემატიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, მათ მიერ გამოწვეულ ინფექციური დაავადებების პათოგენეტიკურ, იმუნოლოგიურ და ეპიდემიოლოგიურ თავისებურებებში აისახება, გამომწვევის ბიოლოგიური ოვისებების მიკროორგანიზმის იმუნური პასუხის მრავალფეროვანი ფორმების და დაავადების თავისებურებების ცოდნა ყველა ექიმის-ათვის, მიუხედავად მათი ვიწრო სპეციალიზაციისა, აუცილებელია.


### ჩირქმბადი კოკები

პათოგენური კოკები განეკუთვნებიან სამ ოჯახს: Micrococeaceae, Streptococcaceae, Neisseriaceae, რომლებიც აერთიანებენ პათოგენურ, პირობით – პათოგენურ და არაპათოგენურ სახეობებს.

ჩირქმბადი კოკების ჯგუფში შედის შემდეგი სახეები: სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები, პნევმოკოკები, მენინგოკოკები, გონოკოკები.

სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები, და პნევმოკოკების გრამის მიხედვით იღებებიან დადებითად, ხოლო მენინგოკოკები და გონოკოკები უარყოფითად. ყველა ჩირქმბადი კოკი ხასიათდება უნარით გამოიწვიოს ადამიანში ჩირქოვანი ანთებითი პროცესები.

ჩირქოვანი პროცესები შეიძლება განპირობებული იყოს ლურჯ-მწვანე ჩირქის ჩხირით, ვულგარული პროტეუსით, ნაწლავის ჩხირით, შავი ჭირის, ტულარემიის ჩხირებით და სხვა.



## სტაფილოკოკები (Staphylococcus)

ოჯახი Micrococcaceae ადმოაჩინეს პასტერმა (1880) და როზენბახმა.

მორფოლოგია და ბიოლოგიური თვისებები: სტაფილოკოკებს აქვს მრგვალი კოკების ფორმა, რომლებიც სუფო კულტურაში ყურძნის მტევნის მსგავს ცალკეულ გროვებად ლაგდებიან. ჩირქის ნაცხებში ისინი შეიძლება განლაგდნენ ერთეული ან წყვილი კოკების და პატარა გროვების სახით. უძრავნი არიან და სპორებს და კაფსულებს არ წარმოქმნიან. კარგად იზრდებიან მარტივ ნიადაგებზე, წარმოადგენენ ფაკულტატურ ანაერობებს. ფართოდ არიან გავრცელებული ბუნებაში. მათ შორის არის სახეობები, რომლებიც პათოგენურია ადამიანისათვის. მათ აქვთ ჰემოლიზის თვისება, იწვევენ სისხლის პლაზმის შედედებას (კუაგულაციას) ბიოქიმიურად აქტიურნი არიან შლიან ნახშირწყლებს მეავას წარმოქმნით, იწვევენ რძის შედედებას და პეპტინიზაციას, ათხევადებენ ჟელატინს.

### ტოქსინის წარმოქმნა

ცნობილია სტაფილოკოკების სამი სახეობა: *Staphylococcus aureus*, *Staphylococcus epidermidis*, *Staphylococcus Saproxyticus*. დაავადების გამოწვევა სამივე სახეობას შეუძლია ყველაზე პათოგენურად *Staphylococcus aureus* ითვლება. პათოგენური სტაფილოკოკები გამოყოფენ ეგზოტოქსინს, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა ფუნქცია. მაგ. ჰემოტოქსიკური, დერმონეკროზული, ლეგალური. გარდა ამისა სტაფილოკოკები გამოიმუშავებენ ფიბრინოლიზინს, რომელიც სისხლის ფიბრინს შლის, ლეიკოციტების დამშლელ ლეიკოციდინს, სისხლის და პლაზმის შემდედებელ კუაგულაზას. ზოგიერთი შემთხვევაში წარმოქმნის ენტეროტოქსინს, განაპირობებს მწვავე გასტროენტერიტის მოვლენებს. ამ ტოქსინს ახასიათებს ტემპერატურის ზემოქმედებისადმი მდგრადობა. უძლებს დუღილს 30 წუთის განმავლობაში.

სტაფილოკოკები საკმაოდ მდგრადები არიან სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების მოქმედებისადმი. უძლებენ 1 სთ-ის განმავლობაში 70° ტემპერატურამდე გაცხელებას. კარგად იტანენ გამოშრობას, მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებით ნელა იღუპებიან. კარბოლმჟავას 5%-იანი ხსნარის ზემოქმედებით სტაფილოკოკები 10-15 წუთის შემდეგ იღუპებიან. გამხმარ ჩირქში სტაფილოკოკები 6 თვემდე ინარჩუნებენ ცხოველმყოფელობას. ამსოდუტური ალკოჰოლი სტაფილოკოკებზე არ მოქმედებს. 70%-იანი ალკოჰოლი კი მათ ხოცავს 10 წუთის შემდეგ.

### სტაფილოკოკური დაავადების პათოგენეზი და კლინიკა

ბევრი სტაფილოკოკი ბინადრობს კანსა და ლორწოვან გარსებზე. უმცირესი და შეუიარადებელი თვალით უხილავი დაზიანებების შემთხვევაში (განაკაწრები, ნაბზარები, ჭრილობები) სტაფილოკოკები შეაღწევენ კანში, კანქვეშა ქსოვილში, სადაც საკმაოდ ვირულენტობის და ორგანიზმის დაჭვეითებული მდგრადობისას განაპირობებენ ჩირქოვან ანთებით პროცესებს. სტაფილოკოკები განაპირობებენ ყველაზე მრავალფეროვან დაზიანებას კანის მცირე ჩირქოვანი დაზიანებებიდან, მძიმე სეპტიკურ პროცესებამდე, როგორიცაა: ფოლიკულიტი, ფურუნქული, კარბუნკული, აბსცესი, ფლეგმონა, ანგინა, პანარიციუმი, ასტერომიელიტი, ართრიტი, პლევრიტი, სეპტიკოპიემია, ჭრილობების ჩირქოვანი გართულებები.

სტაფილოკოკები შეიძლება გახდეს აგრეთვე საჭმლით მოწამვლის მიზეზიც, რომლებიც წარმოქმნება ტკბილი საკვებით (ნაყინი, კრემი, ნამცხვარი) და რძის პროდუქტების ხმარების დროს, თუ მათში სტაფილოკოკების გამრავლება და ენდოტოქსინის

გამრავლება მოხდება. ამ შემთხვევაში შეიმჩნევა ხანმოკლე ინტენსიური (1,1/2-4 სო) პერიოდი და მწვავე გასტროენტერიტის სიმპტომები- მუცლის ტკივილი.

ხანდახან ავადმყოფებს აღმოაჩნდება კულტურები, რომლებიც მდგრადები არიან 2-3-4 ანტიბიოტიკის მიმართ (მრავლობითი მდგრადობა).


სტაფილოკური დაავადებების დიაგნოსტიკისათვის გამოსაკვლევ მასალას ყველაზე ხშირად წარმოადგენს დაზირქების ადგილიდან აღებული ჩირქი, მენინგიტზე ეჭვის დროს ზურგის ტვინის სითხე, სეფსისის დროს სისხლი, საჭმლით მოწამვლის დროს პირნალები მასა, განავალი, საჭმელი პროდუქტები. აღებულ ნაცხებს დებავენ გრამის წესით. სუფთა კულტურის გამოყოფის მიზნით აგრეთვე სისხლიან აგარზე ჰემოლიზური თვისებების შესასწავლად გამოსაკვლევ მასალას თესავენ. რაციონალური ქიმიოთერაპიისათვის აუცილებელია გამოყოფილი კულტურების მდგრადობის შემოწმება ანტიბიოტიკების მიმართ.

ადამიანი იჩენს მნიშვნელოვან მდგრადობას სტაფილოკოკური დაავადებებისადმი. ინფექციის გადატანის შედეგად კითარდება ხანმოკლე იმუნიტეტი. ბევრ ავადმყოფობა გადატანილს უვითარდება უფრო მაღალი მგრძნობელობა სტაფილოკოკის მიმართ.

სტაფილოკოკური დაავადებების მკურნალობისათვის მიმართავენ ქირურგიულ ჩარგვას სპეციფიკურ პრეპარატებთან კომბინაციაში. სტაფილოკოკის ერთ-ერთ თავისებულებას წარმოადგენს ანტიბიოტიკებისადმი სწრაფი მდგრადობის განვითარება.

### სტრეპტოკოკები (Streptococcus) შეისწავლა 1883 წ. როზენბახმა.

სტრეპტოკოკები სფეროსებრი ან ოდნავ მოგრძო კოკებია, რომლებიც მოკლე ან გრძელი ჯაჭვების სახით არიან განლაგებული. სტრეპტოკოკები უძრავია, სპორებს არ წარმოქმნიან. უმეტეს სახეობას კაფსულა არა აქვს. გრამდადებითნი და საპვები ნიადაგების მიმართ მომოხვინი არიან. მკვრივ ნიადაგებში წარმოქმნიან ძალზე წვრილ ქინძისთავისოდენა მრგვალ არაპიგმენტირებულ გამჭვირვალე კოლონიებს სწორი კიდეებით. თხევად ნიადაგებში წარმოქმნიან ნალექს ან გვაძლევენ მარცვლოვან ზრდას ჭურჭლის კედელზე. ამასთან ბულიონი გამჭვირვალე რჩება. ნალექის მიკროსკოპირების დროს ჩანს სტრეპტოკოკების გრძელი ჯაჭვები.



სტრეპტოკოკები  
ჩირქში.

სტრეპტოკოკების სახეები. სისხლიან აგარზე ზრდის ხასიათის მიხედვით სტრეპტოკოკები რამდენიმე სახეობად იყოფა.

1. ჰემოლიზური სტრეპტოკოკი (*Streptococcus haemolyticus*) ყველაზე უფრო პათოგენურია ადამიანისათვის, კოლონიების გარშემო წარმოქმნის ჰემოლიზის ზონას.
2. მამწვანებელი სტრეპტოკოკი (*Streptococcus viridans*) შედარებით ნაკლები ვირულენტობის მქონეა, წარმოქმნის მომწვანო-მონაცრისფრო წვრილ კოლონიებს.
3. არაჰემოლიზური სტრეპტოკოკი (*Streptococcus anhaemolyticus*) ნაკლებად პათოგენურია ადამიანისათვის, არ იწვევს სისხლიანი აგარის ცვლილებას.
4. ენტეროკოკი ანუ ფეკალური სტრეპტოკოკი, ნაწლავის ნორმალური ბინადარია, მაგრამ შესაძლოა ანოებითი პროცესის მიზეზი გახდეს.
5. ლორწოვანი სტრეპტოკოკი (*St. mucosus*)
6. ანაერობული სტრეპტოკოკები.

სტრეპტოკოკები მდგრად მიკრობებს მიეკუთვნებიან. კარგად იტანენ დაბადებების გარემონატურას. გამხმარ სისხლში და ჩირქში ინახებიან რამდენიმე კვირის განმავლობაში. კარბოლმექავას 3-5% სინარი სტრეპტოკოკებს 10-15 წუთში კლავს. სტრეპტოკოკები წარმოქმნიან შემდეგ ეგზოტოქსინებს: ჰემოტოქსინი, ლეიკოციდინი, ფიბრინოლიზინი, რომელიც შლის ადამიანის სისხლის ფიბრინს. სტრეპტოკოკების ბულიონის კულტურის ფილტრატები ნეკროზული თვისებისაა. ეგზოტოქსინებობან ერთად აღმოჩენილია ენდოტოქსინების ტიპის შესამიანი ნივთიერებები.

სტრეპტოკოკები ადამიანში ყველაზე მრავალფეროვან უფრო ხშირად ჩირქოვანი ხასიათის პროცესებს განაპირობებენ, დაწყებული პატარა დაჩირქებით და მძიმე სეფსიით დამთავრებული. სტრეპტოკოკს შეუძლია ყველა ორგანოს და ქსოვილის დაზიანება. სტაფილოკოკებისაგან განსხვავებით სტრეპტოკოკები ხშირად ვრცელდებიან ლიმფური და სისხლძარღვების გზით. ამიტომ ხშირად წარმოიქმნება მძიმე სეპტიკური პროცესები. ორგანიზმში სტრეპტოკოკები შეაღწევენ კანის და ლორწოვანი გარსების უმნიშვნელო დაზიანებებიდან და ორგანიზმის დაქვეითებული მდგრადობის დროს იწვევენ ჩირქოვებს, ფურუნგულებს, კარბუნკულებს, ფლეგმონებს, ლიმფადენიტებს, წითელ ქარს. ამ უკნასკნელს ცხელებასთან ერთად თან სდევს კანის დაზიანებული უბნის გაწითლება და შეშუპება.

სტრეპტოკოკებს შეუძლიათ გამოიწვიონ ანგინა, ნუშისებრი ჯირკვლების ანთება, რასაც ხელს უწყობს გაცივების ფაქტორი. ანგინის დროს დაზიანებული ნუშისებური ჯირკვლებიდან სტრეპტოკოკი შეიძლება მოხვდეს სისხლში, შემდეგ შინაგან ორგანოებში და გამოიწვიოს მათი დაზიანება (ენდოკარდიტები, ნეფრიტები, სახსრების დაზიანება და სხვა) მშობიარობის შემდგომი სეფსიის. სტრეპტოკოკები ხშირად განაპირობებენ მეორეულ და შერეულ ინფექციებს გრიპის, ყივანახველის, ტუბერკულოზის, დიფტერიის, და სხვა დაავადებების დროს.

მამწვანებელი სტრეპტოკოკი იწვევს ქრონიკულ სეფსისს, რომლის დროსაც ერთდროულად შეიძლება წარმოიქმნას ენდოკარდიტი. ეს ანთება მიმდინარეობს ხანგრძლივად და ხშირად ავადმყოფის სიკვდილით მთავრდება. ხშირად სტრეპტოკოკები ან სტრეპტოკოკები და სტაფილოკოკები ერთად იწვევენ ჭრილობების


გართულებას დაჩირქების სახით. (რევმატიზმის გამომწვევიც სტრეპტოკოკია).

ადამიანის მდგრადობა სტრეპტოკოკური ინფექციების მიმართ ერთნაირი არ არის. ადამიანი საკმაოდ მდგრადია სტრეპტოკოკური დაავადებებისადმი, ზოგიერთი პირიქით განწყობილია მის მიმართ. გადატანილი სტრეპტოკოკური ინფექცია ხანძოკლე იმუნიტეტს იძლევა, ზოგ შემთხვევებში კი თან ახლავს ახალი დაავადებებისადმი გადიდებული ამოვისებლობა. ამიტომ აღინიშნება განმეორებითი სტრეპტოკოკური ანგინები, წითელი ქარი, და სხვა პროცესები, რაც განპირობებულია სტრეპტოკოკების უნარით სენსიბილიზაცია მოახდინოს ორგანიზმში.

სტრეპტოკოკური ინფექციების დროს საკვლევი მასალა შეიძლება იყოს ჩირქი, ნადები ნუშისებრი ჯირკვლებიდან, ზურგის ტვინის სითხე, ანთებითი ექსუდატები, სისხლი, შარდი. წარმოებს მიკროსკოპული, შემდეგ კი ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა. ამზადებენ ნაცხებს გარდა სისხლისა და ლებავენ გრამის მიხედვით. შემდეგ ოქსავენ სისხლიან აგარზე და თერმოსტატში 24 სთ-იანი გაზრდის შემდეგ შეამჩნევენ სტრეპტოკოკის დამახასიათებელ კოლონიებს, რომელთა მიხედვით განსაზღვრავენ სტრეპტოკოკის სახეობებს. სტრეპტოკოკური დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება ანტიბიოტიკები. ხანგრძლივი ქრონიკული მიმდინეობისას გამოიყენება აუტოვაჭინა კანქვეშ შეყვანით.

## ძუნთრუმის ეტიოლოგია

ბაგშვთა მწვავე ინფექცია, რომლის დროსაც შეიმჩნევა ორგანიზმის ინტოქსიკაცია, თავისებურად გამოხატული ანგინა, ლიმფური ჯირკვლების ანთება და წვრილი წერტილოვანი გამონაყარი მთელ სხეულზე. ქუნთრუმის გამომწვევად ითვლება ჰემოლიზური სტრეპტოკოკი. ზოგიერთი მეცნიერი მის აღმდვრელად თვლის ვირუსს. ქუნთრუმის დროს მიკრობები ორგანიზმში შეაღწევენ ხახისა და ცხვირის ლორწოვანი გარსებით. ინკუბაციის პერიოდი 3-7 დღეა. დაავადების დასაწყისში შეინიშნება ანგინა და საერთო ინტოქსიკაცია, ცენტრალური ნერვული სისტემისა და პერიფერიულ სისხლძარღვთა დაზიანებით, რის შედეგადაც ტანზე ჩნდება გამონაყარი.



ქუნთრუმის დროს ხშირად შეინიშნება სეროზული გართულებები (ოტიტი – შუა ყურის ანთება, მასტიტი – სარძევე ჯირკვლების ანთება, ლიმფადენიტი – ლიმფური ჯირკვლების ანთება, ნეფრიტი – თირკმელების ანთება) რაც გამოწვეულია სტრეპტოკოკის მოქმედებით.

ქუნთრუმის შემდეგ ორგანიზმი იძენს მყარ იმუნიტეტს, განმეორებითი დაავადებები საკმაოდ იშვიათია. ბაგშვების ამოვისებლობა ქუნთრუმისადმი ერთნაირი არ არის. უფრო დიდია ამოვისებლობა 1-დან 5 წლამდე. ბაგშვები 6 თვემდე იშვიათად ავადდებიან ქუნთრუმით, ვინაიდან დედისგან დებულობენ იმუნიტეტს. ქუნთრუმის გადამდებლობის საკმაოდ მაღალი ხარისხით ხასიათდება იგი გადაეცემა პარენეტიკული გზით. ინფექციის წყაროდ ითვლებიან ბაგშვები, რეკონვალესცენტები და ჯანმრთელი მტარებლები. დასხებოვნება შეიძლება მოხდეს ავადმყოფის გამონაყოფით დაბინძურებული საგნებიდან. ხშირად ინფექციას ავრცელებენ პირები, რომლებიც დაავადებულნი არიან ქუნთრუმის წამლით (ამბულატორიული) ფორმებით

(სკარლატიზონური ანგინა). განსაკუთრებით იმ კერებში, სადაც იმყოფებიან ქუნორუშით დაავადებულები. ქუნორუშამ შეიძლება მიიღოს ეპიდემიური გავრცელება. უფრო ხშირად აღინიშნება წელიწადის ცივ დროს, ქუნორუშის სამკურნალოდ გამოიყენება ანტიბიოტიკები.

### პნევმოკოკები (Pneumococcus)

შეისწავლა ფრენკელმა 1884 წელს.

პნევმოკოკები ლანცეტისმაგვარი ფორმის დიპლოკოკებია. მომრგვალო მხარეებით კოკები ერთმანეთისაკენ არიან მიმართული. პნევმოკოკები ადამიანის და ცხოველების ორგანიზმში წარმოქმნიან კაფსულას, ნიადაგებზე კი კაფსულა არა აქვთ. ისინი უძრავნი არიან, სპორებს არ წარმოქმნიან, კარგად იღებებიან ანილინის ყველა საღებავით. გრამის მიხედვით იღებებიან დადებითად. კულტურარული თვისებებით პნევმოკოკები სტრეპტოკოკებს გვანან. ისინი მომოხვენი არიან საკვები ნიადაგები-სადმი. უკეთესად იზრდებიან სუსტ ტუტე ნიადაგზე. იზრდებიან 37°Т-ზე აერობულ პირობებში.

ცნობილია 40-ზე მეტი ტიპის პნევმოკოკი, რომლებიც ერთმანეთისაგან ანტიგენური აგებულებით განსხვავდებიან (სეროლოგიური ტიპები). პნევმოკოკის სხეულში 2 სხვადასხვა ანტიგენია: ერთი ცილოვანი, უჯრედის სხეულთან დაკავშირებული საერთო პნევმოკოკების ყველა ტიპისათვის, მეორე პოლისაქარიდული, რომელიც მიკრობის კაფსულაშია და სპეციფიკურია პნევმოკოკების თითოეული ტიპისათვის. აგებულების მიხედვით განასხვავებენ სამ ძირითად ტიპს (I-II-III) და მეორე ნაკრებ ჯგუფს, რომელშიც შედის პნევმოკოკების 30-ზე მეტი ტიპი. პნევმოკოკები ნაკლებად მდგრადები არიან გარემო პირობების მიმართ. სწრაფად იღუპებიან ხელოვნურ ნიადაგზეც კი, ამიტომ მოითხოვენ ხშირ გადათესვას, მაგრამ მდგრადები არიან გამოშრობისადმი. გამოშრალ ნახველში მათ შეუძლიათ გაძლონ 2 თვემდე. მაღალი ტემპერატურის და ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებით იღუპებიან რამდენიმე წუთში. განსაკუთრებით სწრაფად იღუპებიან ნაღვლის მჟავებში.

პნევმოკოკის ტოქსინი მიეკუთვნება ენდოტოქსინებს. პნევმოკოკები ადამიანში სხვადასხვა დაავადებას იწვევენ, უფრო ხშირად კრუპოზულ პნევმონიას, რქოვანის მცოცავ წყლულს, შეუძლიათ აგრეთვე განაპირობონ მენინგიტი, სეფსისი, ოტიტი, ანგინა და სხვა. კრუპოზული პნევმონია გვხვდება სპორადული შემთხვევების სახით, ზოგჯერ პატარა ეპიდემიები წარმოიქმნება ადამიანთა თავშეეყრის ადგილზე.

გამოსაკვლევი მასალა კრუპოზული პნევმონიის დროს არის ავადმყოფის ნახველი, ჩირქოვანი პროცესების დროს – ჩირქი, მენინგიტზე ეჭვის დროს ზურგის ტვინის სითხე, სეფსისის დროს სისხლი. მასალა გარდა სისხლისა, მიკროსკოპულად, ბაქტერიოლოგიურად და ექსპერიმენტულად გამოიკვლევა. მასალისაგან ამზადებენ ნაცხებებს, რომლებსაც გრამის წესით ღებავენ, ზოგჯერ უკვე ნაცხებში აღმოჩნდება ხოლმე გრამდადებითი ლანცეტისმაგვარი კაფსულიანი დიპლოკოკები. საბოლოო დიაგნოსტიკისათვის მასალას თესავენ სისხლიან ან შრატიან აგარზე და ერთდროულად ასხებოვნებენ თეორ თაგვს კანქვეშ ან მუცლის დრუში. მიკრობების დაგროვების შემდეგ აწარმოებენ ამოთესვას მკვრივ ნიადაგებზე და კოლონებიდან გამოყოფენ პნევმოკოკის სუფთა კულტურებს.

კრუპოზული პნევმონიის და პნევმოკური დაავადებების მკურნალობის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია ბიოთერაპია სულფამიდური პრეპარატებით და სხვადასხვა ანტიბიოტიკებით.

## მენინგოკორპუსი (Meningococcus)

შეისწავლა ვეიქსელბაუმმა 1887 წ.

მენინგოკორპუსი ეპიდემიური მენინგიტის აღმმგრელია. მენინგიტი თავისა და ზურგის ტვინის რბილი გარსების ანთება – შეიძლება გამოწვეული იქოს სხვა მიკრობებითაც: ტუბერკულოზის ჩირით, პეფტოკოკით, სტრეპტოკოკით, სტაფილოკოკით, მაგრამ მათგან განსხვავებით მენინგიტის ზემოაღნიშნული ფორმა ეპიდემიური მენინგიტის სახელს ატარებს, ვინაიდან შეიძლება დაავადებამ მიიღოს ეპიდემიური სასიათო.

მენინგოკორპუსის აქვთ ლობიოს მარცვლის მსგავსი ფორმა, რომელთა შეზნექილი მხარეები ერთმანეთის კენ არის მიმართული. მათ ორი თირკმლის ან ორი ერთმანეთს მიღებული ყავის მარცვლის შესახედაობა აქვთ. ჩირქიდან აღებულ ნაცხებში მენინგოკორპუსი უფრო ხშირად განლაგებული არიან ჩირქოვანი უჯრედების შიგნით, იშვიათად – უჯრედების გარეთ. მენინგოკორპუსი სუფთა კულტურაში არაიშვიათად განლაგებული არიან ტეტრადების სახით. შეინიშნება მენინგოკორპუსის არათანაბარი სიდიდე და შეფერადება. მენინგოკორპუსის სპორი და კაფსულა არა აქვთ, ისინი უძრავნი არიან და გრამის მიხედვით არ იღებებიან. მომთხოვნი არიან საკვები ნიადაგებისადმი, მათი ზრდისათვის საჭიროა საკვები ნიადაგებზე მენინგოკორპუსი უხვად იზრდებიან და წარმოქმნიან მრგვალ გამჭვირავლე ოდნავ მოცისფრო კოლონიებს, იზრდებიან  $37^{\circ}\text{C}$ -ზე. მათი მდგრადობა ძლიერ დაბალია. დამლუპველად მოქმედებს ტემპერატურის აწევა.  $41-42^{\circ}\text{C}$  იწყება მიკრობების კვდომა, ხოლო მაღალი ტემპერატურა კი კლავს მათ მოკლე დროის განმავლობაში. მგრძნობიარები არიან გამოშრობისადმი და სწრაფად იხოცებიან მზის პირდაპირი სხივების მოქმედებით, ამიტომ ისინი გარემოში დიდხანს არ ინახებიან. ნაკლებად მდგრადობას იჩენენ აგრეთვე სადეზინცეპციო სსნარების მიმართაც. მენინგოკორპუსი გამოყოფენ ენდოტოქსინს, რომელიც მიკრობული უჯრედის აუტოლიზის შემდეგ სითხეში გადადის. არსებობს მენინგოკორპუსის 4 სეროლოგიური ტიპი A, B, C, D. მენინგოკორპუსი ცხვირ-ხახის ლორწოვან გარსზე ხვდება დასხებოვნებულ ლორწოვან უწვრილესი წვეოების შესუნთქვისას. ლორწოვან გარსზე ხდება მენინგოკორპუსის პირველადი გამრავლება, შემდეგ ისინი ხვდებიან ლიმფურ სისტემაში და სისხლში, მოედებიან მოელ ორგანიზმს, ადსორბირდებიან სხვადასხვა ადგილზე, უფრო ხშირად თავის და ზურგის ტვინის რბილ გარსებზე და იწვევენ ჩირქოვან ანთებად პროცესებს. მენინგიტის საინკუბაციო პერიოდი 2-4 დღეა. დაავადება იწყება უცბად ტემპერატურის აწევით, თავის მკვეთრი ტკივილით, პირდებინებით. სწრაფად იწყება კეფის კუნთების რიგიდობა (დაჭიმულობა) გონების დაკარგვა, თვალის გუგების გაფართოება, შეიძლება დაერთოს კრუნჩხვებიც. მენინგიტის დროს აღინიშნება მძიმე გართულებები უურის, თვალების, ცხვირის, სახსრების, და აგრეთვე გულის სარქეელების დაზიანებით. მენინგიტის მწვავე სურათოან ერთად მენინგოკორპუსი იწვევენ სეფსისით მიმდინარე დაავადებებს – მენინგოკორპუცემიას, რომელსაც თან ახლავს ჰემორაგიული გამონაყარი, გარდა ამისა, მენინგოკორპუსი დაავადებები ხშირად მიმდინარეობს ნაზოფარინგიტის კლინიკური სურათით, ლიქვირში მცირე ცვლილებით. ადამიანის ამოვისებდლობა მენინგიტისადმი დაბალია. ხშირად ავადებებიან ბავშვები, თუმცა მათშიც დაავადების პროცენტი არ არის მაღალი. ცერებროსპინალური მენინგიტის ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის იკვლევენ ზურგის ტვინის სითხეს. მას იღებენ ლუმბალური პუნქციით. ამ მიზნით ავადმყოფ ბავშვს სვამენ ძალზე წინ გადახრილ მდგომარეობაში ან აწევენ საწოდები ასეთსავე მდგომარეობაში და წელის II და III ან III და IV მაღალებს შორის შეჯყავთ ნემსი. ამ ნაწილში ლუმბალური ჩხვლება არის საშიში. ვინაიდან ზურგის ტვინი აქ წარმოდგენილია ზურგის ტვინის სითხეში მცურავი ბოლოგიდული ძაფების სახით. პატარა ბავშვებს ნაჩხვლებს უკეთებენ შპრიცის ჩვეულებრივი ნემსით, ხოლო მოზრდილებს

– პირის სპეციალური ნემსით. როგორც კი ნემსი მოხვდება ზურგის ტვინის არხში, სიოხე მაშინვე იწყებს ჟონვას. მენინგიტის შემთხვევაში სიოხე გამოედინება ჭავლის სახით, რადგან იმყოფება მაღალი წნევის ქვეშ. აგროვებენ სტერილურ სინჯარაზე ასეპტიკის ყველა წესის დაცვით. ჩვეულებრივ ზურგის ტვინის სიოხე გამჭვირვალეა და წვეთობით გამოდის, მენინგიტის დროს კი მდვრიე, მასში ჩირქის არსებობის გამო. გაჩერებისას ჩირქი ფსკერზე ილექება. ჩირქოვანი ნალექებიდან აკეთებენ ნაცხს და დებავენ ლილით და გრამის წესით. ნაცხში ჩირქოვანი უჯრედების (პოლინუკლეარების) დიდი რადგნობით არსებობა და დამახასიათებელი წყვილი გრამუარყოფითი კოკების არსებობა მათ შიგნით და გარეთ ცერებროსპინალური მენინგიტის დიაგნოზს ადასტურებს იმ შემთხვევაში თუ ჩირქოვანი უჯრედები ცოტაა ან კოკები არ აღმოჩნდება, ორსავენ 20%-იან შრატიან აგარზე და 24-28 სთ-ის შემდეგ დებულობენ მენინგოკოკის სუფთა კულტურას.

ბაქტერია მტარებლობის დასადგენად იკვლევენ ლორწოს ცხვირ-ხახიდან.

მენინგიტის წყაროდ მხოლოდ ადამიანი ითვლება, ინფექცია გადაეცემა წვეთოვანი გზით.

მენინგიტს მკურნალობენ ანტიბიოტიკების დიდი დოზით. გამოიყენება აგრეოვე სულფამიდები.

### ლურჯ-მწვანე ჩირქის ჩხირი (*Pseudomonas aeruginosa*)

პატარა გრამუარყოფითი ჩხირია, სპორებს და კაფსულებს არ წარმოქმნის, მოძრავია (მონოტრიქი) ფაკულტატური ანაერობია. კარგად იზრდება უბრალო საკვებ ნიადაგზე ანაერობულ პირობებში 20-37°C-ზე. შედარებით ცუდად იზრდება აერობულ პირობებში. მას ახასიათებს პიგმენტის და არომატის წარმოქმნა. პირობით პათოგენურია. გააჩნია ძლიერი პროტეოლიზური თვისებები და ანტაგონისტური მოქმედება გრამ-დადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ. ფართოდ გვხვდება ბუნებაში, მონაწილეობს ლპობის პროცესში, ინფექციებისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარის შესუსტებისას ლურჯ-მწვანე ჩირქის ჩხირს შეუძლია გამოიწვიოს ჭრილობების, შარდის ბუშტის, თირკმელის მენჯის, შუა ყურის, პაიმორის დრუს ჩირქოვანი ან-თებები, სეფსისი და სხვა დაავადებები.

### ვულპროტეული პროტეული (*Bact. proteus Vulgaris*)

მცირე ზომის საკმაოდ პოლიმორფული გრამუარყოფითი ჩხირია, სპორებსა და კაფსულებს არ წარმოქმნის, აქვს პერიტრიქიალური წამწამები, რომლებიც შეიძლება და-კარგოს და მაშინ იგი უწამწამო უძრავ 0-ფორმად გარდაიქმნება. ფაკულტატური აერობია, საკვები ნიადაგებისადმი მომოხვენი არ არის. კარგად იზრდება 25-30°C-ზე. აქვს კარგად გამოხატული პროტეოლიზური თვისებები. მონაწილეობს ლპობის პროცესში. პირობით პათოგენური მიკრობია. განსაკუთრებულ პირობებში ზოგიერთ პათოგენურ შტამს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანში ჭრილობების დაჩირქება. შუა ყურის, შარდის ბუშტის, თირკმელის მენჯის ანთება, ენდომეტრიტი, მწვავე ენტერიტები და ენტეროკოლიტები (განსაკუთრებით ბავშვებში) საჭმლით მოწამვდა და სეფსისიც.

## ბონოპოკები (Gonococcus)

ადმოაჩინა ნეისერმა 1879 წელს. ოჯახი Neisseriaceae, გვარი – Neisseria, სახეობა Neisseria gonorrhoeae გონოკოკები ეს არის დიპლოკოკები, რომლის უჯრედებს ლობიოს მარცვლის ფორმა აქვთ და შეზნექილი კიდეებით ერთმანეთისგან არიან მიმართული. გრამუარყოფითია, უძრავია, სპორებს და კაფსულებს არ წარმოქმნის. კარგად იდებება ანილინის საღებავით, საკვები ნიადაგების მიმართ მომოხვნია. ვითარდება აერობულ პირობებში  $35\text{--}37^{\circ}\text{C}$  არამდგრადი მიკრობია. ორგანიზმის გარეშე გამოშრობის გამო რამდენიმე საათში იდუპება, მაგრამ ჩირქის სქელ ფენაში და ტენიანობის არსებობისას სხვადასხვა საგანზე შეიძლება გაძლოს დღე-დამე და მეტიც – მგრძნობიარეა ტემპერატურის მერყეობისადმი, ცუდად იტანს სითბოს და სიცივეს – იდუპება  $40^{\circ}\text{C}$  აგრეთვე სადეზინფექციო ხსნარების მოქმედებითაც.

გონოკოკი ორგანიზმზე მოქმედებს ენდოტოქსინით. ცხოველებს გონოკოკური დაავდგებისადმი ამოვისებლობა არ აქვთ.

გონოკოკი იჭრება ცილინდრული გპიოელიუმით დაფარული ლორწოვანი გარსებიდან, რომელზედაც იგი ძალიან სწრაფად გროვდება, უფრო ხშირად გონოკოკი განაპირობებს ვენერიულ დაავადებას გონორეას (სუსუნატი) შარდსასქესო გზების ლორწოვანი გარსის ჩირქოვან ანოებას. დაავადების გადაცემა ხდება პირდაპირი კონტაქტით ავადმყოფ ადამიანონან სქესობრივი ურთიერთობის დროს, მაგრამ შეიძლება მოხდეს არაპირდაპირი გზით დასხებოვნება. (საწოლი, ავადმყოფის ნივთები, თეორეული, აბაზანა, თასები დრუბლები) ინკუბაციის პერიოდი 3-5 დღეა, ყველაზე ხშირად მწვავე გონორეა როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში შარდსადინარი არჩის ჩირქოვანი ანთებით – ურეთოით იწყება. შემდეგ გონოკოკი შეიძლება გავრცელდეს შარდსასქესო ორგანოებზეც – საკვერცხის ჯირკვლის დანამატზე, საშვილოსნოს ყელზე, ლულაზე და ა. შ. და გამოიწვიოს მათი ანოება. ლიმფოგენურ და ჰემატოგენური გავრცელების დროს გონოკოკს შეუძლია გამოიწვიოს სხვა ორგანოების დაზიანება: გონორეული ართრიტები, ენდოკარდიტები და სეფსისიც კი. თუ ავადმყოფი არ მკურნალობს ან არასწორ მკურნალობას ატარებს, დაავადება გადადის ქრონიკულ ფორმაში, რომლის მკურნალობა უფრო გაძნელებულია. გონოკოკს შეუძლია აგრეთვე განაპირობოს ბლენორეაც – ოვალის კონიუქტივიტის ჩირქოვანი ანოება, რომელიც უფრო ხშირად წარმოიქმნება ახალშობილებში დედის ინფიცირებულ სამშობიარო გზებში გავლისას. გონოკოკური დაავადების გადატანის შემდეგ ორგანიზმი იმუნიტეტს არ იძენს. გონორეის დიაგნოზის დადგენა ხდება მიკროსკოპული, ბაქტერიოლოგიური და უროლოგიური მეთოდების გამოყენებით გამოსაკვლევ მასალად იდებენ ჩირქეს ურეთოდან, საშვილოსნოს ყელისა და წინამდებარე ჯირკვლის გამონაყოფს, შარდს და სხვა. მწვავე გონორეის დიაგნოსტიკა ძირითადად ბაქტერიოსკოპული მეთოდით ხდება. ქრონიკულ გონორეას ადგენენ ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური (გონოკოკის ანტიგენთან კომპლექტის შებოჭვის რეაქცია) გამოკვლევებით. გონორეის მკურნალობისათვის იყენებენ სულფანილამიდურ პრეპარატებს და ანტიბიოტიკებს. ქრონიკული გონორეის საუკეთესო სამკურნალო პრეპარატია გონოკოკური ვაქცინა.

## ნაშლავთა ინფექციის გამომავალი

ნაწლავთა ბაქტერიული ინფექციების გამომწვევები (გარდა ქოლერის ვიბრონის) შედიან Enterobacteriaceae ოჯახში. ამ ოჯახში შედის Escherichia, Sallmonela, Shigella, Klebsiella, Proteus, Iersinia, Ervinia გვარები. ოჯახში შემავალ სახეობათა უმეტესობა პათოგენური არ არის, ნაწილი კი ნორმული მიკროფლორითაა წარმოდგენილი. ენტერობაქტერიებს გააჩნიათ შემდეგი საერთო თვისებები: ლოკალიზდებიან ადამიანის და

ცხოველების ნაწლავებში, გრამუარყოფითი ჩხირებია. ზოგიერთ წარმომადგენელს გააჩნია კაფსულა, სპორებს არ წარმოქმნიან უმეტესობას გააჩნია მოძრაობის უნარი პერიტრიქიალურად განლაგებული შოლტების საშუალებით (გარდა შიგელებისა) ენტეროპათოგენური ეშერიხიების შტამს, შიგელებს და სალმონელებს გააჩნიათ ხაოები (common pili) კულტურის თვისებები: ბაქტერიები იზრდებიან უბრალო საკვები ნიადაგზე ბიოქიმიურად ყველაზე აქტიური არიან ნაკლებად პათოლოგიური წარმომადგენლები. ენტერობაქტერიებს გააჩნიათ სომატური O-ანტიგენი, უჯრედის კედლის ლიპოპოლისაქარიდული პროტეინური კომპლექსი. ზოგიერთ სალმონელას (ტიფის, პარატიფების გამომწვევებს) გააჩნიათ O-სომატური A-ანტიგენზე უფრო ზედაპირულად განლაგებული vi ანტიგენი მოძრაობის უნარის მქონე სახეობებს გააჩნიათ H ანტიგენი, ზოგიერთ სახეობას გააჩნია აგრეთვე კაფსულის k ანტიგენი. ენტერობაქტერიებისთვის დამახასიათებელია რთული ანტიგენური სტრუქტურა და მათი დიფერენცირება ხდება ანტიგენური თვისებების განსაზღვრის საშუალებით (აგლუტინაციის რეაქცია)

ნაწლავთა ინფექციების გამომწვევების ენდოტოქსინები განსხვავდებიან ერთმანეთის-გან ქიმიური სტრუქტურით, მაგრამ ყველა მათგანი ერთნაირ პათოფიზოლოგიურ მოქმედებას ავლენს. ყველა ჩამოთვლილ ბაქტერიას აქვს ბევრი საერთო ნიშანი, რომელიც ადასტურებს ევოლუციის პროცესში მათ საერთო წარმოშობას ერთი უფრო უძველესი ბაქტერიული ფორმისგან.

## ნაწლავის ჩხირი (Escherichia coli)

შეისწავლა ეშერიხია 1886 წელს

აქვს პატარა ზომა სიგრძით 1,5-3 მკ და სისქით 0,5-0,8 მკ. ჩხირის ფორმა რამდენადმე მომრგვალებულია, სპორას არ წარმოქმნის. ნაწლავის ჩხირის სახესხვაობათა უმრავლესობა აღჭურვილია პერიტრიქიალურად განლაგებული წამწამებით. ნაწლავის ჩხირი გრამუარყოფითია. არ არის მომთხოვნი საკვები ნიადაგისადმი, უფრო კარგად იზრდება აერობებში, მაგრამ უანგბადის ნაკლებობის დროსაც ვითარდება, ზრდის ოპტიმალური ტემპერატურა 37° გრადუსი მაგრამ შეუძლია გაიზარდოს 44°-46° გრადუს ტემპერატურის დროსაც. წყალსა და ნიადაგში ჩვეულებრივ ცოცხლობს რამდენიმე თვეს. ნაწლავის ჩხირი ადამიანისა და ცხოველების ნაწლავების ნორმალური ბინადარია. იგი ადამიანის თანამგზავრია დაბადებიდან სიკვდილამდე. განავალოან ერთად გამოიყოფა უამრავი რაოდენობით.

ნაწლავის ჩხირის რაოდენობა წყალსა და საკვებ პროდუქტებში მოცემული ობიექტების სანიტარული მდგრმარეობის მნიშვნელოვანი მონაცემია. მისი სწორი შეფასებისთვის ადგენერული კოდინგი (წყლის ის უმცირესი რაოდენობა, რომელშიც კიდევ გვხვდება ნაწლავის ჩხირი) და კოდინგი ინდექსს (ნაწლავის ჩხირების რაოდენობა 1ლ. წყალში).

ნაწლავის ჩხირი ადამიანისთვის პირობით პათეგენურ მიკრობად ითვლება ის ჩვეულებრივად არსებობს ნაწლავში საპროფიტის სახით, მაგრამ სხვა ორგანოებში და ქსოვილებში მოხვედრისას შეუძლია გამოიწვიოს ანთებითი პროცესის განვითარება. მაგ. ჩირქოვანი აპენდიციტების ნაწილი განპირობებულია ნაწლავის ჩხირით. ზოგ შემთხვევაში იწვევს მშობიარობის შემდგომ სეფსისს, ახალ შობილოთა სეპტიცემიას, ქოლეცისტიტს, პიელიტს, პიელონეფრიტს, მეტრიტს და ა.შ. საკვებ პროდუქტებში გამრავლების შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს საჭმლით მოწამვლა. ნაწლავის ჩხირით გამოწვეული ანთებითი პროცესების მკურნალობისთვის იყენებენ ანტიბიოტიკებს.

## პლასიილები

ოჯახი *Eterobacteriaceae* გვარი *Klebsiella*, სახეობები *K. pneumoniae*, *K. ozenae*, *K. rhinoseleznatis*. სახელწოდება მიეცა ეკლებსის პატივსაცემად. კლებსიელები მოკლე, მსხვილი გრამუარყოფითი ჩხირებია ნაცხებში განლაგდებიან ცალ-ცალკე, წყვილად ან მოკლე ძეწვების სახით. სპორებს არ წარმოქმნიან, არ გააჩნიათ სამოძრაო აპარატი. კაფსულას წარმოქმნიან როგორც ცოცხალ ორგანიზმებში პარაზიტობის, ისე ხელოვნურ საკვებ ნიადაგზე კულტივირების დროს. ზოგიერთ სახეობას გააჩნია ხაობი. კარგად იზრდებიან მარტივ საკვებ ნიადაგებზე და წარმოქმნიან მბრწყინავ ლორწოვან კოლონიებს. ფაკულტატური ანაერობებია. ზრდის ოპტიმლური ტემპერატურა  $35-37^{\circ}$  გრადუსია *C.* ოპტიმალურ  $\text{pH}=7.2-7.4$ . ბუნებაში ფართოდ არიან გავრცელებული. შედარებით გამძლენი არიან გარემოს ფაქტორების მიმართ. (დიდხანს ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარიანობას ნიადაგში, წყლებში, შენობებში გვხვდებიან აგრეთვე ადამიანის და ცხოველების ნაწლავებში) მათზე დამდუპველად მოქმედებს სადენზიფექციო ნივთიერებები.

კლებსიელებს გააჩნიათ O და K ანტიგენი. K ანტიგენი დაკავშირებულია კაფსულასთან. გააჩნიათ ენდოტოქსინი. გამოიმუშავებენ აგრეთვე ენტეროტოქსინს, რომელიც იწვევს სითხის გაძლიერებულ სეკრეციას ნაწლავებში. უკაფსულო შტამები გაცილებით ნაკლებად ვირულენტურები არიან. კაფსულის პოლისაქარიდი თრგუნავს ფაგოციტოზს.

ადამიანის სხევადასხვა დაავადებას იწვევენ. უფრო ხშირად აზიანებენ სასუნოქ გზებს, შეუძლიათ აგრეთვე შარდ-სასქესო ტრაქტის, კონიუნქტივის, ტვინის გარსების, სახსრების დაზიანება. გარდა ამისა კლებსილები იწვევენ ნაწლავთა ინფექციას და სეპტიკოპიემიებს. მათი ანტიობიოტიკორეზისტენტული შტამები ხშირად იწვევენ საგაადმყოფოს შიდა ინფექციებს. ინფექციის წყაროს წარმოადგენენ ავადმყოფები და ბაქტერიამტარებლები. დასხებოვნება უფრო ხშირად რესპირატორული ტრაქტიდან ხდება.

კლებსიელებისაგან გამოწვეული დაავადებების დროს გარკვეულ როლს თამაშობს საეციფიკური ანტისხეულებით ოფსონიზირებული კლებსიელების ფაგოციტოზი. გამომწვევის ლოკალიზება უჯრედის შიგნით ხელს უწყობს ინფექციის ქრონიკული ფორმების განვითარებას, ვითარდება დაუუღნებელი ტიპის ჰიპერსენსიბილობა.


დიაგნოზი ისმება გამოსაკვლევი მასალიდან (ნახველი, ლორწო ცხვირიდან და სხვა) დამზადებული ნაცხების მიკროსკოპირების და სუფთა კულტურის გამოყოფის საფუძველზე. სეროდიაგნოსტიკისათვის იყენებენ კომპლექსურის შებოჭვის რეაქციას. (ავადმყოფის შრატით და კლებსილების O-ანტიგენით) დაავადების სამკურნალოდ იყენებენ ანტიბიოტიკებს.

## მუცლის ტიფის და პარატიფის აღმდვრელები

Salmonella typhi; Paratyphi A და B

შეისწავლა ებერტმა (1880) და გაფკიმ (1884).

მუცლის ტიფის კლინიკური მიმდინარეობა უმნიშვნელოდ განსხვავდება პარატიფების კლინიკური მიმდინარეობისაგან. ამ დაავადებების აღმდვრელებსაც ბევრი საერთო თვისებები აქვთ, რის გამოც ისინი შედიან ტიფურ-პარატიფური ბაქტერების ჯგუფში, რომელებსაც სალმონელები ეწოდებათ. პარატიფ A და B ჩხირები ძალზე ჰგვანან მუცლის ტიფის ბაქტერიებს. ისინი პატარა ზომის არიან (და გარეგნულად არ განსხვავდებიან ნაწლავის ჩხირისაგან) არ წარმოქმნიან კაფსულებს და სპორებს, აქვთ პერიტრიქიალური განლაგების მქონე წამწამების დიდი რაოდენობა, გრამუარყოფითნი არიან. ფაქულტატური ანაერობებია, მათი ზრდის ოპტიმალური ტემპერატურა 37° გრადუსია. კარგად იზრდებიან მარტივ ნიადაგებზე. ტიფის და პარატიფის ჩხირების დიფერენციაცია შესაძლებელია არა მარტო ფერმენტული თვისებებით, არამედ უმთავრესად ანტიგენური შენების მიხედვით. ტიფის და პარატიფის ჩხირებს შეუძლიათ დიდხანს (კვირაობით, თვეობით) დარჩენენ წყალსაცავებში. საკვებ პროდუქტებში არა მარტო ინახებიან არამედ შეუძლიათ გამრავლდნენ. გათბობა 56° გრადუს ტემპერატურაზე, 15 წთ-ის განმავლობაში იწვევს მათ დაღუპვას. ამთვისებლობა მუცლის ტიფისადმი აქვს მხოლოდ ადამიანს. მუცლის ტიფის და პარატიფის ბაქტერიებით დასნებოვნება პერიორალურად ხდება. ინკუბაციის პერიოდი გრძელდება 9–21 დღე. ამ დროის განმავლობაში მიკრობები წვრილი ნაწლავებიდან სოლიტარული ფოლიკულებიდან პეიერის ბალოებიდან ლიმფური გზებით შეადწევენ ჯორჯლის ლიმფურ კვანძებში, სადაც მრავლდებიან. ინკუბაციის დამთავრება ემთხვევა სისხლში ბაქტერიების შესვლას. სისხლის მიმოქცევით ბაქტერიები ვრცელდებიან ორგანოებში: დვიძლებში, ელენთაში, ძვლის ტვინში, თირკმელში, კანში და იწვევენ ანთებით ცვლილებებს ქსოვილებში. დაავადების მიმდინარეობის მეორე კვირას წვრილი ნაწლავების ლიმფურ აპარატში ვითარდება ცვლილებები. პეიერის ბალოები და სოლიტარული ფოლიკულები გაჯირჯვდებიან და წითლდებიან, რადგან მიკრობები ნაღვლის სადინარებით დვიძლიდან მოხვდებიან ნაღვლის ბუშტებში და შემდეგ ისევ ნაწლავებში. დაავადების მესამე კვირის განმავლობაში ნაწლავებში იწყება ლიმფური ბალოების ნეკროზი. მათ ზედაპირზე წარმოქმნება ფუფხი. შემდეგ ფუფხის მოძრობის გამო წვრილი ნაწლავის კედლებზე წარმოქმნება წყლულები. დაავადების ეს სტადია შეიძლება გართულდეს მძიმე, არაიშვიათად სასიკვდილო დაზიანებით ნაწლავების გახვრებით (წყლულის ადგილზე) და ნაწლავებიდან სისხლის დენით (ძარღვის კედლის დაშლა) დაავადების ამ პერიოდში ტიფის ჩხირები ჩვეულებრივად გამოიყოფა ნაწლავებიდან და თირკმელებიდან ამ დროს მათი აღმოჩენა შეიძლება განავალში და შარდში. მეოთხე კვირას ნაწლავებში წყლულები შეხორცდება. ტიფის ჩხირები სშირად რჩება ნაღვლის ბუშტებში, მუცლის ტიფისაგან განკურნების შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.



პარატიფით დაავადების დროს ინკუბაციური პერიოდი მოკლეა, დასაწყისში შეიმჩნევა დისპეციული მოვლენები. პარატიფით დაავადების ზუსტი დიაგნოზის დადგენა ხდება მხოლოდ ლაბორატორიული მეთოდებით.

ამოვისებლობა მუცლის ტიფისადმი მაღალია. გადატანილი ინფექცია ტოვებს მტკიცე იმუნიტეტს მაგრამ იმუნიტეტი მარტო ანტისეულების არსებობით კი არ აისხება არამედ ორგანიზმის ბარიერული ფუნქციის ზრდითაც. ტიფისა და პარატიფის ერთი ჯგუფის მიკრობთა მიერ გამოწვეული ინფექცია არ იცავს ორგანიზმს ამ ბაქტერიუმ-ბის სხვა წარმომადგენლების მიერ გამოწვეული დაავადებისაგან.

დაავადების პერიოდისაგან დამოკიდებულებით მუცლის ტიფის მიკრობიოლოგიური დიაგნოზის დადგენა შეიძლება სხავადასხვა მეთოდით. ბაქტერიოლოგიური მეთოდი გამოიყენება ცხელების მოელ პერიოდში (სისხლის დაოესვა) დაავადების მესამე კვირიდან შეიძლება აგრეთვე განავლისა და შარდის დაოესვა.. მეორე კვირის დასაწყისიდან ავადმყოფის სისხლში გროვდება აგლუტინინების საკმაო რაოდენობა და ამ მომენტიდან იყენებენ დიაგნოსტიკის სეროლოგიურ მეთოდს (კიდალის რეაქცია) ამ რეაქციას დიაგნოზის დასმისას დამხმარე მნიშვნელობა აქვს. მუცლის ტიფისა და პარატიფის დიაგნოსტიკის ყველაზე უფრო უტყუარი და ადრეული მეთოდია სისხლის დაოესვა-ჰემოპულტურის მეთოდი (დაავადების უპვე პირველი დღიდან შესაძლებელია ავადმყოფის სისხლიდან აღმძვრელის კულტურის გამოყოფა).

ტიფის და პარატიფის ინფექციების ძირითად წყაროს წარმოადგენენ ავადმყოფები და ბაქტერიამტარებლები. კონტაქტურ-საყოფაცხოვრებო გზით გადაეცემა. დასნებოვნება შეიძლება მოხდეს საკვებით (განსაკუთრებით რძით და წყლით).

მუცლის ტიფის და პარატიფის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ზომებს მიეკუთვნება: დაავადების დროული დიაგნოსტიკა, დაავადებულთა ადრეული პოსპიტალიზაცია, კერების დეზინფექცია, ბაქტერიამტარებლების გამოვლინება, წყლის ქლორილება და ა.შ. სპეციფიკური პროფილაქტიკა გამოიხატება სხვადასხვა ვაქცინების, ტიფოზური პოლივალენტური ბაქტერიოფაგის გამოყენებაში და ა.შ.

## სალმონელოზის აღმმდევლები Salmonella

ადამიანში იწვევენ კვებითი ტოქსიკონფექციის ხასიათის დაავადებას. მათ შეუძლიათ გამოიწვიონ სხვა დაავადებებიც, რომლებმაც მიიღეს საერთო დასახელება – სალმონელოზები. მორფოლოგიურად და კულტურალურად სალმონელები მცირედ განსხვადებიან პარატიფის ჩირებისაგან, მოძრავი არიან, აქვთ პერიტრიქიალური წამწამები, გრამუარეფიონებია, ენდოს ნიადაგზე სალმონელები უფერულ კოლონიებად იზრდებიან. სალმონელების ერთმანეთოან დიფერენცირების ძირითად მეთოდს წარმოადგენს სპეციფიკური სააგლუტინაციო შრატების დახმარებით მათი ანტიგენური სტრუქტურის შესწავლა. სალმონელების 500-ზე მეტ სეროლოგიურ ტიპს ითვლიან. მათი მდგრადობა ქიმიური და ფიზიკური ზემოქმედებისადმი ისეთივეა როგორც პარატიფის ჩირების. სალმონელებს ახასიათებთ ბიპათოგენობა (პათოგენურია ადამიანის და ბევრი ცხოველისათვის) ბუნებრივ პირობებში უფრო ხშირად მსხვილ და წვრილფეხა რქიან საქონელს ღორებს ასნებოვნებენ. სალმონელებს აქვთ ძლიერ მოქმედი ენდოტოქსინი, რომელიც თვისეუფლდება მიკრობის უჯრედის დაშლის დროს. ეგზოტოქსინს არ წარმოქმნიან. ენდოტოქსინი აზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს. დაავადება ვითარდება სალმონელებით დაბინძურებული საჭმლის მიდების შედეგად და ტოქსიკური ინფექციის თვისებებს ატარებს. მტკიცნეული მოვლენები მძიმე მოწამვლის სიმპტომებით გამოიხატება. ინკუბაციის პერიოდი რამდენიმე საათს

გრძელდება (6-24) და დამოკიდებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრილი ბაქტერიებისა და მათი ენდოტოქსინის რაოდენობისაგან. ენდოტოქსინი საჭმელში ნაწილობრივ გროვდება მის მიღებამდე, მაგრამ ძირითადად თავისუფლდება ნაწლავებში ბაქტერიების დაშლის დროს.

კლინიკურად ავადმყოფებს აღენიშნებათ დებინება, დიარეა, საერთო სისუსტე, გულ-სისხლძარღვთა მოქმედების დარღვევა, ტკივილები მუცლის არეში, მოსალოდნელია კრუნჩხები, უგონო მდგომარეობა. მძიმე შემთხვევებში იწყება ორგანიზმის გამოშრობა (დებინების და დიარეის დროს) დავადება უმეტესად ერთი ორი დღე გრძელდება და გამოჯანსაღებით მთავრდება. სალმონელებს შეუძლიათ ნაწლავის ლიმფური აპარატიდან შეაღწიონ ავადმყოფი ადამიანის სისხლში. სალმონელები აქტიურად მრავლდებიან როგორც ბაგშვების ისე მოზრდილი ადამიანის ორგანიზმში. ბაგშვები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან სალმონელების მიმართ. მათში შეიძლება შეინიშნოს დაავადების დიზენტერიის მსგავსი ფორმა, რომელიც კოლიტის ან ჰემოკოლიტის სურათით მიმდინარეობს. ცნობილია აგრეთვე სალმონელების სეპტიკური ფორმა, რომელსაც შეუძლია მოგვცეს ადგილობრივი დაზიანებები (პიელონეფრიტი, ართრიტი, კანქეფშა აბსცესები, მენინგიტი და ა.შ.) მცირე ასაკის ბაგშვებს შეიძლება დაუზიანდეს ხახის ლიმფური აპარატი, ხოლო ორსულებს და მელოგინეებს სასქესო სფეროს უბანი. ადამიანები, რომლებმაც სალმონელოზი გადაიტანეს გარკვეული დროის განმავლობაში ბაქტერიამტარებლები არიან. ბაქტრიამტარებლობა ხანდახან ჯანმრთელ ადამიანებშიც შეინიშნება.

მიკრობიოლოგიური დიგნოსტიკისათვის აწარმოებენ კოპროლოგიურ გამოკვლევას და იკვლევენ აგრეთვე პირნაღებ მასას. იშვიათად ავადმყოფის სისხლს და შარდს. გარდა ამისა, დაავადების წყაროს დასადგენად აუცილებელია საკვები პროდუქტების გამოკვლევა.

სალმონელების ძირითადი მტარებლები არიან ცხოველები, რომლებიც ინფექციის მთავარ წყაროს წარმოადგენენ.

ტოქსიკონფექციების პროფილაქტიკა ვეტერინარული და სანიტარული დონისძიებების კომპლექსისაგან შედგება სალმონელოზების სხვადასხვა ფორმის გავრცელების აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეულ ლაბორატორიულ გამოკვლევას, განსაკუთრებით ბაგშვებში, ბაქტერიამტარებლობის დროულ გამოვლინებას და სანაციას.

### ბაქტერიული დიზენტერიის აღმდვრებები (Shigella)

დიზენტერიას იწვევენ ბაქტერიები – ბაქტერიული დიზენტერია, უმარტივესნი – ამებური დიზენტერია. ბაქტერიულ დიზენტერიას იწვევს დიზენტერიის ბაქტერიების ჯგუფი, რომელიც შემდეგი ძირითადი სახეებისგან შედგება. ა) დიზენტერიის ჩხირები, რომელიც მანიტს არ შლიან. ამ ჯგუფში შედიან გრიგორიევ (1891 – შიგას (1898) შტუცერ-შმიტცის (1917) ლარჯ-საქსის და პროვიზორული ჩხირები. ბ) ზონეს (1915 წ) ჩხირები. გარდა ამისა დიზენტერიის ბაქტერიათა ზოგი სახეობა, რომლებიც მანიტს არ შლიან თავისი ანტიგენური თვისებების მიხედვით იყოფა მთელ რიგ ტიპებად, ხოლო ფლექსნერის სახეობის დიზენტერიის ბაქტერიები ფლექსნერის, ნიუკესტლის და ბოიდის ქვესახეებად იყოფა, რომელთა შორის ანტიგენური აგებულების თავისებურებების მიხედვით არჩევენ მთელ რიგ ტიპებსა და ქვეტიპებს, დიზენტერიის ბაქტერიათა სახისა და ტიპის ზუსტ განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცალკეული დაავადების ეპიდემიოლოგიური კავშირის დასაზუსტებლად. ამას აღწევენ საკვლევი

კულტურების სპეციფიკურ შრატებთან აგლუტინაციის რეაქციით.


დიზენტერიის ჩხირები უძრავნი არიან, არა აქვთ წამწამები. ისინი გრამუარყოფითი მიკრობებია, კარგად იზრდებიან ნიადაგზე, უფერული კოლონიების სახით ტემპერატურული ოპტიმუმია  $37^{\circ}\text{C}$  (არ შლიან ლაქტოზას) ხასიათდებიან ძლიერ მცირე ფერმენტული აქტივობით. (შლიან გლუკოზას, ცალკეული სახეები მანიტს, მალტოზას და საქაროზას მჟავას წარმოქმნით აირის გარეშე). ახასიათებო მცირე მდგრადობა, მზის პირდაპირი სხივი კლავს ჩხირებს 30 წთ-ის განმავლობაში. წყალში ინახებიან ერთ კვირამდე. საკვებ პროდუქტებში უფრო ხანგრძლივად ძლიერება. კლავს მათ 10 წთ-ის განმავლობაში. კარბოლმჟავა და ქლორიანი კირი ჩვეულებრივ კონცენტრაციებში დიზენტერიის ბაქტერიებს კლავს 30 წთ-ის განმავლობაში. ბაქტერიული დიზენტერიით ავადდებიან მხოლოდ ადამიანები. ყველა დიზენტერიის ჩხირი წარმოქმნის ენდოტოქსინს, რომელიც მოქმედებს ნაწლავების და სხვა ორგანოების ნერვულ აპარატზე, აგრეთვე ნაწლავის კედლებზე. გრიგორიევ-შიგას ჩხირები გამოყოფენ ეგზოტოქსინსაც, რომელსაც აქვს მაღალი თერმომდგრადობა და არ კარგავს ოვის მომშხამავ თვისებებს  $70^{\circ}\text{C}$ -მდე გახურების დროსაც.

დიზენტერიით დასხებოვნება მხოლოდ პერიორალურად ხდება. მიკრობები ხვდებიან მსხვილ ნაწლავებში, სადაც მედავნდება მათი ძირითადი პათოგენური მოქმედება. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-დან 7 დღემდე. დიზენტერიული ტოქსინები მოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. შეინიშნება მსხვილი და წვრილი ნაწლავების ნერვული აპარატის დაზიანება, რის შედეგად ვითარდება მსხვილი ნაწლავების ლორწოვანი გარსის წყლულოვანი ანთება და სპასმი, ავადმყოფს აქვს მტკიცნეული ტენეზმები (ჭინოვები) და სპასტიკური შექრულობა (განავლის მასა ჩერდება ნაწლავებში) განავალი შეიცავს მცირე რაოდენობით ლორწოს, ჩირქს და სისხლს. დიზენტერიის ბაქტერიები სისხლში არ შეაღწევენ. ტოქსიკური ფორმები ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილით მთავრდება. ყველაზე უფრო მძიმედ ავადდებიან ბავშვები და მოხუცები. ზოგჯერ დაავადება გადადის ქრონიკულ ფორმაში. იმუნიტეტი გადატანილი დიზენტერიის შემდეგ სუსტად არის გამოხატული. მეორედ დაავადება შესაძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ინფიცირება ხდება სხვა სახის ჩხირებით. დიზენტერიის დროს ჩვეულებრივ მიკრობითოლოგიური გამოკვლევების გარდა ატარებენ აგრეთვე, კოპროლოგიურ გამოკვლევას. მწვავე დიზენტერიის დროს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს ლორწოს, ჩირქის და სისხლის აღმოჩენას.

დიზენტერიის ბაქტერიები გარემოში გამოიყოფა მხოლოდ გამონაყოფებით. ინფექციის გადაცემის ძირითად საშუალებად ითვლება კონტაქტურ-საყოფაცხოვრებო გზა, აგრეთვე წყალი და საჭმელი, დიზენტერიის გავრცელებას აგრეთვე ხელს უწყობენ ბუზები.

### ქოლერის ვიბრიონი (Vibrio cholerae) (შეისწავლეს კოხმა 1883 წ. – გოტშლიხმა 1960 წელს)

ქოლერის აღმმვრელი ცნობილია ორი ძირითადის სახით. კლასიკური (კოხის) და ელ. ტორის (El. Tor) ვიბრიონის სახით. (რომელიც 1905 წ. გოტშლიხმა გამოყო ავადმყოფი მლოცველისაგან კარანტინის სადგურ ელ-ტორში სინაის ნახევარკუნძულზე. ქოლერის გამომწვევებს გააჩნიათ O-სემატური და H-შოლტების ანტიგენები. H-ანტიგენი საერთოა როგორც ქოლერის, ისე ქოლერის მსგავსი ვიბრიონებისათვის. O-ანტიგენის მიხედვით ყველა ვიბრიონი იყოფა 54 სეროჯგუფად. კლასიკური ქოლერის ვიბრიონს და ბიოვარ ელ-ტორს გააჩნიათ საერთო O- ანტიგენი და განეკუთვნებიან 0-1 სეროჯგუფს. 0-1 სეროჯგუფი იყოფა სამ სეროვარად – ოგავა, ინაბა და ჰიკოშიმა.



ქოლერის ადმინისტრაციულ აქვს ოდნავ მოხრილი მძიმისმაგვარი ფორმა. მისი სიგრძე 2-3 მილიმეტრია სისქე 0,5 მილიმეტრი. გარემო პირობების გავლენით შეიძლება აგრეთვე მიიღოს ჩხირების, სპირალების და კოკების ფორმა. ბაქტერიებს შორის ქოლერის ვიბრიონი ყველაზე უფრო მოძრავია. მისი ჩქარი მოძრაობა გამოწვეულია ერთი გრძელი წარმატებით. (მონოტრინით) სპორებს და კაფსულებს ვიბრიონი არ წარმოქმნის, გრამის მიხედვით არ იღებება. მომთხოვნი არ არის საკვები ნიადაგებისადმი, სწრაფად მრავლდება და შეუძლია გაიზარდოს მკვეთრი ტუტე რეაქციის ( $\text{pH}=8,4$ ) მქონე ნიადაგზე, მკაცრი აერობია, ყველაზე კარგად იზრდება  $37^{\circ}$  ტემპერატურის დროს. აგარზე წარმოქმნის ცვრის წვერების მსგავს გამჭვირვალე წვრილ კოლონიებს, ხოლო თხევად ნიადაგებზე (პეპტონის წყალი) ნაზ მოცისფრო აპას. ქიმიური თვისებებით აქტიურია, სწრაფად ათხიერებს ჟელატინს, წარმოქმნის მასზე კოლონიებს “დამსხვრეული შუშის” სახით, შლის სხვადასხვა ნახშირწყლებს, ქოლერის ვიბრიონის გარდა ბუნებაში გვხვდება ქოლერის მსგავს ვიბრიონთა დიდი ჯგუფი. ისინი ადამიანისთვის პათოგენური არ არიან. ქოლერის ვიბრიონი ქიმიური და ფიზიკური ფაქტორებისადმი შედარებით დაბალი მდგრადობით ხასიათდება. იგი რამდენიმე წუთში იღუპება სადეზინფექციო ნივთიერებებში 3-5% კარბოლის მენტის ხსნარში, 5-10% ქლორიანი კირის ხსნარში, 56-60°-მდე გახურება 30 წუთის განმავლობაში კლავს ვიბრიონს. დიდხანს ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას ტუტე გარემოში, მაგრამ ვერ იტანს მენტის არსებობას უმნიშვნელო კონცენტრაციითაც კი. შეუძლია ხანგრძლივად გაძლოს გარემოში, უმეტესად წყალსატევებში. სხვადასხვა პირობებში, ცხოველმყოფელობას ინარჩუნებს ნიადაგში, წყალში, ჭუჭყიან თოეთრეულში, გამონაფოფებში რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირამდე. სწრაფად დაღუპვას ხელს უწყობს ბაქტერიოფაგი, სხვა მიკროორგანიზმების მენტი რეაქცია. დაბალი ტემპერატურის დროს უფრო დიდხანს ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას. გარემოში უფრო მაღალი ცხოველმყოფელობა აქვს ელ-ტორის ვიბრიონს.

ბუნებრივ პირობებში ქოლერით ავადდება მხოლოდ ადამიანი. ორგანიზმზე მოქმედებს ენდოტოქსინით, ადამიანის დასხებოვნება, მხოლოდ პერიორალურად ხდება. ინკუბაცია გრძელდება რამდენიმე საათიდან 2-7 დღემდე.

კუჭის მენტის არა უშლის ვიბრიონის უფრო დრმად შედწევას საჭმლის მომნელებელ ტრაქტში, მაგრამ კუჭის წვენის დაბალი მენტიანობის შემთხვევაში, წყლის ჭარბი სმის დროს ან საჭმელში ვიბრიონების არსებობისას მათ შეუძლიათ დაძლიონ კუჭის მენტი ბარიერი და მოხვდნენ 12 გოჯა ნაწლავში, შემდეგ კი წვრილ ნაწლავებში. წვრილი ნაწლავების ტუტე გარემოში ქოლერის ვიბრიონი სწრაფად მრავლდება, ამასთან ნაწლავის ეპითელიუმი ინარჩუნებს თავის სტრუქტურას და მხოლოდ დაავადების უფრო გვიან სტადიებში განიცდის ნეკროზს და ჩამოფრქვევას. წვრილი ნაწლავის სანაოურში იწყება ორგანიზმის იზოტონური სითხის გაძლიერებული სეკრეცია, რომელიც იწყევს ავადმყოფის ორგანიზმის კატასტროფულ გამოშრობას და

მარილების დაკარგვას. ავადმყოფის გამონაყოფი (ფადარათი, განავალი) ხშირი და წყალწყალა ხდება. წყლის მკვეთრად დაკარგვის გამო კანის ტურგორი ქვეითდება, კანი იჭმუჭნება, ირღვევა სისხლის ცირკულაცია და ჩნდება ციანოზი. ამ მიმდინარეობას ქოლერის ალგიდი ეწოდება. დაავადების ამ ყველაზე უფრო მძიმე სტადიაში ავადმყოფის ტემპერატურა ნორმაზე დაბლა 35°-მდე ეცემა, იწყება კრუნჩევები, შესაძლებელია ანურია (შარდის უქონლობა) სიკვდილიანობა ქოლერის დროს მაღალია. გამოჯანმრთელების შემთხვევაში ავადმყოფი, პირველი კვირის განმავლობაში თავისუფლდება აღმძვრელისაგან. უფრო ხანგრძლივი ბაქტერია მტარებლობა ქოლერის დროს შედარებით იშვიათია. ქოლერა ელ-ტორის დროს უფრო ხშირია დაავადების იოლი ფორმები, მაგრამ ბატქერიამტარებლობის ვადები უფრო დიდია (1000 დღემდე) ცნობილია აგრეთვე დაავადების ელვისებური ფორმა, რომლის დროსაც ავადმყოფი პირველ საათებშივე იღუპება. ცნობილია აგრეთვე ქოლერული ტიფოიდი, რომელიც სასიათდება მძიმე კლინიკური მიმდინარეობით და მაღალი ტემპერატურით. ადამიანის ამოვისებლობა ქოლერისადმი შედარებითია. გადატანილი ინფექცია ორგანიზმს ანიჭებს მტკიცე იმუნიტეტს.

ქოლერის დიაგნოზის დადგენა ხდება ბაქტერიოლოგიური მეთოდით. პირველ რიგში იკვლევენ ავადმყოფის გამონაყოფებს, საჭირო შემთხვევაში იკვლევენ წყალს, საკვებ პროდუქტებს და ზოგიერთ საგნებს. ქოლერის დროს ინფექციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ ადამიანები. დაავადება გადაეცემა კონტაქტურ-საყოფაცხოვრებო გზით, წყლით ან საჭმლით.

### კორინებაქტერიები

გვარი *Corynebacterium* აერთიანებს გრამდადებით ჩხირისებრ ბაქტერიებს, რომლებიც სპორას არ წარმოქმნიან, არ გააჩნიათ შოლტები. მათი უჯრედები შეიცავენ მეტაქრომატიულ ჩანართებს, რომლებიც ყველაზე ხშირად განლაგებულია ჩხირის ბოლოებზე, ისინი წარმოადგენენ სამარაგო პოლიფოსფატებს – რომლებიც გადალაგდებიან მიკროორგანიზმების ციტოპლაზმაში ფოსფატიდებით მდიდარ ნიადაგებზე და მონაწილეობას დებულობენ ფოსფორილირების პროცესში. ვოლუტინის მარცვლები ხშირად ადგმატებიან ბაქტერიის განვითარებას, რაც უჯრედს აძლევს ქინძისთავის მსგავს შეხედულებას. (ლათ. *Coryne* – ქინძისთავი). კორინე ბაქტერიების უჯრედის კედლის შემადგენლობაში შედიან მხოლოდ ამ გვარის ბაქტერიებისათვის სპეციფიკური ლიპიდები: ეთერები კორინომიკოლის და კორინომიკოლინის მჟავეების, ტრეგალოზის, დიმიკოლი, მანოზის და იზონიტის ფოსფატიდები.


ადამიანის ორგანიზმში ბინადრობენ პირობით – პათოგენური კორინებაქტერიების მოელი რიგი სახეები: *C. Diphtheriae* *C. pseudodiphtheriticum (hofmanii)* *C. xerosis*. *C. ulcerans*.

*C Diphtheriae* იწვევს ადამიანში დიფთერიას. სხვა კორინებაქტერიები არიან მეორადი ინფექციის გამომწვევები.

### დიფთერიის ჩხირები (*corynebacterium diphtheriae*) შეისწავლა ლეფლერმა 1884 წ.

ოდნავ მოხრილი წვრილი ჩხირებია კვერთხის ან ქინძისთავის მსგავსი გამსხვილებით ერთ ან ორივე ბოლოზე. ზომით 2-დან 5 მიკრონამდე, უფრო ხშირად ჩხირები ერთმანეთისადმი კუთხით არიან განლაგებული გაშლილი თითების მსგავსად ან რო-

მაული ციფრის V-ის მსგავსად. ხანდახან ჯვარედინად სქელ ნაცხებში წარმოქმნიან დაგროვებებს, რომლებიც შესახედად ქინძისთვის გროვას მოგვაგონებს. დიფტერიის ჩხირები უძრავია, სპორებს და კაფსულებს არ წარმოქმნიან, გრამდადებითნი არიან. ჩვეულებრივი საღებავით არათანაბრად იღებებიან. მათ ბოლოებზე ჩანს ვოლუტინის მარცვლები, რომლებიც უფრო ინტენსიურად ითვისებენ საღებავს. ვოლუტინის მარცვლების არსებობა დიფტერიის ჩხირებში მათ მნიშვნელოვან განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს, რომელსაც დიაგნოზისათვის იყენებენ. დიფთერიის ჩხირი ცუდად იზრდება მარტივ ნიადაგებზე. კულტურალური და სხვა ნიშნების მიხედვით ანსხვავებენ დიფთერიის ჩხირების სამ ტიპს: *gravis*, *mitis*, *intermedius*. არსებობს დიფტერიის ჩხირების რამდენიმე სეროლოგიური ტიპი. დიფტერიის ჩხირები სიცივეში დიდხანს ცოცხლობენ. გამომშრალ მდგრამარებაში, სხვადასხვა საგნებზე, პროდუქტებში, (რეგ) ტანსაცმელზე ისინი ცხოველმყოფელნი რჩებიან რამდენიმე დღის განმავლობაში. მდგრადებია არიან მაღალი ტემპერატურის მიმართ: დუღილისას მაშინვე იღუპებიან, ხოლო 60° ტემპერატურაზე იღუპებიან 10 წუთის განმავლობაში. ასევე დამღუპველად მოქმედებს მათზე მზის პირდაპირი სხივები და სადეზინფექციო ნივთიერებები. 3-5% კარბოლმჟავის ხსნარი 1 წთ-ის განმავლობაში კლავს ჩხირებს, დიფტერიის ჩხირების გამრავლების პროცესს თან სდევს ძლიერად მოქმედი ეგზოტრქსინის გამომუშავება, ადამიანი და ზოგიერთი ცხოველი ძლიერ მგრძნობიარები არიან დიფტერიის შხამის მოქმედებისადმი. ტოქსინი ნაკლებად მდგრადია, 60° ტემპერატურაზე იშლება, სინათლე და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებები მკვეთრად ასუსტებს მას. ფორმალინის და 40° ტემპერატურის ზემოქმედებით დიფტერიის ტოქსინი მოლიანად უვნებელი ხდება, მაგრამ ინარჩუნებს ანტიგენურ თვისებებს ე.ი. გარდაიქმნება ანატოქსინად.



დიფტერიის ბაქტერიების შეჭრის კარიბჭეს ხახისა და ცხვირის ლორწოვანი გარსი წარმოადგენს, შეიძლება მოხდეს მიკრობის პირველადი ლოკალიზება თვალის კონკრეტულივაზე, სასქესო თრგანოების ლორწოვან გარსებზე (გოგონებში) პატარა ბავშვების კანზე და ჭრილობებში.

ინგუბაციური პერიოდი უფრო ხშირად 2-5 დღე-დღამეს გრძელდება, დაავადების ყველა ნიშის განვითარებისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს ტოქსინის მოქმედებას: დიფტერიის ჩხირები ლოკალიზდებიან ორგანიზმში შედწევის ადგილზე, სადაც დაავადების დასაწყისიდანვე წარმოიქმნება ე.წ. დიფთერიული აპექტი, რაც ადგილობრივ ფიბროზული ანოების შედეგია, ხასიათდება მნიშვნელოვანი გამონაჟონით და წარმოადგენს მორუხო-მოყვითალო ფერის ნადებს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ლორწოვანი გარსის ქვედა ფენებთან. ცალკეულ შემთხვევებში ცხვირ-ხახის ლორწოვანი გარსიდან პროცესი კრცელდება ხორხსა და ბრონქებზე. ფიბრინოზულ-დიფთერიული (აპექსებრი) ანოების განვითარება ზოგჯერ ხორხის შევიწროებას იწვევს, რომელმაც შეიძლება ასფიქსია გამოიწვიოს (კრუპი). ტოქსინი შეიწვება სისხლში და იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის, პერიფერიული ნივთიერებების, თირკმელზედ ჯირკვლების, გულ-სისხლძარღვის სისტემის დაზიანებას. ავადმყოფი შეიძლება დაიღუპოს გულის დამბლით.

დიფთერიის იმუნიტეტის მდგომარეობა განპირობებულია პირველყოვლისად სისხლში ანტიტოქსინის არსებობით. მისი დაგროვება ჩვეულებრივ შეიმჩნევა გადატანილი დაავადების შემდეგ. გარდა ამისა ანტიტოქსინი დიფტერიული ტოქსინის მიმართ თითქმის ყოველთვის აღმოჩნდება 6 ოვემდე ასაკის ბავშვებისა და აგრეთვე მოზრდილების სისხლში, მაშინაც კი თუ მათ დიფთერია არა აქვთ გადატანილი. დიფთერიისადმი მეტი ამოვისებლობა აქვთ ბავშვებს 1-დან 6-7 წლამდე. ბავშვებში ანტიტოქსინის არსებობა სიცოცხლის პირველ წელიწადს აიხსნება მისი გადაცემით პლაცებური გზით, დედის ორგანიზმისთვის შეუმჩნეველი “ყოფაცხოვრებითი” აქტიური იმუნიზაციით.

დიფთერიის მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკა ბაქტერიოლოგიური მეთოდით ტარდება. გამოსაკვლევ მასალად იყენებენ ნადებს დაზიანებული უბნებიდან. დიფთერიის ჩხირები იძლევიან მუქ-ყავისფერ კოლონიებს ყავისფერი ყაეთნით.

დაავადების წყაროა დაავადებული ადამიანი და ჯანმრთელი ბაქტერიამატარებლები. გარდა ამისა დიფთერიის შემდეგ გამოჯანმრთელებულებში შეიძლება აღმმდვრელის აღმოჩენა დაავადების გადატანის შემდეგ, რამდენიმე კვირის განმავლობაში. დასნებოვნება ხდება ჰაერ-წვეთოვანი გზით, საგნებით, საკვები პროდუქტებით (რძე) და ა. შ. დიფთერიის გავრცელება უმთავრესად შემოდგომა-ზამთარში ხდება. ბრძოლის ძირითადი დონისძიებაა ბავშვთა მასობრივი პროფილაქტიკური აცრების ჩატარება ანატოქსინის გამოყენებით. დიფტერიის ყივანახველის და ტეტანუსის პროფილაქტიკაზე ერთდროულად ტარდება ვაქცინა AKDC-ს, რომელიც შეიცავს დიფტერიის და ტეტანუსის ანატოქსინს და ყივანახველას დახოცილი ბაქტერიების ნარევს.

### ბორდეტელა

შეისწავლეს 1906წ. ბორდექმ და ჟანგუმ. გვარი ბორდეტელა შეიცავს ადამიანისათვის პათოგენური ბაქტერიების სამ სახეობას: *B. pertussis*-ყივანახველას გამომწვევი, *B. parapertussis* და *B. bronchiseptica*-ბრონქოსეპტიკოზის გამომწვევი.

### BORDETELLA გვარის ბაქტერიების დიფერენციალური ნიშნები

ნიშნები	ბორდეტელების სახეები		
	<i>B. ertusis</i>	<i>B. parapertussis</i>	<i>B. bronchiseptica</i>
შოლტების არსებობა ურეაზია წარმოქმნა ზრდა უბრალო აგარზე	— — —	— + +	+
ადსორბირებული შრატები აგლუბიზაცია			
ანტიგენებისადმი			
1	+	—	—
12	—	—	+
14	—	+	—

ყივანახველის ჩხირი (*bordetella pertussis*) წარმოადგენენ წვრილ, ოვოიდურ, უძრავ ჩხირებს, აქვთ სპორები და კაფსულებები. ადვილად იღებებიან ყველა საღებავით, ზოგჯერ არათანაბრად პოლუსებთან, გრამუარყოფითებია, იზრდებიან მხოლოდ ვიტამინებით მდიდარ ნიადაგებზე, 37° T-ტემპერატურაზე. გამოირჩევიან დაბალი მდგრადობით, სწრაფად იღუპებიან როგორც კულტურებში ასევე ავადმყოფის გამონაყოფებში და გარემომცველ საგნებზე. ბუნებრივ პირობებში ყივანახველით ავადდება მხოლოდ ადამიანი. ინტენსიური პერიოდი 3-8 დღეა. ყივანახველა წარმოიქმნება თანდათანობით. ჯერ ვითარდება ზემო სასუნთქი გზების კატარული დაზიანება, სურდო, ხველა

ყოველდღიურად ძლიერდება და შემდეგ კრუნჩხვით ხასიათს დეტულობს, იწყება კონკულსიური პერიოდი, რომელიც ხველების აუტანელი შეტევებით ხასიათდება, შეტევები განსაკუთრებით ძლიერდება და ხშირდება დამით, დაავადება გრძელდება 6-8 კვირას. შემდეგ შეტევების რაოდენობა თანდათან კლებულობს და პროცესი მთავრდება. ყივანახველა მძიმედ მიმდინარეობს მეორეული ინფექციების წითელასა და გრიპის დროს. ახასიათებს მტკიცე იმუნიტეტი. ინფექცია გადაეცემა ჰაერ წვეოვანი გზით.

## ზოლანთოროვნოზული დააგადებების გამომჯვევები


### ჯილდების ჩეირი (*Bacillus anthracis*)

აღმოაჩინა კოხმა 1850 წ.

სიგრძეა 5-8 მიკრონი, სისქე 1-2 მიკრონი, შეღებილი სახით აქვს სწორკუთხედის ფორმა, (მკვეთრად ჩამოჭრილი ოდნავ შეზნექილი ბოლოებით), განლაგებულია ძეწკვისებურად (სტრეპტობაცილა) წამწამები არ აქვს. დაავადებული ორგანიზმის ქსოვილებში წარმოქმნის კაფსულას, რომელიც საერთოა ძეწკვში შემავალი ყველა ჩეირისათვის, კაფსულასთანაა დაკავშირებული ჩეირების ვირულენტობა.

ჯილდების ჩეირის მნიშვნელოვანი თავისებურებაა სპორის წარმოქმნა რომელსაც აქვს ოვალური ფორმა და რომელიც ჩეირის ცენტრში თავსდება, სპორის წარმოქმნის პროცესი ხდება ორგანიზმის გარეთ, (უანგბადის კარგი მოწოდებისას, აგრეთვე კულტურის დაგველების გავლენით, კვების უკმარისობით, გამოშრობით და სხვა) სპორების წარმოქმნისათვის ოპტიმალური ტემპერატურაა 18-დან 30°-მდე. ჩეირები კარგად იღებება სხვადასხვა საღებავით, გრამდაღებითია.

(ბაცილები) კარგად იზრდებიან მარტივ საკვებ ნიადაგებზე აერობულ პირობებში 37° ტემპერატურაზე. მდგრადობა გარემოს სხვადასხვა ზემოქმედებისადმი მიკრობის ვეგეტატიურ უჯრედებს დიდი არა აქვს. მაგრამ სპორები დიდხანს ცოცხლობენ ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიც კი. ნიადაგში ჯილდების სპორები ძლიერების წლამდე და მეტსაც. სადეზინფექციო ნივთიერებები ყოველთვის არ კლავს სპორებს, რომლებიც ხანგრძლივ დუღილსაც უძლებენ.



ბუნებრივ პირობებში ჯილდებისადმი ყველაზე მეტ ამოვისებლობას იჩენენ ცხვრები და მსხვილფეხა რქიანი საქონელი. (შეიძლება დაავადდნენ ცხენები, აქლემები, ლორები, ირმები.) შინაური ცხოველების დასხებოვნება ყველაზე ხშირად ხდება ინფიცირებული საკვების მიღებით, რის გამოც უკითარდებათ ჯილდების ნაწლავური ფორმა. ადამიანში ჯილდები შეიძლება მიმდინარეობს რამდენიმე ფორმით: კანისმიერი ფორმა, ფილტვისმიერი და ნაწლავისმიერი ფორმა. დაავადების მიმდინარეობა დამოკიდებულია იმაზე თუ რა გზით მოხდა დასხებოვნება. ნაწლავისმიერი და ფილტვისმიერი ფორმები შედარებით იშვიათად გვხვდება. გადატანილი დაავადების შემდეგ ცხოვე-

ლებს უვითარდებათ იმუნიტეტი. ჯილების მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკისათვის რამდენიმე მეთოდს იყენებენ: ბაქტერიოსკოპული, ბაქტერიოლოგიურ და ბიოლოგიურ მეთოდებს, (გარდა ამისა გვამური მასალის, ტყავის, კანის, ომების გამოსაკვლევად) ატარებენ აგრეთვე ორმოპრეციპიტაციის რეაქციას.

## ტულარემის ბამომავევი

Francisella tularensis

გამოყვეს მაკ-კო და ჩეპინი 1912 წელს კალიფორნიის შტატში - ტულარეს რაიონში. აქდან წარმოსდგება მისი სახელწოდება. მიკრობი დაწვრილებით შეისწავლა ე. ფრენსისმა

ტოქსიკურ-ალერგიული, უფრო იშვიათად სეპტიკური ხასიათის მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომლის დროსაც ვითარდება სპეციფიკური ლიმფადენიტი და ზიანდება სხვადასხვა თრგანო: თვალები, ფილტვები, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტი და სხვა.

ტულარემის მიკრობები ძალიან მცირე ზომის (0,3-0,5მკმ) კოკისებური ფორმის გრა-მუარყოფითი ჩხირებია. ახასიათებთ პოლიმორფიზმი, სამოძრაო აპარატი არ გააჩნიათ. სპორებს არ წარმოქმნიან. გააჩნიათ კაფსულის მსგავსი ლორწოვანი საფარი. იღებებიან რომანოვსკი-გიმზას მეთოდით.

ფაგულტატური ანაერობებია. მათი კულტივირება ხდება საკვებ ნიადაგზე, რომელსაც დამატებული აქვს სისხლი ან ცისტინი. ოპტიმალურ pH 6,8-7,3 ოპტიმალური T 37°C, მყარ საკვებ ნიადაგზე წარმოქმნიან თეორი ფერის, სწორ კიდეებიან მრგვალ კოლონიებს. ფერმენტაციულად ნაკლებად აქტიური არიან.

ტულარემის გამომწვევი ადამიანის თრგანიზმში ხვდება კანიდან, თვალის ლორწოვანი გარსებიდან, სასუნთქი და საჭმლის მომნელებული ტრაქტებიდან, ფეხსახსრიანი მწერების (კოდო ტკიპა) კბენის შედეგად გამომწვევის თრგანიზმში მოხვედრის გზისაგან დამოკიდებულებით ვითარდება დაავადების სხვადასხვა კლინიკური ფორმა; ბუბონური, წყლულოვან-ბუბონური, თვალის, ნაწლავის, ფილტვის, გენერალიზებული ანუ სეპტიკური გამომწვევი. ლიმფური სადინარებით ხვდება რეგიონალურ ლიმფურ კვანძებში სადაც გროვდება და იწვევს ანთებას, მიკრობის დაღუპვის შედეგად თავისუფლდება ენდოტოქსინი, რომელიც იწვევს ადგილობრივ პროცესს, ხოლო სისხლში მოხვედრისას თრგანიზმის საერთო ინტენსივაციას. სისხლში მოხვედრისას (ბაქტერიემია) გამომწვევი ვრცელდება მთელ თრგანიზმში და აზიანებს პარენქიმულ თრგანოებს (ელექტო, ფილტვები, დვიძლი) ინკუბაციური პერიოდი 3-7 დღეა. ტულარემიას თან ახლავს ალერგიის განვითარება, რომელიც გამოჯანმრთელების შედეგადაც რჩება მრავალი წლის განმავლობაში. დაავადების გადატანის შემდეგ რჩება მყარი სანგრძლივი იმუნიტეტი. ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის იყენებენ ბიოლოგიურ მეთოდს. სეროლოგიური მეთოდის გამოყენების დროს დგამენ აგლუტინაციის და ჰემაგლუტინაციის რეაქციას. ადრეული დიაგნოსტიკისათვის იყენებენ კანის ალერგიულ სინჯს, რომელიც დადებითია დაავადების მე-3 მე-5 დღიდან. სინჯი გამოიყენება რეკონვალესცენტოა გამოსავლინებლადაც.

ტულარემია ზოოანთროპონოზული ინფექციაა. ინფექციის წყაროს წარმოადგენენ მდრღნელები. მდრღნელებს შორის ტულარემია ვრცელდება სისხლის მწოველი მწერების მეშვეობით. (დაავადებული ადამიანი ინფექციის წყაროს არ წარმოადგენს).

## ბრუცელოზის აღმაპრელები (BRUCELLA) შეისწავლა ბრიუსმა 1887 წ.

ბრუცელები ძალიან წვრილი კოკისებური ბაქტერიებია, მათ არა აქვთ სპორები და არ წარმოქმნიან კაფსულას, უძრავნი, გრამუარყოფითნი არიან. იზრდებიან ვიტამინებით მდიდარ საკვებ ნიადაგებზე. ბრუცელების გვარში გაერთიანებულია 6 სახეობა. 1) *Brucella melitensis*, *Br. abortus*, *B. neotome*, *B. canis*. (წვრილფეხა რქიანი საქონლის – ცხვრის, თხების ბრუცელები) 2) *Br - bovis* (მსხვილფეხა რქიანი საქონლის ბრუცელები) 3) *Br suis* (ღორის ბრუცელები).

ბრუცელები შაქარს არ შლიან, არ ათხიერებენ ჟელატინს, არ ადედებენ რძეს. მდგრადობა გარემოს ფაქტორებისადმი საკმაოდ მაღალია გაბინბურებულ ნიადაგში 11-13<sup>0</sup> ტემპერატურის დროს ცოცხლობები 3-4 თვემდე. ავადმყოფის გამონაყოფით გაბინბურებულ თეთრეულზე 30 დღემდე. ტანსაცმელზე 20 დღემდე. რძეში – 8 დღემდე, ყველში 45 დღემდე, კარაქში 60 დღემდე, ხორცში სიცივეზე 20 დღემდე. სიცივეს კარგად იტანენ, მაგრამ სწრაფად იღუპებიან მაღალი ტემპერატურის მოქმედებით. ნაკლებად მდგრადები არიან სადეზინფექციო ხსნარების მოქმედებისადმი. (ცხოველებში ინვაკიური აბორტი და ბერწად დარჩენა).

ბრუცელოზით ადამიანის დაავადება ხდება პერიოდურად ლორწოვანი გარსიდან (ხელებით, საჭმლით, წყლით) ოვალების ლორწოვანი გარსით ან კანში ბრუცელების მოხვედრის გზით. შეღწევის ადგილებიდან ბრუცელები ლიმფური გზებით ვრცელდებიან და რჩენიან ნუშისებრ ჯირკვლებში, კისრის, ყბისქვეშა, მუზენტერიულ და სხვა, ლიმფურ კვანძებში. შემდეგ ისინი ხვდებიან სისხლში და მთელ ორგანიზმს მოედებიან. ინკუბაციური პერიოდი 4-20 დღეა. ავადმყოფობა იწყება თანდათან, ზოგჯერ შეუმჩნევლად. კლინიკური სურათი სხვადასხვა. ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა საერთო სისუსტე, შემცივნება, ძლიერი ოფლიინობა, სახსრების, კუნთების შესივება და ტკივილი, ძლიერი თავის ტკივილი, უძილობა, გაღიზიანებულობა, გულ-სისხლძარღვოა სისტემის მოშლილობა, სხვადასხვა გამოხაყარი კანზე. მწვავე ფორმისთვის დამახასიათებელი ტალღისებრი ციებ-ცხელება. ავადმყოფობა გრძელდება რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვე და წლამდეც კი. მამაკაცებს ამ დაავადების გავლენით წარმოექმნებათ ორქიტები, ეპიდიდიმიტები, ქალებს ოოფორიტები, მასტიტები. ბრუცელოზი შეიძლება მიმდინარეობდეს ფარული ფორმით. დიაგნოზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის გამოკვლევის მიკრობიოლოგიურ მეთოდებს. ბრუცელოზისადმი ამთვისებლობა მაღალია, შეიძლება დაავადდეს ყველა ასაკის ადამიანი. გადატანილი ინფექცია ტოვებს იმუნიტეტს, რომელიც ყოველთვის საკმაოდ ძლიერი არ არის. დიაგნოზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის გამოკვლევის მიკრობიოლოგიურ მეთოდებს, რომელიც აერთიანებს ბაქტერიოლოგიურ (სისხლის დათესვა) სეროლოგიურ (აგლუცინაციის რეაქცია) და ალერგიულ (ბიურნეს სინჯი) გამოკვლევებს. დიაგნისტიკისათვის რეკომენდირებულია გამოკველვის კომპლექსური მეთოდი.

### შავი ჭირის გამომწვევი

შავი ჭირის გამომწვევი – ოჯახი Enterobacteriaceae, გვარი - *Iersinia*, სახეობა *Iersinia pestis* (*Pasteurella pestis*) აღწერილია იერსენისა და კიტაზატოს მიერ 1894 წ. პონკონგში. მას აქვს დამახასიათებელი ოვოიდური (კვერცხი) ფორმა, ზომების 0,5X1,5 მიკრონი. იგი გამოირჩევა პოლიმორფიზმით. ფაკულტატური ანაერობია, (ხორც-პეპტიტებიან ბულიონში წარმოქმნიან აპკს, რომლისგანაც სინჯარის ფსკერისკენ ეშვება სტალაქტიდის მსგავსი ძაფები), მყარ საკვებ ნიადაგზე კოლონიებს დამახასიათებელი

შესახედაობა აქვთ. მკვრივი მყარი ცენტრი გარშემორტყმულია არასწორი დაკბილულკიდებიანი ზონით. ნახშირწყლებს შლის მჟავას წარმოქმნით აირის გარეშე. გამოიმუშავებენ ტოქსიკურ ნივთიერებას, რომელთაც გააჩნიათ ეგზოტოქსინის და ენდოტოქსინის თვისებები. გარემო ფაქტორების ზემოქმედების მიმართ შავი ჭირის ჩეირი საკმაოდ მდგრადია.


ბუნებრივ პირობებში შავი ჭირით ძირითადად მდრღნელები ავადდებიან და წარმოადგენენ ინფექციის რეზერვუარს. მდრღნელებს შორის და მდრღნელებიდან ადამიანზე ინფექციის გადამტანია რწყილი. საინკუბაციო პერიოდი რამდენიმე საათიდან 3-6 დღემდეა.

ადამიანი შავი ჭირით ავადდება კანიდან რწყილის პერიოდის დროს და სასუნთქი გზებიდან (ჰაერ-წვეოვანი ინფექცია) ამის მიხედვით ადამიანში შავი ჭირი შეიძლება მიმდინარეობდეს რამდენიმე ფორმით. 1. ბუბონური (კარბუნკული) 2. ფილტვის; 3. სეფსისური; 4. ნაწლავური. დაავადების ყველა ფორმა იწყება მწვავედ – შემცივნებით, ტემპერატურის მომატებით, თავის ტკივილით, საერთო მძიმე მდგომარეობით.

დაავადების გადატანის შემდეგ რჩება მყარი იმუნიტეტი.

გამომწვევის მაღალი კონტაგიოზობის გამო გამოკვლევა ტარდება მხოლოდ განსაკუთრებით საშიში ინფექციების საწინააღმდეგო დაწესებულებების სპეციალიზებულ ლაბორატორიებში. სპეციალურ ტანსაცმელში, პერსონალის უსაფრთხოების უველა წესის დაცვით. გამოსაკვლევი მასალაა წყლულების გამონაყოფები, ბუბონების შიგოვა, ნახელი, სისხლი, გვამების ორგანოები (მდრღნელების გვამები), დიაგნოსტიკა ხდება ბაქტერიოსკოპიის, სუფთა კულტურის გამოყოფის, მისი შემდგომი იდენტიფიკაციის და ბიოლოგიური სინჯის საფუძველზე.

შავი ჭირის წინააღმდეგ ეფექტურია ანტიბიოტიკები და აგრეთვე ანტიბიოტიკებთან ერთად სულფანილამიდების და შავი ჭირის საწინააღმდეგო გამა-გლობულინის გამოყენება.



## პათოგენური კლოსტრიდიები


ბუნებაში მრავალი სპორიანი ანაერობია, ზოგიერთი მათგანი პათოგენურია ადამიანისთვის (აიროვანი განგრენის, ტეტანუსის, ბოტულიზმის გამომწვევები).

პათოგენური ანაერობებისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი საერთო ბიოლოგიური ოვისება. ისინი დიდი ზომის გრამდადებითი ჩხირებია, წრმოქმნიან მრგვალ ან ოვალურ სპორებს, გამოიმუშავებენ ეგ ზოტოქსინებს. ანაერობული ინფექციების ზოგიერთი გამომწვევი მუდმივად ბინადრობს ადამიანის და ცხოველთა ნაწლავებში და განავალთან ერთად ხვდება ნიადაგში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას სპორების სახით. ეს მიკროორგანიზმები ადამიანის ორგანიზმში ან კვების პროდუქტებში ძირითადად ნიადაგიდან ხვდებიან.

### ტეტანუსის გამომჯევი

ოჯახი Bacillaceae. გვარი Clostridium. სახეობა Clostridium tetani. აღმოაჩინა ნიკოლაი ერმა 1884 წ. სუფორი კულტურაში 1889 წ გამოყო კიტატომ.

ტეტანუსის კლოსტრიდია წვრილი, გრძელი, გრამდადებითი ჩხირია. აქვს მრავალი წამწამი უჯრედის ბოლოზე, წარმოქმნის მრგვალ სპორას, მკაცრი ანაერობია, კარგად იზრდება ჩვეულებრივ ნიადაგებზე. ზრდა უმჯობესდება შრატის და სისხლის დამატებით. სისხლიან აგარზე იძლევა კოლონიებს ჰემოლიზის ზონებით. ვეგეტატიური ფორმები მდგრადობით არ გამოირჩევიან. იდუპებიან  $60^{\circ}$ - $70^{\circ}$  ტემპერატურაზე 30 წუთის განმავლობაში. სწრაფად იდუპებიან სადეზინფექციო სენარებით. სპორები დუღილს უძლებენ 1-3 სო-მდე. დიდხანს ინახებიან ნიადაგში და სხვადასხვა საგანზე. ტეტანუსის ჩხირი გამოიმუშავებს ძლიერ მოქმედ ეგ ზოტოქსინს. ტოქსინს აქვს კომბინირებული მოქმედების უნარი, აზიანებს მამოძრავებელ ნერვულ სისტემას და იწვევს ერიოროციტების ჰემოლიზს. ადამიანის დასხებოვნების ძირითადი წყაროა ნიადაგი. მიკრობების შეჭრის კარიბჭეს წარმოადგენს ჭრილობები. ტეტანუსი შეიძლება განუვითარდეთ ახალშობილებსაც (tetanus neonatorum) ჭიპლარიდან მიკრობების შეღწევის შედეგად. ჭრილობებში მოხვედრილი ტეტანუსის ჩხირის სპორები ჭრილობის სიდრმეში (ანაერობულ პირობებში) მკვდარ ქსოვილებში გადადიან ვეგეტატიურ ფორმაში, რომლებშიც მრავლდებიან და გამოიმუშავებენ ეგ ზოტოქსინს. ჭრილობიდან ტოქსინი ნერვული დერმების მიმართულებით ვრცელდება, მიაღწევს ზურგის ტვინის და წინა რქების მამოძრავებელ უჯრედებს და განაპირობებს მომატებულ აგ ზნებადობას, რის შედეგად გარეშე უმნიშვნელო გამდიზიანებლები იწვევენ განივზოლიანი კუნთების კრუნჩხივითი ხასიათის შეკუმშვას.



ტეტანუსის  
ჩხირი.

ტეტანუსის დროს ინკუბაციური პერიოდი ადამიანებში 6-14 დღეა. კუნთების დაზიანების თანმიმდევრობა ინფექციის შეჭრის ადგილისაგან არ არის დამოკიდებული.

მიკრობიოლოგიური გამოკვლევის მეთოდებს ტეტანუსის გამოცნობის დროს იშვიათ მიმართავენ, ვინაიდან კლინიკური სურათი ძალზე დამახასიათებელია. ხელოვნური ანგიტოქსიკური იმუნიტეტის შექმნა ანატოქსინით ადვილად ხდება.

## ბოტულიზმის აღმდვრები

(*Clostridium botulinus*)

(ვან ერმენგემი 1896 წ.) პოლიმორფული ჩხირია, სიგრძით 3-9 მმკ. სიგანით 0,3-0,8 მმკ. მომრგვალებული ბოლოებით. ჩხირები ხშირად განწყობილი არიან ერთმანეთთან დამოუკიდებლად, ზოგჯერ წყვილად და ძალიან იშვიათად მოკლე ჯაჭვების სახით. ძველი კულტურები ქმნიან წაგრძელებულ ფორმებს და ძაფებს. ახალგაზრდა კულტურებში ჩხირები გრამდაღებითი A და B ტიპები მოძრავნი არიან, ხოლო CD და F უძრავნი ან სუსტად მოძრავნი. სპორების ფორმა ოვალურია, სპორები ჩხირზე განიერია და ამიტომ ჩხირები სპორებით მოგვაგონებენ ჩოგბურთის ჩოგანს. მკაცრი ანაერობია, კარგად იზრდება 19-37° ტემპერატურაზე.

ბოტულიზმი საკვებით მოწამვლაა, რომელიც ხასიათდება სამოძრაო სისტემის, უფრო ხშირად სადეჭი და საყლაპავი აპარატის დამბლით, მოწამვლას იწვევს ბაქტერიული ტოქსინი. მას წარმოშობს საკვებში და პროდუქტებში, სათანადო პირობებში *Clostridium botulinus*. ასეთი საკვების ან პროდუქტების ჭამიდან რამდენიმე საათის შემდეგ შესამჩნევი ხდება მოწამვლის დამახასიათებელი ნიშნები. ასეთ შემთხვევაში მიმდინარეობს არა ინფექცია, არამედ მიკრობული ტოქსინით მოწამვლა. ბოტულიზმის გამომწვევი 7 სეროლოგიურ ჯგუფად იყოფა, რომელიც აღინიშნება A,B,CDEFG. თოთვეულ სეროგარს ახასიათებს იმუნოგენური სპეციფიკურობა.

ბოტულიზმის კლოსტრიდია განსაკუთრებული სიძლიერის ტოქსინს წარმოქმნის მიწით დაბინძურებულ საკვებში, სველ ქერში, დარბებულ თივაში, გაფუჭებულ სილოსში, ბოსტნეულის, ხორცის, თევზის კონსერვებში, ძეხვებში. ადამიანისათვის მომშეხამველს წარმოადგენს ABC ტიპის ტოქსინები. ბოტულიზმის ტოქსინი განსხვავდება სხვა ბაქტერიული ტოქსინებისაგან თავისი გამძლეობით საჭმლის მომნელებელი წვენების მიმართ, მაგრამ ნაკლებ გამძლეა ფიზიკური და ქიმიური ზემოქმედების მიმართ. 70° ტემპერატურაზე იშლება ერთი საათის შემდეგ, თხევად სითხეში დუღილით 15-20 წუთის შემდეგ. ხორცის პროდუქტებში ორი საათის განმავლობაში ტოქსინი სწრაფად იშლება სინათლის და ჰაერის მოქმედებით. ტოქსინზე ზოგიერთი ამინომჟავას (ტრიპტოფანი, არგინინი, ორნიტენი) დამატება აძლიერებს ამ ტოქსინთა შხამიანობას. მაგ. წვრილი ნაწლავის ფაქიზ ადგილებში ბოტულიზმის დროს გროვდება სპეციფიკური შხამი აქვე მიმდინარეობს პეპტიდების დაშლა ამინომჟავებამდე. სპორების გამძლეობა დიდია. დუღილი მათ კლავთ 6 სთ-ის შემდეგ, ავტოკლავში 120° ტემპერატურაზე იღუპებიან 20 წთ-ის შემდეგ. ფორმალინი კარბოლის სანახევროდ განზავებულ წყალთან და 5% კარბოლის მჟავასთან ერთად კლავს სპორებს მხოლოდ 24 სთ-ის შემდეგ. 10% მარილის სიმჟავე ერთი საათის შემდეგ. აღძვრელი არ ვთარება პროდუქტებში მჟავე რეაქციის დროს (PH=3,0-4,2) და საჭმელი მარილის 10% კონცენტრაციის ზემოთ. ადამიანი ყველაზე ხშირად ბოტულიზმის ტოქსინით იწამლება უხარისხო კონსერვებით და ძეხვით.

ბოტულიზმს მკურნალობენ ბოტულიზმის საწინააღმდეგო ანატოქსინური შრატით, რომელიც იძლევა კარგ სამკურნალო ეფექტს, თუ ავადმყოფს შევუყვანთ დაავადებისთანავე.

ანტისეულების გამომუშავების სტიმულაციის მიზნით შევყავთ პოლიანატოქსინი. ბოტულიზმი ეგზოტოქსინი სწრაფად შეიწოვება სისხლში და აზიანებს პირველ რიგში მოგრძო ტვინის ბირთვებს და გულ-სისხლძარღვთა სისტემას. ინკუბაციური პერიოდი 6-დან 24 -სთ-მდეა. (ზოგიერთი ავტორი 8 დღესაც მიუთითებს) დაავადება იწყება ყრუ ტკივილებით კუჭის მიდამოში, გულისრევით, თავის ტკივილით. შემდეგ

ვითარდება თვალის მამოძრავებელი ნერვების დამბლა, აკომოდაციის მოშლა, ქუთუ-  
თოების ფტოზი. მხედველობის გაორება, მეტყველების და ყლაპვის მოშლა, სიკვდი-  
ლის მიზეზია სასუნთქი კუნთების დამბლა ან გულის გაჩერება. დაავადების გადა-  
ტანის შემდეგ იმუნიტეტი არ რჩება.

## რიკეტსიები

რიკეტსიები წარმოადგენენ ბაქტერიების მსგავს პოლიმორფულ, ობლიგატურ უჯრედ-  
შიდა პარაზიტულ მიკროორგანიზმებს. ისინი პარაზიტობენ სხვადასხვა ფეხსახსრი-  
ანებში, რომელთა საშუალებით ხდება ადამიანისა და ცხოველების დასწებოვნება.  
მიკროორგანიზმების ეს ჯგუფი პირველად აღმოაჩინა ამერიკელმა მეცნიერმა გ.  
რიკეტსმა 1910 წ. 1913 წ. გ. პროვაცეკმა აღმოაჩინა პარტახტიანი ტიფის გამომწვევი.  
ამ მკვლევარების საპატივცემულოდ ბრაზილიელმა მეცნიერმა ე. როხა-ლიმამ, რომელ-  
მაც აღნიშნული გამოკვლევები დააგვირგვინა, უწოდა მოელ ჯგუფს რიკეტსიები,  
ხოლო პარტახტიანი ტიფის გამომწვევს პროვაცეკის რიკეტსია.

რიკეტსიების ძირითადი თვისებაა ობლიგატური პარაზიტიზმი, თვისება გაიზარდოს  
და გამრავლდეს მხოლოდ უჯრედში.

რიკეტსიები მიეკუთვნებიან კლასს Rickettsias, ოჯახს Rickettsiae. ამ ოჯახში შედის  
ორი გვარი: Rickettsiae და Coxiella და რამდენიმე სახეობა.

რიკეტსიები პატარა (0,2-1 მკმ), უძრავი, პოლიმორფული ორგანიზმებია. არჩევენ კოკისე-  
ბური, მოკლე ან გრძელ ჩინონისებურ და ძაფისებურ ფორმებს. აღმოჩენილია ფილტრში  
გამავალი ფორმებიც. ქიმიური შემადგენლობის თავისებურების გამო რიკეტსიების  
შესაძებად გამოიყენება რომანოვსკი-გიმზას და ზდროდოვსკის მეთოდები. რიკეტსიე-  
ბის კულტივირება ხდება ქათმის ემბრიონის ყვითრის პარკში, ქსოვილთა კულტურებ-  
ში, ექსპერიმენტული ცხოველებისა და გადამტანების ორგანიზმში. ისინი აქტიურად  
შეიჭრებიან პატრონის უჯრედებში, მრავლდებიან ნელა, განივი გაყოფით, რიკეტსიების  
სახეობისაგან დამოკიდებულებით გამრავლება ხდება უჯრედის ციტოპლაზმაში ან  
ბირთვში. რიკეტსიებს ახასიათებს ავტონომიური ნივთიერებათა ცვლა და აერობული  
ტიპის სუნთქვა.

რიკეტსიებს გააჩნიათ სპეციფიკური თერმოლაბილური და ჯგუფური თერმოსტაბი-  
ლური ანტიგენები. სეროლოგიური რეაქციების დადგმისას გამოიყენება კორპუსკუ-  
ლური და ხსნადი ანტიგენები. ტოქსიკური თვისებები გააჩნია ცოცხალი რიკეტსიე-  
ბის შენაწონს. ტოქსინების მოქმედების მექანიზმი ემყარება ენდოთელიუმის უჯრე-  
დების დაზიანებას, კაპილარების განვლადობის შეცვლას, რასაც მოსდევს პლაზმის  
ქსოვილში, სისხლის მოცულობის შემცირება და სისხლის წნევის მკვეთრი დაცემა.  
ტოქსინებს გააჩნიათ პერიოდიზური თვისებები, წარმოადგენენ ლაბილურ ცილებს და  
იშლებიან უჯრედის სიკვდილისთანავე.

მაღალი ტემპერატურისადმი რიკეტსიები ისეთივე მგრძნობელობას იჩენენ, როგორც  
ბაქტერიების ვეგეტაციური ფორმები. გამონაკლისია ბერნეტის რიკეტსია, რომელიც  
ხასიათდება ყველა ფაქტორისადმი (ტემპერატურის ჩათვლით) მაღალი მდგრადო-  
ბით. რიკეტსიები კარგად ინახებიან დაბალ ტემპერატურაზე და ლიზოფილი ზებულ  
მდგრადობაში. ცხოველმყოფელობის შესანარჩუნებლად რიკეტსიებს ინახავენ  
-60°C. ფორმალინით დამუშავებით ხდება დეტოკსიკაცია ანტიგენური თვისებების შე-  
ნარჩუნებით. რიკეტსიები მგრძნობიარე არიან სადეზინფექციო ნივთიერებების ჩვეუ-  
ლებრივი კონცენტრაციებისა და ცხიმგამსნელებისადმი, მაღალმგრძნობიარენი –

ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკებისა და ლევომიცეტინისადმი.

ინფექციის ან ვაქცინაციის პროცესების განვითარებისას ყალიბდება ანტიმიკრობული და ანტიტოქსინური იმუნიტეტი. სისხლში ანტიტოქსინების აღმოსაჩენად შეიძლება ნეიტრალიზაციის რეაქციის გამოყენება.

რიკეტსიოზების კლასიფიკაცია ემყარება გამომწვევის, დაავადების კლინიკასა და ეპიდემიოლოგიის თავისებურებებით რიკეტსიოზების ძირითადი ჯგუფების: ტილის-მიერ-რწყილისმიერი რიკეტსიოზი, ტკიპისმიერი, პნევმოტოპული, ცუცუგამუშის ჯგუფის, პაროქსიზმული რიკეტსიოზები.

## ეპიდემიური პარტახტიანი ტიფის გამომწვევი

პარტახტიანი ტიფი ანთროპონოზული ინფექციაა. გამომწვევია – პროგაცეპის რიკეტსია ტილის განავალთან ერთად შეიჭრება ნაკბენ ჭრილობაში, შემდეგი მოქავებისას შეიზიდება და ხვდება სისხლში. რიკეტსიებს გააჩნიათ ტროპიზმი წვრილი სისხლმარლებისა და კაპილარების ენდოთელიური უჯრედების მიმართ. ყველაზე მნიშვნელოვნად ზიანდება ცენტრალური ნერვული სისტემის სისხლძარღვები. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 10-14 დღე. დაავადების მე-4-5 დღეზე ვითარდება სპეციფიკური პეტექიური ხასიათის გამონაყარი (ხელის დაჭერისას პეტექიები ქრება). დაავადება მიმდინარეობს მაღალი ტემპერატურით, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით. ავადმყოფობის ხანგრძლივობა დაახლოებით 24 დღეა. თირკმელზედა ჯირკვლების, ცენტრალური ნერვული სისტემის და გულსისხლძარღვთა სისტემის დაზიანებით შეიძლება ავადმყოფი დაიღუპოს.

ინფექციის წყაროა ავადმყოფი ადამიანი, რომელიც გადამდებია ინკუბაციის პოლოორი დღისა და ცხელების მთელ პერიოდში. ინფექციის გადამტანია ტილი, რომელიც ავადმყოფის სისხლის მოწოდებან 5 დღის შემდეგ განავალთან ერთად გამოჰყოფს რიკეტსიებს. მასობრივი დატილიანებისას შესაძლოა პარტახტიანი ტიფის ფართო ეპიდემიური გავრცელება.

ეპიდემიური კეთილდღეობის პერიოდში აღინიშნება პარტახტიანი ტიფის განმეორებითი შემთხვევები, რომელთაც ეწოდა ბრილის დაავადება. მას ახასიათებს კეთილთვისებიანი მიმდინარეობა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის თავისებურება. აგლუტინაციის (ვეილფილიქსის) რეაქციის დადგმისას პროტეჟს OX 19-თან რეაქცია მუდამ უარყოფითია, პროგაცეპის რეაქციასთან კი დადებითი. ეს მიგვითოებს რიკეტსიების ანტიგენურ სტრუქტურაში მომხდარ გარკვეულ ცვლილებებზე. არსებობს ბრილის დაავადების პათოგენეზისა და ეპიდემიოლოგიის ამსხსნელი შემდეგი ოქორია: განმეორებითი პარტახტიანი ტიფი წარმოადგენს რეციდივს. მისი განვითარება დაკავშირებულია პარტახტიანი ტიფ გადატანილი ადამიანების ორგანიზმში შენარჩუნებულ პროგაცეპის რიკეტსიებთან. იმუნიტეტის დაქვეითებასთან ერთად ეს რიკეტსიები თავიდან ხვდებიან სისხლში და იწვევენ განმეორებით პარტახტიან ტიფს, თუმცა არსებობდა მეორე თეორიაც, რომლის მიხედვითაც ბრილის დაავადება რეინფექციაა. ატიპური მიმდინარეობა განპირობებულია დაავადების ადრე გადატანის შედეგად ორგანიზმში არსებული ნარჩენი იმუნიტეტით.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება სეროლოგიური მეთოდები: კომპლექტურის შებოჭვის რეაქცია და პასიური პემაგლუტინაციის რეაქცია რიკეტსიული ანტიგენებით. ამ რეაქციებს აქვთ ძალიან დიდი მნიშვნელობა განმეორებითი

პარტაბეტიანი ტიფის დიაგნოსტიკაში. სპეციფიკური მკურნალობა ტარდება მოქმედების ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებით.

## ენდემური პარტაბეტიანი ტიფის გამომავალი

მუზერის რიკეტსიოთ გამოწვეული ვირთაგვის, ანუ ენდემიური პარტაბეტიანი ტიფი წააგავს ტილისმიერ პარტაბეტიან ტიფს, რაც განპირობებულია გამომწვევების ახლო ნაოესაობით. ვირთაგვის პარტაბეტიანი ტიფი ზოონოზური ინფექციია და გავრცელებულია გარეულ ვირთაგვებში. მათ ორგანიზმში ინფექცია ლატენტურად მიმდინარეობს და გამომწვევი სანგრძლივად ინახება. დაავადების გადამტანია რწყილი, რომელიც შეიძლება გამოჰყოფდეს გამომწვევს მთელი სიცოცხლის მანძილზე განავალთან ერთად.

ვირთაგვის პარტაბეტიანი საკმაოდაა გავრცელებული. განსაკუთრებით საპორტო ქალაქებში, მაგრამ არასოდეს იღებს ეპიდემიურ ხასიათს, იგი გვხვდება ერთეული სპორადული შემთხვევების სახით და მიმდინარეობს პარტაბეტიანი ტიფის მსგავსად, ოდონდ უფრო კეთილთვისებიანად.

პროვაცეპისა და მუზერის რიკეტსიების დიფერენცირება ხდება სეროლოგიური რეაქციებით სპეციფიკურ ანტიგენთან. მუზერის რიკეტსიის დამახასიათებელი თავისებურებაა ზღვის გოჭებში სკროტალური ფენომენის გამოწვევა.

## ტკიპისმიერი ლაპოვანი ცხელებების გამომავალი

ტკიპისმიერი რიკეტსიოზები ფართოდ გავრცელებული, ბუნებრივ-კერობრივი, ტრანსმისიული ზოონოზური დაავადებებია. გავრცელებულია ყველა კონტინენტზე და ახასიათებს ტერიტორიული თავისებურებები. ინფექციის გადამტანად და ამავე დროს წყაროდ გვევლინებიან ტკიპები, რომლებსაც შეუძლიათ გამომწვევის გადაცემა შთამომავლობისათვის ტრანსოვარიულად. ბუნებაში ინფექციის წყაროდ გვევლინება პატარა მღრღნელები.

რიკეტსიოზების ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ციმბირის ტკიპისმიერი რიკეტსიოზი (გამომწვევი *R. sibrica*), კლდიანი მთების ცხელება (გამომწვევი *R. rickettsi*) და სხვა. დაავადებას ახასიათებს ლაქოვანი გამონაყარი.

დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება სეროლოგიური რეაქციები პომოლოგიურ ანტიგენებთან. შემუშავებულია ტკიპისმიერი ცხელების სპეციფიკური პროფილაქტიკის მეთოდები, მაგ. არსებობს ციმბირის რიკეტსიოზების საწინააღმდეგო ვაქცინა.

## ქუ-ცხელების გამომავალი

ქუ-ცხელება (Query-გაურკვეველი) განეკუთვნება პნევმოტოპული რიკეტსიოზების ჯგუფს.

ქუ-ცხელების გამომწვევს *Coxiella burnetii* დაერქვა აღმომჩენების – კოქსის და ბერნების პატივსაცემად. აღწერა დერიკმა 1937 წელს ავსტრალიაში.

ბერნების რიკეტსიებს ახასიათებს რიგი თავისებურებები: მცირე ზომები (გადიან ბაქტერიულ ფილტრებში), გამრავლება უჯრედის ციტოპლაზმაში მისი ვაკუოლიზაციით, მდგრადობა გარემო ფაქტორებისადმი – (უძლებენ 70-80°C ტემპერატურას, გამოშ-

რობას, ინარჩუნებენ ცხოველმყოფელობას 500 დღეზე მეტ ხანს) მდგრადობა სადეზ-ინფექციო ნივთიერებებისადმი.

ინფექციის კარიბჭეს წარმოადგენს სასუნთქი გზები ან საჭმლის მომნელებელი სისტემა. გამორიცხული არ არის დასხებოვნება ტრანსმისიური გზით. დაავადება მიმდინარეობს განსაკუთრებული სიმპტომების გარეშე, რაც აუცილებელს ხდის დიაგნოსტიკის ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებას. სეროლოგიური დიაგნოსტიკა (კომპლექსური შებოჭვის რეაქცია, აგლუტინაციის რეაქცია) დადებით შედეგს იძლევა დაავადების მეორე კვირიდან. ქუცხელების კერაში მცხოვრებთ უნდა გამოიკვლიოს წყვილი შრატები ტიტრის დასადგენად, ვინაიდან ანტისეცულები დიდხანს ინახება ორგანიზმში.

ქუცხელების მაჟურნალობა წარმოებს ტეტრაციკლინის რიგის ანტიბიოტიკებით.

## ქლამიდიები

ქლამიდიები განეკუთვნებიან *Chamydiaceae*-ს ოჯახს. ისინი იწვევენ ადამიანის, ძუძუმწოვრების და ფრინველების მწვავე და ქრონიკულ დაავადებებს. ქლამიდიოზების წყაროდ შეიძლება მოგვევლინონ ფრინველები (ორნითოზის დროს) და ავადმყოფი ადამიანი. რიგი დაავადებების დროს (ტრაქომა, ახალშობილთა ბლენორას, მოზრდილთა კონიუნქტივიტი, უროგენიტალური ინფექციები), ატიპიური პნევმონიების, ენცეფალომიოკარდიტის, ჰეპატოგენცეფალიტის, მენინგიტის და სხვა დაავადებების დროს ინფექციის წყაროდ გვევლინებიან კატები, ძაღლები, ხძოები, ძროხები.

ქლამიდიების ზომაა 250-300ნმ, სფერული ფორმა აქვთ, მრავლდებიან მხოლოდ ცოცხალ უჯრედებში. ქლამიდიების შემადგენლობა რთულია. ისინი შეიცავენ დნმ-ს და რნმ-ს, ცილებს, ლიპიდებს, ნახშირწყლებს; აქვთ ორი ტიპის ანტიგენი: ოერმოსტაბილური-ჯგუფური, მორეაგირე იმუნურ რეაქციებში (კომპლექსური შებოჭვის რეაქცია, ჰემაგლუტინაციის შეკავების რეაქცია, იმუნოფერმენტული ანალიზი). ქლამიდიების ყველა სახეობის საწინააღმდეგო ანტისეცულებითან და ოერმოლაბილური – სახეობრივი, რომელიც რეაგირებს პომოლოგიურ ანტისეცულებითან და გამოვლინდება ნეიტრალიზაციის და კომპლექსურის შებოჭვის რეაქციებში.

## ორნითოზის გამომჯვევი

ორნითოზი (ornis - ფრინველი) პირველად აღწერა იურგენსონმა 1876 წ. გამომწვევი გამოყოფილი იქნა 1930 წ. დამუშავებულია სპეციფიკური დიაგნოსტიკის მეთოდები. ორნითოზით ავადდებიან სხვადასხვა სახეობის ფრინველები და ადამიანი.

ორნითოზის გამომწვევი კარგად იღებება ანილინის საღებავებით, რომანოვსკი-გიმზას მეთოდით – იისფრად, ზდროდოვსკის მეთოდით – წითლად. კარგად იზრდება ქსოვილთა კულტურებში და ქათმის ემბრიონებში. ლაბორატორიული ცხოველებიდან ყველაზე მგრძნობიარე არიან თეთრი თაგვები. გააჩნიათ თერმოლაბილური და თერმოსტაბილური ანტიგენები.

ქლამიდიები მგრძნობიარენი არიან გაცხელებისადმი –  $70^{\circ}\text{C}$  იღუპებიან 15-20 წუთში. დაბალ ტემპერატურაზე ინახებიან დიდხანს –  $70^{\circ}\text{C}$  სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებენ 2 წელს. სადეზინფექციო საშუალებებისადმი არა მდგრადებია.

ორნითოზი ზოონთოზური ინფექციაა. ადამიანის ინფიცირება ხდება ავადმყოფ

ფრინველებთან და მათ გამონაყოფებთან უშუალო კონტაქტის დროს, ძირითადად ჰაერ-წვეოთვანი და ჰაერ-მტვეროვანი გზით. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 7-15 დღე. გამომწვევი მოხვდება ზემო სასუნთქი გზებისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ლორწოვანზე, შეიჭრება სისხლში და აზიანებს სხვადასხვა ორგანოებს. გამომწვევი ორგანიზმში გაივლის უჯრედშიდა გამრავლების ციკლს, რომელიც რამდენჯერმე მეორდება. დაავადების ხანგრძლიობა საშუალოდ შეადგენს 1 თვეს, ზოგჯერ მეტს. აღინიშნება შემდეგი კლინიკური ფორმები: ატიპური პნევმონია ფილტვების დაზიანებით, გრიპისა და ტიფის მსგავსი ფორმები. არც თუ იშვიათად, დაავადების მწვავე ფორმის გადატანის შემდეგ ვითარდება ორნიორზის ქრონიკული ფორმა. გართულებების სახით შეიძლება განვითარდეს სასუნთქი გზების ქრონიკული ანთებები, ქრონიკული ჰეპატიტის, ართრიტის, სხვადასხვა ალერგიული გამოვლინებები გამონაყარის, ვეგეტაციური ნერვული სისტემის დაზიანების სახით და სხვა.

აღინიშნება რეციდივები და შესაძლოა განმეორებითი დასხებოვნება, რაც მიგვითოთებს არამდგრად იმუნიტეტზე.

კლინიკური სიმპტომების მრავალფეროვნების გამო ლაბორატორიულ დიაგნოზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გამომწვევის გამოყოფისათვის იკვლევენ ავადმყოფის სისხლს დაავადების პირველი დღიდან 10 დღის განმავლობაში და ნახველს დაავადების დაწყებიდან 20-25 დღემდე. გამოიყენება კვლევის სეროლოგიური მეთოდები: კომპლემენტის შებოჭვის რეაქცია ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდებს მიეკუთვნება ალერგიული სინჯი (სპეციფიკური ანტიგენით), რომელიც დადებითია დაავადების მე-2-3 დღიდან 2-3 თვის განმავლობაში.

ინფექციის წყაროს წარმოადგენენ ავადმყოფი ან მატარებელი ფრინველები (მტრედები, თუთიყუშები, ქათმები, იხვები, ინდაურები და სხვა). უპირატესი ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა აქვთ იმ სახეობებს, რომლებშიც ორნიორზი მიმდინარეობს ფარული სახით.

ორნიორზის სამკურნალოდ გამოიყენება ტეტრაციკლინის რიგის ანტიბიოტიკები და ერთორომიცინი. სპეციფიკური პროფილაქტიკა უტარდებათ ლაბორატორიულ მუშაკებს და მეფრინველების ფერმების პერსონალს.

ინფექციის კერებში პროფილაქტიკის მიზნით რეკომენდებულია ტეტრაციკლინის რიგის ანტიბიოტიკების გამოყენება.

## ტრაქომის გამომავალი

ტრაქომა თვალის ლორწოვანი გარსის ქრონიკული ანთებაა და მიმდინარეობს ბლეფაროკონიუნქტივიტის სახით. ტრაქომის გამომწვევი *Chlamydia trachomatis* კარგად იღებება რომანოვსკი-გიმზას მეთოდით ლურჯად ან იისფრად, აქვს სფეროსებრი ფორმა, წარმოქმნის ჩანართებს – პროვაცეპის სხეულაკებს, ზომით 10 მკმ, კარგად მრავლდება თვალის რქოვანა გარსში და კონიუნქტივიტის ეპითელიუმში.

ლაბორატორიული დიაგნოზი ემყარება თვალის კონიუნქტივიდან აღებულ მასალაში პროვაცეპის სხეულაკების აღმოჩენას.


ტრაქომა გავრცელებულია აფრიკის და აზიის ქვეყნებში. ანთოპონოზური ინფექცია, წყაროს წარმოადგენს ავადმყოფი ადამიანი. სამკურნალოდ გამოიყენება ანტიბიოტიკები.

## პათოგენური სპიროჩეტები

ოჯახი *Spirochataceae* პათოგენური წარმომადგენლები სამ გვარს განეკუთვნებიან: *Treponema*, *Borrelia*, *Leptospira*. თითოეულ ამ გვარში პათოგენური სახეობების გარდა გაერთიანებულია არაპათოგენური სახეობებიც, რომლებიც ბინადრობენ ადამიანის კანზე, პირის დრუში, ნაწლავებში. სპიროჩეტებით გამოწვეულ დავადებებს სპიროქეტოზებს უწოდებენ. სპიროქეტოზებს განეკუთვნება ათაშანგი, შებრუნებითი ტიფები, ლეპტოსპიროზები.

### შებრუნებითი ტიფის სპიროჩეტები *Spirochaeta recurrentis* - შეისწავლა ობერმაიერმა 1868 წ.

არჩევენ ეპიდემიურ და ენდემურ შებრუნებით ტიფს. ეპიდემიური შებრუნებითი ტიფი გადაეცემა ტილებით და შესაბამისი პირობების დროს შეუძლია მიიღოს ეპიდემიური აფეთქების ხასიათი. ენდემური შებრუნებითი ტიფი გადაეცემა ტკიპებით. ეს ფორმა გვხვდება მხოლოდ იმ ადგილებში სადაც ბინადრობენ გადამტანები – ტკიპები. ეპიდემიური და ენდემური შებრუნებითი ტიფის სპიროქეტებს აქვთ ზოგიერთი განმასხვავებელი თავისებურებები. შებრუნებითი ტიფის სპიროქეტებს აქვთ სპირალისებრი, ძაფების ფორმა, სიგრძით 10-დან 20 მიკრონამდე და უფრო მეტიც. სპიროქეტას აქვს 4-დან 12-მდე ხვეულა, დამოკიდებულია სპიროქეტების სიგრძეზე, ხვეულები მახვილია, არალრმა, ბოლოები ოდნავ წაწვეტებული აქვს. სპიროქეტები ასრულებენ მომხრევლ ბრუნვით და წინსვლით მოძრაობებს. იღებებიან სხვადასხვა საღებავით, გრამუარყოფითებია. მათი მოშენება შეიძლება სპეციალურ ნიადაგებზე, ანაერობულ პირობებში  $35^{\circ}\text{C}$ -ტემპერატურაზე. ავადდებიან მხოლოდ ადამიანები. დასნებოვნება შეიძლება გამოიწვიოს მოფხანის დროს კანის უწვრილეს დაზიანებებში სპიროქეტების შემცველი ტილის ქსოვილური სითხის ჩაზელვამ, ხოლო ენდემური - შებრუნებითი ტიფი ტკიპების კბენით გადაეცემა. კანზი შედწევის ადგილიდან სპიროქეტები რამდენიმე წუთის შემდეგ ქრებიან. ეპიდემიური შებრუნებითი ტიფის ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 5-7 დღეს, ენდემურის – ოდნავ ნაკლებს. ავადმყოფობა იწყება უეცრად, ცხელებით, რომელიც ეპიდემიური შებრუნებითი ტიფის დროს გრძელდება 3-5 დღე, ხოლო ენდემურის 1-2 დღე; შეტევის დასაწყისში ტემპერატურა სწრაფად მატულობს ( $40^{\circ}$  და მეტიც) ამ დონეზე რჩება მოელი ცხელების პერიოდში, შემდეგ კრიტიკულად ეცემა ნორმამდე და უფრო დაბლაც. ამის შემდეგ იწყება უსიცხო პერიოდი ანუ რემისია (აპირექსია) და გრძელდება 5-7 დღე. დაავადების პერიოდში აღინიშნება 4-6 შეტევა, ამასთან ყოველი ახალი შეტევა 1-2 დღით მცირდება, ხოლო უსიცხო პერიოდები შესაბამისად უფრო დიდდება. შეტევის დროს ავადმყოფის სისხლში სპიროქეტები დიდი რაოდენობითაა, აპირექსის პერიოდში მათი აღმოჩენა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხერხდება.



დაავადების პერიოდში შეტევებისა და უსიცხო პერიოდების მონაცელეობა ავადმყოფის ორგანიზმის იმუნური გარდაქმნებით აიხსნება, ავადმყოფის სისხლში აღმძვრელის გამრავლებასთან ერთად მიმდინარეობს ანტისექულების დაგროვება, რომლებიც იწვევენ სპიროქეტების ლიზის, მაგრამ ცალკეული სპიროქეტები იჩენენ მდგრადობას იმუნური სხეულების მიმართ და აძლევენ საწყისს მდგრადი სპიროქეტების ახალ გენერაციას, რაც განაპირობებს ავადმყოფობის ახალი შეტევის განვითარებას. ყოველ ახალ შეტევასთან ორგანიზმის იმუნიტეტი უფრო გამოკვეთილი ხდება, ხოლო ავადმყოფობის შეტევები თანდათან სუსტდება. შებრუნებითი ტიფის გადატანის შემდეგ რჩება არამტკიცე იმუნიტეტი.

შებრუნებითი ტიფის დიაგნოსტიკის ძირითადი მეთოდია სისხლის მიკროსკოპია, რომელშიც იმყოფებიან სპიროქეტები. გამოკვლევისათვის სისხლის აღება უკეთესია შეტევის დასაწყისში ან მისი მიმდინარეობის დროს, ვინაიდან შეტევის დასასრულისათვის მასში კლებულობს სპიროქეტების რაოდენობა და მათი აღმოჩენა უფრო ძნელია.

შებრუნებითი ტიფის სპიროქეტები მოხვდებიან რა ავადმყოფის სისხლთან ერთად ტკიპას კუჭში, 10-12 დღის შემდეგ გავრცელდებიან მოელ სხეულში და კვერცხებშიც. ეს იწვევს ინფექციის გადაცემას ტკიპების მიერ შთამომავლობით. ტკიპას ინფიცირების ერთი თვის შემდეგ სპიროქეტები ჩნდებიან მის სანერტყვე ჯირკვლებში, რის შემდეგაც მწერს შეუძლია კბენის დროს დაასხებოვნოს ადამიანი. აპრილსა და მაისში ტკიპების აქტიურ ცხოველმყოფელობასთან დაკავშირებით ენდემური შებრუნებითი ტიფის დაავადებაც უფრო ხშირად ამ თვეებში შეიმჩნევა. ზამთარში იგი იშვიათად გვხვდება.

ეპიდემიური შებრუნებითი ტიფის ინფექციის წყარო ავადმყოფი ადამიანია, ხოლო ინფექციის ერთადერთი გადამტანი ტანსაცმლის ტილი. (Rediculus vestimenti) ტილი ცხოვრობს 40 დღემდე და თავისი სიცოხლის მანძილზე დაახლოებით 200 კვერცხს (წილი) დებს. ტილი ავადდება ავადმყოფის სისხლის წოვის დროს, იმის მიუხედავად ავადმყოფს შეტევა აქვს თუ არა. ტილის კუჭიდან სპიროქეტები ქრებიან 24-48 საათის შემდეგ, ხოლო 5-7 დღის შემდეგ დიდი რაოდენობით აღინიშნება ტილის ჰემოლიმფაში (ქსოვილის სითხე) ამ მომენტიდან ტილი დასხებოვნებულია. დასხებოვნება ხდება მხოლოდ ტილის გაჭყლებით ან კანის დაზიანებით მოყხანის დროს, როდესაც ინფიცირებული ჰემოლიმფა მოხვდება კანზე. ტილს დაავადების გადატანა შეუძლია სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ თავის შთამომავლობას ინფექციას არ გადასცემს. ეპიდემიური შებრუნებითი ტიფით დაავადების ყველაზე უფრო დიდ გავრცელებას წელიწადის ცივ დროს იძლევა, როცა უფრო ხელსაყრელი პირობებია დატილიანების განვითარებისათვის.

შებრუნებით ტიფთან ბრძოლის ძირითად ღონისძიებად ითვლება გადამტანების (ტილების, ტკიპების) მოსპობა და ავადმყოფის დროული პოსპიტალიზაცია.

## ათაშანბის სპიროქეტა

ოჯახი Spirochetaceae, გვარი Treponema, სახეობა Treponema pallidum გამომწვევია Spirochaeta pallida, რომელსაც მკრთალი ეწოდა. ანილინის საღებავებით სუსტი შეფერის გამო. (აღმოჩენილია 1905 წ. შაუდინის და ჰოფამნის მიერ) ათაშანგის სპიროქეტას ბნელ არეში ხრანხნისმაგარად დაკლაკნილი ძაფის სახე აქვს. მისი სიგრძეა 8-12 მიკრონი, სიგანე 0,25 მიკრონი. მრავალი თანაბარი ხვეულით (საშუალო 9-10) სპიროქეტა ნელა მოძრაობს თავისი გარეგანი ფორმის შეუცვლელად. ჩვეულებრივი

საღებავებით ცუდად იღებება. ნაკლებად გამძლეა გარემოს ფაქტორებისადმი. გამოშრობის, მაღალი ტემპერატურის და აგრეთვე სადეზინფექციო ნივთიერებებისადმი. ათაშანგით ავადდება მხოლოდ ადამიანი, მაგრამ ხელოვნური დასწრებოვნების პორბებში ათაშანგის გამოწვევა შეიძლება ცხოველებშიც.

ადამიანის დასწრებოვნება ხდება სქესობრივი გზით ან საერთო ჭურჭლის, პირსახოცის და ნივთებით სარგებლობისას. ჩვეულებრივ სპიროქეტები იჭრებიან ორგანიზმი კანიდან ან ლორწოვანი გარსიდან, შემდეგ ისინი სწრაფად აღწევენ უახლოს ლიმფურ კვანძებს, საიდანაც ხვდებიან სისხლის ნაკადში და მოედებიან მთელ ორგანიზმს. ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 3-4 კვირას უდრის. დაავადების პირველი ნიშანია წყლულის განვითარება სპიროქეტის შეჭრის ადგილზე. კიდეების და ფსკერის სიმკვრივის გამო წყლული მაგარი შანკრის სახელს ატარებს. ათაშანგი ქრონიკული დაავადებაა და მკურნალობის გარეშე იგი წლობით გრძელდება. ამ დროის განმავლობაში სურათი იცვლება იმისდა მიხედვით თუ როგორი ურთიერთობა დამყარდა სპიროქეტებსა და ორგანიზმს შორის, როგორ იცვლება ორგანიზმის რეაქტიულობა. ათაშანგის 4 სტადიას არჩევენ.

პირველადი ათაშანგი ხასიათდება მაგარი შანკრის განვითარებით და რეგიონული ლიმფური კვანძების შესიებით. ამ პერიოდში ადვილია სპიროქეტების აღმოჩენა წყლულის შიგოთავსში (ქსოვილის სითხეში) და უახლოეს შესიებულ კვანძებში. წყლული თანდაოან იკურნება და მის ადგილზე ჩვეულებრივ ნაწილური რჩება. ეს ეტაპი გრძელდება საშუალოდ 6 კვირა.

მეორეული ათაშანგი. წყლულის გაქრობის რამდენიმე კვირის შემდეგ ავადმყოფს უჩნდება გამონაყარი ტანზე და ლორწოვან გარსებზე, გამონაყარი შეიძლება სხვადასხვა იყოს. იგი გვხვდება რიზეოლების, პაპულების ან პუსტულების სახით. გამოყრის პერიოდი რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე გრძელდება (მაგ. 2-3 წ.) აღინიშნება რეციდივები.

მესამეული ათაშანგი. ხასიათდება გუმის (სპეციფიკური გრანულომა) წარმოქმნით და ქსოვილების დაშლისადმი მიღრეკილებით. კანში, კანქვეშა უჯრედში, ძვლებში, შინაგან ორგანოებში – ღვიძლში, ტვინში და ა.შ. ეს პერიოდი გრძელდება რამდენიმე წელიწადი.

მეოთხე პერიოდი, რომელსაც აგრეთვე პარასიფილისურსაც უწოდებენ, ხასიათდება ზურგის ტვინის (ზურგის ტვინის გახმობა) და თავის ტვინის (პროგრესული დამბლა) დაზიანებით.

ათაშანგის განსაკუთრებული ფორმაა თანდაყოლილი ათაშანგი, რომელსაც ათაშანგით დაავადებული დედები გადასცემენ ბავშვებს.

იმუნიტეტი ათაშანგის დროს თავისებურად ყალიბდება. მკურნალობის გარეშე ათაშანგი მრავალი წლით ჭიანურდება და საბოლოოდ შეიძლება ავადმყოფი სიკვდილამდე მიიყვანოს. განკურნებული ათაშანგი არ ტოვებს იმუნიტეტს. ამის გარდა ათაშანგის დროს შეიძლება “სუპერინფექციის” მოვლენებზე დაკვირვება. ე.ი. შეიძლება ახალი დაავადება თან ერთვოდეს უპვე არსებულ დაავადებას, მაგრამ ამ დროს ადგილი არ აქვს რეაქციის პირვანდელ ფორმას შანკრს. ორგანიზმის ამ იმუნოლოგიურ მდგომარეობას “შანკრული იმუნიტეტი” ჰქვია. ამ დროს დაავადების გამომწვევისადმი ნამდვილი შეუვალობა არ წარქმოიქნება.

არსებობს ათაშანგის მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკის მიკრობიოლოგიური და სეროლოგიური გამოკვლევები. მიკროსკოპული გამოკვლევის დროს გამოსაკვლევ მასალად იყენებენ ქსოვილურ ლიმფას. მაგარი შანკრიდან და პუქტატს ლიმფური კვანძებიდან, ხოლო III სტადიაში პაპულებიდან. პრეპარატებში მკრთალ სპირო-ქეტებთან ერთად შეიძლება შეგვხვდეს საპროფიტული სპიროქეტებიც. ისინი გამოიჩინებიან უფრო უხეში ფორმით ინტენსიური შედებით. სეროდიაგნოსტიკა გამოიყენება ათაშანგის ყველა შემთხვევის დროს, განსაკუთრებით მაშინ როცა არ არის დაავადებისათვის დამასასიათებელი აშკარა კლინიკური ნიშნები. მაგ. შინაგანი ორგანოების დაზიანების დროს.

## ლეპტოსპირუბი

ეპუთვნიან სპიროქეტების ჯგუფს, რომლებმაც ეს სახელწოდება ძალიან წვრილი ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგებული ხევულების არსებობის გამო მიიღეს. (leptos – წვრილი,spira - ხვეული) მათ მიერ გამოწვეულ დაავადებებს ეწოდებათ ლეპტოსპიროზები. არჩევებზე 2 ფორმას I ვასილივე-ვეილის დაავადება ან ინფექციური სიყვითლე (სიყვითლის ლეპტოსპირები) აღმმდევლია *Leptospira icterogenes* (აღმოჩენილია ინადოსა და იდოს მიერ) II ფორმა წყლის ცხელება, ანუ უსიყვითლო ლეპტოსპიროზი, აღმმდევლია *Leptospira grupotyhoza* (აღმოჩენილია 1928 წ. ტარასოვის მიერ) ცნობილია მისი რამდენიმე ტიპი.

საპვები ნიადაგების შედგენილობებისადმი ნაკლებად მომოხვნი არიან, ამ თვისების გამო შეიძლება დიდხანს დარჩნენ წყალსატევების, მდინარეების, წყლების და აგრეთვე სველ ნიადაგში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინფექციის გავრცელებისათვის. ლეპტოსპირები პათოგენურია ადამიანის და ცხოველებისათვის ინფექციური სიყვითლის ძირითადი წყაროა მღრღნელები.

ადამიანის ორგანიზმი ლეპტოსპირები კანზე ან ლორწოვან გარსზე არსებული განაკაწრებიდან ხვდებიან. მალე გადადიან სისხლში, სადაც ცოცხლობენ და მრავლდებიან 5-6 დღის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ლოკალიზდებიან დვიძლში, თირკმელებში, ელექტროალურ ნერვულ სისტემაში. დვიძლში ისინი აზიანებენ დვიძლის უჯრედებს, რის შედეგადაც იწყება სიყვითლე. თირკმელებში აზიანებენ თირკმლის სადინარებს (ნეფრიტი) და გამოიყოფიან შარდთან ერთად, 30-35 დღის განმავლობაში.

საინკუბაციო პერიოდი 1-2 კვირაა. ავადმყოფობა იწყება უეცარი შეციებით და T აწევით 39-40<sup>0</sup>-მდე. ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა, ცნობიერება დაბინდული, მეტად დამასასითებელია თავის და კუნთების (განსაკუთრებით წვივის) მკვეთრი ტკივილები, სიყვითლე ჩნდება 2-4 დღეში. პირველი კვირის განმავლობაში შეიმჩნევა აგრეთვე წერტილოვანი სისხლჩაქცევები კანსა და ლორწოვან გარსებზე. დაავადება დაახლოებით 2 კვირას გრძელდება. წყლის ცხელების გამომწვევი ლეპტოსპირები ადამიანის ორგანიზმი ხვდებიან პერილარულად, თვალის კონიუქტივიტიდან და გაკაწრული კანიდან. ინკუბაციური პერიოდი 8-12 დღეს გრძელდება. ჯერ ლეპტოსპირები ცირკულირებენ სისხლში, შემდეგ ხვდებიან დვიძლში, თირკმელებში, ელექტროაზიანობით. თკირველივე სათვებში 39-40<sup>0</sup>-მდე აღწევს და ასე რჩება 6-8 დღეს. მე-9-10 დღეს ნორმამდე დაიწევს. ზოგ შემთხვევაში აღინიშნება რეციდივები. ზოგიერთ ავადმყოფს უჩნდება გამონაყარი, განსაკუთრებით ბარძაყებზე. დამასასიათებელია კონიუნქტივიტის მკვეთრი ჰიპერემია. თავის ძლიერი ტკივილები, ტკივილები წვივის კუნთებში.

ლეპტოსპიროზის გადატანის შემდეგ ადამიანი იძნება მტკიცე იმუნიტეტს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას სხვადასხვა მეთოდით ატარებენ 1. მიკროსკოპული 2. სუფთა კულტურის გამოყოფით. 3. ბიოლოგიური. 4. სეროლოგიური. გამოსაკვლევ მასალად იყენებენ შარდს, ავადმყოფის სისხლის შრატს, ხოლო ეპიდემიოლოგიური მიზნით წყალს.

## მიკრბაქტერიაზი

გვარი *Mycobacterium* (ოჯახი *Mycobacteriaceae*, რიგი *Actinomycetaler*) შეიცავს 100-ზე მეტ სახეს, ბუნებაში ფართოდ გავრცელებულს, დიდი ნაწილი საპროფიტები და პირობით-პათოგენურია, ადამიანში ტუბერკულოზს იწვევენ (*M. tuberculosis* 92%- შემთხვევაში, *M. bovis* -5%-ში *M. africanus* 3%-ში) და კეთრს (*M. Leprae*)

### ტუბერკულოზის მიკრბაქტერია (*Mycobacterium tuberculosis*) შეისწავლა კოხმა 1882 წ.

ტუბერკულოზის მიკრობის სიგრძე 1-4 მიკრონია, ხასიათდება მნიშვნელოვანი პოლიმორფიზმით. (არსებობს მოკლე და გრძელი, წვრილი და მსხვილი, სწორი და მოხრილი, მთლიანი და მარცვლოვანი ბაქტერიები). სპორებს და კაფსულებს არ წარმოქმნიან. ჩვეულებრივი წესით ჩხირები არ იღებება. მათი ძნელად შედებვის მიზეზია მათ ციტოპლაზმაში ლიპიდების დიდი რაოდნობით არსებობა. შედებილი მიკობაქტერიები სხვა მიკრობებისაგან განსახვავებით არ უფერულდებიან მუვების ზემოქმედებით. ისინი აგრეთვე სპირტ და ტუტემდგრადობითაც გამოირჩევიან. მიკობაქტერიები ძალზე მომოხვენი არიან ტემპერატურისადმი, კარგად იზრდებიან 38°T მკაცრი აერობებია, თხიერ ნიადაგზე ზრდის დროს წარმოქმნიან დანაოჭებულ აპკს, მყარ ნიადაგზე მშრალ მარცვლოვან ნადებს. იზრდებიან ნელა 3-6 კვირის განმავლობაში. მდგრადობა ფიზიკური და ქიმიური ფაქტორებისადმი შედარებით მაღალია. გამომშრალ ნახველში ცხოველმოქმედებას ინარჩუნებენ რამდენიმე კვირა, ტანსაცმელსა და ოეორეულზე სიბნელეში 2 თვემდე. გაფანტული სინაოლე ხოცავს ნელა 3-10 დღის განმავლობაში. 5% კარბოლმჟავა ნახველში ბაქტერიებს ხოცავს მხოლოდ 24 სთ-ის შემდეგ. უფრო მგრძნობიარენი არიან მზის პირდაპირი სხივების (ულტრაიისფერი სხივების) და მაღალი ტემპერატურის მიმართ. დუღილით იღუპებიან 5-10 წუთში, გაბინძურებულ რძეში 65-70°-მდე გათბობით 30 წუთის შემდეგ. ბუნებრივ პირობებში, ადამიანის გარდა ტუბერკულოზით ავადდებიან სხვადასხვა ძუძუმწოვრები (ძროხები, თხები, ცხენები) და ფრინველები. ადამიანის *tyour humanus*, ხარის *typur bovinus*, ურინველის *typur avrum*.

არსებობს ცივსისხლიანთა ტიპიც, რომელიც არ არის პათოგენური ადამიანისათვის.

ადამიანები ტუბერკულოზით უფრო ხშირად ავადდებიან აეროგენული ე.ი. დაბინძურებული მტერის, ან ჰაერში არსებული უწვრილესი წვეთების შესუნთქვით. დასნებოვნება ხდება აგრეთვე რძით ან საკვები პროდუქტებით. შესაძლებელია ტუბერკულოზის მიკობაქტერიების შეღწევის შესაძლებლობა დაზიანებული კანიდან ან ლორწოვანი გარსებიდან. არ არის არც ერთი ორგანო, საღაც არ შეიძლებოდეს ტუბერკულოზური პროცესის განვითარება. ამიტომ ფილტვების ტუბერკულოზის, ამ ყველაზე ხშირი ფორმის გარდა, გვხვდება ჯირკვლების, კანის, თირკმელების, შარდის ბუშტის, ძვლების, სახსრების, ნაწლავების, ტვინის გარსების ტუბერკულოზური დაზიანებები, ცალკეულ შემთხვევებში შეიმჩნევა გენერალიზებული, ანუ მილიარტული

ტუბერკულოზი. დაზიანებულ ქსოვილებში ყოველთვის ვითარდება ტუბერკულოზური ხორკლი, რომელიც წარმოადგენს უჯრედების გროვას, რომელთა შორის არის განსაკუთრებული, გიგანტური უჯრედები. ამ უჯრედების ცენტრში განლაგებულია ტუბერკულოზის მიკობაქტერიები, ვინაიდან ხორკლში არ არის სისხლძარღვები, მასში იწყება კვდომითი პროცესები, ხორკლი განიცდის ხაჭოსმაგვარ (კაზეოზურ) დაშლის, ხოლო განთავისუფლებულ მიკრობებს შეუძლიათ შეადწიონ სისხლში და მიმოთესონ ორგანიზმში. ხშირ შემთხვევაში ხორკლი შეიძლება ჩაიკიროს, რის შედეგად წარმოიქმნება დახურული კერა. უფრო ხშირად ტუბერკულოზი მიმდინარეობს, როგორც ქრონიკული ინფექცია. ადამიანთა უმრავლესობა განსაზღვრულ რეზისტენტობას იჩენს ტუბერკულოზისადმი.

ინფექციის წყაროა პირველ რიგში აგადმყოფი ადამიანი, რომელსაც ტუბერკულოზის დია ფურმა აქვს. ისინი ავრცელებენ ინფექციას ნახველით, აგრეთვე გამონაყოფითაც. დასნებოვნება შეიძლება მოხდეს უშუალო კონტაქტით ან ტუბერკულოზის მიკობაქტერიებით დასნებოვნებული სხვადასხვა საგნებით. ინფექციის წყაროა აგრეთვე ტუბერკულოზით დავადებული ძროხები, თხები, რომლებიც რძესთან ერთდ გამოჰყოფენ ტუბერკულოზის მიკობაქტერიებს. ტუბერკულოზის დროს გამოკვლევის მიკრობიოლოგიურ მეთოდებს, კლინიკურ მონაცემებს ავადმყოფის რენტგენოლოგიურ გამოკვლევასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს.

## პათოგენური უმარტივესოა შორის დიდი მნიშვნელობა აქვთ მაღარიის პლაზმოდიუმებს, დიზენტერიის ამებას, ლეიშმანიებს, ტოქსოპლაზმას, ტრიპონოსომებს, ტრიქომონადებს და ლამბლიებს.

## მაღარიის პლაზმოდიუმი

გამომწვევი (*Plasmodium malariae*) სპოროვანთა კლასს მიეკუთვნება. პირველად აღმოაჩინეს რუსეთში 1879 წ. აფანასიევმა 1880 წ. აღუირში ლავერანმა. ცნობილია მაღარიის პლაზმოდიუმის 4 სახე. რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან განვითარების ციკლით და გარეგანი ფორმით. უფრო მეტად გავრცელებულია შემდეგი სახეები: *Plasmodium vivax* – სამდღიანი მაღარიის პარაზიტი. *Plasmodium malariae* – 4 დღიანი მაღარიის პლაზმოდიუმი *Plasmodium falciparism* ტროპიკული მაღარიის პლაზმოდიუმი არსებობს კიდევ *Plasmodium ovale*, რომელიც გავრცელებულია ტროპიკებში და დაავადება ისე მიმდინარეობს როგორც მაღარიის 3 დღიანი ფორმა. მაღარიის გამომწვევი რომელ სახესაც არ უნდა ეკუთვნოდეს განვითარების ორ ციკლს ასრულებს. უსქესოს შიზოგონიის, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ხდება და სქესობრივს სპოროგენია რომელიც კოდო *Anopheles*-ის სხეულში ხდება.

სამდღიანი მაღარიის პარაზიტი წარმოქმნის მსხვილ რგოლს, რომელიც ერითროციტის 1/3 იკავებს. მოზრდილ პარაზიტს შეიძლება ჰქონდეს ძალზე უცნაური ამების-მაგვარი მოყვანილობა, მის შიგნით მოთავსებულია მელანინის პიგმენტის მარცვლები. მერულაციის დროს პლაზმოდიუმები იძლევა 12-18-მდე მერთობიტს, რომლებსაც ოუთის ნაყოფის შეხედულება აქვთ. დაზიანებული ერითროციტი მკვეთრად (2-ჯერ) გადიდებულია, მკრთალია, ფაშარია, ხასიათდება განსაკუთრებული მარცვლოვანობით. პლაზმოდიუმის გამეტოციტები სფერული ფორმისაა. პარაზიტის განვითარების ციკლი 48 საათს გრძელდება.

4 დღიანი მალარიის პარაზიტი წარმოქმნის რამდენიმე უფრო პატარა ზომის რგოლებს, ვიდრე 3 დღიანი მალარიის პლაზმოდიუმი ნახევრადმოზრდილ და მოზრდილ შიზონტებს აქვთ ლენტის ფორმა, რომელიც თითქოს სარტყლად ერტყმის ერითროციტს. პარაზიტის მოხაზულობა მისი მცირე მოძრაობის გამო უფრო სწორია, 4 დღიანი მალარიის პარაზიტის პლაზმოდიუმი იყოფა არა უმეტეს 8-12-მდე მეროზოიტად. (ზიზილას ფორმა აქვთ) პარაზიტის შემცველი ერითროციტი არ არის გადიდებული. პარაზიტის განვითარების ციკლი 72 სთ-ს გრძელდება.

ტროპიკული მალარიის პარაზიტი პლაზმოდიუმი შინაგანი ორგანოების (დვიძლის, ელენორის, ტვინის) კაპილარებში მდორედ მიმდინარე სისხლში ვითარდება, ამიტომ პერიფერიული სისხლის პრეპარატებში უფრო მეტად პარაზიტის ახალგაზრდა ფორმებს ნახულობენ, რომლებსაც შედებილ პრეპარატებში სწორი, წვრილი რგოლების ფორმა აქვთ. თითოეულ ერითროციტში 2-3 ასეთი რგოლია. პარაზიტის დაყოფას, რაც მხოლოდ შინაგან ორგანოებში შეიძლება აღმოვაჩინოთ, თან სდევს 12-24 წვრილი მეროზოიტის წარმოქმნა. დაზიანებული ერითროციტების ზომები რამდენადმე მცირდება, მათში არის მსხვილი მარცვლები, ტროპიკული მალარიის გამოსაცნობად დიდი მნიშვნელობა აქვს თავისებურად წაგრძელებულ საკმარი მსხვილ გამეტოციტებს, რომელსაც ნახევარმოვარის ფორმა აქვს, პლაზმოდიუმის განვითარების ციკლის ხანგრძლივობა 48 საათს გრძელდება, ერითროციტები მკვერვად შეცვლილი, აქვთ ფესტონური კიდეები, მარცვლოვანებია. პარაზიტი წარმოქმნის 8-დან 12-მდე მეროზოიტს. განვითარების ციკლი 48 საათს გრძელდება. მალარიის სხვადასხვა ფორმის დროს ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა სხვადასხვაა. იგი საშუალოდ 2-3 კვირა გრძელდება, მაგრამ იმ ადგილებში სადაც უფრო ცივი ჰავაა სამდღიანი მალარიისათვის იგი 2-10-14 თვემდე აღწევს, ყველაზე უფრო მოკლე ინკუბაციური პერიოდი შეიმჩნევა ტროპიკული მალარიას დროს. მალარიის კლინიკური მიმდინარეობა პერიოდული ციებ-ცხელებიანი შეტევებით ხასიათდება, რომლებიც სისხლში პარაზიტის მერულაციის მომენტს ემთხვევა. ციებ-ცხელების შეტევები იწყება მკვეთრი შემცივნებით და თავის ტკივილით. ავადმყოფის გუნება-განწყობა მძიმეა, უჩივის გულისრევას, მარცხენა ფერდქვეშ (ელენორის არე) ტკივილს. შემცივნება იცვლება სიცხით, T იწევს 40<sup>0</sup>-მდე. სახე წითლდება. ხანადახან ავადმყოფი ცნობიერებას კარგავს და ბოდავს. ბოლოს T სწრაფად ეცემა, რასაც თან სდევს უხვი ოფლიანობა. ყოველი შეტევის შემდეგ პარაზიტის რაოდენობა სისხლში პროგრესულად იზრდება, ზოგიერთ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევაში მაგ. ტროპიკული ფორმის დროს, ერითროციტებს გამრავლებულ პარაზიტთან ერთად შეუძლია ტვინის კაპილარების დახშობა, რის გამოც ვითარდება მალარიული კომა. გარდა ციებ-ცხელების შეტევისა, მალარიით ავადმყოფებს უვითარდებათ სხვადასხვაგვარი დაზიანებანი. ერითროციტების დაშლასთან დაკავშირებით ავადმყოფებში შეიმჩნევა ანემია, ელენორის, ღვიძლის, ძვლის ტვინისა და ნერვული სისტემის დაზიანება.

ადამიანის ამოვისებლობა მალარიისადმი ძალზე მაღალია. იმუნიტეტი ხასიათდება სახეობრივი სპეციფიკურობით. მალარიის მიკრობიოლოგიურ დიაგნოზს ადგენენ ავადმყოფის სისხლის მიკროსკოპირებით. გამოკვლევისათვის უკეთესია სისხლის აღება შეტევის წინ ან შეტევის დროს, მაგრამ დადებითი შედეგის მიღება შეიძლება აგრეთვე შეტევათა შორის ინტერვალების ნებისმიერ დროს.


## ტროპიკულაზმოზის გამომავალი Toxoplasma Gondii

ტროპიკულაზმის გამომწვევი მდორნელებში 1908 წ. აღმოაჩინეს ფრანგმა მეცნიერებმა ნიკოლისმა და მანსონმ. ტროპიკულაზმას ნახევარმოვარის ფორმა აქვს, ლეიშმანიას

წააგავს. პარაზიტის ზომებია: სიგრძე 4-7 მილიმეტრი, სიგანე 2-4 მილიმეტრი (ბირთვი მდგრად ბარეობს ცენტრში). ტოქსოპლაზმა მრავლდება სიგრძივი დაყოფით. იგი ენერგიულად მოძრაობს, თუმცა არ აქვს სპეციალური ორგანოები. დასხებოვნებული ადამიანის და ცხოველების ორგანიზმი ტოქსოპლაზმები უმეტესად უჯრედის შიგნით იმყოფებიან თითოეულად, წყვილებად ან გროვების სახით. შეიძლება მათი ხელოვნურად გამოზრდაც. ფართოდ არიან გავრცელებული ყველა სახის ძუძუმწოვარში. აზიანებს აგრეთვე ზოგიერთი სახის ფრინველს (ქათმებს, მტრედებს და სხვა) ადამიანის დასხებოვნება ხდება ცხოველებთან კონტაქტით, საჭმლით (დაავადებული ცხოველის ხორცი, რძე) ან ცხოველების გამონაყოფით (შარდი, განავალი, ლორწო, ნერწყვი) გაბინძურებული პროდუქტებით. დასხებოვნება შეიძლება აგრეთვე ფეხსახსრიანების კბენითაც. კლინიკური სურათი მრავალფეროვანია. ტოქსოპლაზმისათვის დამახასიათებელია ნაყოფის დაზიანება, რის შედეგად აღინიშნება ნაყოფის (მუცლად ყოფნის დროს) და ნაადრევი მშობიარობა. დაბადებულ ბავშვს აქვს ოანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის ნიშნები. თავის ტვინის (ჰიდროცეფალია) თვალების (ქორიორეტინიტი) და სხვა ორგანოების დაზიანება. (თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზიანი ბავშვების უმეტესი ნაწილი იღუპება სიცოცხლის პირველ წელს) შეძნილი ტოქსოპლაზმოზი ნებისმიერ ასაკში გვხვდება. დაავადებას თან სდევს ლიმფური კვანძების გადიდება. არც თუ იშვიათად ლაქოვანი გამონაყარი, კუნთების ტკივილი, იგი წააგავს პარტაზიან ტიფს. ასევე შეიძლება მიმდინარეობდეს ძალიან იოლ ფორმებში და უსიმპტომულადც კი.

## ამებური ღიზენტერია (ამებიაზი)

ამებური დიზენტერია პროტოზოული დაავადებაა. ამებიაზის გამომწვევია ერთუჯრედიანი უმარტივესი ორგანიზმები, რომელიც 1875 წელს აღმოაჩინა რუსმა მეცნიერმა ლ. ლეშმა. არსებობს ამების განვითარების ვეგეტატიური და ცისტური ფორმები. ვეგეტატიური ამება გვხვდება ქსოვილის ანუ ტიპიური და სანაოურის ფორმის სახით. ტიპიური ფორმა გვხვდება დაავადების პერიოდში. მოძრავია, შეიცავს ჩაყლაპულ ერიოროციტებს, ამიტომ უწოდებენ ერიოროფაგსაც. სანაოურის ფორმა გვხვდება მსხვილი ნაწლავის დისტალურ ნაწილში. დაავადების ჩათავების პერიოდშია და გაჯანსაღებისას გადადის ცისტურ ფორმაში და გარეთ გამოიყოფა. გარემოში გამდენია.



ინფექციის წყაროა ამებიაზით დაავადებული ან ცისტამტარებელი ადამიანი. არსებობს გადაცემის მხოლოდ ალიმენტური გზა (წყალი, საკვები, ხილი, ჭუჭყიანი ხელები) საკვებს ცისტებით აგრეთვე ბუზებიც აბინძურებენ. ადამიანი ავადდება მხოლოდ ცისტების მიღებისას. ვეგეტატიური ფორმა გარემოში ვერ ძლებს. ჩაყლაპვის შემთხვევაში კი კუჭის წვენი ანადგურებს მას.

კუჭში მოხვედრილი ცისტა სიმუშის მოქმედებით იღუპება, მაგრამ თუ გადაურჩა ამ ბარიერს (მოჰყვა საკვების გუნდაში ან კუჭის წვენი განეიტრალებულია წყლით) მისი გარსი იხსნება ნაწლავში და გამოდის ვეგეტატიური ფორმა. ეს უკანასკნელი ჩასახლდება ლორწქვეშა არეში და მრავლდება. ამებები თავისი ფერმენტული მოქმედებით იწვევენ ლორწოვანის ნეკროზს და წარმოქმნება წყლულები. ამებიაზის წყლული კრატერისებურია, დაკბილული, უსწორმასწორო კიდეებით.

ინკუბაციური პერიოდი 1-დან 3 კვირამდე, იშვიათად 3 თვემდე გრძელდება. ამებური დიზენტერია ხასიათდება რეციდივებით. გართულებებია: ნაწლავის პერფორაცია, რომელიც წარმოიქმნება კედლის გახვრეტის შედეგად, პერიტონიტის განვითარებით და დვიძლის აბსცესით, რაც გამოწვეულია დვიძლში ამების მოხვედრით. მნიშვნელოვანია გავარჩიოთ ამებიაზი ბაქტერიული დიზენტერიისაგან.

## პათოგენური სოკოები

სოკოებით გამოწვეულ დაავადებებს მიკოზები ეწოდება. პროცესის ლოკალიზაციის მიხედვით არჩევენ სისტემურ ანუ დრმა მიკოზებს, სუბკუტანურ ანუ კანქვეშა მიკოზებს და ზედაპირულ ანუ კერატომიკოზებს.

ადამიანის პათოლოგიაში დიდი მნიშვნელობა აქვს პათოგენურ აქტინომიცეტებს, რომლებიც იწვევენ დერმატომიკოზებს (კანის, ფრჩხილების, თმების სოკოვან დაავადებებს) და კანდიდოზის გამომწვევებს (კანდიდას გვარის საფუარის მსგავსი სოკოები)

## პათოგენური აქტინომიცეტები

1877 წ. გიურცის მიერ აღმოჩენილი პათოგენური სხივისებრი სოკოები (*Actinomyces*) ფართოდაა გავრცელებული მცენარეებზე, ნიადაგში, ჰაერში, ადამიანის პირის დრუში, კუჭ-ნაწლავის ტრაქტში და ა.შ. აქტინომიცეტები მძიმე ქრონიკული დაავადების – აქტინომიკოზის გამომწვევებია, რომელიც გვხვდება ადამიანებსა და ცხოველებში (მსხვილფეხა რქიანი საქონელი)

სხივისებრ სოკოებს აქვთ განშტოებული დატოტიანებული მიცელიუმი, კარგად იღებებიან ანილინის სალებავებით, გრამდადებითია, მრავლდებიან სპორებით და უბრალო დაყოფითაც, იზრდებიან ჩვეულებრივ საკვებ ნიადაგზე, წარმოქმნიან ცხვნილისებრი ნადებით დაფარულ მშრალ, დანაოჭებულ კოლონიებს. ორგანიზმში აქტინომიცედები წარმოქმნიან მსხვილ გროვებს მარცვლების სახით – დრუზებს, რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება. მიკროსკოპით დათვალიერებისას დრუზის ცენტრში შეიმჩნევა გადახლაროული ძაფები, ხოლო პერიფერიაზე – ქინძისოვის-მაგვარი შემსხვილება. ფორმის მიხედვით მოგვაგონებს ჟოველმხრივ გაფანტულ სხივებს.

დასნებოვნება ხდება პირის დრუს ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან. პათოგენური აქტინომიცეტებით დასნებოვნებული პურის თავთავების, დეროების, ბალახის ღეჭვისა და

აგრეთვე სოკოების შემცველი მტვრის ჩასუნთქვისას. დასნებოვნება განაპირობებს ქრონიკული პროცესის – აქტინომიკოზის განვითარებას. ადამიანის დაავადებას იწვევს აქტინომიცეტების მხოლოდ პათოგენური სახესხვაობები. ბუნებაში უმეტესად საპროფიტული რასები გვხვდება.

ამ დაავადების დროს დაზიანებულ ქსოვილებში წარმოიქმნება ცენტრში შერბილებული კვანძები. ისინი იხსნებიან და შეუხორცებელი ფისტულებიდან დიდი ხნის განმავლობაში გამოდის მოყვითალო ფერის სქელი ჩირქი დრუზის მარცვლებით. დაავადება წლობით მიმდინარეობს. ჩვეულებრივ ზიანდება ქვედა ყბა, ფილტვები, პლევრა, იშვიათად ნაწლავები და სხვა ორგანოები.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის იყენებენ მასალის მიკროსკოპულ გამოკვლევას, იკვლევენ ჩირქს, ნახველს და ა.შ. მიკროსკოპული გამოკვლევებისათვის ამზადებენ შეუდებავ პრეპარატს, რომელშიც ხერხდება დამახასიათებელი დრუზების პოვნა. დადებით შემთხვევაში გრამის წესით შეღებილ ნაცხებში შეინიშნება სოკოს გრძელი, დატოტვილი ძაფები.

## დერმატომიკოზების გამომარვებელი

მრავალრიცხოვანი დერმატომიცეტებიდან აღსანიშნავია ქეცის (Fairis) აღმმვრელი სოკო (Achrion) აღმოჩენილი 1849 წ. შენდეინის მიერ, ტრიქოფიტის ან მკრეჭავი სირსველის გამომწვევი სოკო Trychophyton მიკროსპორის გამომწვევი სოკო Microsporon ეს სოკოები მიეკუთვნებიან უსრული სოკოების ჯგუფს.

დერმატომიცეტების უმრავლესობას დანაწევრებული მიცელები აქვთ. ისინი მრავლდებიან კონიდიების საშუალებით და დაკვირტვით, კარგად იზრდებიან სხვადასხვანიადაგზე. სოკოები იზრდებიან ნელა 18-20 დღის განმავლობაში 26-28<sup>0</sup> T. ისინი ორგანიზმები თავისი ენდოტოქსინებით მოქმედებენ. საკვების მდგრადობა მაღალი ტემპერატურისადმი მერყევია და საერთოდ დიდი არ არის. ქიმიური ფაქტორებისადმი ისინი უფრო მდგრადები არიან. მზის პირდაპირი სხივები მათ ზრდას აჩერებს. დაზიანებულ თმებში სოკოებმა შეიძლება შეინარჩუნონ ცხოველმოქმედება 2 წლამდე ქერცლებში 6 თვემდე.

სოკოები ორგანიზმში შეადწევენ კანიდან. ისინი მრავლდებიან და ვრცელდებიან, როგორც კანის ზედაპირზე ისე გარშემო მდებარე ქსოვილების სიღრმეშიც. ასევე ზიანდება თმებიც. სოკოების შედწევაზე ორგანიზმი რეაგირებს ადგილობრივი ანოგბითი რეაქციით.

დერმატომიკოზების დიაგნოსტიკისათვის იყენებენ მიკროსკოპულ მეთოდს და გამოჰყოფებ აღმმვრელის კულტურას. გამოსაკვლევ მასალას წარმოადგენს დაზიანებული თმები, იკვლევენ აგრეთვე ჩამონაფხექს დაზიანებული ფრჩხილებიდან და კანიდან.

სოკოვანი დაავადებების წყარო ავადმყოფი ადამიანები და ცხოველებია. ინფიცირება ხდება ავადმყოფთან უშუალო კონტაქტით, აგრეთვე თავსამკაულით, სავარცხლებით (განსაკუთრებით საპარიქმახეროებში) პირსახოცით, ტანსაცმლით. დასნებოვნება შეიძლება აგრეთვე ავადმყოფი კატებისაგან, ძაღლებისაგან, ცხენებისაგან, რქიანი საქონლისა და სხვა ცხოველებისაგან.

## კანდიდოზების აღმაპრელუბი

საფუარის მსგავსი კანდიდას გვარის სოკოების ცალკეული პათოგენური სახეების მიერ გამოწვეულმა მწვავე ან ქრონიკულმა დაავადებებმა მიიღეს კანდიდოზების სახელწოდება. ლორწოვანი გარსების და კანის (რძიანა, გამონაყარი) ზედაპირულ დაზიანებებთან ერთად გხევდება დრმა ვისცერული დაზიანებებიც (პნევმონიები, მენინგიტები, სეფსისი და სხვა).

კანდიდას გვარის მარვალრიცხოვან წარმომადგენელთა შორის ადამიანის პათოლოგიაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს სოკოს *Candida albicans*-ს რომელიც თავისი მორფოლოგიური და ბიოლოგიური თვისებებით საფუარებს ჰგავს, მაგრამ მათგან განსხვავებით არ წარმოქმნის სპორებს, მრავლდება დაკვირტვით სოკოს აქვს ოვალური ან მრგვალი ფორმის უჯრედები კარგად გამოხატული გარსით, ბირთვული ნივთიერება სხვადასხვა ზომის მარცვლების სახით და ციტოპლაზმა ცხიმის, ვოლუტინის და გლიკოგენის ჩანართებით გარდა მომრგვალებული ფორმისა. უჯრედებს შეიძლება პქონდეთ მსხილი, მოკლე ან გრძელი ძაფების სახე (ფსევდომიცელიუმები) რომლებსაც შეუძლიათ აგრეთვე დაიშალონ საფუარის უჯრედებად. სოკოები კარგად იღებება სხვადასხვა უბრალო სადებავით და გრამის წესით, ისინი ფაკულტატური ანეროდებია. წარმოქმნიან ტოქსიკურ ნივთიერებებს.

კანდიდას გვარის სოკოები პირობით პათოგენური მიკრობებია, ჯანმრთელ ორგანიზმში ბინადრობენ კანზე, პირის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ზედა სასუნთქი გზებისა და საშოს ლორწოვან გარსებზე. ორგანიზმის დამცველი ძალების დასუსტების და სხვა ხელსაყრელ პირობებში (ნორმალური მიკროფლორის შედგენილობის შეცვლა – დისბაქტერიოზი, ვიტამინების ნაკლებობა) ამ სოკოებს ავადმყოფი ადამიანის ორგანიზმში შეუძლიათ გააძლიერონ თავისი პათოგენური მოქმედება, რაც ხანდახან შეიმჩნევა ფართო მოქმედების სპექტრის მქონე ანტიბიოტიკების ხანგრძლივი, არარაციონალური თერაპიის დროს. ამ შემთხვევაში ისინი აქტიურად მრავლდებიან ლორწოვან გარსებზე და კანზე, სძლევენ ორგანიზმის დამცველ ბარიერებს და შეაღწევენ ლიმფურ გზებსა და სისხლში, საიდანაც ვრცელდებიან ქსოვილებსა და ორგანოებში და იწვევენ მათ დაზიანებას. განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს შინაგანი ორგანოების კანდიდოზები, რაც შეიძლება ავადმყოფის სიკვდილით დამთავრდეს. კანდიდოზების მიკრობიოლოგიურ დიაგნოსტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. გამოიყენება მიკრობიოლოგიური გამოკვლევის ყველა მეთოდი. დაზიანების მიხედვით იკვლევენ ჩირქს, ნახველს, ჩამონაფხვებს ლორწოვანი გარსებიდან, სისხლს, შარდს და აშ. მნიშვნელოვანია სუფთა კულტურის გამოყოფა მასალის დათესვით და სეროლოგიური რეაქციებით – აგლუტინაციის და კომპლემენტის შებოჭვის რეაქციებით. შესაძლებელია ბიოლოგიური და ალერგიული დიაგნოსტიკის ჩატარება. დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის მასალაში სოკოების ხელმეორედ აღმოჩენას მომატებული რაოდენობით და სისხლში იმუნური სხეულების ტიტრის ზრდას.

## მოწამვლები მიკრობული წარმოშობის საკვებით

სოკოვანი და სხვა მიკროფლორით დაბინძურებული საკვები ხშირად იწვევს მოწამვლას. საკვების მოქმედების მექანიზმთან დამოკიდებულების მიხედვით სოკოვან დაკვდებას ყოფენ მიკოზებად და მიკოტოქსიკოზებად.

## ობის სოკოვანი დაავადებული საკვებით მოწამვლა

საკვები ხშირად ზიანდება მუკორული, ასპერგილისა და პენიცილიუმის გვარის ობის სოკოებით, რასაც ხელს უწყობს მაღალი სინოტივე. ობის სოკოებით დაავადებულ

საკვებს აქვს კარგად შესამჩნევი შავი ფერი, მორუხო-მოშავო, თეორი ან სხვა ფერები. აქვს უსიამოვნო ან ობის სუნი. ობით დაზიანებულ საკვების მომშხამველი თვისება განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით. ზოგიერთი ობის სოკო ვითარდება და აგროვებს ისეთ მომშხამველ ნივთიერებას, როგორიცაა მჟაუნმჟავა ამონიუმი, ტიროზინი, პტომაინი. გარდა ამისა ობის სოკოების და ლპობის ბაქტერიების ზემოქმედებით შეიძლება მოხდეს ცილების და სხვა შენაეროების დაშლა მომწამლავ ნივთიერებათა წარმოშობით. ზოგჯერ ობით დაზიანებული საკვები არ იწვევს მოწამვლას. რადგან ობის სოკოები ტოქსიკურ თვისებებს იძენენ მხოლოდ ნაყოფის ტარების პერიოდში, ე.ი. სპორების წარმოშობის სტადიაში. ამ დროს მიმდინარეობს მიცელიუმში აუ-ტოლიზმი (შემადგენელი ნაწილების ფერმეტული დაშლა).

## ვირუსული ინფექციები ვირუსული დაავადებების გამომავალი

ადამიანის ინფექციური დაავადებების ნახევარზე მეტს ვირუსები იწვევენ, ვირუსული დაავადებები ასევე ფართოდაა გავრცელებული ცხოველებსა და მცენარეებში. ვირუსები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან უჯრედზე მოქმედის ხასიათით. არსებობს ვირუსები, რომლებიც იწვევენ უჯრედის ლიზისს და იქნან გამოდიან ახლად წარმოქმნილი ვირიონები. (მაგ. პოლიომიელიტის ვირუსი) ზოგიერთი ვირუსული დაავადების დროს ჩამოყალიბებული ვირიონები თანდაოან გამოდიან უჯრედებიდან მის დაუზიანებლად. შესაძლებელია ვირუსის და უჯრედის ისეთი თანაარსებობა (ვიროგენია) როდესაც ხდება ვირუსის ინტეგრაცია უჯრედის გენომში, რაც მას საშუალებას აძლევს დიდხანს დარჩეს უჯრედში მისი დაზიანების გარეშე. და არსებობს აგრეთვე ვირუსების ჯგუფი (ონკოგენური ვირუსები) რომლებიც განაპირობებენ უჯრედის სიმსივნურ ტრანსფორმაციას.

მნიშვნელოვანი როლი ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკაში განეკუთვნება ლაბორატორიულ მეთოდებს.

## მავავე რესპირატორული დაავადებების გამომავალი ვირუსები

ვირუსულ ინფექციებში ყველაზე გავრცელებულია მწვავე რესპირატორული დაავადებები, რომლებიც აზიანებენ სასუნთქ თრგანოებს, მათი კლინიკური მიმდინარეობა მსგავსია.

მწვავე რესპირატორული დაავადებების გამომწვევი შეიძლება იყვნენ გრიპის და პარაგრიპის ვირუსები, რინოვირუსები, რესპირატორულ სინციტიური ვირუსი, ადენოვირუსები, ზოგიერთი ენტეროვირუსი, (აგრეთვე სხვადასხვა ბაქტერიები და მიკოპლაზმები). მწვავე რესპირატორული დაავადებების ეტიოლოგიური სიჭრელე მოითხოვს დიფერენციალურ დიაგნოსტიკას, კვლევის მიკრობიოლოგიური მეთოდების გამოყენებას, გამომწვევების გადაცემის ჰაერ-წვეოოვანი მექანიზმის გამო სწრაფად ვრცელდება და მოიცავს დიდ ტერიტორიებს, მათ მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარები არიან ბავშვები. ასაკთან ერთად მიმღებლობა კლებულობს იმუნიტეტის შეძენის ხარჯზე. სასუნთქი გზების ვირუსულ ინფექციებს არ ახასიათებს მაღალი ლეტალობა, მაგრამ ხელს უწყობენ სხვადასხვა ბაქტერიული ბუნების გართულებებს, რომელთა შორის ყველაზე მძიმეა პნევმონიები. რესპირატორული ინფექციების განმეორებითი შემთხვევები განპირობებულია გამომწვევის სახეობების და სეროლოგიური ვარიაციების სიმრავლით. მათი ცვალებადობის უნარით და იმუნიტეტის თავისებურებებით.

რესპირატორული ვირუსები გაერთიანებული არიან 6 ოჯახში და 8 გვარში, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მორფოლოგიით, ზომით, ქიმიური შემადგენლობით, ბიოლოგიური და სხვა თვისებებით.

## გრიპის ვირუსი

გრიპი მწვავე ინფექციაა, რომელიც ხასიათდება მაღალი კონტაგიოზობით და დრო-დადრო ეპიდემიური აფეთქებებისადმი მიღრეკილებით ადგილი ჰქონდა გრიპის რა-მოდენიმე პანდემიას.

გრიპის ვირუსული ბუნება დადგენილი იყო 1933 წელს მეცნიერების სმიტის, ენდრიუ-სის და ლეიდლოუს მიერ მას შემდეგ რაც შესაძლებელი გახდა გრიპით დაავადებუ-ლის ცხვირ-ხახის ჩამონარეცხის ფილტრატით ლაბორატორიულ ცხოველებში ტი-პიური გრიპოზული ინფექციის მიღება. (ქრისტიან დასხებოვნება ვილსონ-სმიტის გრიპით. აქედან შტამის პირველი სახელწოდება WS).

არსებობს გრიპის ვირუსის სამი ტიპი A B და C. A ტიპის სახეცვლილებებია A1 და A2. ეს ტიპები ერთმანეთისაგან ანტიგენური აღნაგობით განირჩევიან და არ იწვევენ ორგანიზმში ჯვარედინ იმუნიტეტს. გრიპის ვირუსი არამდგრადია, მაღალი იღუპება სი-ნაოლეზე, გამოშრობის დროს, სადეზინფექციო ნივთიერებების ზემოქმედებით, მაგრამ კარგად იტანს სიცივეს.

ვირუსს აქვს სფერული ფორმა დიამეტრით 80-120 ნმ. აქვს ლიპოპროტეიდული გარსი, რომელზეც ადინიშნება 10 ნმ სიგრძის წვეტები. ისინი შედგებიან ორი სახის გლიკო-პროტეიდებისაგან (ჰემაგლუტინინი და ნეირამინიდაზა) ვირიონის შიდა კომპონენტი წარმოდგენილია 9 ნმ დიამეტრის სპირალური სიმეტრიის ნუკლეოკაფსიდით. გენომი წარმოდგენილია ერთძაფიანი რნბ-ის 8 ფრაგმენტით.

გრიპი ადამიანში წარმოიქმნება ზემო სასუნთქი გზების ლორწოვან გარსებზე უწვრ-ილეს წვეობობა ერთად გრიპის ვირუსის მოხვედრისას. გრიპი 24-48 სთ-ის შემდეგ ვითარდება, უფრო ხშირად უეცრად და ხასიათდება მაღალი ტემპერატურით, ხშირად შემცივნებით, თავის ძლიერი ტკივილით, ზოგადი ინტრაკსიკაციით, სისუსტით და კუნ-თების ტკივილით, რასაც მოგვიანებით უერთდება ზემო სასუნთქი გზების კატარი. მწვავე რესპირატორული დაავადებებისათვის უფრო დამახასიათებელია თავიდანვე სურდო და ხველა, ტემპერატურის მომატება.

## ადენოვირუსები

ძირითადად იწვევენ ადამიანის მწვავე რესპირატორულ დაავადებებს. ისინი წარმოადგენენ დნმ შემცველ ვირუსებს. მიეკუთვნებიან Adenoviridae-ს ოჯახს Mastadenovirus-ის (ძუძუმწოვართა ადენოვირუსები) გვარს.

პირველად გამოყვას უ. როუმ და თანაავტორებმა 1953წ. ადენოიდების უჯრედთა კულტურიდან საიდანაც წარმოსდგება მათი დასახელება (AD-Adenoid degeneration) ადენოვირუსები მცირე ზომისაა 30-50-120 მ. მიკრონი. არ გააჩნიათ გარეთა გარსი. შედგებიან 252 კაფსომერისაგან. ვირიონები შეიცავენ დნმ-ს და ცილებს. არ არის ლიპიდები, რაც განაპირობებს მის მდგრადობას ეთერის მიმართ. ადენოვირუსების გენომი წარმოდგენილია ორძაფიანი ხაზოვანი დნმ-ით. ონკოგენური ადენოვირუსების ნუკლეოტიდის შემადგენლობა განსხვავდება არაონკოგენური ნუკლეოტიდებისაგან.

ადენოვირუსები წარმოდგენილია, 90 სეროლოგიური ტიპით 49 პათოგენურია ადამიანისათვის. კარგად მრავლდებიან პირველად და პასირებად კულტურებში. მგრძნობიარენი არიან ტემპერატურების მიმართ 50°C იღუპებიან 10-15 წუთში. კარგად უძლებენ გამოშრობას და დაბალ ტემპერატურას. ინფექციის კარიბჭეს წარმოადგენს ზემო სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსი. იშვიათად კუჭ-ნაწლავის ტრაქტი (40-41 სეროტიპები) ძირითადად კლინიკური ფორმებია ზემო სასუნთქი გზების კატარი, ტრაქეობრონქიტი, რინიტი, ლარინგიტი, ფარინგიტი. ბავშვებში ინფექცია უფრო ხშირად ვლინდება კონიუქტივიტის, ერატოკონიუქტივიტის სახით ან ფარინგოკონიუქტივური ცხელებით. 1 წ-მდე ბავშვებში შეიძლება გამოიწვიოს პნევმონია. ინფექციის გადატანა ტოვებს მყარ ტიპოს პერიოდიფიკურ იმუნიტეტს. გადაეცემა ჰაერ-წვეოთვანი გზით, დაბინძურებული საგნებით, წყლის საშუალებით (საცურაო აუზები) შესაძლებელია გადაცემის ფეკალურ-ორალური მექანიზმი.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის გამოსაკვლევი მასალაა ცხვირ-ხახის და კონიუქტივიტის გამონადენი, სისხლი ზოგჯერ განავალი.

## ადამიანის პარაბრიპის ვირუსი

პარაგრიპი მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს ძირითადად ზემო სასუნთქი გზების დაზიანებით და იშვიათად ხორხის შეშუპებით და პნევმონია.

პარაგრიპოზული ვირუსები მიეკუთვნებიან Paramyxoviridae-ს ოჯახს, Paramyxovirus-ი გვარს და წარმოდგენილნი არიან 5 სეროტიპით. პირველად გამოყოფილი იქნა 1956 წ აშშ-ში ჩანოკის მიერ.

ვირიონს აქვს ოვალური ფორმა 100-300 ნმ დიამეტრით. ნუკლეოიდი გარშემოკრულია ლიპიდონახშირწყლოვან-პროტეინული გარსით. ვირუსს აქვს 2 ჯგუფის ანტიგენები.

ახასიათებს ჰემაგლუტინაციის და ჰემაზინორბციის თვისებები. კარგად მრავლდება ტრიფსინიზირებულ პირველად უჯრედებში (მაიმუნის, ადამიანის ემბრიონის თირკმელის) და პასირებად კულტურებში (Hella) ვირუსები მგრძნობიარენი არიან ეთერის მიმართ. სწრაფად იღუპებიან გაცხელებით, ულტრაიისფერი დასხივებით და სადეზინფექციო საშუალებებით.

პარაგრიპის ვირუსები მწვავე რესპირატორული დაავადების გამომწვევებია. დაავადება ვლინდება 5 ფორმით. ზემო სასუნთქი გზების მწვავე ცხელებითი დაავადება, კრუპი, პნევმონია, ბრონქიტი, ზემო სასუნთქი გზების კატარი.

დაავადების გადატანის შემდეგ ვითარდება არამდგრადი იმუნიტეტი, მისი ხანგრძლივობა არ აღემატება რამდენიმე თვეს. ლაბორატორიული დიაგნოზი ემყარება ცხვირ-ხახის გასაკლების ლორწოვანის ეპითელიუმის უჯრედებში სპეციფიკური ანტიგენების გამოვლინებას, ვირუსის გამოყოფას ქსოვილთა კულტურებში და წყვილ შრატებში ანტისენსულების ტიტრის მიღება.

გადაცემა ხდება ჰაერ-წვეოთვანი გზით.

## პარამიქსოვირუსების ოჯახი paramyxoviridae

პარამიქსოვირუსების (ლათ. para ακελως, θεραπεια, myxo ληφτή) ოჯახში შედის ადა-  
მიანისათვის პათოგენური სამი სახეობა: Paramyxovirus, morbillivirus და Pneumovirus.

ვირიონს აქვს 150-200 ნმ დიამეტრის სფერული ფორმა. ცენტრში მოთავსებულია სპი-  
რალური ტიპის სიმეტრიის ნუკლეოკაფსიდი. აქვს გარეგანი ეკლისმაგვარი გამონაზ-  
არდებით. ნუკლეოკაფსიდი დაფარულია მატრიქსული ცილით. პარამიქსოვირუსები  
შეიცავენ ორი სახეობის სპეციფიკურ ანტიგენს: შინაგან S ანტიგენს (ნუკლეო-  
პროტეინი) და გარეგან V ანტიგენს (ეკლისმაგვარი გამონაზარდების გლიკოპრო-  
ტეინებს) გლიკოპროტეინული რეცეპტორების დახმარებით პარამიქსოვირუსები ად-  
სორბირდებიან მასპინძლის მგრძნობიარე უჯრედებზე. უჯრედებში ვირიონის შედ-  
წვა ხორციელდება რეცეპტორული ენდოციტოზის ან ვირუსულის გარსისა და  
ციტოპლაზმური მემბრანის შერწყმის გზით. ინფექციის წყაროა ავადმყოფები და  
ვირუსმატარებლები.

### ვირუსის ვირუსი

იწვევს მწვავე ინფექციურ დაავადებას, რომელიც სასიათდება ტემპერატურის აწევით.  
ზემო სასუნთქი გზების კატარული მოვლენებით, თვალის ლორწოვანის დაზიანებით,  
გამონაყარით, ვირუსი მიეკუთვნება Paramyxoviridae-ოჯახს, Morbillivirus-ის გვარს. ვი-  
რუსი პირველად გამოყვეს ჯ. ენდერსმა და პიბემა. ვირუსი სფერული ფორმისაა 120-  
250 ნმ დიამეტრით გარსი, შედგება ცილების, ლიპიდებისა და პოლისაქარიდებისაგან. ვირიონის ცენტრში მოთავსებულია ნუკლეოკაფსიდი შიგ ჩართული ერთძაფიანი  
რნბით. ვირუსი გარემოში ნაკლებად მდგრადია 56°C გაცხელებით იღუპება 30 წთ-ში  
4°C-ზე შეიძლება შეინახოს დიღხანს. ვერ უძლებს გაყინვას და გალდობას. ადვილად  
ინაქტივირდება ეთერით, ფორმალინით და ულტრაიისფერი სხივებით.

ინფექციის კარიბჭეა ზემო სასუნთქი გზები. ვირუსი იჭრება და მრავლდება ცხვირ-  
ხახის, ტრაქეის, ბრონქების ლორწოვანი გარსის ეპითელურ უჯრედებში. იგი გადადის  
სისხლში და აზიანებს სისხლძარღვების ენდოთელიუმს. ეპიდერმისის კაპილარების  
ენდოთელიუმში შრატის ექსუდაციისა და უჯრედის ლოკალური ნეკროზის შედეგად  
ვითარდება გამონაყარი. პირის დრუში ადინიშნება გ.წ. კოპლიკ-ფილატოვის ლაქები,  
რომლებიც წარმოიქმნება ლორწოვანის ეპითელური უჯრედების ნეკროზის შედეგად.  
ინკუბაციის პერიოდი 10 დღე, სიცხის აწევამდე და 14 დღე გამონაყარის გამოვ-  
ლინებამდე. ახასიათებს 4-5 დღიანი პროდინომული პერიოდი. სადიაგნოზო ნიშანია  
კოპლიკ-ფილატოვის ლაქების გამოჩენა. პაპულური ფორმის გამონაყარი ჩნდება ჯერ  
თავის არეში (შუბლი, ყურების უკან) შემდეგ ვრცელდება მოელ სხეულზე და კიდუ-  
რებზე. დაავადების გადატანის შემდეგ რჩება მყარი იმუნიტეტი მოელი სიცოხლის  
მანძილზე. ინფექციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ავადმყოფი ადამიანი. ვირუ-  
სი გამოიყოფა სუნთქვის და ხველების დროს ლორწოს წვეობთან ერთად. გადაცე-  
მის შექანიზმი ჰაერ-წვეობისა. წითელას დიაგნოზი ადგილად ისმება კლინიკურად.  
სწრაფი ლაბორატორიული დიაგნოზი ემყარება კანის გამონაყარის ჩამონაფხევში  
სპეციფიკური ანტიგენის გამოვლინებას იმუნოფლუორესცენტრული მეთოდით. სე-  
როლოგიური დიაგნოსტიკა ხდება წყვილ შრატებში ანტისხეულების ტიტრის ზრდის  
გამოვლინებით. გამოიყენება კომპლემენტის ფიქსაციის, კემაგლუტინაციის შეკვების  
და ქსოვილთა კულტურაში ნეიტრალიზაციის რეაქციები.

## ეპიდემიური პაროტიტის (ყბაყურის) ვირუსი Parotitis Epidemica

მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ყბისქვეშა სანერწყვე ჯირკვლების და ზოგიერთი სხვ.) ორგანოს დაზიანებით. ვირუსი მიეკუთვნება Paramyxoviridae-ს ოჯახს, Paramyxovirus-ის გვარს, Pneumofilus parohittiotis. იგი პირველად გამოვადა კ. ჯონსმა და ე. გუდპასჩერმა 1934 წ. ვირიონს აქვს გუმბათისებური ფორმა 150-175 ნმ ზომისაა. არ გააჩნია სეროლოგიური ვარიანტები. შეიცავს რიბონუკლეოპროტეიდოან დაკავშირებულ S ანტიგენს და ზედაპირული ვირუსული სტუქტურებისაგან შემდგარ V ანტიგენს. ვ. ოვეობით ინახება გაყინულ მდგომარეობაში. ნაკლებად გამდლეა ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების ზემოქმედებისადმი. იღუპება 55-60°C 20 წუთის განმავლობაში. სწრაფად ინაქტივირდება ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებით, იშლება 0,1% ლიზოლის, 50% სპირიტს ხსნარების ან ეთერის მოქმედებით. ავადდებიან ძირითადად ბავშვები 3-16 წლის ასაკში. დასხებოვნება ხდება ჰაერ-წვეოოვანი გზით ან ავადმყოფის დაბინძურებული საგნებით. ვირუსი პირის დრუდან სტენონის არხით გადაინაცვლებს სანერწყვე ჯირკვლაში, სადაც მრავლდება. შემდეგ შეიძლება გადავიდეს სისხლში, მოიოქსოს მოელ თრგანიზმში და შეიჭრას სხვადასხვა ორგანოში (საოესდე ჯირკვლები, საკვერცხეები, ჰანკრეასი, ფარისებრი ჯირკვლი, ტვინი) მოზრდილი ასაკის ბიჭებს დაახლოებით 20% შეიძლება განუვითარდეს ორქიტი, მომდევნო სქესობრივი სტერილუიზაციით. ინკუბაციური პერიოდი 18-21 დღეა. დაავადება იწყება ყბისქვეშა და ყბისუკანა ჯირკვლების ანთებით. ორივე ან ცალ მხარეს. ანთება გრძელდება ერთ კვირამდე თან ერთვის ტემპერატურის ზომიერი აწევა. კველაზე ხშირი გართულებებია ორქიტი, მენინგიტის, მენინგოეცეფალიტი, უფრო იშვიათად პოლიართორიტი, ჰანკრეატიტი, ნეფრიტი, თირეოიდიტი. დაავადების გადატანა ტოვებს მყარ იმუნიტეტს.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ემყარება ვირუსის გამოყოფას ნერწყვიდან, შარდიდან, ზურგის ტვინის სითხიდან. ვირუსის იდენტიფიკაციისათვის გამოიყენება კომპლემენტის ფიქსაციისა და ჰემაგლუტინაციის შეკავების რეაქციები. სეროლოგიური დიაგნოსტიკა ემყარება წყვილ შრატებში ანტისხეულების ტიტრის ზრდის დადგენას.

### ენტეროვირუსები

ნაწლავის შიგთავსიდან გამოყოფილი ვირუსები გაერთიანებულნი არიან ე.წ. ენტეროვირუსებში. ისინი მიეკუთვნებიან Picornaviridae-ს (Pico-ს პატარა, მცირე თა რნბის შემცველი) ოჯახს. Enterovirus-ის გვარს.

### კოლიომიელიტის ვირუსი

მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს მრავალფეროვანი კლინიკური მიმდინარეობა. მძიმე ფორმებისათვის დამახასიათებელია რბილი დამბლები, პოლიომიელიტი დამოუკიდებელ ნოზოლოგიურ ერთეულად გამოყო ჰეინემ 1860 წ. 1883 წ. მედინმა აღწერა დაავადების გრცელი ეპიდემია შვეციაში, ამიტომ დაავადებას ეწოდებოდა ჰაინე-მედინის დაავადება. მისი ინფექციური ბუნება 1905 წ. დაადგინა ვიკმანმა.

ვირუსს აქვს 30 ნმ დიამეტრის იკოსაედრის ფორმა. ვირუსული ნაწილაკის ზომა 25-27 მილიმიტრონს აღწევს. ვირუსის ცენტრში მოთავსებულია რნბ, რომელსაც გარს ეკვრის 60 სუბერთულით აგებული კაფსიდი. ვირიონის მასის 40% შეადგენს რნბ, 70% კი ცილები. მის შემადგენლობაში არ არის ლიპიდები და ნახშირწყლები. გენომი

წარმოდგენილია ერთძაფიანი რნმ-ით. ანტიგენური ოვისებებით არჩევენ 3 იმუნოლოგიურად განსხვავებულ ტიპს, რომლებიც არ იძლევიან ჯვარედინ იმუნიტეტს.

პოლიომიელიტის ვირუსი შედარებით მდგრადია გარემო ფაქტორების ზემოქმედებისადმი. დიდხანს ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას წყალში, ხილზე, რძეში და აშ. კარგად იტანს სიცივეს. გამდლეა ეთერის და სხვა დეტერგენტებისადმი. მგრძნობიარეა ქლორშემცველი ნივთიერებებისადმი, ფორმალინის, კალიუმის პერმანგანატის, წყალბადის ზეჟანგისადმი. ამჟღავნებს გამძლეობას კუჭის წვენისა და ნადვლის მოქმედებისადმი.

ვირუსის პირველადი რეპროდუქცია ხდება პირის დრუს, ხახის, წვრილი ნაწლავების ლორწოვანში, ლიმფურ კვანძებში. ლიმფური სისტემიდან ვირუსი გადადის სისხლში და მიიტანება ც.ნ.ს-ში. ნერვულ უჯრედებში რეპროდუქციისას ვირუსი აზიანებს ან მთლიანად სპოს მათ. ვირუსისადმი ყველაზე მგრძნობიარეა ზურგის ტვინის წინარქის უჯრედები, რომელთა დაზიანება იწვევს დამბლებს.

პოლიომიელიტი შეიძლება მიმდინარეობდეს შემდეგი კლინიკური ფორმით. 1. ინაპარანატული ინფექცია, კლინიკური გამოვლინების გარეშე. 2. მსუბუქი მიმდინარეობა დამბლების გარეშე. 3. სეროზული მენინგიტის. 4. დამბლითი პოლიომიელიტი. დაავადების გადატანის შემდეგ რჩება მყარი იმუნიტეტი.

ინფექციის წყაროა ადამიანი, ინკუბაციური პერიოდია 7-14 დღე, მაგრამ დასაშვებია მისი მერყეობა 3-დან 35 დღემდე. გადაცემის მექანიზმი ფეკალურ-ორალურია, შესაძლებელია გავრცელდეს ჰაერის გზითაც.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ემყარება ვირუსის გამოყოფას და წყვილ შრატებში ანტისხეულების ტიპის მატების დადგენას. გამოსაკვლევ მასალას წარმოადგენს განავალი. იმუნოლოგიური კვლევისას გამოიყენება კომპლემენტფიქსაციისა და ნეიტრალიზაციის რეაქციები. სპეციფიკური პროფილაქტიკა ემყარება ვაქცინაციას. ვაქცინა პერორალურია.

## პეპატიტის ვირუსები

პეპატიტის ვირუსები იწვევენ დაავადებებს, რომლებიც ხასიათდებიან ღვიძლის პარენქიმის დაზიანებით და მრავალფეროვანი კლინიკური მიმდინარეობით. ტერმინი - ვირუსული პეპატიტი აერთიანებს რამდენიმე მსგავს დაავადებას, რომლებიც განსხვავდება რიგი ეტიოლოგიური, ეპიდემიოლოგიური და კლინიკური ნიშნებით: ვირუსული პეპატიტი A ვირუსი წარმოდგენილია რნმ-ით გარსის გარეშე. ვირუსული პეპატიტი B-დმნ-ით გარსით. პეპატიტი C დეფექტური რნმ-ით B ვირუსის გარსის გამოყენებით. პეპატიტი E-რნმ-ით გარსის გარეშე.

დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს მწვავე ქრონიკული, მძიმე და სუბკლინიკური ფორმებით. მძიმე გართულებებს მიეკუთვნება ღვიძლის პარენქიმის ნეკროზი (ღვიძლის ქვემწვავე დისტროფია) და ღვიძლის ციროზი. ვირუსული პეპატიტი ანთონოზული ინფექციაა.

## A ჰეპატიტის ვირუსი (გამოყვეს ფაინსტრუმენტი და სხვა 1973-74წ.)

ვირუსი მიეკუთვნება Picornaviridae-ს ოჯახს, Enterovirus-ის გვარს, ვირუსის დიამეტრია 27-32 ნმ, აქვს კუბური სიმეტრია, კაფსიდი შედგება 60 ცილოვანი მოლეკულისაგან. ვირიონი არ შეიცავს ლიპიდებს და ნახშირწლებს.

გენომი წარმოდგენილია ერთძაფიანი პლუს-დაფოვანი რნმ-ით. ვირუსი შეიცავს 4 ცილას, და ცნობილია ოთხივე კაფსიდურ ცილასთან დაკავშირებული ერთი ვირუსსპეციფიკური ანტიგენი. არსებობს ვირუსის 2 სეროტიპი, რომლებიც არ იძლევან ჯვარედინ იმუნიტეტს.

ვირუსი შედარებით გამძლეა,  $60^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე გაცხელებას უძლებს 12 საათის განმავლობაში, მაგრამ  $100^{\circ}\text{C}$  გაცხელება კლავს 5 წუთში  $-20^{\circ}\text{C}$  გაყინვით ინახება წლობით. ულტრაიისფერი გამოსხივება ღუპავს 1 წუთში, ქლორი 30 წუთში. გამძლეა ეთერისა და დეტერგინტებისადმი.

ვირუსი ორგანიზმი ხვდება საკვებით და წყლით, იგი გამოიყოფა განავალოან ერთად ინკუბაციურ პერიოდში სიყვითლის გამოვლინებამდე 1-2 კვირით ადრე. ამავე დროს ვირუსი ვლინდება სისხლშიც. ლვიძლის დაზიანების გამოვლინების (სიყვითლე) შემდეგ ვირუსის რაოდენობა განავალსა და სისხლში კლებულობს.

დაავადება იწყება პროდრიმული პერიოდით, თავის ტკივილით, სისუსტით, დამტვრეულობის გრძნობით, ზოგჯერ კატარული მოვლენებით. შემდგომში ვითარდება მწვავედ ტემპერატურის აწევით, ზოგჯერ შემცივნებით ტემპერატურის მაქსიმუმს აღწევს პირველ 2 დღეში. 4-5 დღის შემდეგ ეს მოვლენები ქრება, ტემპერატურა ქვეითდება და ვითარდება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები. ამავე დროს შარდი მუქდება და განავალი უფერულდება. არაიშვიათად A ჰეპატიტი მიმდინარეობს უსიყვითლოდ, უფრო ხშირად ბავშვებში. მთავრდება სრული გამოჯანმრთელებით. იმუნიტეტი მყარია.

A ჰეპატიტი მიეკუთვნება ნაწლავთა ინფექციებს გადაცემის ფეკალურ-ორალური მექანიზმით. ინფექციის წყაროს წარმოადგენენ როგორც კლინიკური ისე უსიმპტომური ავადმყოფები. ვირუსები გამოიყოფა განავალოან ერთად ინკუბაციის პერიოდის უკანასკნელ კვირაში. სისხლში ვირუსი გამოვლინდება დასნებოვნებიდან ორი კვირის შემდეგ და ქრება ავადმყოფობის პირველ დღეებში.

გადაცემის ძირითადი ფაქტორებია წყალი, საკვები პროდუქტები, საყოფაცხოვრებო საგნები. უფრო ხშირად ავადდებიან 4-15 წლის ასაკის ბავშვები. 50 წლის ასაკის ადამიანებში ანტისეულები ვლინდება 70-75% შემთხვევაში.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის გამოსაკვლევ მასალას წარმოადგენს ავადმყოფის ფეკალური გამონაფოფები რომლებშიც (იემ მეთოდით) ავლენენ ვირუსულ ნაწილაკებს. გამოიყენება აგრეთვე სეროლოგიური დიაგნოსტიკა.

## В პეკატის ვირუსი (პირველად გამოყვეს სპირმა და სხვა 1970 წ.)

ვირუსი მიეკუთვნება Hepadnaviridae-ს ოჯახს. В პეკატის ვირუსი (დეინის ნაწილაკები) სფერული ფორმისაა 42-45 ნმ დიამეტრით. ცენტრში მოთავსებულია ორძაფიანი წრიული დნმ, რომელიც გარსშემორტყმულია 2 ნმ სისქის მემბრანით. სრული აგებულების ვირიონებთან ერთად დიდი რაოდენობით გვხვდება მხოლოდ გარსის ფრაგმენტებისაგან შემდგარი ნაწილაკები.

ვირიონი მგრძნობიარეა ეთერის და დეტერგენტების მიმართ. უჩვეულოა მათი გამდება მაღალი ტემპერატურის მოქმედებისადმი. უძლებენ  $100^{\circ}\text{C}$  გაცხელებას 1-2 წუთი, მათი გამდება მატულობს თუ ისინი იმყოფებიან სისხლის შრატში. 10 წუთიანი დუღილის შემდეგ ვირუსის ინფექციური აქტივობა წყდება, მაგრამ ანტიგენური თვისებები რჩება. ოფისებები და აქტივობა ნარჩუნდება სისხლის პლაზმის ულტრაისფერი დასხივებისას,  $-20^{\circ}\text{C}$  შენახვისას, განმეორებით გაყინვისა და გალღობისას რამდენიმე წლის განმავლობაში.

ვირუსი არ კულტივირდება ლაბორატორიულ პირობებში.

ვირუსი ორგანიზმში ხვდება პარენტარული გზით და სისხლით მიიტანება დვიძლში. დაავადება ვითარდება ხანგრძლივი ინკუბაციური პერიოდის (3-6 თვე) შემდეგ, ახასიათებს პეკატის დაზიანებასთან დაკავშირებული სიმპტომები.

ავადმყოფობის პერიოდში ყალიბდება სპეციფიკური იმუნიტეტი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ათავისუფლებს ორგანიზმს ვირუსისაგან.

ინფექციის წეაროს წარმოადგენს მხოლოდ ავადმყოფი ან ვირუსმატარებელი ადამიანი. გადაცემა ხდება პარენტარული გზით ასეპტიკის დარღვევისას. დასხებოვნება შეიძლება მოხდეს სქესობრივი გზით, აგრეთვე დედიდან ნაყოფზე ტრანსპლაცენტარულად ან შემდეგ დედის რძით.

გამოსაკვლევ მასალას წარმოადგენს სისხლი. ადრეული დიაგნოსტიკისათვის იყენებენ დვიძლის ფუქსიური მდგომარეობის ბიოქიმიურ მაჩვენებლებს.

## ეპაზოლის ვირუსი შეისწავლა გუარნიერი-კაშენი 1892-1906 წ.

ნატურალური ყვავილი (variola vera) მძიმე ინფექციური დაავადებაა, დნმ-ის შემცველია ყვავილის ან ვაქცინური პუსტულების შიგთავსიდან აღებულ ნაცხებში მიკროსკოპული გამოკვლევების დროს ჩანს პატარა კოკებისმაგვარი, შავი ფერის წარმონაქმნები – პაშენის ელემენტური სხეულაკები. ისინი აღმოჩენილია 1906 წელს და წარმოადგენს ყვავილის ვირუსულ ნაწილაკებს. ელექტრონულ მიკროსკოპში ამ ნაწილაკებს მრავალ კუთხიდის ფორმა აქვს. ყვავილის ვირუსით დასხებოვნებული უჯრედების ციტოპლაზმაში, გარდა ელემენტური სხეულაკებისა, აღმოჩენილია მსხვილი ჩანართები, რომლებსაც გვარნიერის სხეულაკებს უწოდებენ. ვირუსი ხასიათდება მაღალი მდგრადობით გარემოს ზოგიერთი ფაქტორისადმი, მაგ. კარგად ინახება სიცივეზე ყვავილის პუსტულების გამხმარ ქრექტში. მაგ, მალე იღუპება მაღალი ტემპერატურის, მზის სხივის ზემოქმედებით, იშლება სადეზინფექციო სსნარებით. კარგად ინახება გლიცერინში სიცივეში. ადამიანების ყვავილით დასხებოვნება ხდება პარ-წვეოოვანი გზით, იშვიათად ვირუსით დაბინძურებული საგნებით, ტანსაცმლით, თეორეულით და სხვა. ადამიანის გარშემო მყოფი ცხოველები შეიძლება დაავადდნენ ყვავილით, მა-

გრამ ცხოველებისაგან (ძროხები, ცხვრები, ღორებიდან და სხვ. დასნებოვნების დროს ადამიანს არასდროს არ უვითარდება ზოგადი დავადება, არამედ წარმოიქმნება მხოლოდ ცალკეული პუსტულები.

უვავილის ვირუსი ვრცელდება მოელ ორგანიზმში, მაგრამ მისი გამრავლების ძირითადი ადგილია კანი და ნაწილობრივ, ლორწოვანი გარსები. დაავადება იწყება ტემპერატურის უეცარი აწევით მე-4-5 დღეს სახეზე და ტანზე ჩნდება კვანძები, რომლებიც მალე ბუშტუკებად, შემდეგ კი პუსტულებად იქცევიან, რომელიც შეიცავს ჩირქს, ხანდახან კი სისხლით იგსებიან (შავი უვავილი) შემდეგ პუსტულები ხმება, ქერქები მოძვრება და ტოვებს ნაწილურის კვალს – ნაყვავილარის სახით. უვავილის დროს ლეტალობა მაღალია. გადატანილი უვავილი მოელი სიცოცხლის მანძილზე ტოვებს იმუნიტეტს.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის მასალად პუსტულის ან ვეზიკულების შიგთავსი, ფუფხი, სისხლი, ცხვირ-ხახის ჩამონარეცხი.

უვავილის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა პროფილაქტიკის ხერხმა, რომელიც 1796 წ. შეიმუშავა ჯენერმა. ადრეული, სწრაფი დიაგნოსტიკისათვის იყენებენ ვირუსოსკოპიას, მიკროსკოპით ნახულობენ გუარნერის სხეულებს, რომლებიც განლაგებულია ციტოპლაზმაში ბირთვის მახლობლად. ვირუსი ამჟამად ლიკვიდირებულია.

## რაბდოვირუსების (Rhabdoviridae) ოჯახი

ოჯახში გაერთიანებულია ვირუსები, რომლებიც პათოგენურები არიან ფართო წრის მასპინძლებისათვის: მცენარეებისათვის (მაგ. ომბაქოს მოზაკის ვირუსები) ცხოველებისათვის, ადამიანისათვის პათოგენურია ვეზიკულური სტომატიტის ვირუსი, ცოფის ვირუსი. ვირიონს აქვს ტყვიის ან ჯოხის ფორმა. ზომით 170X170 ნმ. აქედან წარმოსდგება ოჯახის სახელწოდება (ბერძ. rhabdos – წნული) გარედან გააჩნია ლიპიდის შემცველი გარსი გამონაზარდებით, ცენტრში სპირალური ტიპის სიმეტრიის ნუკლეოკაფსიდი, გამოცალკევებული გარე გარსისაგან მატრიქსული ცილიო.

## ვეზიკულური სტომატიტის 30რუსი

ვირუსი მიეკუთვნება Vesiculovirusrus გვარს. ვირიონს აქვს 170X170 ნმ ზომის ტყვიის ფორმა, რიბონუკლეოპროტეიდის სპირალური ტიპის სიმეტრიით. გარსი წარმოდგენილია ლიპიდების ორმაგი შრით. ვირიონები შეიცავენ რნბ-ს (2%) ლიპიდებს და ცილებს გლიკოპროტეიდების ჩათვლით.

გენომი წარმოდგენილია ერთძაფიანი ხაზვანი “მინუს-ძაფოვანი” რნბ-ის მოლეკულით, იგი არაა ინფექციური ბუნების. ინფექციურობა ახასიათებს მხოლოდ რიბონუკლეოპროტეიდებს, რომელიც შეიცავს ტრანსკრიპტაზას. გენომს გააჩნია 5 გენი. ვირუსს აქვს გენების შესაბამისი 5 ცილა. პროტექტულ და სეროტიპის განმსაზღვრელ ანტიგენს წარმოადგენს გლიკოპროტეიდი. ცნობილია ვირუსის რამდენიმე სეროტიპი: ინდიანა, არგენტინა, ბრაზილია (ალაგოასი), კოკალი, ნიუ-ჯერსი, ხანდიპურა, პირი. რეპროდუქცია ხდება ციტოპლაზმაში, ვირიონის ფორმირება მიმდინარეობს პლაზმურ მემბრანაში, სადაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხდება გლიკოპროტეიდის მატრიცული ცილის და ნუკლეოკაფსიდის მიტანა. აწყობა და უჯრედიდან გამოსვლა ხდება პლაზმური მემბრანიდან დაკვირტვის საშუალებით.


ვირუსების იდენტიფიკაცია ხდება კომპლემენტის ფიქსაციის და იმუნური რეაქციების საშუალებით.

## ცოფის ვირუსი

ოჯახი Rhabdoviridae მიეკუთვნება Lissavirus გვარს. ცოფი (Lyssa, rabies) ან წყლის შიში (Hydrophobia) ცხოველების და ადამიანის დაავადება, რომელიც ცნობილია უძველესი დროიდან. იგი ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებით და სიკვდილით მთავრდება. ცოფის გამომწვევი ვირუსი ზომით 100-დან 150 მილიმიკრონამდეა (შესწავლილია პასტერის მიერ 1880 წ.) იგი გამოიჩინა ორგანიზმის მხოლოდ ნერვულ ქსოვილში გამრავლების უნარით.

ცოფის ვირუსი გადის მსხვილფორიან ბაქტერიულ ფილტრში, მცირე მდგრადობით გამოიჩინა, იშლება სინათლის, მაღალი ტემპერატურის და სადეზინფექციო ხსნარების ზემოქმედებით. კარგად ინახება სიცივეში და გლიცერინში.

ცალკეულ უჯრედებში, მაგ. მოგრძო ტვინის, ნათხემის, ტვინის ქერქის უჯრედებში აღმოჩნდება ხოლმე განსაკუთრებული ჩანაროვები, რომელსაც ბაბეშ-ნეგრის სხეულაქებს უწოდებენ, მათ აქვთ მრგვალი ან ოვალური ფორმა, მდებარეობენ უჯრედების ციტოპლაზმაში.



ცოფით ავადდებიან უმოავრესად ძაღლები, მგლები, მელიები, რომლებისგანაც შეიძლება სხვა ცხოველების, და შინაური საქონლის დასნებოვნება. ცოფით ავადდებიან აგრეთვე ფრინველებიც. დასნებოვნება ხდება კბენით ან დანერწყვით, ვინაიდან ვირუსი იმყოფება ცხოველის ნერვულში. ცხოველის ნერწყვი დამსნებოვნებელი ხდება ცოფის ნიშნების გამოჩენამდე 10-12 დღით ადრე.

კბენის ადგილიდან ვირუსი პერიფერიული ნერვებით ცენტრალურ ნერვულ სისტემას აღწევს. დაავადება იწყება რამდენიმე კვირის შემდეგ. ძაღლებში შეიმჩნევა მოუსვენრობა და წანწალისადმი მიღრეკილება, ისინი ჩუმად ესხმიან თავს და კბენებ სხვა ძაღლებს, ღრღნიან და ყლაპავენ საჭმელად გამოუსადეგარ ნივთებს. უჩნდებათ ხრინწიანი ყეფა. ქვედა ყბა ჩამოვარდნილია, ხანიდან გამოიყოფა ბევრი ნერწყვი, ყლაპვა გაძნელებულია. შემდეგ იწყება დამბლა და ცხოველი კვდება. ხანდახან შეიძლება დაავადება მიმდინარეობდეს აღგზნების გარეშე, წყნარ ან დამბლის ფორმაში.

ადამიანის დასნებოვნება ხდება ცხოველებისაგან კბენით ან დანერწყვით. ნერწყვის მოხვედრისას კანზე პატარა განაკარიც კი საშიშია.

ინკუბაციური პერიოდი ადამიანებისათვის 4-6 კვირა, იშვიათ შემთხვევაში 2 კვირა.

სანდახან 6-12 ოვემბრე გრძელდება. ცოფის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანია წყლის შიში, საერთო აგზნებულობა, ჰაერის შიში (აერობებია) არ შეუძლიათ წყლის გადაყლაპვა, ვინაიდან ეწყებათ კრუნჩევები. ეშინიათ წყლის შხაპუნისაც კი. ავადმყოფობა გრძელდება 5-7 დღე და სიკვდილით მთავრდება.

ცოფის დიაგნოზის დასადგენად იკვლევენ ცხოველის თავის ტვინს. ბაბეშ-ნეგრის სხეულაკების აღმოჩენისას დიაგნოზი დადასტურებულად ითვლება.

## ჰერპეს ვირუსის ვარგა ვირუსი Herpesviridae

ჰერპესვირუსები წარმოადგენენ დნმ-ის შემცველ ვირუსებს და მოიცავენ როგორც ადამიანის, ისე ცხოველებისათვის პათოგენურ სახეობებს. ადამიანისათვის პათოგენურებს მიეკუთვნებიან (მარტივი) უბრალო ჰერპეს ვირუსი, ჩუტყვავილას ვირუსი, ციტომეგალიის ვირუსი, ეპიტერი-ბარის ვირუსი, აგრეთვე მაიმუნის ვირუსი B.

## ჩუტყვავილას ვირუსი Varicella

სასიათდება პაპულოვეზიკულური გამონაყარით კანსა და ლორწოვანებზე. ძირითადად ემართებათ ბავშვებს. ჩუტყვავილასთან ბევრი საერთო აქვს სარტყელისებურ ჰერპესს, ამ დაავადების დროს შეიმჩნევა ბუშტუაების გამოყრა სხეულის კანზე, უფრო ხშირად ნეკნებშუა ნერვების მიმართულებით. ამ დაავადების ვირუსი მორფოლოგიურად და აგრეთვე ჯვარედინი იმუნიტეტის ცდების საფუძველზე არ განსხვავდება ჩუტყვავილას ვირუსისაგან. დაავადების მიმდინარეობა დამოკიდებულია ორგანიზმის რეაქციაზე.

ვირუსი გადაეცემა ჰაერ-წვეთოვანი გზით და ძლიერ კონტაგიოზურია. მისი პირველადი გამრავლება ხდება ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანის ეპითელიუმში, ლიმფური გზებით გადადის სისხლში და მიიტანება კანში და ლორწოვანებში, სადაც იწვევს დაზიანებას, დაზიანება ვლინდება ყვავილის მსგავსი გამონაყარით, რომლის შიგთავსი შეიცავს დიდი რაოდენობით ვირუსს. ინკუბაციური პერიოდია 14-21 დღე. პროდრიმული პერიოდი ხასიათდება სისუსტით, ტემპერატურის აწევით, გამონაყარი იწყება ტანზე და შემდეგ სახეზე და კიდურებზე. ჩუტყვავილის გადატანის შემდეგ რჩება ვირუსმანეიტრალებელი ანტისხეულები. დიაგნოსტიკა ძირითადად კლინიკურია. ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება ჩვეულებრივი ვირუსოლოგიური და იმუნოლოგიური მეთოდები.

## ადამიანის ციტომეგალოვირუსული ინფექცია

ბოლო წლებში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ჰერპესვირუსების ჯგუფის ვირუსების შესწავლა, რაც დაკავშირებულია ვირუსოლოგიის პრაქტიკაში ახალი და სრულყოფილი მეთოდების დანერგვასთან.

ადამიანის ციტომეგალოვირუსული ინფექცია პირველად აღწერილი იყო “სანერწყვე ჯირკვლების ინფექციის” სახელწოდებით 1932 წ. და აღმოჩენილი იყო სხვადასხვა მიზეზით დაღუპული ბავშვების სანერწყვე ჯირკვლების გიგანტური უჯრედების ბირთვებში.

ციტომეგალოვირუსულმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს სისტემური დაავადება-

ბი (მაგ. ციტომეგალოვირუსული მონონუკლეოზი, გენერალიზებული ციტომეგალია) ასევე დააზიანოს სხვადასხვა თრგანო (დვიძლი, ფილტვები, თავის ტვინი, გული და სხვა) ახასიათებთ რა ციტოპროლიფერაციული აქტივობა ციტომეგალიის ვირუსებს ზოგჯერ შეუძლიათ გამოიწვიონ ლიმფური ქსოვილების პიპერპლაზია, რის შედეგადაც ზიანდება ადენოიდები და ნუშურები, ზოგიერთ შემთხვევაში ვითარდება მეზენტერიალური ლიმფადენიტი, რაც შემდეგ ხდება ნაწლავური გაუგალობის მიზეზი. ციტომეგალოვირუსულ ინფექციას შეუძლია შარდ-სასქესო ტრაქტის (მამაკაცებში) დაზიანება და გადაცემა ხდება სქესობრივი გზით.

ტრანსპლაციენტარული გზით შეჭრილი ვირუსი იწვევს ნაყოფის მძიმე მანკების ფორმირებას, სიმახინჯების რაც შეიძლება გამოიხატოს ჰეპატოსპლენომეგალიით ჰემოლიზური სიყვითლით, მიკროცეფალიით, მხედველობის ნერვის ატროფიით, ქორიომენინგიტით, მკვდრად შობადობით. ახალშობილების 1% ვირუსმატარებელია. პერინატალურად ახალშობილის ინფიცირება შესაძლებელია მშობიარეს საშვილოსნოს ყელზე ვირუსის არსებობისას. ასეთ შემთხვევებში სიცოცხლის პირველ წლებში ბავშვებს უვითარდებათ ქრონიკული გენერალიზებული ვირუსემია. ვირუსი ლატენტურად პერსისტირებს სანერწყვე სადინარებში, თირკმელებში, ლეიკოციტებში, თვეობით და წლობით შეიძლება გამოიყოფოდეს შარდთან და ნერწყვთან ერთად. წარმოადგენენ ინფექციის წყაროს გარშემომყოფთათვის, რომლებიც ინფიცირდებიან ალიმენტური ან რესპირატორული გზით.

გამოკვლევებმა დაადასტურა ციტომეგალიის ვირუსის უნარი დიდხანს შენარჩუნდნენ ლეიკოციტებში. უჯრედული ვირუსემია ვირუსის ლეტაციის ერთ-ერთი ფორმაა და დაკავშირებულია რეციპიენტებში ციტომეგალოვირუსული მონონუკლეოზის განვითარების საშიშროებასთან. ეს კლინიკური ფორმა შეიძლება მიეკუთვნოს ლიმფოპროლიფერაციულ დაავადებებს. ანალოგიური პრობლემა დგას ტრანსპლანტაციის დროსაც.

ციტომეგალიის ვირუსი არ იჩენს მგრძნობელობას ინტერფერონის მიმართ. ამასთან დაკავშირებით იქმნება პრობლემა მთელი რიგი ვირუსული დაავადებების სპეციფიკურ მიმდინარეობასთან ციტომეგალოვირუსული ინფეციის ფონზე. მაგ, გრიპი ციტომეგალოვირუსული ინფექციით დაავადებულებში უფრო მძიმე ფორმით მიმდინარეობს. ზოგიერთი მეცნიერი თვლის რომ ფეხმძიმობა იწვევს ლატენტური ინფექციის აქტივაციას. სისხლში აღმოჩენილია სპეციფიკური ანტისხეულები.

ციტომეგალიის ვირუსი მიეკუთვნება Herpetoviridae-ს ოჯახს. Herpesvirus-ის გვარს. იწვევს ფარულად და ხანგრძლივად მიმდინარე ინფექციას ბავშვებსა და ახალგაზრდებში.

მორფოლოგიურად და ბიოლოგიური თვისებებით ვირუსი გავს მარტივი ჰერპესის ვირუსს. მრავლდება მხოლოდ ქსოვილთა კულტურებში. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ემყარება ვირუსის გამოყოფას ადამიანის ემბრიონის ფიბრიობლასტების კულტურაზე და მის შემდგომ იდენტიფიკაციას.

## ენცეფალიტის ვირუსები (1937 წ. ზილბერმა და მისმა თანამშრომლებმა გამოყვეს)

მიეკუთვნებიან არბოვირუსების ჯგუფს. ე.ი. იმ ჯგუფს, რომლებიც ადამიანებს გადაეცემათ ფეხსახსრიანების საშუალებით. ყველაზე მეტად შესწავლილია ენცეფალიტის შემდეგი სახეები: 1. გაზაფხულ-ზაფხულის, ან ტკიპის მიერ ენცეფალიტი. 2.

იაპონური ენცეფალიტი. 3. ამერიკული ენცეფალიტი. I გადაეცემა ტკიპებით. II-III კოდოებით. დაავადებას აქვს განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც არა აქვთ სხვა ენცეფალიტებს და აზიანებს ტანის ზედა ნაწილის, მხრის სარტყელის, ზემო კიდურების კუნთებს (დამტლას). ავადმყოფობა შეინიშნება მაის-ივნისის ოვეებში და იშვიათად უფრო გვიან. ვირუსი ლოკალიზდება ავადმყოფის ცნს-ში. პირველ დღეებში მისი აღმოჩენა შეიძლება სისხლში. ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის იკვლევენ აგრეთვე წყვილ შრატებს კომპლექსურის შებოჭვის რეაქციით და ნეიტრალიზაციის რეაქციით ქსოვილოვან კულტურებში. დადგენილია, რომ ადამიანის დასხებოვნება ტკიპების კბენის გარდა შეიძლება ალიმენტური გზითაც დაავადებული ცხოველებისაგან. (აუდუდარი თხის რძით).

### ოჯახი Togaviridae

ტოგავირუსები (ლათ. *toga* – ლაბადა, მოსასხამი) მოიცავს 90-ზე მეტ ვირუსს და იყოფიან 4 ბგარად.

## ვირუსის ვირუსი

ვირუსი მიეკუთვნება Togaviridae-ს ოჯახს, Rubivirus-გვარს, შესწავლილია 1961 წ. პარკ-მანის უელესისა და ნევას მიერ. ვირუსი იწვევს მწვავე ინფექციურ დაავადებას წითურას, რომელიც ხასიათდება ცხელებით და სპეციფიკური გამონაფარით. ვირუსისათვის დამახასიათებელია ორსულ ქალებში დედიდან ნაყოფზე ტრანსპლაციენტური გადაცემა, რაც ხშირად იწვევს ნაყოფის დაღუპვას ან სიმახინჯეს.

ვირიონებს აქვს 60-70 ნმ დიამეტრის სფეროს ფორმა, ვირუსის ნუკლეოციაფსიდს აქვს იკოაედრული სიმეტრია 30 ნმ დიამეტრით, გააჩნია ლიპოპროტეიდული გარსი. ვირიონი შეიცავს რნბ-ს, ცილებს, ლიპიდებს, ნახშირწყლებს. გენომი წარმოდგენილია ერთძაფიანი რნმით.

ვირუსი მგრძნობიარეა სადეზინფექციო ხსნარებისადმი  $56^{\circ}\text{C}$  იღუპება 1 სთ-ის განმავლობაში, გაყინვისას ინფექციურ აქტივობას ინახავს წლობით.

ვირუსი გადაეცემა ჰაერ-წვეოთვანი გზით.

პირველადი რეპროდუქცია ხდება კისრის ლიმფურ კვანძებში, საიდანაც ვირუსი დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ გადადის სისხლში. წითურა შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს.

ვირუსის ტერატოგენული ზემოქმედება გამოვლინდება სიმპტომების ტრიადით.

1. გულის მანკები;
2. მხედველობის ორგანოების დაზიანება (ორმხრივი კარატაქტა, გლაუკომა, ახლომხედველობა და სხვა).
3. სმენის ორგანოების დაზიანება (ყველაზე ხშირი დეფექტია) ბავშვები ჩამორჩებიან ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში. ტარატოგენული მოქმედება განპირობებულია ნაყოფის უჯრედების მიზოზური აქტივობის დათრგუნვით, ციტოდესტრუქციული ზემოქმედებით.
4. დაავადების გადატანის შემდეგ მუშავდება მყარი იმუნიტეტი. გადაცემის მექანიზმი ჰაერ-წვეოთვანია და მაღალი კანტაგიოზობით ხასიათდება.
5. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ემყარება ვირუსის გამოყოფას და სეროლოგიურ მეთოდებს. გამოსაკვლევი მასალაა ცხვირ-ხასის ჩამონარეცხი და სისხლი

გამონაფარის გამოჩენამდე. სისხლი, განავალი და შარდი გამონაფარის გამოჩენის შემდეგ.

## ოჯახი ვიღოვინუსები

### Filoviridae

ოჯახი Filoviridae (ლათ. *filum* – ძაფი აერთიანებს ორ ვირუსს – ადამიანის ჰემორაგიული ცხელების გამომწვევებს.

რნმ-ის შემცველ ვირიონს აქვს გრძელი დახვეული ძაფის ფორმა, ხანდახან განშტოებებით. მათი სიგრძე აღწევს 1200-4000 ნმ. სიგანე 70-100 ნმ. ნუკლეოპაფსილი სპირალური ტიპის სიმეტრიისაა, გარედან დაფარულია ლიპიდ შემცველი გარსით.

მარბურგისა და ებოლას ვირუსები. ეს ვირუსები წააგავს რაბდოვირუსებს, მაგრამ ამჟამად ისინი გამოყოფილია ცალკე თჯახად Filoviridae.

მარბურგის ვირუსი გამოყვეს 1967 წ. გერმანიაში და იუგოსლავიაში ლაბორატორიული აფეთქების დროს იმ პირებიდან, რომლებიც მუშაობდნენ აფრიკიდან შემოყვანილი მაიმუნის-მწვანე ანთარის ქსოვილებთან. დაავადებას ახასიათებს ტემპერატურის აწევა, ტკივილების სინდრომი, დებინება, დიარეა. შემდგომში დვიძლის და თირკმელების დაზიანება. ლეტალობა აღწევს 30%.

1976 წ. სუდანში და ზაირში იფეთქა ებოლას ვირუსით გამოწვეული ჰემორაგიული ცხელების ეპიდემიამ. ხშირად აღინიშნებოდა სამედიცინო პერსონალის დაავადება. ვირუსის წყარო ბუნებაში უცნობია. ორივე ვირუსი სეროლოგიურად მსგავსია, მაგრამ არა იდენტური. მათთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს უმკაცრესი რეჟიმის დაცვით.

ვირუსული ანტიგენის აღმოჩენა შესაძლებელია იმუნოფლუორესცენციის რეაქციით.

## რეტროვირუსები – Retroviridae

რეტროვირუსები შეიცავენ უნიკალურ ფერმენტს უკუტრანსკიპტაზას, რომლის საშუალებით ხდება დნმ-ის სინოგზირება ვირიონის რნმ-ის მატრიცაზე. უკუსინოგზეს უდიდესი მნიშნელობა აქვს ვირუსის რეპროდუქციაში. იგი განაპირობებს პროვირუსის დნმ-ის ინტეგრაციას უჯრედულ გენომში.

ოჯახში გაერთიანებულია სამი ჯგუფის ვირუსები: სიმსივნური (oncovirinae) ე.წ. ქაფისებრი (Spumavirinae) და ე.წ. ნელი ინფექციის გამომწვევები (Lentivirinae).

## ონკოვირუსები - Oncovirinae

ვირუსი წარმოადგენს ლეიკოზების და კიბოს გამომწვევებს. შეიძლება გადაეცნენ ვერტიკალურად ჩვეულებრივი უჯრედული გენების მსგავსად.

ვირიონების ცენტრში მოთავსებულია სპირალური ტიპის სიმეტრიის ნუკლეოპროტეიდი. მისი დიამეტრია 12-17 ნმ. სიგრძე 1,0 მკმ. ნუკლეოპროტეიდს ეკვრის ცილოვანი მემბრანა და ჩართულია კაფსიდში. ვირუსი შეიცავს რნმ-ს 1-2% ცილებს 60% ლიპიდებს 35% ნახშირწყლებს. 3.5%. გენომი ლიპიდურია, ვირიონი შეიცავს 11-13 ცილას. მათში არჩევენ ჯგუფოსპეციფიკურ, ქვეჯგუფო სპეციფიკურ და ტიპოსპეცი-

ფიგურ ანტიგენებს.

ვირუსი მგრძნობიარეა სადეზინფექციო ნივთიერებებისადმი. სწრაფად იღუპება  $56^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. შედარებით გამძლეა ულტრაიისფერი გამოსხივებისადმი. კარგად ინახება  $-70^{\circ}\text{C}$  გაყინვით.

ვირუსი უჯრედში ხვდება ენდოციტოზის გზით. ვირუსის გარსი შეერწყმება ვაკუოლის კედელს. ნუკლეოპატიიდი გადადის ციტოპლაზმაში და იწყებს ფუნქციონირებას ვირუსული (ენდოგენური) რნბ-დამოკიდებული დნმ – პოლიმერაზა. (უკუტრანსკრიპტაზა, რევერტაზა) ნუკლეოპროტეიდის ფორმირება ხდება ოვითაწყობით. გარეგანი გლიკოპროტეიდები ჩაერთვება უჯრედის მემბრანაზი და ამ უბნებზე ხდება ვირიონის საბოლოო აწყობა. ვირუსი უჯრედიდან გამოდის დაკვირტვით.

არსებობს ონკოვირუსების ორი დიდი ჯგუფი – ენდოგენური და ეგზოგენური. ენდოგენური ვირუსები არსებობენ დნმ-პროვირუსის სახით მოცემული ბიოლოგიური სახეობის ყველა უჯრედში და გადაეცემიან ვერტიკალურად. მათ შეუძლიათ მხოლოდ სხვა ბიოლოგიური სახეობების უჯრედების დასხებოვნება. ეგზოგენური ვირუსები პორიზონტალურად ვრცელდება სხვა ინფექციების გამომწვევების მსგავსად. გარდამავალ ფორმას წარმოადგენს ეკოტროპული ვირუსები, რომლებიც ენდოგენურებია, მაგრამ შეიძლება პორიზონტალურად გავრცელდნენ და დასხებოვნონ მონათესავე ბიოლოგიური სახეობები.

## შებენილი იმუნოლეზიციტის სინდრომი შიდსი

ვირუსული დაავადება, რომელიც ადამიანის იმუნური სისტემის მძიმე დაზიანებას – იმუნოლეზიციტს იწვევს. აღნიშნულის გამო ადამიანი კარგავს გამძლეობას პირობით პათოგენური ინფექციისა და სიმსიცნური პროცესის მიმართ.

შიდსის გამომწვევია ადამიანის იმუნოლეზიციტის ვირუსი. ის ეკუთვნის Retroviridae-ს ოჯახს და ლენტივირუსების Lentivirinae ქვეოჯახს მიეკუთვნება. იწვევს ე.წ. ნელ ინფექციას, რომელსაც ახასიათებს ხანგრძლივი ინკუბაციური პერიოდი და დაავადების თანდათანობით განვითარება.

ვირუსი პირველად გამოყო მონტიემ 1983 წელს. ლიმფადენოპათიით ავადმყოფების თ ლიმფოციტების კულტურაში და უწოდეს LAN (ლან) 1984 წელს ჰალომ აგრეთვე გამოყო ვირუსი და უწოდა HTLV – ვირუსი.

მორფოლოგიურად და ქიმიური შემადგენლობით ვირუსი პრაქტიკულად არ განსხვავდება სხვა რეტროვირუსებისაგან. მგრძნობიარეა ეთერის და დეტერგენტებისადმი  $50^{\circ}\text{C}$ -ზე გათბობით სწრაფად იღუპება. ვირუსი ადამიანის ორგანიზმში შეიჭრება დაზიანებული კანიდან ან ლორწოვანის გზით. ინფექციის წყაროა ავადმყოფი ან ვირუსმატარებელი. ავადმყოფი გადამდებია როგორც ინკუბაციურ პერიოდში, რომელიც თვეობით და წლობით გრძელდება, ასევე კლინიკური ნიშნების გამოვლინებისას, როდესაც იწყება იმუნიტეტის დაჭვითება და დაავადების მთელი პერიოდი ანუ მთელი ცხოვრება სიკვდილამდე. გადაცემის გზა: 1. სქესობრივი (პომოსექსუალური და ჰეტეროსექსუალური) 2. ჰემოტრასფუზიური (სისხლის ან მისი შემადგენელი კომპონენტების გადასხმის დროს) 3. პერინატალური: ა. ინტენსატალური, ტრანსპლაცენტარული. ბ. ინტრანატალური მშობიარობის მომენტში ბავშვის ინფიცირება სამშობების კარგული.

ბიართ გზების მეშვეობით. 4. ინფექციური, ინსტუმენტალური. 5. ტრანსპლანტაციური (ინფიცირებული ორგანოების გადანერგვა) 6. რძის მეშვეობით (ბავშვის ინფიცირება დაავადებული დედის რძით).

შიდსის ვირუსი აზიანებს უჯრედულ იმუნიტეტს უპირატესად ლიმფოციტების პელპ-ერულ სუბპოპულაციას. ეს უჯრედები თავის გარეთა მემბრანაზე ატარებენ T<sub>h</sub> რეცეპტორს, რომლებიც არის აგრეთვე მონოციტებსა და მაკროფაგებზე, რის გამოც ხდება ვირუსით ამ უჯრედების დაზიანებაც. მაკროფაგები მონაწილეობენ კომპლემენტის C<sub>3</sub> ფრაქციის წარმოქმნაში. შიდსის ვირუსით მაკროფაგების დაზიანების გამო ირდვევა კომპლემენტის C<sub>3</sub> ფრაქციის სინთეზი. მის ნაცვლად წარმოიქმნება C<sub>3</sub>A ფრაქცია, რომელიც თავის მხრივ, მძლავრი იმუნორეპრესიული ფაქტორია. უჯრედული იმუნიტეტის დაორგუნვის გამო ორგანიზმი უძლეური ხდება ისეთი შემთხვევითი ინფექციის მიმართ, რომელიც ჯანმრთელ ადამიანს ზიანს არ აყენებს. შიდსის დროს ადგილი აქვს ცენტრალური ნერვული სისტემის უჯრედების დაზიანებას.

კლინიკური ნიშნები, რომლებმაც შეიძლება გვაფიქრებინოს შიდსის არსებობა შემდეგია:

1. სხეულის მასის კლება;
2. ქრონიკული დიარეა (ერთ თვეზე მეტი);
3. ხანგრძლივი ცხელება (ერთ თვეზე მეტი);
4. ლიმფური ჯირკვლების გენერალიზებული პიპერპლაზია (უჯრედების დიდი რაოდენობით გამრავლება);
5. საყლაპავი მიღის და ცხვირ-ხახის კანდიდოზი;
6. ხშირი ინფექციები (ოტიტი, ფარინგიტი და სხვა);
7. ხველა, რომელიც გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს;
8. გენერალიზებული დერმატიტი.

სიმსივნეებიდან ყველაზე ხშირია კაპოშის სარკომა და თავის ტვინის ლიმფომა. თანდაყოლილი შიდსის კლინიკას ზოგიერთი თავისებურება ახასიათებს. ახალშობილს დაბადებიდან სამ თვეში გამოუვლინდება დამახასიათებელი ნიშნები: პატარა თავი, ამობურცული შუბლი, ბრტყელი ცხვირი, ცისფერი სკლერიები, წინგამოსული თვალები, ეგზოფთალმი.

შიდსის დიაგნოსტიკა მეტად საპასუხისმგებლოა. დიაგნოზის დროულად დადასტურების მიზნით გამოყენებულია კვლევის კომპლექსური მეთოდი, რომელიც მოიცავს ეპიდემიოლოგიური, კლინიკურ-ვირუსოლოგიური, სეროლოგიური და იმუნოლოგიური გამოკვლევების შედეგთა შეჯამებას.

ლაბორატორიული გამოკვლევებიდან დიაგნოზს საბოლოოდ ადასტურებს ვირუსოლოგიური მეთოდი, კერძოდ T ლიმფოციტების უჯრედულ კულტურებში შიდსის ვირუსის აღმოჩენა. სეროლოგიური მეთოდებიდან რეკომენდირებულია იმუნოფლურმენტული და რადიოიმუნური მეთოდები, იმუნოფლურესცენცია, ბლოტინგი, რადიოიმუნოპრეციპიტაცია. შიდსისთვის დამახასიათებელია ლიმფოპენია, სისხლის შრატში იმუნოგლობულინების რაოდენობის მომატება და T უჯრედული იმუნიტეტის დეფიციტი, კერძოდ პელპერების შემცირება.

მკურნალობაში ძირითადი ადგილი ეთმობა პირობით პათოგენური ფლორით გამოწვეული მეორადი ინფექციების მკურნალობას. თანამედროვე მეთოდებიდან გამოყენებულია ვირუსის საწინააღმდეგო და იმუნომოდულაციური საშუალებები.

## სტრატეგიური დაპარაგებების მიპროგიონდობია და იმუნიტეტი

ადამიანის პირის დრუ წარმოადგენს უნიკალურ ეკოლოგიურ სისტემას სრულიად სხავდასხვაგარი მიკროორგანიზმებისათვის, რომლებიც ქმნიან ავტოქონურ, მუდმივ მიკროფლორას. საკვები რესურსების სიმდიდრე, მუდმივი ტენიანობა, ოპტიმალური pH და ტემპერატურა ქმნიან ხელსაყრელ პირობებს მიკრობთა სხავდასხვა სახეობების ადგეზიისათვის, კოლონიზაციისა და გამრავლებისათვის. ბევრი პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმი, რომელიც წარმომადგენელი არის ნორმალური მიკროფლორისა, თამაშობს მნიშვნელოვან როლს კარიესის, პაროდონტისა და პირის დრუს ლორწოვანის დაავადებების ეტიოლოგიასა და პათოგენური ში.

მაგრამ პირის დრუში სანერწყვე ჯირკვლების სეკრეტის-ნერწყვის (მისი ბაქტერიო-ციდული კომპონენტებით), აგრეთვე სქელი ეპითელური საფარის არსებობა ზღუდავს ორალური მიკროორგანიზმების უნარს გამოიწვიონ პათოლოგიური ცვლილებები. ზოგ შემთხვევაში პირის დრუს ლორწოვანის დაცვით ფაქტორებს არა აქვთ უნარი წინ აღუდგნენ ნორმალური მიკროფლორის წარმომადგენლების პათოგენურ მოქმედებას. პირველ რიგში ეს ეხება იმუნოდეფიციტურ მდგომარეობებს, რომელთა დროსაც იმუნიტეტის ცალკეული (ჰემორალური და უჯრედული) მექანიზმების დეფექტურობა ხელს უწყობს პირობით-პათოგენური სახეობების მოქმედების გააქტიურებას.

პირის დრუში მიმდინარე ინფექციების ხასიათი განისაზღვრება მისი ანატომო-ფიზიოლოგიური თავისებურებებით. უფრო ხშირად გვხვდება შერეული ინფექციები, გამოწვეული ბაქტერიების, სპირაქტების, სოკოების, ვირუსების ასოციაციებით (კარიესი, გინგივიტის, სტომატიტი).

პირის დრუდან და ადგილობრივი ჩირქოვანი კერებიდან (პულპიტი) სისხლში ბაქტერიების მოხვედრის შედარებითი სიმარტივე აპირობებს ორალური სეფსისის საკმაოდ მაღალ სიხშირეს. კარიესული დრუების, დრძილის ჯიბების და სხვა არსებობა ხელს უწყობს პათოგენური მიკროორგანიზმების პერსისტენციას და აპირობებს ქრონიკული ინფექციის (მაგ. სტრეპტოკოკი) კერების განვითარების საქმაოდ მაღალ სიხშირეს ორგანიზმის შემდგომი ალერგიზაციით და საერთო ავტონომიური დაავადებების (მაგ.: რევმატიზმი) განვითარების რისკის მაღალ ხარისხს. იმუნოლოგიური რეაქციების უკმარობა ან გაუკუდმართებული ხასიათი მიკრობული ასოციაციების ხანგრძლივ პერსისტენციასთან (რაც იწვევს პირის დრუს ქსოვილების დაზიანებას) ერთად იწვევს ყველაზე უფრო მძიმე პათოლოგიური პროცესების – პაროდონტო-პათიების განვითარებას. ამავე დროს პირის დრუ წარმოადგენს ბევრი ინფექციური დაავადების ინფექციის კარიბჭეს, რომელიც ნაწილობრივ გლინდებიან კიდევაც მასში.

პირის დრუში გვხვდება ალერგიული იმუნოპათოლოგიური რეაქციების ყველა ტიპი, ვინაიდან პირის დრუს ლირწოვანი გარსებიდან ადგილი აქვს უცხო ანტიგენ-ალერგების სწრაფ შეწოვას.

## კბილის ნადების შემადგენლობაში შემავალი ბაქტერიები

მორფოლოგიური ფორმები	გრამდადებითი მიკროორგანიზმები	გრამუარყოფითი მიკროორგანიზმები		
კოკები	აერობები, ფაცულტატურები ანაერობები	ანაერობი	აერობები, ფაცულტატური	ანაერობები
ჩხირები	სტრეპტოკოკი	პეპტოპეპები სტრეპტოკოკები	ნეისერიები	ვეილონელები
სპირაქტები	აქტინომიცეტები, ლაქტობაქტერიები, კორინებაქტერიები	ბიფიდობაქტერიები, პროპიონობაქტერიები	ლეპტოსპირები	ბაქტერიოდები, ფუზობაქტერიები, ლეპტოტრიები. პორფირომონადები ტრეპონემები ბორკლიები

### პირის ღრუს მიკროფლორა

დღეისათვის აღწერილია რამდენიმე ასეული სახეობა მიკროორგანიზმებისა, რომლებიც შედიან პირის ღრუს ნორმალური მიკროფლორის შემადგენლობაში. მათ ეკუთვნიან ბაქტერიები, ვირუსები, სოკოები და უმარტივესები.

პირი ღრუს მიკრობთა შორის გვხვდებიან ავტოქონური და ალლოქონური სახეობები – იმიგრანტები მასპინძლის სხვა ბიოტოპებიდან (ცხირ-ხახა, ნაწლავები და სხვა) და გარემოდან მოხვედრილი მიკროფლორა. ავტოქონურ მიკროფლორაში გამოყოფენ ობლიგატორს, რომელიც მუდმივად ბინადრობს პირის ღრუში, და დროებით-ტარნზისტორულს, რომლის შემადგენლობაში ხშირად გვხვდებიან პათოგენური ან პირობით პათოგენური ბაქტერიები.

პირის ღრუს გრამდადებითი კოკების ძირითადი მასა წარმოდგენილია მამწვანებელი მცირედ ვირლენტური სპრეპტოკოკების ჰენტეროგენული ჯგუფით, რომლებიც ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას პროცესებში, რომლებსაც მივყავართ კბილისა და პაროდონტის მაგარი ქსოვილების დაზიანებამდე. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან *Streptococcus mytans*, *S. mitis*, *S. salivarium*. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნახშირწყლების ფერმენტაციისა და წყალბადის ზეჟანგის წარმოქმნის უნარით. pH-ის გადახრას მჟავე არისაკენ მივყავართ კბილის ემალის დეკალცინაციამდე. მნიშვნელოვანია აგრეთვე სტრეპტოკოკების საქართვიდან პოლისაქარიდების სინოეზის უნარი, ამ დროს მოლეკულის გლუკოზიანი ნაწილი გარდაიქმნება გლუკანად (დექსტრანი), ხოლო ფრუქტოზიანი ნაწილი ლევანად (ფრუქტანი). უხსნადი დექსტრანი ხელს უწყობს კბილის ბალოების წარმოქმნას, ხოლო ხსნადი გლუკანი და ლევანი შეიძლება გახდენ შემდგრმი მჟავეწარმოქმნის წყაროები გარედან ნახშირწყლების მიწოდების გარეშეც. მამწვანებელი სტრეპტოკოკის ყველა სახეობა გვხვდება პირის ღრუში სხვადასხვა რაოდენობრივი თანაფარდობით, რაც დამოკიდებულია დიეტაზე, პირის ღრუს ჰიგიენაზე და სხვა ფაქტორებზე.

გრამდადებითი კოკების მეორე ჯგუფია-პეპტოკოკები. მათი საქართლიზური აქტივობა სუსტადაა გამოხატული, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი აქტიურად შლიან პეპტონებს და ამინომჟავებს. ყველაზე ხშირად პეპტოკოკები გვხვდება ფუზობაქტერიებთან და სპირაქტებთან ასოციაციაში კარიესის, პილპიტის, პაროდონტიტის, ყაბასახის აბსცესების დროს.

გრამუარყოფითი ანაერობული კოკები წარმოდგენილია *Veillonella*-ს გვარით. ისინი არიან ადამიანისა და ცხოველების პირის ღრუს მუდმივი ბინადარნი. ვეილონელებს არ გააჩნიათ საქართული აქტივობა მონო-და დისაქარიდებისადმი, მაგრამ საკმაოდ კარგად შლიან ლაქტაცის, პირუვაცის, აცეტაცის და სხვა ნახშირწყლებს  $\text{CO}_2$  და  $\text{H}_2\text{O}$ -მდე. ზემოთ ჩამოთვლილ ნივთიერებებს შეუძლიათ დათრგუნონ სხვა მიკროორგანიზმთა ზრდა გარემოს pH-ს მომატებით. ნერწყვში ვეილონელების კონცენტრაცია ისეთივეა, როგორც მამწვანებელი სტრეპტოკოკებისა, მამწვანებელი სტრეპტოკოკების მიერ წარმოქმნილი რძე მუავის კატაბოლიზმის შედეგად ვეილონელებს შეუძლიათ ანტიკარიესული მოქმედება.

გრამდადებითი ჩხირები პირის ღრუში წარმოდგენილნი არიან *Lactobacillus* გვარით. ისინი შლიან ნახშირწყლებს დიდი რაოდენობით რძე მუავის წარმოქმნით. ინარჩუნებენ ცხოველმყოფელობას დაბალი pH-ის დროს. ეს წარმოდგენს ადამიანში კბილის კარიესის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს. პომიფერმენტული ტიპის ლაქტობაქტერიების ყველაზე ხშირი წარმომადგენელია *L. casei* რომელიც იმყოფება ადამიანის ნერწყვში.

გრამუარყოფითი ანაერობული და მიკროაეროფილური ბაქტერიები ყველაზე ხშირად მიეკუთვნებიან *Bacteroidaceae*-ს ოჯახს. ისინი აფერმენტებენ შაქრებს აირის წარმოქმნამდე, ხოლო პეპტონებს – ამინომჟავების წარმოქმნით, რომელთაც ხშირად აქვთ ცუდი სუნი და არ გააჩნიათ კატალაზა. მოცემულ ოჯახს მიეკუთვნება 3 გვარი: *Bacteroides*, *Fusabacterium*, *Leptotrichia*.

ყველაზე ხშირად პირის ღრუში გვხვდება ბაქტეროიდების 2 სახეობის წარმომადგენელი: *B. melaninogenicum*, *B. gingivalis* რომლებიც აგრეთვე არიან მსხვილი ნაწლავის ბინადარნიც. მათ აქვთ სუსტად გამოხატული საქართლიზური აქტივობა, მაგრამ გლუკოზას შლიან მუავათა ნარევის წარმოქმნით, თანაც pH რჩება საკმაოდ მაღალი (5,5-6,2). *B. melaninogenicus* სისხლიან აგარზე იზრდება შავი ფერის კოლონიებით. ამ მიკროორგანიზმებს ზრდისათვის სჭირდებათ ჰემატინი და K ვიტამინი. მოცემული მიკროორგანიზმი მოზრდილთა დროიდის ჯიბეების მუდმივი ბინადარია. ბაქტეროიდების პროტეოლიზური ფერმენტების არსებობა (კოლაგენაზა, ქინროიტინსულფატაზა, ჰიალურონიდაზა და სხვა) გააჩნია დიდი პაოგენეტიკური მნიშვნელობა პაროდონტის დაავადებათა განვითარებაში.

*Fusobacterium* გვარი წარმოდგენილია თითოსგარისმაგვარი ჩხირებით, რომლებიც ბაქტეროიდებთან ერთად ქმნიან პირის ღრუს ავტოქტონურ მიკროფლორას. ისინი პეპტონიდან და გლუკოზიდან წარმოქმნიან რძე მუავას. ფუზობაქტერიები სპიროქეტებთან ასოციაციაში ბინადრობენ დროიდის ჯიბეებში.

*Leptotrichia* (*L. buccalis*) გვარის წარმომადგენლებს აქვთ წყვილ-წყვილად განლაგებული მარცვლოვანი ჩხირების, ხშირად ძაფისებური ფორმა. ისინი არ წარმოქმნიან ინდოლს და გოგირდწყალბადს, აფერმენტებენ დიდი რაოდენობის რძე მუავის წარმოქმნით, რასაც მივყავართ pH-ის შემცირებამდე 4,5-მდე. პაროდონტის დაავადების დროს მოცემული ბაქტერიების რაოდენობა პირის ღრუში მატულობს. ოჯახი *Propionibacteriaceae* შეიცავს ანაერობულ ბაქტერიებს, რომლებიც გლუკოზის დაშლისას წარმოქმნიან პროპიონისა და აგრეთვე მმრის მუავებს.

*Actinomycetaceae*- ოჯახიდან პირის ღრუში ყველაზე ხშირდა გვხვდება გვარები *Actinomyces* და *Bifidobacterium*. პირველი აფერმენტებენ ნახშირწყლებს მუავე პროდუქტების წარმოქმნით აირის გამოყოფის გარეშე. გლუკოზის დაშლის საბოლოო პროდუქტებს

წარმოადგენენ რძე, ძმარ, ჭიანჭველა და ქარვის მუავეები. გააჩნიათ სუსტი პროტე-ოლიზური აქტივობა. აქტინომიცეტები იმყოფებიან პირის დრუს ლორწოვან გარსზე, შეადგენენ კბილის ქვის სტრომას და შედიან კბილის ნადების შემადგენლობაში. გარდა ამისა ისინი იმყოფებიან კბილების კარიესულ დრუებში, ღრძილის პათოლო-გიურ ჯიბეებში, სანერწყვე ჯირკვლების სადინარებში. მოცემული ოჯახის წარმო-მადგენლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კბილის ბალთის წარმოქმნაში და კბილის კარიესის განვითარებაში, აგრეთვე პაროდონტის დაავადების წარმოქმნაში. მოცემული პათოლოგიური პროცესების ღროს განსაკუთრებით ხშირად გვხვდება *A. viscosus* და *A. israelii*. *A. viscosus* მონაწილეობს ღრძილქვეშა ქვის წარმოქმნაში.

პირის დრუში გვხვდებიან *Corynebacterium* გვარის ბაქტერიები. კორინებაქტერიების სახასიათო თავისებურებას წარმოადგენს მათი უნარი დააქვეითონ ჟანგვა-ალდგენი-ო პოტენციალი, რითაც იქმნება ანაერობების ზრდისათვის საჭირო პირობები. პარო-დონტის დაავადების ღროს ისინი გვხვდებია ფუზობაქტერიებთან და სპირაქტებთან ასოციაციაში.

პირის დრუში მობინადრე სპირაქტები მიეკუთვნებიან სამ გვარს; *Treponema*, *Borrelia*, *Leptospira*.

პირის დრუს ტრეპონემები წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: *T. macrodentium*, *T. denticola*, *T. orale*. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რძე, ძმარ და სხვა ორგანული მუავეების წარმოქმნისა და ხახშირწყლების ფერმენტაციის უნარით.

პირის დრუს ბორელიები წარმოდგენილია *B. buccalis* – მსხვილი სპირაქტებით, რომ-ლებიც ხშირად გვხვდებიან ასოციაციაში ფუზიმორფულ ბაქტერიებთან. ისინი ძირი-თადად ბინადრობენ ღრძილის ჯიბეებში.

პირის დრუში გვხვდებიან მიკოპლაზმები – *M. orale*-ს 3 ბიოვარი და *M. salivarium*. ისინი აპიდროლიზებენ არგინინს, არ აფერმენტებენ გლუკოზას და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზოგიერთი ბიოქიმიური ნიშან-თვისებებით.

## პირის ღრუს მიკრობული კოლონიზაცია

ადამიანის პირის დრუს კოლონიზაციისათვის მიკროორგანიზმები უნდა მიეკრონ ლორწოვანი გარსის ან კბილის ზედაპირს. ადგეზიის პირველი ეტაპი უფრო ეფექტურია მომატებული პიდროფობულობის მქონე ბაქტერიებში. კერძოდ, ორალური სტრეპ-ტოკოები ადსორბირდებიან, როგორც კბილების ზედაპირზე, ასევე ლორწოვანის ეპითელურ უჯრედებზე. ადგეზიის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფი-ბრიები ანუ პილები, რომლებიც გააჩნია ბევრ ორალურ მიკროორგანიზმს. ადგეზიების აგებულების თავისებურებანი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ პირის დრუში მიკრობთა ლოკალიზაციას. მაგ.: *Streptococcus sanguis* საკმაოდ მყარად ფიქსირდება კბილის ზედაპირზე, ხოლო *Streptococcus salivarium* – ლორწოვანი გარსის ეპითელური უჯრედების ზედაპირზე.

კბილის ზედაპირზე ბაქტერიის მიმაგრება ხდება ძალიან სწრაფად. ბევრ მიკრობულ უჯრედს თვითონ არა აქვს უნარი მიეკროს კბილის ემალს, მაგრამ შეუძლია დაილექტოს სხვა ბაქტერიების ზედაპირზე, რომლებიც უკვე ადგეზირებულნი არიან, და წარმოქმნან კავშირი “უჯრედი უჯრედთან”. კოკების დალექვას ძაფისებური ბაქტერიების პერიმეტრით მივყავართ ე.წ. “სიმინდის ტაროების” წარმოქმნამდე. პირის დრუს სხვა-დასხვა ადგილას მიკრობული ასოციაციების წარმოქმნა განპირობებულია აქ მობი-

ნადრე სახეობების ბიოლოგიური თავისებურებებით, რომელთა შორის წარმოიშვება, როგორც სინერგიული, ასევე ანტაგონისტური დამოკიდებულებები. მაგ.: ორალური სტრეპტოკოკებისა და ლაქტობაქტერიების მეტაბოლიზმის შედეგად წარმოქმნილი რძე მუავა გამოიყენება ენერგეტიკული რესურსის სახით ვეილონელების მიერ, რასაც მივყავართ pH-ის მომატებამდე. ამას კი შეუძლია გამოიწვიოს ანტიკარიესული მოქმედება. კორინებაქტერიები წარმოქმნიან K ვიტამინს – ბევრი სხვა ბაქტერიის ზრდის ფაქტორი, ხოლო Candida-ს გვარის საფუარის მსგავსი სოკოები ასენოეზირებენ ლაქტობაქტერიების ზრდისათვის აუცილებელ ვიტამინებს. ეს უკანასკნელი ნივთიერებათა ცვლის პროცესში წარმოქმნიან რძე მუავას, რომელიც იწვევს გარემო მუავიანობის მომატებას, ხელს უშლის ადგეზიას და საფუარების კოლონიზაციას, რასაც თავის მხრივ მივყავართ იმ ვიტამინების რაოდენობის შემცირებამდე, რომლებიც აუცილებელია ბევრი მიკროორგანიზმისათვის და მათი ზრდის შეჩერებამდე.

ორალური სტრეპტოკოკები წარმოადგენენ ფუზობაქტერიების, კორინობაქტერიების და სხვ. ანტაგონისტებს. ეს ანტაგონიზმი დაკავშირებულია რძემუავას, წყალბადის ზეჟანგის, ბაქტერიოცინების წარმოქმნასთან. ორალური სტრეპტოკოკების მიერ წარმოქმნილი რძე მუავა თრგუნავს ბევრი მიკროორგანიზმის ზრდას, რითაც ხელს უწყობს ლაქტობაქტერიების გამრავლებას. კორინებაქტერიები ამცირებენ რა ჟანგვა-აღდგენით პოტენციალს ქმნიან ფაკულტატური და მკაცრი ანაერობებისათვის ზრდის პირობებს აერობულ პირობებში. ღრძილის ჯიბებში, ლორწოვანის ნაოჭებში, კრიპტებში ჟანგბადის დონე საგრძნობლად დაწეულია. ეს ქმნის ხელსაყრელ პირობებს მკაცრი ანაერობების განვითარებისათვის – ფუზობაქტერიები, ბაქტერიოდები, ლეპტოტრიქიები, სპირალებები. ნერწყვის 1 მლ-ში შეიძლება იყო დაახლოებით 100 მილიონი ანაერობული მიკროორგანიზმი.

ორალური მიკროფლორის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებელზე დიდი გავლენა აქვს საკვების ხასიათს: საქართვის მომატებულ რაოდენობას მივყავართ სტრეპტოკოკებისა და ლაქტობაქტერიების წილის მატებამდე, მაშინ როცა გლუკოზას ასეთი მოქმედება გააჩნია. საკვები პროდუქტების დაშლა ხელს უწყობს ნერწყვში და დრძილის სითხეში ნახშირწყლების, ამინომჟავების, ვიტამინებისა და სხვა ნივთიერებათა დაგროვებას, რომელთაც მიკროორგანიზმები იყენებენ როგორც საკვებ სუბსტრატებს. მაგრამ მიკროორგანიზმები არ ქრებიან პირის დრუდან ადამიანის ზონდით კვების დროსაც. პირის დრუს მიკროფლორისა და სხვა ბიოტიკების შემადგენლობაზე დიდად მოქმედებს იმუნური, პორმონალური, ნერვული და სხვა სისტემების მდგომარეობა, ზოგიერთი სამკურნალწამლო პრეპარატების, კერძოდ ანტიბიოტიკების გამოყენება, რომლებიც აღღვევენ მიკროფლორის სტაბილურობას. მიკრობული ასოციაციების შემადგენლობის ცვლილებაში გარკვეულ როლს თამაშობს პირის დრუს ჰიგიენა.

## პირის ღრუს მიკროფლორის ასაკობრივი ცვლილებები

სიცოცხლის პირველ თვეებში ბავშვის პირის დრუში ჭარბობენ აერობები და ფაკულტატური ანაერობები. ეს დაკავშირებულია მკაცრი ანაერობების არსებობისათვის აუცილებელი კბილის რიგების უქონლობასთან. ამ პერიოდისათვის პირის დრუში მობინადრე მიკროორგანიზმებიდან ჭარბობენ სტრეპტოკოკები, უპირატესად S. Salivarius, ლაქტობაქტერიები, ნეისერიები, ჰემოფილები და Candida-ს გვარის საფუარის მსგავსი სოკოები, რომელთა მაქსიმუმი მოდის სიცოცხლის მე-4 თვეზე. პირის დრუს ლორწოვანი გარსების ნაოჭებში ვეგეტირებენ ანაერობების უმნიშვნელო რაოდენობები – ვეილონებელები და ფუზობაქტერიები. კბილების ამოჭრა აპირობებს მიკროორგანიზმოა ხარისხობრივი შემადგენლობის მკვეთრ ცვლილებას, რომლისთვისაც

დამახასიათებელია მკაცრი ანაერობების გამოვლენა და მათი რაოდენობის ზრდა. იმავდროულად ხდება მიკროორგანიზმთა განაწილება და პირის დრუში “განსახლება” გარკვეული რეგიონების ანატომიური აგენტულების თავისებურებების შესაბამისად. ამ დროს წარმოიქმნებიან მრავალრიცხვანი მიკროსისტემები შედარებით სტაბილური მიკრობული პოპულაციებით. სპირაქტები და ბაქტეროიდები ჩნდებიან პირის დრუში დაახლოებით 14 წლისათვის, რაც დაკავშირებულია ორგანიზმის პორმონალური ფონის ასაკობრივ ძვრებთან.

მოსახსნელი პროცესზები. ნაკლული კბილების შეცვლის ნებისმიერ ფორმას ყოველთვის ოან სდევს პირის დრუში უცხო სხეულის შეყვანა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა გართულებანი. მოსახსნელი პროცესზების ფუძის ქვეშ თითქმის ყოველთვის ვითარდება ლორწოვანი გარსის ანთება. ქრონიკული ანთება ვლინდება ყველა ზონაში და პროცესის კალაპოტის არეში. ამას ხელს უწყობს ნერწყვის წარმოქმნის ფუნქციისა და ლორწოვანი გარსის ნერწყვით მორწყვის დარღვევა, ნერწყვის თვისებების შეცვლა (pH და იონური შემადგენლობა), ლორწოვანი გარსის ზრდა-პირზე ტემპერატურებს 1-2°C-ით მომატება და სხვა.

თუ გავითვალისწინებო, რომ მოსახსნელი პროცესზებით უპირატესად სარგებლობენ ხანდაზმული ასაკის პირები, რომელთაც დაქვეითებული აქვთ იმუნობიოლოგიური რეაქტიულობა და აქვთ სხვადასხვა დააგადებანი (ჰიპერტონია, შაქრიანი დიაბეტი და სხვა), მაშინ მიკროფლორის შემადგენლობის ცვლილებები ყოვლად კანონზომიერად გვევლინებიან. ყოველივე ეს ქმნის პროცესზელი სტომატიტის განვითარების პირობებს. სხვადასხვა მიზეზების გამო პროცესზების ქვეშ იქმნება ბალოების წარმოქნის პირობები, რომლებიც გვანან სუბ-და სუპრაგინგივალურებს. ისინი წარმოადგენებ თრგანულ მატრიქსში მიკროორგანიზმთა გროვას, რომელშიც აგრეთვე ხდება მჟავის დაგროვება, PH მცირდება კრიტიკულ დონემდე 5.0. ეს აპირობებს Candida-ს გვარის საფუარების გაძლიერებულ გამრავლებას, რომელთაც პროცესზელ სტომატიტებში ენიჭებათ მნიშვნელოვანი როლი. ისინი ვლინდებიან შემთხვევათა 98%-ში პროცესზების შემჩერ ზრდაპირებზე. პროცესზებით მოსარგებლე პირთა 68-94%-ს უვითარდება კანდიდოზი. პირის დრუშს ლორწოვანი გარსის საფუარის მსგავსი სოკოგბით მოვარდება შეიძლება გამოიწვიოს პირის კუთხეების დაზიანება.

პირის დრუშს ლორწოვანიდან მიკროორგანიზმებმა შეიძლება დააინფიცირონ კუჭნაწლავის ტრაქტი და სასუნთქი გზები.

მოსახსნელი პროცესზების მქონე პირებში გარდა საფუარის მსგავსი სოკოებისა შეიძლება აღმოჩნდნენ სხვა ბაქტერიების დიდი რაოდენობები: ნაწლავის ჩხირი, სტაფილოკოკები, ენტერობაქტერიები და სხვა.

## პირის დრუშს დაცვის არასპეციფიური და სპეციფიური ვაჭრობები

პირის დრუშს კარიესოგენული და სხვა ბაქტერიებისაგან დაცვის არასპეციფიური ფაქტორები განპირობებული არიან ნერწყვის ანტიმიკრობული თვისებებით და ლორწოვანი გარსისა და ლორწოვანებების შრის უჯრედების ბარიერული ფუნქციით. დღე-დამის განმავლობაში სანერწყვე ჯირკვლები წარმოქმნიან 0,5-დან 2,0 ლ-მდე ნერწყვს, რომელსაც გააჩნია გამოხატული ბაქტერიოსტატიკური და ბაქტერიოციდული თვისებები მასში არსებული პუმორალური ფაქტორების ხარჯზე: ლიზოციმი, ლაქტოფერინი, ლაქტოპეროქსიდაზა, კომპლექსურის სისტემის კომპონენტები, იმუნოგლობულინები. ადგილობრივ იმუნიტეტში ლიზოციმის როლის მნიშვნელობას მოწოდებს პირის დრუში ინფექციური და ანთებითი პროცესების გახშირება ნერწყვში

მისი (ლიზოციმის) აქტივობის დაქვეითებისას.

ლაქტოფერინი – რკინის შემცველი სატრანსპორტო ცილაა, რომლის ბაქტერიოსტატიკური მოქმედება დაკავშირებულია მის უნართან კონკურენცია გაუწიოს ბაქტერიოგბს რკინის გამო. ადნიშნულია ლაქტოფერინის ანტისხეულებთან სინერგიზმი. მისი როლი პირის ღრუს ადგილობრივ იმუნიტეტში მკვეთრად ვლინდება ძუძუთი კვების პირობებში, როდესაც ახალშობილები დედის რეჟესთან ერთად დებულობენ მოცემული ცილის მაღალ კონცენტრაციებს სეკრეტორულ იმუნოგლობულინთან (SJGA) ერთად. ლაქტოფერინი სინოჰირდება გრანულოციტებში.

ლაქტოპეროქსიდაზა – თერმოსტაბილური ფერმენტია, რომელიც თიოცინატთან და წყალბადის ხეჭნაგთან კომპლექსში ავლენს ბაქტერიოციდულ მოქმდებას. იგი გამძლეა საჭმლის მომნელებელი ფერმენტების მოქმედებისადმი, აქტიურია pH-ის ფართო დიაპაზონში 3,0-დან 7,0-მდე. პირის ღრუში აბლოკირებს *S. mutans*-ის ადგენის. ლაქტოპეროქსიდაზა ვლინდება ბავშვთა ნერწყვში სიცოცხლის პირველივე თვეებიდან.

კომპლემენტის სისტემის ფრაქცია C3 გამოვლენილია სანერწყვე ჯირკვლებში. იგი სინოჰირდება და სეკრეტირდება მაკროფაგების მიერ. კომპლემენტის სისტემის ლიტიური მოქმედების აქტივაციისათვის საჭირო პირობები პირის ღრუს ლორწოვანზე ნაკლებ ხელაყრელია, ვიდრე სისხლის კალაპოტში.

აგრეგირებული SJgA-ს შეუძლია კომპლემენტის აქტივაცია და მიემართება ალტერნატიული გზით C3 საშუალებით. IgG და IgM უზრუნველყოფენ კომპლემენტის აქტივაციას კლასიკური გზით C3-C5-C9 – მემბრან შემზევი (მოიერიშე) კომპლექსის საშუალებით. C3 ფრაქცია მონაწილეობს კომპლემენტის აქტივირებული სისტემის ეფექტორული ფუნქციის რეალიზაციაში.

ნერწყვი შეიცავს ტეტრაპეპტიდ სიალინს, რომელიც ანეიტრალებს კბილის ბალოების მიკროფლორის ცხოველმყოფელობის შედეგად წარმოქმნილ მჟავე პროდუქტებს, რის გამოც გააჩნია ძლიერი ანტიკარიესული მოქმედება. ჯანმრთელი ადამიანების ნერწყვში ყოველთვის არიან პოლიმერული ბირთვიანი ლეიკოციტები, მონოციტები, ლიმფოციტები, რომლებიც ხვდებიან მასში ღრძილების ჯიბეებიდან.

პირის ღრუს ადგილობრივ იმუნიტეტში დიდ როლს თამაშობენ ლორწოვანი გარსის შემაერთებელი ქსოვილის უჯრედები. ამ უჯრედების ძირითად მასას შეადგენენ ფიბრობლასტები და ქსოვილოვანი მაკროფაგები, რომლებიც ადვილად მიგრირებენ ანთებით კერაში. ფაგოციტოზს ლორწოვანი გარსის ზედაპირზე და ლორწოვანქვეშა შემაერთებელ ქსოვილში ანხორციელებენ გრანულოციტები და მაკროფაგები. ისინი უზრუნველყოფენ კერის გაწმენდას პათოგენური ბაქტერიებისაგან. გარდა ამისა, კოლაგენურ ბოჭკოებს შერის სისხლძარღვთა ირგვლივ თავსდებიან პონიერი უჯრედები – ანაფილაქციური ტიპის ალერგიული რეაქციების პოტენციური მონაწილენი. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ადგილობრივი იმუნიტეტის უზრუნველყოფაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ A კლასის ანტისხეულები, განსაკუთრებით მისი სეკრეტორული ფორმა - SJgA. ჯანმრთელ ადამიანებში გარეგანი სეკრეციის უველა ჯირკვლისა და გარემოსთან შეხებაში მყოფი ლორწოვანი გარსის სტრომაში პლაზმური უჯრედების უმეტესობა აპროდუციონებს JgA-ს.

იმუნოგლობულინების შემცველობის მიხედვით არჩევენ პირის ღრუს შინაგან და გარეგან სეკრეტებს. შინაგანი სეკრეტები წარმოადგენენ ღრძილის ჯიბეების გამონაფოფებს, რომლებშიც იმუნოგლობელინების რაოდენობა ახლოსაა მათ კონცენტრაციასთან სისხლის შრატში. გარეგან სეკრეტებში, მაგ. ნერწყვში, IgA-ს რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს მის კონცენტრაციას სისხლის შრატში, მაშინ როცა IgM, IgG,

JgE-ს რაოდენობა ნერწყვში და შრატში დაახლოებით თანაბარია. სეკრეტორული იმუნოგლობულინი - SJgA უფრო რეზისტენტულია პროტეოლიზური ფერმენტების მოქმედებისადმი, ვიდრე შრატისმიერი JgA. დადგენილია, რომ SJgA ბავშვთა ნერწყვში არის დაბადების მომენტიდან, სიცოცხლის მე-6-7 დღისათვის მისი დონე თითქმის 7-ჯერ იზრდება. SJgA-ს ნორმალური სინოჟზი წარმოადგენს პირის დრუს ლორწოვანი გარსის ინფექციებისადმი სიცოცხლის პირველი თვეების ბავშვთა მდგრადობის ერთ-ერთ პირობას.

სეკრეტორული იმუნოგლობულინებს (SJgA) შეუძლიათ შეასრულონ რამდენიმე დამცველობითი ფუნქცია. ისინი თრგუნავენ ბაქტერიათა ადგეზიას, ანეიტრალებენ ვირუსებს და ხელს უშლიან ლორწოვანი გარსიდან ანტიგენის (ალერგენების) შეწოვას. ასე, მაგ: SJgA – ანტისეულები თრგუნავენ კარიესოგენური სტრეპტოკოკის *S. mutans*-ის ადგეზიას კბილის ემალზე, რაც ხელს უშლის კარიესის განვითარებას. SJgA- ანტისეულების საკმარის დონეს, როგორც სჩანს, უნარი აქვს თავიდან აგვაცილოს პირის დრუს ზოგიერთი ვირუსული ინფექციების განვითარება, მაგრამ პერპესული ინფექციებისა.

SJgA-ს დეფიციტის მქონე პირებში ანტიგენები წინააღმდეგობის გარეშე ადსორბირდებიან პირის დრუს ლორწოვან გარსზე და გადადიან სისხლში, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ალერგიზაციის მძიმე შედეგებამდე. ამ კლასის ანტისეულები ხელს უშლიან ლორწოვან გარსზე პათოლოგიური პროცესების განვითარებას, არ იწვევენ მის დაზიანებას, რადგანაც SJgA – ანტისეულების ურთიეროოქმედება ანტიგენოან G და M ანტისეულებისაგან განსხვავებით არ იწვევს კომპლემენტის სისტემის აქტივაციას. SJgA-ს სინოჟზის მასტიმულირებელი არასპეციფიური ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს აგრეთვე ვიტამინი A.

## მიკრობანიზმთა როლი კბილის გაღმის წარმოშმაში

კბილის ბალოები – ეს არის ბაქტერიების გროვა ორგანული ნივთიერებების მატრიქსში, უპირატესად პროტეინებისა და პოლისაქარიდებისა, რომლებიც მიიტანებიან იქ ნერწყვონან ერთად და პროდუქტირდებიან თვით მიკროორგანიზმების მიერ.

არჩევენ დროილის ზედა და დროილის ქვეშა ბალოებს. პირველს აქვს პათოგენური უნიტენელობა კბილის კარიესის განვითარებისას, მეორეს – პაროდონტური პათოლოგიური პროცესების განვითარებისას. ბალოების წარმოქმნის პროცესი იწყება ნერწყვის გლიკოპროტეინის ურთიეროოქმედებით კბილის ზედაპირთან, ამ დროს გლიკოპროტეინის მჟავე ჯგუფები უერთდებიან კბილის ემალის კალციუმის მარილებს, ხოლო ფუძე ჯგუფები ურთიეროოქმედებენ პიდროქსიაპატიტების ფოსფატებთან. ამგვარად, კბილის ზედაპირზე წარმოიქმნება აპკი – პელიკულა. მისი წარმოქმნისათვის მიკროორგანიზმთა მოანწილეობა არ არის აუცილებელი, მაგრამ მათი თანაობა ააქტივიებს პროცესს. პირველად მიკრობული უჯრედები ილექტებიან კბილის ზედაპირის დრმულებში. ისინი მრავლდებიან და ავსებენ ყველა დრმულს, ხოლო შემდეგ გადადიან კბილის გლუკ ზედაპირზე. ამ დროს კოკების გარდა ჩნდება ჩხირისებური და ძაფისებური ფორმების ბაქტერიები და ზევით აღწერილი “სიმინდის ტაროების” დიდი რაოდენობები. ადგეზიის მთელი პროცესი მიმდინარეობს ძალიან სწრაფად: 5 წთ-ში ბაქტერიული უჯრედების რაოდენობა 1 სმ<sup>2</sup>-ზე მატულობს  $10^3$ -დან  $10^6$ -მდე. შემდგომში ადგეზიის სიჩქარე კლებულობს და დაახლოებით 8სთ-ის განმავლობაში რჩება სტაბილური. 1-2 დღის შემდეგ მიმაგრებული ბაქტერიების რაოდენობა კვლავ მატულობს და აღწევს  $10^7$ - $10^8$  კონცენტრაციას.

ამ პერიოდში კბილის ბალთების ფორმირებისას განსაკუთრებული როლი ექვთვნის ორალურ სტრეპტოკოკებს. ასე მაგ: ”პირველი 8 სთ-ის განმავლობაში *S. Sanguis* უჯრე-დების რაოდენობა ბალთებში შეადგენს 15-35%-ს მიკრობთა საერთო რაოდენობიდან, ხოლო მეორე დღისათვის 70%-ს. *S. Salivarius* ბალთებში აღმოჩნდებიან მხოლოდ პირველი 15 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ მათ უერთდებიან ვეილონელები, კორინებაქ-ტერიები და აქტინომიცეტები. მე-9-11 – დღეს ჩნდებიან ფუზიფორმული ბაქტერიები, რომელთა რაოდენობა სწრაფად მატულობს. ამგვარად, ბალთების წარმოქმნის დასაწყისში ჭარბობს აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროფლორა, რომელიც მკვეთრად ამცირებს უანგვა-ალდგენით პოტენციალს მოცემულ უბანში, რითაც ქმნის პირობებს მკაცრი ანაერობების განვითარებისათვის.

ზედა და ქვედა ყბის კბილების ბალთების მიკროფლორები განსხვავდებიან შემადგენლობით: ზედა ყბის კბილების ბალთებზე უფრო ხშირად ბინადრობენ სტრეპტოკოკები და ლაქტობაქტერიები, ხოლო ქვედა ყბის კბილების ბალთებზე – ვეილონელები და ძაფისებური ბაქტერიები. აქტინომიცეტები გვხვდებიან ორივე ყბის ბალთებზე თანაბარი რაოდენობით. მიკროფლორის ასეთი განაწილება აიხსნება გარემოს pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობებით.

ბალთების წარმოქმნა ფისურებისა და კბილებშეა სიგრცეების ზედაპირზე, სადაც ჭარბობენ გრამდადებითი კოკები და ხსირები ანაერობების გარეშე, მიმდინარეობს სხვაგვარად. პირველადი კოლონიზაცია მიმდინარეობს ძალიან სწრაფად და უკვე პირველ დღეს აღწევს მაქსიმუმს. შემდგომში ბაქტერიული უჯრედების რაოდენობა სანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება უცვლელი. ამგვარად, აქ არ ხდება აერობული მიკროფლორის შეცვლა ანაერობულით, რასაც ადგილი აქვს კბილის გლუკი ზედაპირის ბალთებში

კბილის ბალთების წარმოქმნაზე დიდად მოქმედებს მიღებული საკვების, კერძოდ ნახშირწყლების, რაოდენობა და შემადგენლობა. ორალური სტრეპტოკოკებისა და ლაქტობაქტერიების ფერმენტული აქტივობის შედეგად ადგილი აქვს საქართვის გახლებას, რის შედეგადაც წარმოიქმნება დიდი რაოდენობით რძე მჟავა, რაც მკვირად ამცირებს pH-ს. წარმოქმნილი რძე მჟავას შემდგომი დაშლა ვეილონელების, ნეიისერებისა და სხვა მიკროორგანიზმების მიერ იწვევს მმრის, პროპიონის, ჭიანჭველას და სხვა ორგანული მჟავების დაგროვებას, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობენ ბალთის წარმოქმნის პროცესში. საქართვისა და სხვა ნახშირწყლების ჭარბი გამოყენებისას ხდება უჯრედშიგა და უჯრედგარეთა პოლისაქარიდების წარმოქმნა. პირველნი ახლოს არიან გლიკოგენთან და შეიძლება გამოყენებულნი იქნან ბაქტერიული უჯრედების მიერ, როგორც სამარაგო საკვები ნივთიერებანი. მათი დაშლისას წარმოიქმნება რძისა და სხვა ორგანული მჟავეები, რომლებიც ამცირებენ გარემოს pH-ს და მოანწილეობენ ბალთების წარმოქმნაში. მაგრამ, 5,5-ზე ნაკლები pH-ის დროს უჯრედშიდა პოლისაქარიდების სინთეზი ითრგუნება. პირის დრუს ბევრ მიკროორგანიზმს, განსაკუთრებულით *S. mutans*-ს, აქვს უნარი წარმოქმნას უჯრედშიდა პოლისაქარიდები – ხსნადი და უხსნადი გლუკანი (დექსტრანი) და ლევანი (ფრუქტანი). ხსნადი გლუკანი და ლევანი ადგილად იხლიჩება, როგორც *S. mutans*-ისა, ასევე სხვა მიკროორგანიზმების მიერ. უხსნადი გლუკანი აქტიურად მონაწილეობს ორალური მიკროორგანიზმების ადგეზიის პროცესში.

მეტაბოლიზმის პროცესში მჟავე პროდუქტებთან ერთად წარმოიქმნებიან ტუტე პროდუქტებიც, მაგ: შარდოვანა, ამიაკი და სხვა. რომელთა თანაობა იწვევს pH-ის მომატებას ბალთებში, რაც ხელს უშლის მათ შემდგომ წარმოქმნას.

## პბ0ლის პარიმესი

კარიესი ეს არის პათოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც ადგილი აქვს კბილის მკვრივი ქსოვილების დემინერალიზაციასა და დარბილებას, რასაც თან სდევს დრუს გაჩენა. კბილის ემალი ნორმაში იმყოფება დინამიური წონასწორობის მდგომარეობაში დედა რემინერალიზაციის მუდმივად მიმდინარე პროცესებს შორის. დემინერალიზაცია განპირობებულია წყალბადის თავისუფალი იონებით  $H^+$ , რომელთა ძირითად წყაროს წარმოადგენებ თრგანული მჟავეები – თრალური მიკროორგანიზმების მეტაბოლიზმის პროდუქტები. ემალის დაშლის სიჩქარე საგრძნობლად მატულობს pH-ის 5-ზე ნაკლები მნიშვნელობისას. კარიესული პროცესის განვითარებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მჟავე პროდუქტების კონტაქტის ხანგრძლივობას კბილის ემალთან. კარიესი ვითარდება კბილის იმ ზედაპირებზე, რომლებიც იმყოფებიან ხანგრძლივ კონტაქტში წარმოქმნილ მჟავებთან. ამას მივყაროთ ემალის პრიზმების კრისტალებს შორის მიკროსივრცეების გადიდებასთან. წარმოქმნილ უმცირეს დაფაქტებში აღწევენ მიკროორგანიზმები და აზიანებენ ემალს იმ უბნებში, რომლებიც განლაგებულნი არიან გარე და შიგა ზედაპირების პარალელურად. დემინერალიზაციის ხნგრძლივი პროცესი სრულდება გამძლე ზედაპირული შრის გახსნით და კბილის დრუს წარმოქმნით.

კარიესოგენულებს პირველ რიგში მიეკუთვნებიან მიკროორგანიზმები, რომელთაც შეუძლიათ კარიესის გამოწვევა სუფორ კულტურაში ან სხვა უჯრედებთან ასოციაციაში გნოტობითნტურ ცხოველებში. კარიესის განვითარებაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭებათ ორალურ სტრეპტოკოკებს. *S. mutans*, *S. sanguis* ლაქტობაქტერიებს, აქტინომიცეტებს (*A. viscosus*).

ეს მიკროორგანიზმები არიან ჯანმრთელი ადამიანების პირის დრუს ავტოქთონური მიკროფლორის წარმომადგენლები, მაგრამ გარკვეულ პირობებში შეიძლება ითამაშონ ეტიოპათოგენტიკური როლი კარიესოგენეზში, რადგანაც ისინი აფერმენტებენ ბევრ ნახშირწყლებს. ამ დროს ბალოებში pH მცირდება კრიტიკულ დონემდე (pH 5 და ნაკლები). უჯრედშიდა ბაქტერიული პოლისქარიდების გახლებვისას წარმოქმნებიან აგრეთვე ორგანული მჟავეები (რძისა და სხვა), რაც დამატებით კიდევ უფრო აქვეითებს pH-ს კარიესულ დრუებში.

მჟვაწარმოქმნის გარდა პათოგენეტიკური მნიშვნელობა აქვს ორალური მიკროორგანიზმების უნარს წარმოქმნას უჯრედგარეთა და უჯრედშიდა პოლისაქარიდები ნახშირწყლების, განსაკუთრებით საქართვას, მიკრობული ფერმენტაციის შედეგად. უჯრედგარეთა პოლისაქარიდებიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება უხსნად გლუკანს, რომელიც ზრდის ადგეზიას. გარდა ამისა, ორაუჯრედული პოლისაქარიდები ავსებენ რა ბალოს ან დაზიანებული კერის მთელ მოცულობას, ამნელებენ რემინერალიზაციის პროცესს, ეწინააღმდეგებიან ემალში კალციუმის იონებისა და ფოსფატების მოხვედრას. ორალური მიკროორგანიზმების კარიესოგენულ აქტივობაზე მოქმედებს ნერწყვი – მისი აგრეგირებული ფაქტორები, რომლებიც ერთის მხრივ ხელს უწყობენ კბილის ზედაპირზე მიკრობული უჯრედის მიკრობას, ხოლო მეორეს მხრივ – აცილებენ მათ პირის დრუს მორწყვის დროს.

დე და რემინერალიზაციის პროცესებს შორის წონასწორობაზე მოქმედებს ბევრი ფაქტორი – ნერწყვში ბიკარბონატის, შრადოვანას, კალციუმის, ფოსფორის იონების არსებობა და სხვა. pH კრიტიკულ დონეზე ქვევით (pH5 შემცირებისას კალციუმისა და ფოსფორის იონები გამოდიან კბილის ემალიდან გარემოში, ხოლო pH-ის მომატებისას ისევ ბრუნდებიან ემალის შემადგენლობაში. pH-ის მნიშვნელობის მომატების

უნარი და აქედან გამომდინარე ანტიკარიესული მოქმედება გააჩნია ბიკარბონატ-კარბონის მჟავა ბუფერების სისტემას, აგრეთვე პროტეინსა და სიალინს, რომლებიც იმყოფებიან ნერწყვში.

კარიესის პროფილაქტიკა შეიძლება მიმართული იყოს პირის დრუში კარიესოგენული მიკრორგანიზმების რაოდენობის შემცირებისკენ. კბილის ბალოების მექანიკური მოცილება არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც გაწმენდილ ზედაპირზე მაშინვე იღებებიან ახალი ბაქტერიული უჯრედები, რასაც მივყავარო მიკროფლორის სწრაფ აღდგენამდე. უფრო ეფექტურია სხვადასხვა ბაქტერიოლიციდული და ბაქტერიოსტატიკური პრეპარატების გამოყენება. კარგ შედეგებს დებულობენ ანტისეპტიკების, კერძოდ 0,2% ქლორაცექსიდინის გამოყენებით. ამ შემთხვევაში *S.mytans*-ის უჯრედების რაოდენობა კბილის ბალოებში მცირდება 80-85%-ით, ხოლო ნერწყვში 55%-ით. ქლორაცექსიდინი ფარავს რა კბილის ზედაპირს, მოქმედებს არა მარტო ბაქტერიოლიციდულად, არამედ, ხელს უშლის მიკრორგანიზმთა ადგეზიას, ამავე დროს იიგ არ აგროვებს მიკრობულ წონასწორობას. მიკრორგანიზმებზე დამთრგუნველად მოქმედებს ფტორი და მისი ნაეროები, განსაკუთრებით მარილები  $ZnF_2$  და  $CuF_2$  აგრეთვე, ხუთატომიანი სპირტი-ქსილიტი, რომელიც არღვევს გლიკოლიზის პროცესს ბაქტერიებში. კარიესის პროფილაქტიკისათვის გამოიყენება ქიმიური ინჰიბიტორები, რომლებიც გარკვეულ მეტაბოლურ რეაქციებს *S. mutans*-ში. მაგ.: ფტორი თრგუნავს იმ ფერმენტების მოქმედებას, რომლებიც მონაწილეობენ გლიკოლიზის პროცესში, მათ მიეკუთვნება: ფოსფატაზები, ენოლაზები და ფოსფოგლიცერომუტაზები. ამას მივყავარო მჟავწარმოქმნის დამუხრუჭებამდე. მსგავსი მოქმედება ახასიათებს *N*-ლაურილსარკოზინაცს და ნატრიუმის პიდროაცეტატს. შესაძლებელია, რომ საკვებ პროდუქტებში მონალაურინის ფართოდ ჩართვა აღმოჩნდება კარიესის პროფილაქტიკის ეფექტური საშუალება. გლუკანების პროდუცირების ინჰიბირებისათვის იყენებენ კონდენსირებულ ფოსფატებს.

მჟავაწარმოქმნისა და გლუკანების შემცირების კიდევ ერთი გზაა – საქართვის შეცვლა სხვა ნახშირწყლებით (მაგ.: ქსილოზილფრუქტოზილითა და ოზომალტოზილფრუქტოზილით), რომელთა ფერმენტული დაშლისას ეს პროდუქტები არ წარმოიქმნებიან.

კარიესის დროს პირის დრუს ადგილობრივი იმუნიტეტის ძირითადი დაცვითი მექანიზმი გულისხმობს *SjgA*-მა ხელი შეუშალოს *S. mytans*-ის ადგეზიას. დასაბუთებული წარმოდგენა სპეციფიური ანტისხეულების, (რომლებიც მიეკუთვნებიან *SjgA*) დამცველობითი როლის რშესახებ, დაედო საფუძვლად კარიესის სპეციფიური პროფილაქტიკის მეთოდების შემუშავებას. უკვე შექმნილია ანტიკარიესული ვაქცინების პირველი ვარიანტები, რომლებიც გამოცდილი არიან ექსპერიმენტულ მოდელებზე ცხოველებში. ასეთი ვაქცინებით იმუნიზაციის საპასუხოდ წარმოქმნებიან *SLgA* კლასის სპეციფიური ანტისხეულები, რომლებიც გროვდებიან ნერწყვში და ავლენენ პროტექტულ მოქმედებას კბილებზე, რითაც ოვიდან გვაცილებენ კარიესის განვითარებას. ასეთი სახის ვაქცინაციის საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ *S. mutans* გააჩნია ჯვარედინად მორეაგირე ანტიგენები ადამიანის მიოკარდთან. განიხილება აგრეთვე *Actinomyces viscosus*-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მიღების საკითხი, ვინაიდან ეს უკანასკნელი აქტიურად მონაწილეობს კარიესის პათოგენეზში.

## პაროდონტის დაავადებანი

ცნობილია პაროდონტის დაზიანებების სხვადასხვაგვარი ფორმები – მიკროორგანიზმთა ეტიოლოგიური როლი დადგენილია გინგივიტის სხვადასხვა ფორმისა და მარგინალური პაროდონტიტის დროს. პაროდონტიტში უკალა ანთებითი პროცესი იწყება კბილის ბალოების, უპირატესად სუბგინგივალური ბალოების წარმოქმნით, კბილის ზედაპირის ფაკულტატური ანაერობებით, პირველ რიგში *A. viscosus* და *S. mutans*, კოლონიზაციის შედეგად. შემდგომში ამ ბაქტერიების უჯერედების ზედაპირზე შეიძლება დამაგრდნენ სხვებიც, მაგ.: *B. melaninogenicus*, *F. nucleatum*, აგრეთვე ვეილონელები, რომელთაც არა აქვთ უნარი კბილების ზედაპირზე დამოუკიდებელი ადგეზიისა. კბილის პირველადი კოლონიზაციისას ფაკულტატური ანაერობები ამცირებენ ჟანგვა-აღდგენით პოტენციალს, როთაც ქმნიან პირობებს მკაცრი ანაერობების გამრავლებისათვის, რომელთაც გააჩნიათ დიდი პათოგენური მნიშვნელობა პაროდონტიტის დაავადებების განვითარებაში.

ანაერობული მიკროორგანიზმების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება კბილის ბალოების სიღრმეებში. აქ უპირატესად იმყოფებიან სპიროქეტები და ბაქტეროიდები. ბალოების ზედაპირული შრეების მიკროფლორა ძირითადად წარმოდგენილია *S. mutans*-ითა და ზოგიერთი აქტინომიცეტებით. პროგრესირებადი პაროდონტიტის მქონე ავადმყოფებში გვხვდება უპირატესად გრამუარყოფილი ობლიგატური ანაერობები. სუბგინგივალური ბალოებიდან გამოყოფილია დაახლოებით 400 სახეობის სხვადასხვა მიკროორგანიზმი, რომელიც მიეკუთვნებიან გვარებს: *Fusobacterium*, *Bacteroides* *Actinomycetes*, *Peptococcus*, *Treponema* და სხვა.

შენიშვნულია, რომ ფეხმიმე ქალებში მკვეთრად მატულობს *B. melaninogenicus* რაოდენობა, რომელთაც აქვთ უნარი პროჟესტერონისა და ესტრადიოლისაგან ასინთეზირონ მათი ზრდისათვის აუცილებელი ვიტამინი *K*. პაროდონტიტის დაავადებების დროს დროილის ღრმა ჯიბებში ფორმირდება მკაცრი ანაერობების ზრდისათვის ხელსაყრელი პირობები. ბევრ ანაერობულ ბაქტერიას და პირველ რიგში *B. gingivalis* უანრი აქვს გამოიმუშაონ ციტოტოქსიური მოქმედების მქონე ტოქსიური პროდუქტები და ფერმენტები. პათოგენეტიკური მნიშვნელობა აქვთ ისეთ მიკრობულ ფერმენტებს, როგორიცაა კოლაგენაზა, პროტეაზა, ჰიალურონიდაზა, ნეირამინიდაზა და სხვა, რომელთაც აქვთ მიკროორგანიზმების ქსოვილების დაშლის უნარი. პროცესის შემდგომი განვითარებისას შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ფაგოციტირების უნარის მქონე უჯრედებისაგან სეკრეტორებულმა ფერმენტებმა – ფაგოციტების ლიზოსომური პიდრალაზები და ნეიტრალური პროტეაზები, რნმ-აზები და დნმ-აზები. მიკოფაგები, რომლებიც დიდი რაოდენობით გროვდებიან ანთებად კერაში წარმოადგენენ პროსტაგლანდინ 2-ისა და თრომბოქსან *B2*-ის პროდუცენტებს, ეს უკანასკნელი წნდებიან დროილების ქსოვილებში პაროდონტიტის დაავადებების დროს. პაროდონტიტების დროს ანთებითი პროცესის უფრო მძიმე მიმდინარეობა აისესნება იმით, რომ ბევრი მიკროორგანიზმი, რომლებიც არიან დიდი რაოდენობით (*B. melaninogenicus* და სხვა) არღვევენ *JgM* და *JgG* თავისი ფერმენტებით. ეს მიკროორგანიზმები აქვეითებენ რა ლორწოვანი გარსის ბარიერულ ფუნქციას აიოლებენ პაროდონტის ქსოვილებში ტოქსიური პროდუქტების, ლიტიური ფერმენტებისა და სუბგინგივალური მიკროფლორის შედწევასა და გავრცელებას.

პაროდონტიტი არ არის დაკავშირებული რომელიმე სპეციფიურ გამომწვევთან. მაგრამ ისეთი მიკროორგანიზმების გამოყოფის სიხშირე და მუდმივობა, როგორიცაა *B. gingivalis*, *A. viscosus*, *B. melaninogenicus* და სხვა, გვაძლევს უფლებას ვიმსჯელოთ მათ პათოგენეტიკურ მნიშვნელობაზე. პაროდონტიტის დროს განსაკუთრებით ხშირად

გვხვდება *B. gingivalis*. მისი ვირულენტობა დაკავშირებულია ფიმბრიებთან, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ადგეზია, აგრეთვე მოცემული ბაქტერიის უჯრედებში მაღალ და დაბალმოლექულური ლიპოლისაქარიდების არსებობა, რომლებიც მონაწილეობენ ძვლის ქსოვილის რეზორბციაში, ასტიმულირებენ ძვლიდან კალციუმის გამოყოფას და 30-40%-ით აქვეითებენ კოლაგენის წარმოქმნას. პემინის თანაბისას *B. gingivalis*-ის ვირულენტობა მკვეთრად მატულობს. პაროდონტოზის დროს დრმილების მომატებული სისხლმდებობა, რაც ხელს უწყობს კერაში პემინის დაგროვებას, წარმოადგენს *B. gingivalis*-ის ვირულეტობის ზრდის ფაქტორს. გარდა ამისა, პაროდონტის დავადებისას მატულობს აგრეთვე *A. viscosus*-ის რაოდენობა, რომლებიც ასტიმულირებენ ანთებით კერაში ლეიკოციტების მიგრაციას და გამოყოფენ ძვლის რეზორბციის გამომწვევ ნივთიერებებს.

პაროდონტის დაავადებების პათოგენეზში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება არა მარტო მიკრობულ ფაქტორებს, არამედ იმუნოპათოლოგიურ მექანიზმებსაც, იმუნოკომპლექსურსა და უჯრედულს. უფრო გვიანდება სტადიებზე უერთდება პაროდონტის დაავადებების პათოგენეზის ავტომუნური კომპონენტი. ამ დროს ვითარდება სპეციფიური საპასუხო იმუნური რეაქცია, რაც გამოიხატება – გინგივიტის – იმუნურ ანთებაში. გრამუარყოფითი ბაქტერიების რაოდენობის მომატებისა და მათი დაშლის შედეგად გამოიყოფა ენდოტოქსინი, რომლის მოქმედებაც ზრდის JgM-ისა და ამცირებს JgG-ს წარმოქმნას. ანტისხეულები, რომლებიც ეკუთვნიან JgG-ს, შედიან რა რეაქციაში ანტიგენ-ანტისხეული, ააქტივებენ კომპლემენტის სისტემას, ხოლო ანტიგენის სიჭარისას დრმილების ქსოვილებში ვითარდება III ტიპის ალერგიული რეაქცია, რასაც მივყავართ ნეკროზამდე. ამას შეიძლება ხელი შეუწყოს ენდოტოქსინის ტოქსიურმა მოქმედებამ. ნეკროზი, რომელიც მოიცავს დრმილის კიდეებს დამახასიათებელია წყლულოვანი გინგივიტისათვის.

პაროდონტოპათიის იმუნოპათოგენეზი შეიძლება დავყოთ 2 ფაზად: შექცევადი და შეუქცევადი. შექცევადი ფაზა დაკავშირებულია დამცველობითი ხასიათის მქონე ნორმალურ იმუნურ პასუხთან ადგილობრივი ქსოვილების მხრიდან. მისი მექანიზმი განპირობებულია დრმილის ჯიბეებში და კბილის ბალთებში გრამუარყოფითი ბაქტერიების გაძლიერებული გამრავლებით. მიკრობული ფერმენტები აფაშრებენ ბაქტერიებისათვის შეუდწევად ბარიერს – დრმილის კიდის ეპითელიუმს და ქნიან შემაერთებელ ქსოვილში ენდოტოქსინების (ლპს) ტრანსფუზიის პირობებს. კბილის ბალთების მიკრობული ანტიგენები, უჯრედების დაშლის პროდუქტები და ცვლის პროდუქტები (ქვემოატრაქტანტები) აპროვიცირებენ დრმილის კიდის ეპითელიუმში სეგმენტიროვიანი ლეიკოციტებისა და მიკროფაგების გაძლიერებულ მიგრაციას. სპეციფიკური ანტისხეულების (JgG და JgM) დაგროვებასთან ერთად ისინი წარმოადგენებ იმუნურ კომპლექსებს მიკრობული ბუნების პერსისტირებად ანტიგენებთან, რაც ხელს უნდა უწყობდეს მათგან პირის ლორწოვანის გაწმენდას.

იმუნური კომპლექსებისა და მათი დაშლის პროდუქტების მიტაცებასა და დეგრადაციას ახორციელებენ ლიმფოკინებით გააქტიურებული ფაგოციტები, რომლებიც მიგრირებულნი არიან ანთებად კერაში.

შექცევადი ფაზა კლინიკურად გამოიხატება ადგილობრივი ანთებითი ნიშნებით – გინგივიტით. დროული მკურნალობა წყვეტს ანტიგენების მასიურ მიგრაციას და აჩერებს დრმილის ანთებას ან ახდენს მის ლიკვიდაციას. მაგრამ ოუ მასიური მიგრაცია მიკრობული ანტიგენებისა არ წყდება, მაშინ მობილიზირებულმა დაცვიომა მექანიზმებმა შეიძლება მიგიყვანობის ქსოვილების დესტრუქციამდე. ეს დაკავშირებულია ფაგოციტოზის უნარის მქონე უჯრედების მიერ ლიზოსომური ფერმენტების

გამონთავისუფლებასთან, რომელთა შორის ყველაზე აქტიურები არიან ნეიტრალური პროტეინაზები: კოლაგენაზა და ელასტაზა. მათ აქვთ უნარი დაშალონ პაროდონ-ტალური შემაერთებელი ქსოვილისა და ძვლის ქსოვილის დენატურირებული კოლაგენი. ამ დროს ეპითელიუმი ჯირჯვდება და კარგავს მყარ კავშირებს კბილის მაგარ ქსოვილებთან. ამის შედეგად ვითარდება პათოლოგიური ლრძილის ჯიბე – კარიბჭე მეორადი ჩირქოვანი ინფექციისათვის. ამ შემთხვევაში გინგივიტი გადაი-ქცევა პაროდონტიტად.

შეუქცევადი იმუნოპათოლოგიური ფაზა უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ავ-ტოანტიგენებით – ლიმფოციტების სენსიბილიზაციასთან, ანტიგინები წარმოიქმნებიან პაროდონტის დესტრუქციისას. ამ დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მიკრობული ენდოქორტინგები, რომლებიც აძლიერებენ ლიმფოციტების სენსიბილიზაციას, აგრეთვე შეიძლება გამოიწვიონ B – ლიმფოციტების პოლიკლონური აქტივაცია. არ არის გამორიცხული ჯვარედინად მორეაგირე მიკრობული და ქსოვილოვანი ანტიგენების როლი საკუთარ ანტიგენებისადმი ბუნებრივი იმუნოლოგიური ტოლერანტობის და-კარგვის ინდუქციაში. შესაძლებელია T-ლიმფოციტების რეგულატორული სუპპო-ლაციების ბალანსის დარღვევაც, რის შედეგადაც იკარგება ავტოანტიგენებზე პასუხის T-სუპრესორული კონტროლი. ამგვარად, ფორმირდებიან ავტოაგრესიის მექანიზმები, რასაც მივყავართ პაროდონტიტის პროგრესირებად, რეციდივირებად, შეუქცევად მიმ-დინარებამდე ოსტეოციტებისა და ყბის ალვეულარული მორჩების ატროფიით.

## პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ინფექციური დაავადებანი

ინფექციები, რომლებიც აზიანებენ პირის ღრუს ლორწოვანს და ტუჩების წითელ ქობას, შეიძლება დაიყონ 2 ჯგუფად: პირველადი და მეორადი. პირველადს მიეკუთ-ვნებიან ისეთი დაავადებანი, რომელთა დროსაც ინფექციის კარიბჭეს წარმოადგენს პირის ღრუს ლორწოვანი გარსი და ტუჩების წითელი ქობა, სადაც ვითარდება ინ-ფექციური პროცესი. მეორადი ინფექციების დროს ლორწოვანი გარსი წარმოადგენს ადამიანის ზოგადი სისტემური დაავადებების – ნაწლავური, რესპირატორული, გამოვ-ლენის ადგილს. პირის ღრუს პირველადი და მეორადი დაავადებების გამოვლინება დამოკიდებულია გამომწვევის პათოგენური პოტენციალის რეალიზაციაზე და ადამი-ანის იმუნური სისტემის მდგომარეობაზე, აგრეთვე დაცვის ადგილობრივ არასპეცი-ფიურ მექანიზმებზე, რომელთაც მიეკუთვნება ლიზოციმი, ლაქტოფერინი და სხვა. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ყველა ინფექციური დაავადება შეიძლება დავყოო ბაქტერიულ, ვირუსულ და სოკოვან ინფექციებად.

## მდგავი ბაქტერიული ინფექციები

### პირის ღრუსა და ტუჩების ლორწოვანის ჩირქოვანი დაავადებანი

ჩირქოვანი დაავადებების გამომწვევებს წარმოადგენენ პირის ღრუს ნორმალური მიკროფლორის წარმომადგენლები, თუმცა ეგზოგენურ დასნებოვნებასაც აქვს ხოლმე ადგილი. ჩირქოვანი დაავადებების გამომწვევებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდებიან სტაფილოკოკები და სტრეპტოკოკები, უფრო იშვიათად გონოკოკები, ფუზობაქ-ტერიები აპიროქეტებთან და უსპორო ანაერობულ ბაქტერიებთან სიმბიოზში. პირის ღრუს ლორწოვანი გარსი საკმაოდ მდგრადია სენსებული მიკროორგანიზმების მოქ-მედებისადმი. მაგრამ მიკროტრამვების არსებობისას იქმნება პირობები პირის ღრუ-ში არსებული მიკრობების პაროდონტში შედწევისათვის. გამომწვევის საკმარისი ვირუსულენტობისა და მაკროორგანიზმის რეზისტენტობის დაქვეითებისას იქმნება პი-რობები ჩირქოვანი ანთებითი პროცესის განვითარებისათვის, რომელიც შეიძლება

მიმდინარეობდეს სხვადასხვა კლინიკური ფორმებით: ფურუნგულები, გინგივოსტომატიტი, ზედა ტუჩების ქრონიკული ნაპრალები, ქრონიკული წყლულოვანი გრანულომა. ყველა ამ ფორმისას ვითარდება ეროზიები ჩირქოვანი გამონადენით.

ინფექციის კარიბჭედ სტრეპტოკოკებისათვის, ისევე როგორც სტაფილოკოკებისათვის, შეიძლება იქცნენ მიკროტრავმები. ისინი წარმოადგენენ პიოდერმიის ხშირ მიზეზებს, ლოკალიზდებიან ტუჩების კანზე, ხანდახან კი პირის დრუს ლორწოვან გარსზე, ტუჩების წითელ ქობაზე, ან ტუჩების კუთხეებში. შერეული სტაფილო-სტრეპტოკოკული ინფექცია წარმოადგენს იმპეტიგოს განვითარების მიზეზს, რომლის დროსაც დასაწყისში ვლინდებიან სტრეპტოკოკები, შემდეგ კი სტაფილოკოკები. ამ დროს ჩირქოვანი კეროვანი პროცესი ვითარდება სახის კანზე, ტუჩების წითელ ქობაზე და შემდგომში შეიძლება გავრცელდეს პირის დრუს ლორწოვან გარსზე. დაავადება უფრო ხშირად გვხვდება ბავშვებში და იმ ხანდაზმულებში, რომლებიც სარგებლობენ მოსახსნელი პროცეზებით.

გონიკოკები არიან ვენერიული დაავადების გამომწვევნი. გონიკოკური სტომატიტი ვითარდება ორალურ-გენიტალური კონტაქტის დროს. ის ვლინდება ჰიპერემიით, შეშუპებით პირის დრუს ლორწოვან გარსზე, ბლანტი ლორწოვან-ჩირქოვანი სეკრეტის მქონე მცირე ეროზიებით. ახალშობილებში, რომელთა დედასაც აქვს გონორეა, ბლენორეასთან ერთად შეიძლება განვითარდეს გონორეული სტომატიტი, რომლის პროფილაქტიკისათვის ახალშობილების პირის დრუს დაბადებისთანავე ამჟავებენ ანტისეპტიკებით.

ვენსანის გინგივოსტომატიტი (ფუზოსპიროქეტოზი) წარმოადგენს შერეულ ინფექციას, რომელიც გამოწვეულია ორი გამომწვევით – ფუზობაქტერიებითა და ბორელიებით. დაავადება უფრო ხშირად ვითარდება ახალგაზრდებში. არსებობს მოსაზრება, რომ ფუზოსპიროქეტოზი ვითარდება სტაფილოსტრეპტოკოკებით გამოწვეული პირველადი ანთებითი პროცესის ფონზე. შემდეგ ხდება ფუზიოფორმული ბაქტერიებისა და სპიროქეტების აქტიური გამრავლება, ეს მიკროორგანიზმები მცირე რაოდენობით მუდმივად არსებობენ პირის დრუში. ფუზიმორფული ბაქტერიების პათოგენეტიკური მნიშვნელობა დაკავშირებულია ფერმენტ კოლაგენაზას არსებობასთან, რომელიც მონაწილეობს შემაერთებელი ქსოვილის კოლაგენური ბოჭკოების რღვევაში. ამავე დროს აზოტ შემცველი დაბალმოლეკულური პროდუქტები, რომლებიც წარმოიქმნებიან კოლაგენის დაშლის შედეგად, შეიძლება ათვისებულ იქნან სპიროქეტების მიერ.

ნეკროტიზირებულ ქსოვილებში შექმნილი ანაერობული პირობები ეწინააღმდეგებიან სწრაფ გამოჯანმრთელებას და ხელს უწყობენ ქსოვილების შემდგომ დაზიანებას. ა. ფუზიმორფული ბაქტერიები ვითარდებიან სხვა ანაერობებთან ერთად: ბაქტეროიდები, პეპტოკოკები, პეპტოსტრეპტოკოკები, ვეილონელები.

ფუზოსპიროქეტოზის მკურნალობისას იყენებენ ანტიბიოტიკებს, რომლებიც სწრაფად თრგუნავენ სპეციფიური მიკროფლორის ზრდას, ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ფუზოსპიროქეტები არ წარმოადგენენ პირველად გამოწვევებს. მკურნალობა ეფექტური იქნება, თუ იგი მიმართული იქნება იმ მიკროორგანიზმების საწინააღმდეგოდ, რომლებიც არიან ქსოვილების პირველადი დაზიანებების გამომწვევები: სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები ან პეპტოსტრეპტოკოკები.

## პრონიპული ბაქტერიული ინფექციები

ათაშანგის გამომწვევია მკრთალი ტრეპონემა – *Treponema pallidum*. პირველადი სიფილომის – მაგარი შანკრის – ფორმირება შეიმჩნევა 3-4 კვირიანი ინკუბაციური პერიოდის გავლის შემდეგ ინფექციის კარიბჭის ადგილას. სქესობრივი გადაცემისას იგი ვლინდება გარეთა სასქესო ორგანოებზე, ორალურ-გენიტალური ან საყოფაცხოვრებო დასხებოვნებისას კი – ტუჩების წითელ ქობაზე, პირის ღრუს ლორწოვან გარსზე, ენაზე, ნუშურა ჯირკვლებზე. ტუჩების წითელ ქობაზე, პირის ღრუს ლორწოვან გარსზე მაგარი შანკრის ლოკალიზაციისას დაახლოებით ერთ კვირაში ადგილი აქვს ყბისქეშა და ნიკაპქვეშა ლიმფური კვანძების გადიდებას. შანკრის გამონაყოფი შეიცავს დიდი რაოდენობით ტრეპონემებს, რომლებიც შეიძლება აღმოჩენილი იქნან ნატიური პრეპარატების მიკროსკოპით ბნელ არეში. მოგვიანებით პირის ღრუს ლორწოვანზე და ტუჩების წითელ ქობაზე ლოკალიზდებიან ათაშანგური დაზიანებები დაავადების ყველა სტადიაზე.

თანდაყოლილი ათაშანგის ღროს პირველადი სიმპტომები ვლინდებიან უკვე სიცოცხლის 1-2 თვეებში. ტუჩები შუპდებიან, სქელდებიან, იღებენ მოყვითალო-წითელ ფერს. პირის ღრუს დაზიანებული ლორწოვანი გარსის ზედაპირზე ჩნდებიან წყლულები, რომლებიც შემდგომ ნაწილურდებიან. განსაკუთრებით სახასიათოა ნაწილურები პირის კუთხეებში (რობინსონ-ფურნეს ნაწილურები). თანდაყოლილი ათაშანგის უფრო გვიან გამოვლენისას პირი ღრუს ლორწოვანზე ჩნდება ცვლილებები, რომლებიც გვაგონებენ გუმოზურს. სეროლოგიური რეაქციები როგორც წესი დადებითია.

ტუბერკულოზი. ადამიანის ტუბერკულოზის გამომწვევია *Mycobacterium tuberculosis* ტუბერკულოზი, რომელიც აზიანებს პირის ღრუს ლორწოვან გარსსა და ტუჩების წითელ ქობას, შეიძლება გამოვლინდეს ტუბერკულოზური მგლურას ფორმით. ამ შემთხვევაში პროცესი ყველაზე ხშირად ლოკალიზდება დრილზე და წინა კბილების მიდამოში, ზედა ტუჩზე და სასაზე. დაავადება იწყება წითელი ან ყვითელი ფერის სპეციფიური ტუბერკულოზური ხორკლის წარმოქმნით, რომლის დიამეტრია 1-3 მმ. ხორკლი ცენტრში იშლება და წარმოიქმნება წყლული. დაავადების შემდგომი განვითარებისას იშლება ალვეოლათაშორისი ძგიდების ძვლოვანი ქსოვილი, რასაც მივყავართ კბილების მორყევასა და მოვარდნამდე. დაავადების ხანგრძლივი მიმდინარეობისას დაზიანების ადგილზე ვითარდებიან გლუკი მბრწყინავი ნაწილურები. პროცესს ამძიმებს დაავადების გართულება ბაქტერიული ან კანდიდიზური მეორადი ინფექციით.

ლეპრა (კვირი). კეთრის – ქრონიკული გენერალიზებული ინფექციური დაავადების, რომლისთვისაც დამახასიათებელია კანის, ლორწოვანი გარსების, შინაგანი ორგანოების დაზიანება, გამომწვევია *Mycobacterium Leprae*. პირის ღრუს ლორწოვანი გარსი ზიანდება მხოლოდ დაავადების ლეპრომატული ტიპის ღროს. ამ ღროს მასზე, ისევე როგორც კანზედა და ნერვული დეროების გაყოლებაზე ვითარდებიან ლეპრომატული ინფილტრატები, რომელთა უჯრედებში მრავლდებიან ფაგოციტორებული ბაქტერიები. შემდგომში ვითარდებიან ლეპრომატული ხორკლები მაგარ და რბილ სასაზე, რომლებიც წყლულდებიან შემდგომი დანაწილურებით. ლეპრომატული დაზიანებანი შეიძლება გამოვლინდნენ ტუჩებსა და ენაზე.

აქტინობიკოზი. ადამიანისათვის პათოლოგიური მნიშვნელობა ყველაზე ხშირად აქვს *A. israelii* და *A. viscosus*. ანთებათი პროცესის ლოკალიზაციის მიხედვით არჩევენ აქტინომიკოზის სხვადასხვა კლინიკურ ფორმებს, რომელთა შორის ყველაზე ხშირად გვხვდება სახისა და ქვედაყბის აქტინომიკოზი. ბევრ ავადმყოფებში ძირითად პრო-

ცესს უერთდება მეორადი ინფექცია, გამოწვეული სტრეპტოკოკებით, სტაფილოკოკებით, ბაქტერიოდებით. აქტინომიკოზის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პირის ღრუს ადგილობრივი იმუნიტეტის დეფექტებს, სენსიბილიზაციას, რომელიც ვითარდება განმეორებით დაინფიცირების შედეგად, სხვადასხვა ხელშემწყობ ფაქტორებს, კერძოდ ჩირქოვან ანოებით პროცესებს. ორგანიზმის სპეციფიური სენსიბილიზაციის შედეგად აქტინომიცეტების გამრავლების ადგილებში ფორმირდებიან გრანულომები, რომლებიც მორფოლოგიურად ვლინდებიან, როგორც აქტინომიკოზური დრუზები და წარმოადგენენ შენელებული ტიპის ჰიპერმეტაბლობის ადგილობრივი რეაქციების განვითარების შედეგებს.

## ვირუსული ინვაზიუბი

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებანი აღინიშნება მრავალი ვირუსული ინფექციის დროს. ვირუსული ინფექციების მიმდინარეობა როგორდება თანმდევი დისპაქტერიოზით, სოკოვანი ან მედიკამენტური სტომატიტით.

პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და ტუჩების წითელი ქობის დაზიანებისას ყვალაზე ხშირად გვხვდებიან ჰერპესვირუსები.

მარტივი ჰერპესის ვირუსები ანტიგენური სტრუქტურის მიხედვით იყოფიან 2 ტიპად – ჰე-1 და ჰე-2. მათ გააჩნიათ ჯვარედინად მორეაგირე და ტიპოსპეციფიური ანტიგენები. ჰე-1 ვლინდება ჰერპესული ციტ-ცელების დროს – ადამიანის ყველაზე გავრცელებული ჰერპესული ინფექცია. ეს ვირუსი გვხვდება აგრეთვე გინგივოსტომატიტის, ჰერპესული ეგზემის, კერატოკონიუქტივის, მენინგოენცეფალიტისა და სხვა დაავადების დროს. მწვავე ჰერპესული გინგივოსტომატიტით ყველაზე ხშირად ავადდებიან ბავშვები (6 თვიდან 3 წლამდე). ბავშვებში 6 თვემდე ჩვეულებრივ ნარჩუნდებიან დედიდან მიღებული ანტისხეულები, რომლებიც იცავენ მათ დასხებოვნებისაგან. ანტისხეულების არარსებობისას დავადება მიმდინარეობს მძიმედ და შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროცესის გენერალიზაციას.

მორეციდივირე ჰერპესული სტომატიტის განვითარების პათოგენეზი არასაკმარისადაა შესწავლილი, თუმცა მას უკავშირებენ იმუნოდეფეციტურ მდგომარეობას, რამდენადაც ჰერპესული სტომატიტის გამწვავება მიმდინარეობს T და B – ლიმფოციტების შემცირების, JgG-ს რაოდენობის დაქვეითებისა და ლეიკოციტარული ინტერფერონის დონის მკვეთრი დაწევის ფონზე. რეციდივები დაკავშირებული არიან ნერვულ განგლიებში ლატენტური ინფექციის შენარჩუნებასთან, სადაც ხდება ვირუსის ჰერსისტირება.

ჩუტყვავილა და სარტყელისებური ჰერპესი – გამომწვევი მიეკუთვნება ჰერპესვირუსებს. გამონაყარი ლოკალიზდება პირის ღრუში, სახეზე, ტანზე და კიდურებზე. ხველის, ცემინებისა და ლაპარაკის დროს ვირუსი გამოიყოფა გარემოში. ჩუტყვავილიან ავადმყოფებში წარმოიქმნებიან ვირუსის გამანეიტრალებელი ანტისხეულები, რომლებსაც მწვავე სტადიაში არ გააჩნიათ პროტექტული თვისებები. იმუნიტეტის უჯრედული ფაქტორებიც აგრეთვე ვერ უზრუნველყოფენ ლატენტური ინფექციის განვითარების თავიდან აცილებას, რის შედეგადაც ვირუსი ჰერსისტირებს მრავალი წლის განმავლობაში ზურგის ტვინის უკანა ფესვების ნერვულ განგლიებში. სპეციფიური თერაპიისათვის გამოიყენება იმუნოგლობულინი, უკეთესია თუ იგი მიღებულია იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც გადატანილი აქვთ სარტყელისებური ჰერპესი, რადგანაც იგი იცავს ორგანიზმს ჩუტყვავილის განვითარებისაგანაც. იყენებენ ინტერფერონს.

სტომატოლოგებისათვის პიკორნავირუსებიდან საინტერესოა კოკსაკი A ვირუსი, რომელიც წარმოადგენს ჰერპესული ანგინის გამომწვევს, იგი ვლინდება ვეზიკულური გამონაფარის სახით პირის დრუს ლორწოვანი ზოგადი ჰიპერემიის ფონზე. ბუშ-ტულები სწრაფად სკდებიან, და მათ ადგილზე წარმოიქმნებიან მორუხო-თეორი ფერის მქონე აფთები. როგორც წესი პროცესის მიმდინარეობა სასიკეთოა და მთავრდება გამოჯანმრთელებით დაავადების პირველი კვირის ბოლოსათვის.

სხვა პაპოვავირუსებისაგან განსხვავებით პაპილომის ვირუსები იწვევენ მეჭეჭების (სიმსივნეების) განვითარებას. ინფექციური მეჭეჭი – ეს არის კეთილთვისებიანი წარმონაქმნები, რომლებიც ვლინდებიან ბრტყელი მეჭეჭების წამახვილებულ ბოლოებიან კონდილომების, პირის დრუს ლორწოვანი გარსის პაპილომების ფორმით. ეს ვირუსები ხშირად აზიანებენ ბავშვებსა და მოზარდებს. დასწრებოვნება ხდება ავადმყოფებთან პირდაპირი კონტაქტის შედეგად ან საერთო სარგებლობის ნივთებით.

სხვა ვირუსები. პირის დრუს ლორწოვანი გარსი შეიძლება ხანმოკლე დროით დააზიანონ სხვა ვირუსებმა, მაგრამ ასეთ პროცესს აქვს ხანმოკლე ხასიათი და არ უქმნის განსხვაუთრებულ უსიამოვნებებს ავადმყოფს. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ადგილობრივი დაზიანება, რომელიც ლოკალიზდება პირის დრუს ლორწოვან გარსზე. პირის დრუში შეიძლება ლოკალიზდენ ბევრი ვირუსები: პიკორნავირუსების ოჯახიდან – ოურქულის ვირუსები და რინოვირუსები, ორთომიქსოვირუსებიდან – გრიპის ვირუსი, პარამიქსოვირუსებიდან – პარაგრიპის ვირუსები, რესპირატორულ-სინციტიალური ვირუსი, ყბაყურას ვირუსი, წითელას ვირუსი, ადენოვირუსებიდან – ადენოვირუსები და ა.შ. ისინი ძირითადად არიან რესპირატორული ინფექციების გამომწვევები, მაგრამ შეიძლება ლოკალიზდნენ, როგორც პირის დრუში, აგრეთვე ლიმფოიდურ ქსოვილში.

შიდსის ერთ-ერთი ადრეული კლინიკური სიმპტომი არის პირის დრუს ლორწოვანი გარსის კანდიდოზი. ამასთან დაკავშირებით არცთუ იშვიათად დაავადებულნი მიმართავენ სტომატოლოგს კანდიდოზური სტომატიტის ან სხვა დაზიანებების: ატიპიური მიკობაქტერიოზი, გამოწვეული *Mycobacterium avium*-ით, ჰერპესული პირველადი და მორეციდივე ბუშტუკოვანი გამონაფარი ერითრომატზულ საფუძველზე, რაც იწვევს პირის დრუში წყლულების წარმოქმნას – გამო. არცთუ იშვიათად ადგილი აქვს შერყეულ ინფექციებს ბაქტერიების, საფუარის მსგავსი სოკების, ვირუსების მონაწილეობით, რომლებიც ვლინდებიან ნეკროზული გინგივიტის სახით.

შიდსის კლინიკური გამოვლინების მეორე ჯგუფია – ავთვისებიანი სიმსივნეები, რომლებიც ასევე შეიძლება გამოვლინდნენ პირის დრუში. შიდსით ავადმყოფთა 30%-ზე მეტს უვითარდება კაპოშის სარკომა – ლიმფოენდოთელური წარმოშობის სისხლძარღვებანი სიმსივნე, რომელიც შესაძლებელია დაკავშირებულია ციტომეგალოვირუსთან.

ამ დაავადების დროს ზიანდება პირის დრუს ლორწოვანი გარსი და რეგიონალური ლიმფური კვანძები. შიდსის მქონე ავადმყოფებს ხშირად უვითარდებათ ვირუსული წარმოშობის პაპილომები და კონდილომები, აგრეთვე ქერცლისებური კარცინომები პირის დრუსა და საყლაპავში.

## სოკოვანი ინფექციები

პირის დრუს ლორწოვანი გარსის დაზიანების გამომწვევი მიკოზების უმეტესობა გამოწვეულია *Candida*-ს გვარის საფუარისმაგარი სოკოვებით. ადამიანის პირის დრუს პირველადი ინფიცირება ხდება მშობიარობის დროს, რადგანაც ძალიან ხშირ-

ად სამშობიარო გზები დაინფიცირებულნი არიან candida-ს გვარის საფუარის მსგავსი სოკოებით. დაბადების შემდეგ ეს სოკოები შეიძლება მოხვდნენ ბავშვის პირის დრუში სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნებით პიგიენური ნორმების დარღვევისას. საფუარის უჯრედების რაოდენობა ბავშვში მატულობს და მაქსიმუმს აღწევს მე-4 კვირისათვის, შემდეგ კი ქვეითდება. სიბერეში საფუარების რაოდენობა კვლავ მატულობს, განსაკუთრებით იმ პირებში, რომლებიც სარგებლობენ კბილის პროცენტებით.

საფუარის უჯრედების პირის დრუს ლორწოვანი გარსის ეპითელურ უჯრედებთან ურთიერთობის პროცესი იწყება მათი ადგეზით. საქართვა, მალტია, გლუკოზა და სხვა ნახშირწყლები იწვევენ ადგეზის აქტივობის მატებას. ადგეზის უნარი წარმოადგენს სახეობრივ თვისებას, მაგრამ მისი ინტენსივობა მერყევია. Candida-ს გვარის საფუარისმაგვარი სოკოების ადგეზიურობა ბევრად განაპირობებს მათ ვირულენტობას. ასე მაგ: ყველაზე დიდი პაოგენეტიკური მნიშვნელობის მქონე C.albicans ადამიანის ეპითელურ უჯრედებზე ადგეზირდება 1,5-ჯერ სწრაფად, ვიდრე სხვა სახეობები. ანტიბაქტერიული ანტიბიოტიკების გამოყენება ამლიერებს საფუარის უჯრედების ადგეზიას. კომპლექსურის სისტემა, რომელიც აქტივიზირდება საფუარების უჯრედული კედლის მანანით, ახდენს მათი ადგეზის ინჰიბირებას. Candida-ს გვარის წარმომადგენლებით გამოწვეული დაავადების პაოგენეზში განსაზღვრულ როლს თამაშობენ ისეთი ფერმენტები, როგორიცაა ნეირამინიდაზა, მჟავე პროტეაზა და სხვა. საფუარის მსგავსი სოკოები ხელს უწყობენ კბილის ემალის დაშლას და კარიესის განვითარებას. კარიესული კბილები, რომელიც ვეგეტირებენ საფუარის სოკოები, შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი ეკოლოგიური ნიში, რის შედეგადაც მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მიკოზური ტონზილიტების და სტომატიტების განვითარებაში.

როგორც წესი Candida-ს გვარის საფუარის მსგავსი სოკოები ადამიანის პირის დრუში ასოცირდებიან სხვა მიკროორგანიზმებთან. მათი სინერგიული ურთიერთობა აიხსნება ზოგიერთი ზრდის ნივთიერების პროდუქციით – ვიტამინები, რომლებიც ხელს უწყობენ ბევრი მიკროორგანიზმის, კერძოდ ლაქტობაქტერიების ზრდას. მეორე მხრივ ლაქტობაქტერიების მიერ გამოყოფილი რძის მჟავა თრგუნავს საფუარის მსგავსი სოკოების გამრავლებას, როგორც წესი, საფუარის მსგავსი სოკოები ახდენენ პირის დრუს ლორწოვანი გარსის კოლონიზაციას და არ იწვევენ პათოლოგიურ ცვლილებებს. მაგრამ იმუნოდეფიციტური მდგომარეობისა და ხანგრძლივი ანტიბიოტიკოლორაპიის, განსაკუთრებით ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების გამოყენების (ტეტრაციკლინი, ლევომიცეტინი და სხვა), რომელთაც მიყვავართ დისბაქტერიოზამდე, ფონზე ისინი იწვევენ კანდიდოზებს. ეს უკანასკნელნი მიმდინარეობენ ან პირის დრუს ადგილობრივი დაზიანების სახით, ან გენერალიზებული კანდიდოზის სახით ადამიანის შინაგანი ორგანოების მრავლობითი დაზიანებით.

კანდიდოზის ადგილობრივი გამოვლინებანი ან პირის დრუს პირველადი კანდიდოზი მიმდინარეობს მწვავე ფსევდომემბრანოზული კანდიდოზის (რძიანა), მწვავე ან ქრონიკული კანდიდოზისა და პიპერპლაზიური კანდიდოზის ფორმით.

ფსევდომემბრანოზული კანდიდოზი (რძიანა) ხასიათდება მოთეთრო-რუხი ხაჭოსებური ნადების განვითარებით, რომელიც ადგილად სცილდება ქვეშმდებარე ქსოვილებს. დაავადება ხშირად აზიანებს ახალშობილებს, განსაკუთრებით დღენაკლულ და სამშობიარო ტრამვის მქონე ბავშვებს. ფსევდომემბრანოზული კანდიდოზი მოზრილებში გვხვდება იშვიათად და უპირატესად აზიანებს მძიმე მეორადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობის მქონე პირებს კიბოს დროს, სტეროიდული თერაპიის რადიო – და რენტგენოთერაპიის, ციტოსტატიკების გამოყენებისას.

მწვავე ატროფიული კანდიდოზი ხშირად ვითარდება პროთეზების ხმარების შედეგად. დაავადება ხშირად აზიანებს პირის იზოლირებულ უბნებს (კანდიდოზური ჰეილიტი), პირის კუთხეებს (ზაედა), ენას (გლოსიტი).

პიპერპლაზიური კანდიდოზი ხასიათდება პიპერემიული ლორწოვან გარსზე მსხვილი, ხანდახან შერწყმული თეთრი პაპულების განვითარებით. უპირატესად ზიანდება ტუჩების კუთხეების გვერდით მდებარე ლოფების ლორწოვანი გარსი, ენის ზურგი და სასის უკანა ნაწილი. დაავადება ხშირად ლებულობს ქრონიკულ მიმდინარეობას და ხანდახან განიხილება, როგორც კიბოს წინა მდგომარეობა.

## ოდონტოგენური ანთებითი დაავადებანი

ყბა-სახის ანთებად დაავადებებს მიეკუთვნებიან: პერიოდონტიტი, ყბის პერიოსტიტი, ყბის ოსტეომიელიტი და ანთებითი პროცესები ყბის ახლომდებარე რბილ ქსოვილებში (აბსცესები და ფლეგმონები). ყველა ეს მწვავე ჩირქოვანი ანთებითი პროცესები ურთიერთკავშირშია, რადგანაც ადგილი აქვს ინფექციის თანდათანობით გადანაცვლებას კბილის არხიდან პერიოდონტზე, პერიოდონტიდან ძვლის საზრდელაზე, ყბის ძვლოვან ქსოვილზე, ყბის ახლომდებარე ქსოვილებზე. როგორც წესი ოდონტოგენური ანთებითი პროცესების გამომწვევები არიან პირის ღრუს ნორმალური მიკროფლორის წარმომადგენლები: სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები, გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიები. ყველაზე ხშირად ისინი გვხვდებიან მიკრობული ასოციაციების სახით, რომლებიც იწვევენ შერეულ ინფექციებს. ამ ასოციაციებში წამყვან როლს თამაშობენ სპორადიურმქნელი გრამუარყოფითი ანაერობები და პათოგენური სტაფილოკოკები, რომლებიც ხასიათდებიან ანგიბიოტიკებისადმი მრავლობითი რეზისტენტობით. ოდონტოგენური ანთებითი პროცესების განვითარება განისაზღვრება ანატომო-ტოპოგრაფიული თავისებურებების შეფარდებით ინფექციის კარიბჭე – ოდონტოგენურ კერასა და ირგვლივმდებარე ქსოვილებს – ყბა-სახის არის ძვლისაზრდელა, ძვალი და რბილი ქსოვილები, – შორის. სისხლძარღვებისა და ლიმფური სადინარების სიჭარბე ქმნიან ინფექციის სწრაფი გავრცელებისათვის საუკეთესო პირობებს.

## იმუნოკათოლოგიური პროცესები პირის ღრუში

პირის ღრუში მიმდინარე იმუნოპათოლოგიურ პროცესებს მიეკუთვნებიან პიპერმგრძნობელობის რეაქციები (ალერგია, იმუნური სისტემის პიპერფუნქცია). ავტოიმუნური დაავადებანი და იმუნოდეფიციტური მდგომარეობანი. იმუნოპათოლოგიური მდგომარეობანი შეიძლება იყვნენ თანდაყოლილნი, გენეტიკურად დეტერმინირებულნი და შეძენილნი ინდივიდუუმის სიცოცხლის მანძილზე. თავისი წარმოშობით იმუნოპათოლოგიური მდგომარეობანი იყოფიან ენდოგენურად, გამოწვეულნი ავტო-ანტიგენებით, ლიმფოპროლიფერაციით, ნეირო-პორმონალური რეგულაციის დარღვევებით, და უგზოგენურად, რომლებიც ფორმირდებიან ინფექციური აგენტების, სამკურნალო პრეპარატების და სხვა ფაქტორების გავლენით.

## ალერგიები

პირის დრუში გვხვდება იმუნური პათოლოგიის ყველა ვარიანტი. გენერალიზებული I (ანაფილაქსიური) და II (ციტოტოქსიური) ტიპის ალერგიული რეაქციები ვითარდებიან მედიკამენტური ალერგიის შემთხვევაში. ისინი არცოუ იშვიათად გვხვდებიან ქირურგიულ სტომატოლოგიაში ნოვოკაინით ადგილობრივი გაუტკივარებისას. I ტიპის ალერგიული რეაქციებიდან ყველაზე საშიში ფორმაა კვინკეს შეშუპება, რომელიც ვრცელდება ხორცზე და შეიძლება გამოიწვიოს მოხრჩობა. დაავადების მექანიზმი დაკავშირებულია ანტიგენ-ანტისხეულის რეაქციასთან, რომელიც მიმდინარეობს პოხიერი უჯრედების მემბრანაზე IgE კლასის ჰომოციტოტოპული ანტისხეულების მონაწილეობით და თან სდევს სისხლში პისტამინისა და პისტამინის მაგვარი ნივთიერებების მასიური გადასვლა.

II ტიპის ალერგიული რეაქციები (იმუნოკომპლექსური) პირის დრუს ლორწოვან გარსზე დაკავშირებულია იმუნური კომპლექსების წარმოქმნასთან. ისინი შეიძლება გამოწვეულნი იყონ ან ბაქტერიული, ან მედიკამენტური ანტიგენებით. ეს რეაქციები შეიძლება გამოვლინდნენ პაროდონტიზმის, წყლულოვან-ნეკროზული გინგივიტის, პოსტერპესული მრავალმორფული ერიოზმის დროს. ისინი იწვევენ ნეკროზს, რომელიც ვითარდება იმუნური კომპლექსებით სისხლძარღვოვანი კედლის დაზიანების შედეგად. ეს უკანასკნელი წარმოიქმნებიან სისხლძარღვთა შიგნით და ილექტებიან ბაზალურ მემბრანაზე. ასე მაგ.: წყლულოვან-ნეკროზული გინგივიტის დროს დროინდების შემაერთებელ ქსოვილში პლაზმური უჯრედები გამოიმუშავებენ IgG და IgM კლასის ანტისხეულებს, რომლებიც წარმოქმნიან იმუნურ კომპლექსებს მიკრობულ ანტიგენებთან. ამას მივყავართ კომპელემენტის სისტემის აქტივაციამდე კლასიკური გზით და იწვევს არტიუსის ფენომენის ტიპის იმუნურ დაზიანებას, რაც გამოიხატება ზედაპირულ ვასკულიტში, თრომბოზესა და ნეკროზში.

IV ტიპის ალერგიული რეაქციები (უჯრედული) პირის დრუში ვითარდებიან ინფექციური აგენტების გავლენით. მსგავსი მოქმედების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ინფექციური ალერგიის განვითარება ტუბერკულოზის დროს. შენელებული ტიპის პიპერმგრძნობელობა ვითარდება აგრეთვე სხვა ინფექციების დროს და კონტაქტური დერმატიტის და წამლისმიერი სტომატიტის დროს. წამლისმიერი სტომატიტი დაკავშირებული არიან სტომატოლოგიაში აკრილის ფისების, დარიშხანის, რივანოლის, რენტგენოგრანტრასტული ნივთიერებებისა და ანტიბიოტიკების ფართო გამოყენებასთან. კან-ალერგიული სინჯებით დადგენილია, რომ უცხო ნივთიერებანი, რომლებისგანაც მზადდება პროთეზები, იწვევენ ალერგიზაციას შემთხვევათა 0,5-5%-ში. წყლულოვანი გინგივიტის ადრეულ სტადიებში ჭარბობს უჯრედული ტიპის იმუნური ანთება აენსიბილიზირებული T ლიმფოციტებისა და ლიმფოკინებით მოზიდული მაკროფაგების მოანწილეობით.

## პიპერმგრძნობელობის დაავადებანი

ალერგიის ტიპი	იმუნპათოლოგიური რეაქციების მექანიზმი	პირის დრუში გამოვლინება
ტიპი I ანაფილაქსიური	ციტოტოსიული JgE-ს გამომუშავება. რეაქცია ანტიგენ-ანტისხეული ჰისტონის(Hi) ტიპის მედიატორების გამონთავისუფლებით.	ანაფილაქსიური შეკა (მედიკამენტოზური), კვინკვეს შეშუპება, ატოპიური დერმატიტის, ჭინჭრის ციება.
ტიპი II ციტოტოქსიური	JgG-ს გამომუშავება უჯრედული მემბრანების შემადგენლობაში მყოფი ანტიგენების საწინააღმდეგოდ, რეაქცია ანტიგენ-ანტისხეული კომპლექსების (C) აქტივაციის საშუალებით.	ციტოტოქსიური რეაქციები წამლისმიერი ალერგიის დროს, მორეციდირივე აფთოზური სტომატიტი.
ტიპი III იმუნოკომპლექსური	JgM და JgG მაპრეციტირებელი ანტისხეულების გამომუშავება, ანტიგენის სიჭარბე, პათოგენური რეაქციები. ინიცირებული იმუნური კომპლექსებით კომპლექსებისა და ლეიკოციტების აქტივაციის გზით.	მორეციდირივე აფთოზური სტომატიტი, ინფექციური დაავადებანი, არტიუსის რეაქცია, პაროდონტოპათოები (წყლულოვანნექროზული გინგივიტის, პაროდონტიტის) პოსტპერპესული მრავალმორფული ერიოემა.
ტიპი IV უჯრედული	სენსიბილიზური T - ლიმფოციტების დაგროვება, რეაქცია ანტიგენსა და შენელებული ტიპის ჰიპერმგრძნელების რეაქციის სენსიბილიზებულ ეფექტორულ T ლიმფოციტებს შორის, ლიმფოკინების გამომუშავებით და ციტოტოქსიური რეაქციები მათ მიერ მოზიდული მაკროფაგების მონაწილეობით.	ალერგიული გამოვლინებანი ინფექციური დაავადებებისას (ტუბერკულოზი, აქტინომიკოზი, კანძიდოზი და სხვა) და აფტომუნიზური დაავადებისას, კონტაქტური ალერგია (წამლისმიერი სტომატიტები), პაროდონტოპათოები. წყლულოვანნექროზული სტომატიტი. მორეციდივე აფთოზური სტომატიტი.

სტომატიკულის დროს გვევდება იმუნოპათოლოგიის სხვადასხვა ტიპები. ისინი შეიძლება განვითარდნენ თრგანიზმის სენსიბილიზაციის ფონზე მიკრობული და მედიკა-მენტოზური ალერგენებით, აგრეთვე ავტოანტიგენებით. ჰიპერერგიული ტიპის ანოებისა და კაპილარების განვლადობის გაძლიერებისას აღინიშნება ანოების ალტერნატივული ფორმის სიჭარე პირის დრუს ლორწოვანი გარსის უბნების ნეკროზული დაზიანებების ექსუდაციურ ფორმაზე, თრგანიზმის სენსიბილიზაციის ფონზე. აქედან გამომდინარე არჩევან სეროზულ და წყლილოგან-ნიკროზულ სტომატიტს.

იმუნოპათოლოგიურ მდგომარეობებს ალერგიის შერეული ტიპით მიეკუთვნება მორეციდივე აფთოზური სტომატიტი, რომლის დროსაც ადგილი აქვს II, III და IV ტიპის ალერგიულ რეაქციებს ავტოიმუნური პროცესის თანხმბისას. აფთოზური სტომატიტის ეტიოლოგიასა და პათოგენეზში დიდი მნიშვნელობა აქვს შენელებული ტიპის ჰიპერმაგრანულობის რეაქციებს რიგი ბაქტერიალური ანტიგენებისადმი და პირველ რიგში იმ ანტიგენებისადმი, რომლებიც გახვდებიან პირის დრუში. კერძოდ, კან-ალერგიული სინჯების დაყენებისას შეიძლება განვითარება შენელებულ ტიპის ჰიპერმაგრანულობისა სტრეპტოკოკისადმი, სტაფილოკოკისადმი, ნაწლავის ჩინისადმი და სხვა ანტიგენისადმი ან ერთდროულად რამდენიმე ბაქტერიული ანტიგენებისადმი. ამ დროს ამ დაავადებების მქონე ავადმყოფების სისხლში წარმოიქმნებიან შესაბამისი ანტისხეულები. მორეციდივირე აფთოზური სტომატიტის დროს აფთებიდან ბაქტერიების გარდა შეიძლება გამოიყონ მარტივი ჰერპესის ვირუსი და 1 ტიპის ადენოვირუსები, რომლებიც აგრეთვე იწვევენ ჰიპერმაგრანულობის მდგომარეობას. თვით აფთო წარმოადგენს უჯრედულ ინფილტრაცის, რომლის შედეგია ლიმფოციტ-

ბისაგან, რაც შეესაბამება ალერგიული შენელებული ტიპის ჰიპერმგრძნობელობის რეაქციის იმუნომორფოლოგიას, ინდუცირებულს პირის ღრუს მიკროორგანიზმების ანტიგენებისადმი.

მორეციდირივე აფთოზური სტომატიტის განვითარებისას განსაკუთრებულ როლს თამაშობებ ავტოანტიგენები, რომლებიც გროვდებიან პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ქსოვილებში გარკვეულ პირობებში. პათოლოგიურად შეცვლილი ლოფების ლორწოვანი გარსის ანტიგენებს მიეკუთვნება დამატებით ე.წ. ჟ ანტიგენი. ავადმყოფებში ამ ანტიგენის არსებობა ადასტურებს მორეციდივირე აფთოზური სტომატიტის წარმოშობის ავტოიმუნურ კონცეფციას. დაავადება გამოირჩევა ქრონიკული მიმდინარეობით და ახასიათებს პერიოდული რემისიები და გამწვავებები. პირის ღრუს ლორწოვან გარსზე ჩნდება აფთოები, რომლებიც წყლულდებიან. როგორც წესი ეს დაავადება გრძელდება ავადმყოფის მთელი სიცოცხლის მანძილზე და ყველაზე ტიპიურად ვლინდება 20-40 წლის ასაკში.

მორეციდივირე აფთოზური სტომატიტის განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობებ მემკევიდრული და კონსტიტუციური ფაქტორები: ადინიშნება თანდაყოლილი განეტიკური განწყობა მოცემული დაავადებებისადმი, რის შედეგადაც საკამოდ ხშირად ადგილი აქვს ავადმყოფობის ოჯახურ გამოვლინებებს.

## პირის ღრუს დაავადებებში იმუნოდეფიციტური მდგრმარეობის როლი

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაცვა ხორციელდება უპირატესად A კლასის იმუნოგლობულინით, ამიტომ ამ კლასის იმუნოგლობულინების დეფიციტი წარმოადგენს სტომატოლოგებისათვის დიდ ინტერესს. T – ლიმფოციტების დეფექტების დროს ავადმყოფებს ემუქრებათ პირველ რიგში ვირუსული და სოკოვანი ინფექციებით დასნებოვნების საშიშროება. იმუნოდეფიციტის პირველ ნიშნებს ხშირად წარმოადგენს კანდიდოზური სტომატიტი (რძიანა) ან მძიმედ ხანგრძლივად მიმდინარე ჰერპესული სტომატიტი. უჯრედული იმუნიტეტის თანდაყოლილი დეფექტი იმუნორეგულაციის მექანიზმების დარღვევით სიჭარის შედეგად შეიძლება შეუთავსდეს ქრონიკულ კანლორწოვანის კანდიდოზს (ქრონიკული გრანულომატოზური კანდიდოზი).

იმუნოდეფიციტური მდგრმარეობანი შეიძლება იყოს ან მიზეზი, ან შედეგი ჰიპერმგრძნობელობისა ან ავტოიმუნური დაავადებისა. ასე მაგ.: IgA-ს დეფიციტი ხელს უწყობს ლორწოვანი გარსიდან იმ უცხო ანტიგენების შეწყვას, რომლებიც იწვევენ ორგანიზმის სენსიტივიზაციას.

იმუნოდეფიციტური მდგრმარეობის კლინიკური გამოვლინებები შეიძლება იყოს ინფექციები, გამოწვეული პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმებით, ავტოიმუნური დაავადებანი, ალერგიული რეაქციები, სიმსივნეები. პირის ღრუში არცოუ იშვიათად ვლინდებიან მიკრობული ეტიოლოგიის დაავადებანი (სტომატიტი, გინგივოსტომატიტი და სხვა), რომლებიც წარმოადგენს პირველადი და მეორადი იმუნუდეფიციტური მდგრმარეობის შედეგებს. ასე მაგ.: იმუნოლოგიური უკმარისობის მქონე ბავშვებში პირის ღრუს ლორწოვანი გარსი ხშირად ზიანდება ბაქტერიებით, ვირუსებითა და სოკოებით უჯრედული და ჰემორალური დაცვითი ფაქტორების მკვეთრი დაქვეითების გამო. ასეთი გართულებები აღინიშნება პირველადი დეფექტების მქონე ბავშვებში – თიმუსის თანდაყოლილი დისპლაზია, შეძენილი ლიფოგრანულომატოზი, ლეიკოზი, IgA-ს, ლიზოციმის ან ინტერფერონის შერჩევითი დეფიციტი. ანალოგიური გარულებებია დამახასიათებელი მეორადი იმუნოდეფიციტური მდგრმარეობების მქონე ავად-

მყოფებისათვისაც, რომლებშიც ეს მდგომარეობა ინდუცირებულია მედიკამენტოზური თერაპიით (გლუკორტიკოსტეროიდები და სხვა). პირის ღრუს ლორწოვანი გარსის კანდიდოზის პათოგენეზში ჭარბობენ ენდოგენური მიზეზები, მათგან დიაბეტის, ლეიკონების, ქრონიკული ინფექციების (ტუბერკულოზი და სხვა), ოპერაციის შემდგომი პერიოდის დროს განვითარებული მეორადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობანი.

საყურადღებოა განსაკუთრებულად მაღალი მიმღებლობა კანდიდოზური ინფექციებისადმი ძუძუთა ბაგშვებში და მოხუცებში, ე.ო. იმ პირებში, რომელთაც აქვთ ასაკობრივი იმუნოდეფიციტური მდგომარეობანი. კანდიდოზის მქონე ავადმყოფებში სპეციფიური ანტისხეულების არასებობისას და ერთდროულად სპეციფიური კან-ალერგიული რეაქციების დაქვეითებით შეიძლება დაავადების არაკეთილსამედო მიმდინარეობის პროგნოზირება.

## ა ტ ლ ა ს 0




- სურათი 1 – ბაქტერიათა წამწამები.
- სურათი 2 – კაფსულების წარმოქმნა ბაქტერიებში.
- სურათი 3 - ა) *Bac. cereus*. ბ) ანთრაკოიდული ჩხირის სპორები გ) ვიბრიონები.
- სურათი 4 - ა) *Enterobacteriaceae* - ოჯახი ბ) შავი ჭირის გამომწვევი. *Past. pestis*.
- სურათი 5 – ა) ბ) გ) გვარი *Bordetella (pertussis)* დ) გვარი *Haemophilus (ducreyi)* რბილის შანკრის გამომწვევი ე) *Actinobacillus (mallei)* გვარი.
- სურათი 6 – სტაფილოკოკები *Staphylococcus*.
- სურათი 7 – ა) სტაფილოკოკი უჯრედში. ნაცხი ფურუნკულიდან ბ) *Sarcina urla*.
- სურათი 8 – ა) სარცინები *Sarcina*. ბ) გონოკოკები (*Neiseriaceae*).
- სურათი 9 – ა) დიპლოკოკები (*Diplococcus pneumoniae*) ბ) *Diplococcus pneumoniae* – ნახ-ველში გ) დ) *Streptococcus*.
- სურათი 10 – ა) *Corynebacteriaceae* - ოჯახი *Diphtheriae*.
- სურათი 11 – ა) *Bacillaceae* ოჯახი. ბ) გ) *Bact. anthracis*.
- სურათი 12 – ა) ბ) *Cl. tetani* გ) დ) *Myc. tuberculosis*.
- სურათი 13 ა) *Borellia vincentii* ბ) ანგინა.
- სურათი 14 ა) *Borrelia obermejeri*. ბ) გ) *Treponema pallidum*.
- სურათი 15 – *R. Burneti*.
- სურათი 16 – *R. Orientalis*.
- სურათი 17 – ა) *Tsutsugamushi* ბ) *Rochaliemaceae quintana*. გ) ბაქტერიოფაგი.
- სურათი 18 – ყვავილის ვირუსის ვირიონები.
- სურათი 19 – ციტომეგალი ვირუსის ვირიონები.
- სურათი 20 – ვეზიკულური სტომატიტის ვირუსი.
- სურათი 21 – ა) ვეზიკულური სტომატიტის ვირუსი უჯრედში ბ) ბაბეშ-ნეგრის სხეულაკები გ) ცოფის ვირუსი უჯრედში.
- სურათი 22 – ა) ბ) ცოფის ვირუსი უჯრედში და პრეპარატში. გ) დ) ყვითელი ცხელების ვირუსი ბირთვში.
- სურათი 23 – ტრაქომის ვირუსი.
- სურათი 24 - ა) ბ) ორნითოზის გამომწვევი გ) დ) კლასი *Sarcodina*.
- სურათი 25 - ა) ბ) *Entamoeba histolytica* .ორ და ოთხ ბირთვიანი ცისტები. გ) დ) *Leishmania donovani*.
- სურათი 26 – ტრიქომონადა.
- სურათი 27 – კლასი *Sporozoa*.
- სურათი 28 – მალარიის პლაზმოდიუმი.
- სურათი 29 – *Balantidium coli*.
- სურათი 30 – *Toxoplasma gondii*
- სურათი 31 – *Toxoplasma gondii* სისხლში.
- სურათი 32 - სოკოს მიცელიუმის აგებულება.
- სურათი 33 – *Actinomycetes* კლასი.
- სურათი 34 – კლასი *Agromycetes*. ქლამიდიოსპორები.
- სურათი 35 – კონიდიოსპორები.
- სურათი 36 – *Bazidiomycetes* კლასი, ფსევდომიცელიუმი.
- სურათი 37 - მიკოტიქსიკოზის აღმძღველები.

სურათი 1




გამტერიალი ჭამჭამები

სურათი 2





კაფსულების დარმოქმნა გაძლიერივება


სურათი 3




ა




ბ



სურათი 4




ა




გ

ბ


სურათი 5



8




სურათი 6




სტაციონარული

ԵՐԱԾՈՅ 7




δ

δ




δ

სურათი 8



ც




ბ



გ


ვ

სურათი 9







♂



♂

სურათი 10

♂




Corinebacteriaceae օչածո կիրիակ

թ


ՏԵՐԱԾՈՒ 11




♂




♂







δ. *Borellia obermejeri*



δ. სქელი წვერის  
მეთოდი



δ



γ


სშრა000 13






δ

### **R.burneti**


მოთავსებული  
ქსოვილოვანი კულ-  
ტურის ვაკუოფლებში



R.orientalis



სერატი 15





R.trutsugamushi




Rochalliemaceae  
guintana


ପାଶତୀରିନ୍ଦରାଜାବା

ସେରାଟୋ 16





სერალი 17







ՑՅԱՑՈԾՈՒՅՈՒՆ ՅԱՐԱՎԵՐԱԿԱՆ ՅԱՐԱՐԵՐԵՋԱՅԻ

ԽԵՐԱԾՈՒՅՈՒՆ 19



Հոգոմազալութեան զօրովեցօ


Տարածու 20



ՅԵԽՈՃՎԼՎՐՈ ՍԳՐՈՎԱԳՈՒՅՈՆ ՅՈՐՎԵ՛Ծ  $\delta$

Ը

Մարտի 21




სურათი 22




Ճ



Ճ






Ճ





Ճ

Մարզո 23


ტრაქომის ვირუსი



ა) ბ) ორნიტოზის გამომჯევი





ბ) დ) პლასი Sarkodina







სურათი 25

5) ♂ Entamoeba histolytica. Թռ ջա բունք ծորակացած լուսապատճեն.




♂ ♀ Leishmania donovani.







ტრიქომაზონადა







ՃՐԱՏԵՐԸ Sporozoa







სურათი 30











სერატი 32





სერატი 33











მიკოფორმულის აღმაღელები



## სარჩევი

• მიკრობიოლოგიის საბანი და ამოცანები	3
• მიკრობიოლოგიის ბანგითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა	3
• მიკრობიოლოგიური ლაბორატორია და მისი მოწყობილობები	5
• ბაქტერიის უჯრედების სტრუქტურის შესრულების მიზნთადი რატიოპური მეთოდები სინათლის მიკროსკოპი	5
• ბელარიანი მიკროსკოპი	5
• ვაზურ-კონტრასტული მიკროსკოპია	5
• აუტორადიოგრაფია	6
• ელექტრონული მიკროსკოპია	6
• ბაქტერიების შეღებება	6
• შეღებილი პრეპარატის დამზადება	7
• მიკრობთა შეღების წესები	7
• მიკროორგანიზმთა მორფოლოგია	8
• ბაქტერიათა მორფოლოგია	8
• ბაქტერიული უჯრედის სტრუქტურა	10
• მიკროორგანიზმთა ვიზუალობია	12
• მიკრობების ზრდა და გამრავლება გუნებაში და საკვებ ნიადაგზე	14
• სრულები	15
• საიროქეტები - Spirocheteae	17
• უმარტივესები	17
• რიცენტისები	18
• მიკოპლაზები	18
• ქლამიდიები	18
• ვირუსების მორფოლოგია	19
• ვირუსების ულტრასტრუქტურა	19
• ვირუსების ვიზუალობია	20
• ნახშირფლების რაოდენობრივი შემადგენლობა	21
• ჩანართი სხეულები	21
• ვირუსების რეპროდუქცია	21
• მიკრობთა გავრცელება გუნებაში	
• გარემო ვაქტორების გავლენა მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობაზე	22
• ძიმიური ვაქტორების გავლენა	23
• გიოლობიური ვაქტორების გავლენა	24
• ანტიბიოტიკები	25
• ბაქტერიოფაგი ანუ ბაქტერიათა ვირუსები	27
• მიკრობთა ცვალებადობა	29
• ცვალებადობის ვორმები და მეთოდები, რომლებიც გამოიყენება მიკრობთა ახალი სახეობის მისაღებად	30
• ადამიანის ორგანიზმის ნორმული მიკროფლორა	31
• ინფექცია	33
• მიკროორგანიზმის როლი ინფექციის განვითარებაში	33
• ინფექციური დაავადებების დამახსასიათებელი ნიშნები	34
• ინფექციის სახეები	35
• ინფექციის წყაროები და გადაცემის გზები	36
• ინფექციურ დაავადებებითა გავრცელების ვორმები	38
• ინფექციური დაავადებების გვარნალობისა და კროფილაქტიკისათვის გამოყენებული სამედიცინო გიოლობიური პრეპარატები	38

• 08 უნივერსიტეტი	39
• გამაბლობული 060	40
• ორგანიზაციის 08 უნივერსიტეტი	40
• 08 უნიტეტის სახელი	42
• ორგანიზაციის ბურებრივი რეზისტენტობის განმაპირობებელი ფაქტორები და მექანიზმები	43
• ანტიგორუსული 08 უნიტეტი	44
• 08 უნივერსიტეტის დაკვადებები	45
• 08 უნიტეტის რეაქციები	45
• რადიომუზური ანალიზი	45
• 08 უნივერსიტეტის ანალიზი	46
• აბლუტინაციის რეაქცია	46
• ჰემაბლუტინაციის რეაქცია	46
• პრეციპიტაციის რეაქცია	47
• (დამლის) ლიზისის რეაქცია	47
• კომალემეტის შეგოჭვის რეაქცია	47
• 08 უნივერსიტეტის ცენტრის მეთოდი ანუ ლუმინისცენტრ ანტისენტოს მეთოდი	48
• ალერგია	48
• კერძო მიკრობილოლოგია	50
• ჩირქმბადი კოკები	50
• სტაფილოკოკები (Staphylococcus)	51
• ტოსინის ფარგლები	51
• სტაფილოკოკები დაკვადების აათობენაზი და კლინიკა	54
• სტრეპტოკოკები (Streptococcus)	52
• ქუნირუბის ეტიოლოგია	54
• პნევმოკოკები (Pneumococcus)	55
• მენინგოკოკები (Meningococcus)	56
• ლურჯ-მწვანე ჩირქის ჩხირი (Pseudomonas aeruginosa)	57
• ვულგარული აროტეუსი (Bact. proteus Vulgaris)	57
• გონოკოკები (Gonococcus)	58
• ნაყლავია 06 უნივერსიტეტის გამომწვევები	58
• ნაყლავის ჩხირი (Escherichia coli)	59
• კლებსიელები	60
• მუცელის ტიფის და კარატიფის აღმაცრელები	61
• სალმონელოზის აღმაცრელები	62
• ბაქტერიული დიზენტერიის აღმაცრელები (Shigella)	62
• ქოლერის ვიბრიონი (Vibrio cholerae)	64
• კორიება კარიები	66
• დივტერიის ჩხირები	66
• ზორანილოკონიული დაკვადებების გამომწვევები ჯილდურის ჩხირი	69
• ფულარემის გამომწვევე	70
• ბრეცელოზის აღმაცრელები	71
• შავი ჭირის გამომწვევე	71
• კათობენერი კლოსტრილიები	72
• ტეფანესის გამომწვევე	73
• ბოტულიზმის აღმაცრელები	74
• რიკეტსიები	75
• ვალემიური კარტახეტიანი ტიფის გამომწვევე	76
• ენდემური კარტახეტიანი ტიფის გამომწვევე	77

• ფპი პისმიერი ლაპოვანი ცხელებების გამომჯვევები	77
• ძუ-ცხელების გამომჯვევი	77
• ქლამიდიები	78
• ორნითოზის გამომჯვევი	78
• ფრაკომის გამომჯვევი	79
• პათოგენური სპიროქეტები	80
• შებრუნებითი ტიფის სპიროქეტები	80
• ათაშანების სპიროქეტა	81
• ლეპტოსპირები	83
• მიკობაქტერიები	84
• ფუბერპულოზის მიკობაქტერია	85
• პათოგენური უმარტივესნი	85
• გალარიის კლაზებოდიუმი	86
• ტოქსოკლაზოზის გამომჯვევი	87
• ამებური ღიუხნეტერია	87
• პათოგენური სოკოები	88
• პათოგენური აქტინობაციები	88
• დერმატომიკოზების გამომჯვევი	89
• კანდიდოზების აღმძვრებები	90
• მოჭამლები მიკრობული ფარმაცობის საკვები	90
• ობის სოკოებით დააგადებული საკვებით მოჭამლა	90
• ვირუსული ინფექციები ვირუსული დააგადებების გამომჯვევები	91
• მწვავე რესპირატორული დააგადებების გამომჯვევი ვირუსები	91
• ბრიკის ვირუსი	92
• ადენოვირუსები	92
• ადამიანის პარაგრიკის ვირუსი	93
• პარამიქსოვირუსების ოჯახი	94
• ვითელას ვირუსი	94
• ვიღევიური პაროტიტის	95
• ენტეროვირუსები	95
• კოლიომიელიტის ვირუსი	95
• ჰეპატიტის ვირუსი	96
• ჰეპატიტის ვირუსი	97
• ჰეპატიტის ვირუსი	98
• ჰეპატიტის ვირუსი	98
• რაბდოვირუსების ( <i>Rhabdoviridae</i> ) ოჯახი	99
• ვეზიკულური სტომატიტის ვირუსი	99
• ცოვის ვირუსი	100
• ჰერპეს ვირუსების ოჯახი	101
• ჩუტყვავილას ვირუსი	101
• ადამიანის ციტომებალოვირუსული ინფექცია	101
• ენცეფალიტის ვირუსები	102
• ოჯახი იორგავირიდა ფობავირუსები (ლათ. ფობა – ლაბადა, მოსასხამი)	
მოიცავს 90-ზე მეტ ვირუსს და იმოვიან 4 ბგარად	103
• ოჯახი ვილოვირუსები	104
• რეტროვირუსები	104
• ონკოვირუსები	104
• შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი შილსი	105
• სტომატოლოგიური დააგადებების მიკრობიოლოგია და იმუნოლოგია	107
• კირის ღრუს მიკროფლორა	108

• პირის დოკუმენტები კოლექცია	110
• პირის დოკუმენტების ასაკობრივი ცვლილებები	111
• პირის დოკუმენტების არასამციფრი და სამციფრი ფაქტორები	112
• მიკრორჩანიზმია როლი კბილის გაღიმების წარმოქმნაში	114
• კბილის კარიერი	116
• კაროდონტის დაგვადებანი	118
• პირის დოკუმენტის გარსის ინცეპციური დაგვადებანი	120
• მწვავე ბაქტერიული ინცეპციები პირის დოკუმენტის ჩირქვანი დაგვადებანი	120
• ძრონიკული ბაქტერიული ინცეპციები	123
• ვირუსული ინცეპციები	123
• სოკოვანი ინცეპციები	124
• ოდონტოგენური ანთებითი დაგვადებანი	126
• იმუნოკათოლიგიური კროცესები პირის დოკუმენტი	126
• ალერგიები	127
• პირის დოკუმენტების იმუნოდენციფრი მდგრადირების როლი	129
• აფლასი	131